

2004

# პარილი

#9-10 (204-205)

საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

საქართველო-ქვემოქვეყნის

ფასი 1.50 ლარი



#9-10 2004

# არილი

საზოგადოებრივ-ლიბერალური  
ასოციაცია "არილი" გამომემა

The Literary Magazine ARILI

არილი - დასასვენებელი სიწმინდეა(ნი)  
სულხან-საბა

არილი - შვის შუქი, რამეზე დამდგარი  
ძარღული ზნის  
განმარტავთი ღმერთი

მთავარი რედაქტორი  
შადიგან შამანაძე

## სარედაქციო საბჭო

- მალხაზ ხარბედია  
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
- ლევან აბაშიძე
- რატი ამალბოძე
- ია ანთაძე
- ირმა არჩუაშვილი
- ანდრო ბუაჩიძე
- ნოდარ ებრაღიძე
- თამაზ ვასაძე
- ეთერ ვიბლიანი
- ზაზა თვარაძე
- ზურაბ კიკნაძე
- ვახტანგ კომახიძე
- ვასილ მალღაფერიძე
- ზვიად რატიანი
- ირაკლი სამსონაძე
- გულსუნდა სიხარულიძე
- სოზარ სუბელიანი
- ზაზა ფაჩუაშვილი
- ზაზა ჭილაძე
- ბესო ხვედელიძე

მენეჯერი - ნანა ჩხვიმიანი  
კომერციული დირექტორი -  
გიორგი სუბარი

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
თამაზ ჩხაიძე  
ელისო კალმახელიძე  
მანანა კორძაძე

ტელ/ფაქსი: 98-84-00  
e-mail: kharbedia@yahoo.com  
მისამართი: ლესელიძის ქ. №4  
ფურნალი იბეჭდება გაზეთ  
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე



№9-10, სექტემბერი-ოქტომბერი, 2004

## პროზა

ნუგზარ შატაიძე  
ქაპიქი ვაქაპიკაპულა, ანუ მოგზაურობა ევროპაში .....1

პაატა ბერიკაშვილი  
შავი პეპლების სერენადა .....28

ზურაბ ლეჟავა  
დიდი ძუძუა და პატარა ძუძუა .....39

თამარი ფხაკაძე  
გოსტანი კონფლიქტის ზონაში .....47

## პოეზია

ბათუ დანელია  
ღმესხანი .....55

## ახალი თარგმანები

იოჰან ვოლფგანგ გოეთე  
სცენა "ფაუსტიდან" .....59

ედუარდ ჯონსი  
გაბარე .გომომ-ვიქვაი .....69



# ბაკაკიკეზულა

ანუ მოზაზროზა ევროპაში

სიცხეს ვერ ვიტან. ზოგს სიცივეს სიცივე ურჩევ-  
ნია, მაგრამ მე ოცდაათ გრადუსზეც კი გული  
მინუსდება, არადა, მინცდამინც შარშან, იმ პაპა-  
ნაქება აგვისტოში წაეშავჭირდი ევროპაში, სადაც  
ისეთი სიცივე დაიშვედა, რომ ხალხი სულ პანტაფუნ-  
ტით იხოცებოდა.

ვიცი, მკითხველს გაეცინება, მერე და, შე მა-  
მაცხოვრებულო, რა ძალა გადგა, რა გინდოდა, შინ  
რატომ არ დაეტეიო, მაგრამ იმან რა იცის გუჯას  
ამბავი, რა იცის, რომ ის თუ ჩაგაცივდა, გათავე-  
ბულია შენი საქმე!

შემოგვიჩნდა მე და კოტე ჯანდიერს - პარიზში  
მივდივარ მივლინებით, იქიდან გერმანიაში უნდა  
გამოვიარო და მანქანა ვიყიდო, ჩამოდი, დუსელ-  
დორფის აეროპორტში იმ მანქანით დაგხვდებით და  
ნახევარ ევროპას მოგატარებთო.


კოტე შედარებით ახალგაზრდა კაცია და ამი-  
ტომ იოლად დაიყოლია, მე კი გავუძალიანდი - იმ-  
ხელა მოგზაურობისთვის არც ფული მაქვს და აღ-  
არც გული-მეთქი, მაგრამ მომეშვა?

ერთი ბიძა მყავს - ბოლოქა, მანამ არ მოგეშევე-  
ბა, სანამ ლენის ჭიქას ცერის ფრჩხილზე არ და-  
განურინებს. ზოგი ერიდება, მაგრამ ზოგი ხათრს  
ვერ უტეტეს და, რა ქნას, სვამს ბოლომდე.

ერთი ეგეთი ხათრიანი კაცი, მიტო, ავად შეიქ-  
ნა, ჩამოვიდა ქალაქში და ექიმს ეჩვენა. ექიმმა  
ჰკითხა - მიტო, სვამ, კაცო? ვსვამ, მა რასა  
ეშვრებო! არაო, გენაცვალეო, დღეის ამას იქით  
წვეთი სასმელი აღარ ჩაიკარო პირში, თორემ, იც-  
ოდე, მოკვდებიო! ეხ, ექიმოო, - უთქვამს საწყალ  
მიტოს, - როგორ გეტყობა, რო ბოლოქას არ  
იცნოს შენაო!

რალა ბოლოქა და რალა ეს ჩვენი გუჯა, მაგრამ  
ხემა თქვა, ცული ვერაფერს დამაკლებს შიგ ჩემი  
რომ არ ერიოსო - ჩამაცივდნენ შინაურები, ნადი,  
თვალს წყალი დააღვიენე, სამოცი წლისა ხდები,  
ეგეთი შეთხვევა როდისღა მოგეცემო, აღარ მო-  
მასვენეს და ბოლოს მინც თავისი გაიტანეს...

ჩვენი თვითმფრინავი "თბილისი-დუსელდორფი"  
აეროპორტიდან ერთი საათის დაგვიანებით გაფე-  
რინდა. გადავუარეთ წყვედიდში ჩავლულ საქარო-  
ველოს, უკრაინის სრიოც ტრამალებს, პოლონეთის  
გვარიაზად მოფერიანებულ ველებს და, ბოლოს,  
ილუმინატორში ისეთი მოვლილ-დანკრილობული  
ქვეყანა გამოჩნდა, რომ თავი ვეღარ შევიკავე და  
ცხოვრებული სოლომონ ისაკიჩივით საშინელი ტამის-  
ცემა ავტეტე. თვითმფრინავის მგზავრები სწორედ  
ისევე გაკვირვებულები მომჩაგრდნენ, როგორც თე-  
ატრის მაყურებლები მეუღლანაუშვილს და თვითონ  
მხოლოდ მაშინღა დასცტეს ტაში, როცა ჩვენმა პი-



ლოტებმა თვითმფრინავი უნებლად დასვეს აეროდ-  
რომის ასაფრენ ბილიკზე.

დუსელდორფში, ისევე როგორც მთელს გერმა-  
ნიაში, ვერსად ნახავ უადგილოდ დაგდებულ აგურს-  
ყანგიან ქანჭიკს, ფიცრის ნატეხსა თუ დაშლილ-გა-  
მოშიგნულ ექსკავატორს. ქვესაც კი ვერსად იპო-  
ვნი, რომ მოტყეებული მანანწალა ძალღი მოიგერიო,  
თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც მანანწალა ძალღია  
სადმე.

მარტო გერმანიაში კი არა, თქვენ წარმოიდგი-  
ნეთ, თურმე მთელს ევროპაშიც ასე ყოფილა, მაგა-  
ლითად პარიზში. ერთხელ, საერთაშორისო ტურ-  
ნირზე იქ ჩასულ ქართველ ძიუდოისტთა ნაკრების  
მწვრთნელს, კახელ კაცს, ყელში ამოსვლია იქაური  
უნიალო საქმელი და მშობლიური ხაშლამა მონატ-  
რებია. უყიდა ქვაბი, კარგი ნასუქი დეკულის  
ხორცი და ბიჭები ორი აგურის საშოვნელად და-  
უზვანია, რათა, იქვე, სასტუმროს პატარა  
სკვერში ცეცხლი დაეგუზგუზებინა და ზედ ის  
ხაშლამის ქვაბი შემოედგა. მაგრამ ჩვენს სახელ-

2342

საქართველოს  
პატარავების  
ფონდის  
სამსახური

- თუ შეიძლება, თითო ჩემს შროტშიც დალიეთო.

- ვა, სალო, როგორ არ შეიძლება!

მესამე ჭიქამ სრულყოფილ ადამიანად მაქცია.

გარეთ რომ გამოვედით, საწყალი გუჯა უკვე გვეძებდა:

- დალიეთ არა, თქვე ჩათლახებო!

- ვა, მა რა გვექნა, ტო, კვდებოდა კაცი. - და-  
ირცხვინა კოტემ.

მერე წავედით და გუჯას მიერ აღმოჩენილ მა-  
ლაზიაში 70 ვეროდ სწორედ ისეთი კარავი შევი-  
ძინეთ, როგორზეც მთელი ჩემი ახალგაზრდობა  
ვოცნებობდი. ვიყიდე, აგრეთვე, სამი ცალი გასა-  
ბერი ლები - თითო 16 ვეროდ.

ახლა ფიქრი აღარ იყო - სახლიც გვექონდა და  
კარიც.

მოუხენიდან შეზინდებულზე გავედით. გულ-  
დანყვეტილებმა მივატოვეთ ეს მშვენიერი ქალაქი.  
უფულობას რა ვუთხარი, თორემ იქ ერთი ღამე მა-  
ინც ხომ უნდა გავგეთია...

ავტობანზე ყურადღებით ვათვალიერებდით საგ-  
ზაო ნიშნებს, კვამინგს ვეძებდით, მაგრამ რაკი ვერ-  
სად ვიპოვნეთ, იძულებული გაგხდით ერთ-ერთი  
ფუნდუკში ღია ცის ქვეშ დაგვეძინა. მე და გუჯამ  
ახლადნაყიდი ლებებზე გავებრეთ და ზედ დაგწე-  
ქით, კოტემ კი მანქანაში ძილი არჩია.

საქართველოში, ამ ბოლო წლების განმავლობა-  
ში, ერთი ახალი სელობა გაჩნდა - "პერეგონშიკო-  
ბა": ნებისმერი ასაკის მამაკაცი, რომელსაც ჯერ  
კიდევ შერჩენია ძალ-ღონე და სიყოფად, რის ვაი-  
ნაჩრობით შოულობს თავს - 2 500 - 3 000 ევ-  
როს, ასეთივე ტანჯვა-წამებითა და გერმანიის სა-  
ელჩოსთან ორსამდლიანი რიგში დგომით ღებუ-  
ლობს "შენგენის ქვეყნების" ვიზას და მიუხედავად  
იმისა, რომ თბილისიდან დასუელდორფსა და ფრან-  
კფურტში თვითმფრინავის პირდაპირი რეისებია  
დანიშნული, ფულის დაზოგვის მიზნით, ავტობუსით  
ჯერ სტამბოლში მიემგზავრება, მერე კი იქიდან,  
თვითმფრინავით - გერმანიაში.

წარმოიდგინეთ ახლა ქუთაისელი, თბილისელი  
ან თელაველი კაცი ამ უცხო ქვეყანაში: გზა იმან  
არ იცის და კვალი, ენა ხომ - სულ არა. შა და შა,  
თავისი "ქართულ-გერმანული სასაუბროს" წყალობ-  
ით, ერთი გაქცეული გერმანელი მოაბრუნოს, მაგ-  
რამ ნათქვამია - გაჭირვება მიჩვენე და გზას გიჩ-  
ვენებო და ესეც, ეს ჩვენი საწყალი ქართველიც, ბო-  
ლო-ბოლო აგნებს ეგრეთწოდებულ "ავტოპაუზს",  
სადაც ძირითადად თურქები, ბოსნიელები და ბალ-  
ტიისპირელები მუშაობენ, ყიდულობს მათგან 10-12  
წლის ნახმარ "ოპელს", "ფოლცვაგენს", BMW-ს ან  
"მერსედესს" და გამოხსნებს შინსაკენ.

თქვენი არ ვიცო, მაგრამ მე დაფინტერესდები, სად

შოულობენ ნახმარ მანქანებს თვითონ ის თურქები,  
ბოსნიელები და ბალტიისპირელები. აი, თურმე, სად:  
გერმანელს რომ მანქანა დაუძველდება და ახლის  
შექნას მოისურვებს, გზაზეთი ასეთ განცხადებას  
აქვეყნებს - ვყიდი ამა და ამ მარკის ნახმარ ავტო-  
მობილს, ამდენი წლისას და ამ ფერისას, მსურვე-  
ლებმა დაძირკეთო. ესენი, ეს მანქანის დალალები,  
შეკრულები ყოფილან სტამბის მუშებთან, რომლებსაც  
მეორე დღეს გამოსასვლელი გზეთის ანაბეჭ-  
დები, რამდენიმე ევროს ფასად, ამათთვის ჩუმად  
გამოაქეთ.

აბა, ჩვენმა აბუეტმა ქართველმა რა იცის იმ გა-  
ზეთისა, მაგრამ რომც იცოდეს, მაინც არაფერში  
გამოადგება, რადგან, ჯერ ერთი, ენის უცოდინარო-  
ბის გამო ვერ წაიკითხავს და, მეორეც, იქ გამოცხა-  
დებული ყველა ავტომობილი წინა ღამესვეა ნაყიდი  
და "ავტოპაუზებში" დაბინავებული, მეორე სელი-  
დან ნაყიდ მანქანაში კი ორმაგისა და ხშირად მე-  
ტის გადახდაც უწევს.

რა ქნას, ესეც ხელს აძლევს, საქართველოში რომ  
ჩამოიტანს, გაყიდის და ორიოდ გროშს მაინც მო-  
იგებს.

მაგრამ მის შემდეგ, რაც ამერიკელებმა ერასი  
"გათავისუფლეს", იქაც განდნენ "პერეგონშიკები",  
გერმანულ "ავტოპაუზებს" ახლა ერაყელებიც მიანყ-  
დნენ და ეშმაკმა თურქებმა, ბოსნიელებმა და გაემ-  
მაკებულმა ბალტიისპირელებმა საქონელი ისე გააძ-  
ვირეს, ჩვენს საცოდავ ქართველს, ამ ბოლო დროს,  
ის გროშებიც აღარა რჩება და იძულებულია, ხელს  
გამოაყილოს ნახმარი ტელევიზორები, კომპიუტერ-  
ები ან ველოსიპედები, რომ ცოტაოდენი მოგება  
ამათი გაყიდვით მაინც ნახოს.

შეიქნეს მანქანას და გამოხსნეს შინსაკენ-მეთქი...  
სათქმელად არის ადვილი თორემ, აბა, ერთი წარ-  
მოიდგინე, მკითხველო, საშოვარზე გასულმა ამ  
ჩვენმა ქართველმა რაშეღა გზა უნდა გამოიაროს:  
ჯერ თითქმის მთელი გერმანია, მერე მთიანი ავს-  
ტრიის ნაწილი, ჩრდილოეთ იტალია, იქიდან გემით  
საბერძნეთში უნდა გადავიდეს, ეს ქვეყანა თავიდან  
ბოლომდე გადმოლახოს და მარტო ეს კი არა, მთე-  
ლი თურქეთიც კიდით კიდემდე გადმოსეროს. ძა-  
ლიან დიდი მანძილია, თითქმის 6 000 კილომეტრი!  
ახლა რამდენი ფაქტორაკი უნდა გადაიხანოს. ყოველ კო-  
პიკს უნდა გაუფრთხილდეს, ყოველი ლუკმა უნდა  
ანონოს, დალილმა, ღამ-ღამობით სასტუმროში კი  
არა, მანქანაში უნდა დაიძინოს, რომ ფული დაზო-  
გოს და ისედაც მიზერული მოგება გზაშივე არ  
გაუღანგოს.

მოღის და რაც უფრო უახლოვდება საქართვე-  
ლოს, მით უფრო მეტი გამოღებთ უტყვს გული,  
ორი რამ გრძნობა დაუფლებია - გრძნობა სისხარუ-



ლისა და გრძნობა შიშისა...

სიხარული იმისია, რომ მალე ისილავს მონატრებულ სამშობლო მხარეს, ახლობლებს, ნათესავ-მეგობრებს, შიში კი იმისა, რომ სარჯს უახლოვდება, სარჯის სახელგანთქმულ საბაჟოს უახლოვდება!

კარგი, პროფესიონალი "პერეგონშიკი" გერმანიიდან სარფში, დაახლოებით, 5 დღეში ჩამოდის, ანუ დღეში საშუალოდ 1000 კილომეტრს მაინც გამოივლის. ახლა წარმოიდგინეთ, როგორი დაღლილი და გასავათებული მოადგება იგი სამშობლოს ჭიშკარს, როგორა აქვს ყელში ამოსული ყველანაირი "ავტო-შაუნები", მიუხედავად თუ ინსტრუქტი ნაყიდი იაფფასიანი ძქვი და პური, როგორ ენატრება მშობლიური კერა - ცოლ-შვილი, საკუთარი ლოგინი, ქინძითა და ქინძრით შეკმაზული ლობიო და ადვილად მიხვდებით, რანაირად ეჭქარება მშობლიურ მიწაზე ფეხის დადგმა, მაგრამ ნურას უკაცრავად - სარჯის ჭიშკარი დაგმანული ხვდება და სწორედ აქ იწყება იმ ხალხური ზღაპრის სიუჟეტი, რომლის გმირსაც ბროლის კოშკში უნდა შესვლა, მაგრამ კარებში ისეთი პირდაღებული ლომები აბია, რომ იძულებულია, ერთს ერთი ჩექმა მიუგდოს, მეორეს - მეორე და კოშკში ფეხშიშველი შევიდეს.

კარგი რამ სანახავია რკინის მესერიით, გისოსებით, გალიებითა და ცხაურებით გადახერგილი სარჯის საბაჟო. აქ მოსული კაცი მაშინვე ხვდება, რომ მალე რაღაც სხვა, უცნაურ ქვეყანაში მოუწევს ფეხის შედგმა. აქამდე ასეთი რამ არსად, არც ერთ ქვეყანაში არ უნახავს და უცხო სტუმარი მაშინვე გულის ფანქცალით გაიფიქრებს, აღბათ სწორედ ეს არის ის ალთქმული ქვეყანა, სადაც რძისა და თაფლის მდინარეები მოედინებაო. ან არა და ბროლის კოშკი მაინც იქნება, თორემ ამდენ პირდაღებულ მტაცებელს აქ რატომ დააბამდნენო...

ჩვენს "პერეგონშიკს" მშვენივრად მოეხსენება იმ მტაცებლების ამბავი და ამიტომაც თვინიერად დგება რიგებში, ყოველ ოთახთან, ყოველ სარკმელთან რომ გამართულია.

მაგრამ აქ ჩქმებით ვერაფერს გახდები, ვერავის მოატყუებ, ყველას ფული უნდა: კომპიუტერული შემონებისათვის - 8 ლარი (თუ ხამადა ხარ 20 ლარი), მანქანის გაჩხრეკისათვის - 5 ლარი (არ ეკუთვნის, მაგრამ ამ "სანყალ" გამჭრეკსაც ხომ უნდა ჭამა), საბაჟო ფისორთან რაღაც ქალაღდის გამოწერაში, რომელსაც "BIT" აქ ეხასხას, 10 დოლარს გათხოვენ (აქ ლარი არ გადის), მებაჟესაც, თავის მხრივ, კიდევ 10 დოლარი უნდა, თორემ ისეთ შარს მოგდებს, სიკვდილი სანატრელი გაგხდება. იქვე, შორიასლო, კიდევ ერთი პატარა სარკმელია, სადაც დეზინფექციისათვის (რა დეზინფექციაა, ვერ გაიგებ) 6 ლარს გახდევინებენ, მანქანის ნომრების რეგისტრაციისათვის კიდევ 20 დოლარი უნდა აგაფ-

ცქნან და ბოლოს ყველა ბეჭედდარტყმული საბუთით ხელდამშვენებული სამშობლოს დაგმანულ კარს რომ მიადგები, ახლა იმ კარის დარაჯი ვიხირდება და ჭიშკარს მანამ არ გაგიღებს, სანამ ლარს არ გაგაძირობს.

ასე შემოდის დაღლილი, ხშირად მთელი დღე-ღამის განმავლობაში რიგებში დგომით გადაღას-ლასებული "პერეგონშიკი" საქართველოში, მაგრამ წინ კიდევ არაერთი დაბრკოლება ელოდება - სანამ ჩოლოქის პოსტს მიაღწევდეს, საგზაო პოლიციამ სულ ცოტა ხუთჯერ მაინც უნდა გააჩეროს და ეს ხუთი გაჩერება, როგორც წესი, 25 ლარი უფდება. ჩოლოქზე კი... მოიდი, ჩოლოქზე ნულარს ვიტყვით.

აქ არ შეიძლება, არ გაგახსენდეს, რას წერდა თურქეთიდან საქართველოში მომავალი სულხან-საბა ორბელიანი: "მოვიდნენ ჭანები. დაგვიჭირეს. მრავალი გვსარჯეს. ოცი მარჩილი წავგვართვეს. ზანდუკები დაგვიტყვირეს, ტყუილად მებაჟეთაო იჩემეს და მრავალი გვაჭირვეს".

მშობლიური ქალაქში ჩამოსული დამაშვრალი კაცი ცდილობს როგორმე სარფიანად გაყიდოს ჯერ კიდევ განუბაჟებული მანქანა, გაყიდოს თან ჩამოტანილი ტელევიზორები, კომპიუტერები თუ ველოსიპედები. ხელს რომ დაიცვოს, დადის ბაზარში, ყიდულობს კარგ ჩაღალაჯს, გულის ყველს, მძაკაცებთან ერთად ქეივოლი და სამშობლოს სადღეგრძელოში ამბობს, რომ "არ გასცვლის სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა", რომ აღარასოდეს წავა უცხოეთში მანქანის ჩამოსატანად, მაგრამ გადის სულ რაღაც ერთი კვირა და ესეც ნელ-ნელა მიიწყებს, აშქაფდება გვერდები, ხელისგულები, ავიწყდება სარფი, ჩოლოქი, აგონდება ევროპის გამასსებული ავტობანები, მალაზიები, დაწკრილებული, კოპნი ქალაქები, მოუნდება ისევ იქით წასვლა, თან ვიზასაც ჯერ ვადა არ გახვლია, ერთ რეისს კიდევ მოასწრებს და ყველაფერი თავიდან იწყება...

ერთმა გამოცდილმა "პერეგონშიკმა" აღმაშენებლის პროსპექტზე, გერმანიის საელჩოსთან გამართულ რიგში ასეთი რამ მითხრა: იციო, ჩვენი ხელობის კაცი ვისა ჰგავსო? - ახლადმოლოცინებულ ქალს, რომელიც მშობიარობის ტკივილებისაგან გატანჯული იფიცავდა, მეტ შვილს აღარ გავაჩერო, მაგრამ გაიხიდაც და ისევ მუცელგამობერილი დადისო.

ამან მე ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენა და იმ პერეგონშიკსაც ვუამბე: გუნებნაქცევად მყოფმა ქალმა სკამზე გადაკიდებული ქმრის შარვალი დაინახა და დედამთილს შეეხვენა - მომაშორე, თორე, რო ვუყურებ, გული მერევაო. გავიდა ხანი. ქალმა მოილოგინა და მაშინვე ის შარვალი მოიკითხა - შემოიტანეთ, ემანდ არავინ მოიპაროსო!

დილით ადრე გამეღვიძა. აღმოჩნდა, რომ კვამინ-გში, ჩვენს გარდა, ბევრს გაეთია ღამე. ძირითადად მანქანებში ეძინათ. წავედი, პირი დავიბანე, მერე საშაპეში წყალი გადავივლე და ის იყო გარეთ გამოვედი, რომ ვიღაც კაცი, ღიმილით მომესალმა:

- საღამ ალიექუმ!
- ალიექუმ მასალამ! - ვუბასუხე მეც ღიმილით. გამიბა თურქული ლაპარაკი.

მე ერთხანს ისევე ღიმილით მიჩერებოდი და როცა აღარა ქნა, ქართულად ვუბასუხე:

- რა გიყო, ძმაო, მე შენი არა მესმის რა...
- არდან ურდა, ბურდა მურდა?!
- არ მესმის, რას მელაპარაკები.
- თურქი?

ახლა კი მივხვდი, რაც აწუხებდა:

- ნოუ, გურჯ!
- გურჯ? - გაუხარდა მას.
- იეს!
- დუ იუ სვიქ ინგლიშ?
- ნოუ...
- დოიჩ?
- ნოუ...
- ფრენჩ? - აშკარად უნდოდა ჩემთან ლაპარაკით გული ეფერებინა.

- ეე, ნეტარ შენ, მოგვცლია... - ხელი ჩავიჭინე და გავეცაღე.

- ბიჭებთან კულამოძუებული მივედი.
- ვინ იყო? - მკითხა გუჯამ.
- იყო ერთი...

გუნებაში კი ვიჭირობ, "გესწავლა რა, შე ოხერო, ერთი უნა მინც გესწავლა" და მაშინვე ის კახური ანეკდოტი მასწავლებდა - "იბან რო ისწავლა, გამაადგა, რო!"

კოტემ პირსახოცი აიღო და საშაპეს მიაშურა - რა ვიცოდით, რა გველოდა... მე და გუჯამ ლიბები დაეწუტეთ, დაეხვით, მანქანის საბარგულში ჩავალაგეთ და გასამგზავრებლად მოვემზადეთ.

სამხრეთით ალუბების კონტურები მოჩანდა და გვარინანდაც გროლოდა, ჯერ ცხრა საათიც არ იყო.

- ესლა ცოტა წავიხვითო და დაეფუბროთ, - თქვა გუჯამ და საშაპესკენ გაიხედა, საიდანაც კოტეს სიმღერა ისმოდა.

წავედით, მაღაზია დავათვალიერეთ, მგონი, რაღაცაც ვიყიდეთ და მერე ბარში თითო ყავა დავლიეთ. იქიდან გამოსულებმა საშაპეს ჩაუჭარეთ, სადაც უკვე იდგა მხარზე პირსახოცადაკიდებული რამდენიმე მამაკაცი, მათ შორის, ჩემი ნაცნობი თურქიც, რომელმაც ღიმილით დამიქნია თავი და საშაპის კარისკენ მანიშნა.

- თბილისო, მზის და ვარდების მხარეო... - ისმოდა იქიდან.
- თბილის! - გამგებინანდ თქვა თურქმა.

იქაურობას გავცვალეთ და ქვემოთ "ჩავისიერთე". იქ, თურმე, პატარა ტბა ყოფილიყო, შიგ გედები დაცურავდნენ, გლმა ნაპირზე, ლულიანში მეთევზე იჯდა და წყალში გადავდებულ ტიტტივას ჩასტყუროდა.

- სააად არიის სხვაგან ახალი ვარაზიო! - მღეროდა ჩვენი კოტე.

თურქმა სერიოზული სახით შემომხედა. მე მივედი და საშაპის კარზე დავაკაკუნე.

- რა არი!
- გამო, ბიჭო, დროზე!
- მოვედივარ, ხო, მოვედივარ...

სიმღერა შეწყდა, ახლა მარტო წყლის ხმაური და ისმოდა. წავედით და მანქანაში ჩავსხედით. დაახლოებით ნახევარ საათში კოტეც მოვიდა. სველ თმას პირსახოცით იშრალებდა და ალალი ღიმილით გვიყურებდა.

ვისაუზმეთ, ისევ სოსისები გეახლებთ, მე და კოტემ თითო ლუდიც დაველიეთ, მერე დავკოქეთ და წამოვედით...

რაც უფრო ვუახლოვდებოდით ალუბებს, მით უფრო ასატანი ხდებოდა სიცხე, რომელმაც გუშინ კინალამ ჭჭუიდან შეგვშალა.

გერმანიისა და ავსტრიის საზღვარი ისე გადავკვეთეთ, არც კი გავგიგია, საკმაო მანძილი გვექონდა გაველილი, როცა ჩვენმა შტურმანმა გამოგვიცხადა - უკვე ავსტრიაში ვყოფილვართო.

კარგად იყო მოდღვეებული, მაგრამ ისე შემანუხებლად აღარ ცხელოდა, მანქანის ფაჯრებიდან საამოდ გრილი ნიავი უბერავდა. ტიროლის მიწაზე, მდინარე ინის ფართო ხეობაში მივჭიროდით. მარცხნივ და მარჯვნივ, მწვანით შემოსილ გორმასებზე სოფლები იყო შეფენილი, აქა-იქ მოჩანდა შუა-უკუნეების საგვარეულო ციხე-კოშკები, რომლებიც ისე კარგად იყო შემონახული, რომ გუშინდელი აშენებული გეგონებოდა.

გადავწყვიტეთ, რომელიმე ავსტრიული სოფელი ახლოდან გვენახა, გვანტერესებდა როგორ ცხოვრობდა ხალხი, რითი სულდგმოლობდა. სოფლები უამრავი იყო, გადაფუხვით ტრასიდან და ერთ-ერთის მისადგომებთან გაეჭერდით. გადმოვედით მანქანიდან, კაპოტზე რუკა გავშალეთ და შედგომი მარშრუტის განხილვასა და დაზუსტებას შევუდექით.

ზედ გზისპირზე ვდგავართ, რუკას ჩავცქერით. მწვანედ მოღალანე სათიბიდან ყვავილების თავბრუ-



დამხვევი სურნელი გვეცმს, ისმის მწყრების სულმ-  
თლად ჩვენებური "ქვიტიკოვც".

სოფლის მხრიდან ახალგაზრდა ოჯახი მოდის:  
დედა, მამა და ორი შვილი - გოგო და ბიჭი. გო-  
გო ათი წლის იქნება, ბიჭი - შვიდისა. ოთხივეს სა-  
თევზაო ჯოხი უჭირავს ხელში. ჩავვიარეს და თა-  
ვაზიანად მოგვეხალმნენ. მამა ერთი წუთით ჩამორ-  
ჩა, მოვიდა და გვეკითხება - რა არი, ხო არაფერი  
გიჭირთო. არაო, არაფერიო, - ვუპასუხებ ჩვენ. მა-  
შინ კარგად იყავითო და ჩქარი ნაბიჯით წავიდა,  
დანიშნურებულ ცოლ-შვილს წამოენია.

ნასიამოვნები გავცქერით მდინარისაკენ მიმავ-  
ლებს - ძალიან კარგები არიან, თანაც რაღაცნაირ-  
ად კოსტად მიდიან, ოთხივეს სპორტული ტანისა-  
მოსი აცვია, ოთხივეს მშვენიერად განწყობილი სა-  
თევზაო ჯოხი უჭირავს. თვალს რომ მიეფარნენ,  
ახლა ქვემოდან ამოიარა ერთმა ბერიკაცმა, ისიც  
მოგვესალმა, ისიც დაინტერესდა, ხომ არაფერი გა-  
ჭირვებიათო და როცა დარწმუნდა, რომ მართლა  
არაფერი გიჭირდა, ტკბილი ღიმილით დაგვემშვი-  
დობა და გახსნია სოფლისაკენ.

ვდგავართ, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულები, ამ  
უცხო ადამიანების ყურადღებით გახარებულები,  
ღიმილით ვუყურებთ ერთმანეთს, ხმას არ ვიღებთ,  
თანაც გზის პირზე დათესილი, აყვავებული იონჯი-  
დან გვესმის მწყრების ქვითქვითი, ცაში აჭრილი  
ტორიოლების წკრიალი და გვეჩვენება, რომ სამშობ-  
ლოში მოვედით, მშობლიურ მინაზე გვიდგას ფე-  
ხი...

ბოლოს ჩავსხედით, როგორც იქნა, მანქანაში და  
შვევდევით სოფლისაკენ მიმავალ აღმართს.

სოფელი პატარაა, სულ ორმოციოდე კომლი იქ-  
ნება. კოსტა სახლები ამწვანებულ ეზოებშია ჩაკარ-  
გული. აივნები ყვავილებით მოურთავთ. გაღმა  
ტყისპირაში საქონელი ძოვს - ჭრელი ძროხები დიდ-  
რონ ცურებს დაათითობებენ. მე ეზოებში ვიყურე-  
ბი, კისერწაგრძელებული ვათვალიერებ იქაურობას  
- ნებსვ ვეძებ, საცა საქონელია, იქ ნესვიც ხომ უნ-  
და იყოს, მაგრამ, წურას უკაცრავად, იმისი კვალიც  
კი არსადა ჩანს - ისეა იქაურობა დანჭრილებულ-  
დამასმასებულნი, რომ გულში ნათელი ჩაგადგება.

სოფლის შუაგულში, მოედანზე საყდარი დგას,  
იქვე აფიშა გაკრული. კოტე გეთიარგმნის - თურ-  
მე ამ ეკლესიაში, შაბათობით, საორღანო კონცერ-  
ტები იმართება.

გზაზე ველოსიპედზე გადამჯდარი შუახნის კა-  
ცი გამოჩნდა, მოგვიახლოვდა, ველოსიპედი ღობეზე  
მიაყუდა და მოგვესალმა. ხელს რომ მართმევდა,  
ვიგრძენი, როგორი დაკოჟრილი ხელისგული ჰქონ-  
და, სახეზეც გვარიანად მოჰკიდებოდა მზე, ერთი  
სიტყვით, ზედგამოჭრილი ჩვენებური გულსკაცი  
იყო.

დაგვინყო გამოკითხვა:

- ვინა ხართ, სადაურები ხართო.
- ქართველებიო.
- სადა ცხოვრობთო.
- კავკასიაშიო.
- აა, თურქები ხართო?
- არა, კაცო, ქართველებიო!
- ხოო, რუსებიო?
- არა, რა რუსებიო!

დაბნეულმა აიჩქნა მხრები და გვითხრა, არ ვი-  
ცი, ვერა გავიგე რა, მაგრამ ეგ არაფერი, წამოდიო,  
მგზავრები ხართ, დავილოცოთ, თითო ჭიქა ღვინო  
დაგვილოთ!

გავიკოალით დავით კლიდაშვილის გმირებებით  
თავი: არაო, როგორ გვეკადრებაო... ნუ შენ'უსდუ-  
ბიო... არ ვართ, ბატონო, ღირსიო!

ერთხანს გაკვირვებულმა გვიყურა, მერე გადააჯ-  
და თავის ველოსიპედს და უკანმოუხედავად გაქუს-  
ლა. გულდანყვეტილებმა გავაყოლეთ თვალი -  
ერთხელ კიდევ ეთქვა იმ კაი კაცს, რა მოხდებოდა,  
რომ ერთხელ კიდევ შევეპატიოეთო...

წამოვედით გულნაკულულები, აღრენილები. გზა-  
ში გუჯა გვსაყვედურობდა - კარგი, მე ჩემი მეგ-  
რელობით მომივიდა და თქვენ რაღა დაგემართათ,  
ამ ქართლ-კახელებსაო!

ინი დიდი მდინარე როდია, ჩვენი მტკვრისოდე-  
ნა თუ იქნება, სწორედ ამ მდინარეზეა გაშენებული  
ქალაქი ინსბრუკი, ჩვენებურად "ინის ხიდი".

ინსბრუკში საგზალი შევიძინეთ - პური, სამ-  
ოთხნაირი ყველი, ლორი, ძხვეული, ხილის წვენ-  
ები და მინერალური წყალი. დარდი აღარ იყო, კა-  
რავი ხომ გვექონდა, ახლა სასმელ-საჭმელიც თავზე-  
საყრელი გავიჩინეთ და ისღა დაგვრჩენოდა, რაც  
შეიძლება სწრაფად გვევლო, რომ იტალიაში დღე-  
ნათლივ ჩავსულიყავით.

მალე უკან მოვიტოვეთ ზამთრის IX და XII ოლ-  
იმპიადების დედაქალაქი, მისი ულამაზესი სათხილა-  
მური ტრამპლინები და შვევდევით ტყიან ალ-  
მართს. ახლა უკვე შუა ალპებში ვიყავით, საკმაოდ  
გრილოდა, პაანაქებაგამოვლილებმა, ცოტა სული  
მოვიოთქვით და მალე გახალისებულები ჭამა-სმის  
გუნებაზეც დავდევით. მე წინადადება შევიტანე: მო-  
დი, არსენასავით აქვე სადმე, მწვანეზე გავშალოთ  
სუფრა-მეტეჟი, მაგრამ ჩემმა ამხანაგებმა დამიშალეს  
- არაო, დაგვაჯარამებენო, შეიძლება ეგ სიამოვნე-  
ბა, სულ ცოტა, ასი ვერო მაინც დაგვიჯდესო.

გამახსენდა ერთი ახლობლის ნაამბობი: გერმანი-  
აში სამუშაოდ მყოფ ქართველ ბიჭებს, კვირა დღეს,  
ბუნების ნიაღში ქეფი და დროსტარება გადაუწყ-  
ვეტიათ. უყიდათ ცხვარი, ღვინო, ყველი, კიტრი,  
პამიდორი და ასულან ერთ ტყისპირაში. დაუწ-  
თიათ ცეცხლს, დაუთლიათ შამფურები, დაუკ-



ლავთ ცხვარი, უკანა ფეხით ჩამოუკიდიათ ხის ტოტზე და ის ის იყო, ხელდახელ უნდა ჩამოეტყავებინათ, რომ დასდგომიან თავზე სუვენაზულები, დაუპატიმრებიათ ყველანი და წაუსხამთ პოლიციის განყოფილებაში, სადაც თავიანთი უფროსისთვის მოუსწავებიათ: ეს ბიჭები სექტანტები არიან და სატანისტურ რიტუალს ასრულებდნენ.

კიდევ კარგი, ზედ ავსტრია-იტალიის საზღვარზე, 1371 მეტრის სიმაღლის ბრენერის უღელტეხილზე აშენებული ფუნდუკი გამოჩნდა. გადავუსვით და მანქანადი გადმოვედით.

ერთი შეხედვით ჩვეულბრენერი ფუნდუკი იყო - თავისი სახშაბით, საპირფარეოთი და მალაზიით, მაგრამ ჩვენდაგასაკვირად შიგ არავინ ჭაჭანებდა, არც გამყიდველი იყო სადმე და არც მომსახურე პერსონალი. მალაზიაში ხილის წვეწებისა და გამაგრებელი სასმელების ავტომატები ზუზუნებდნენ - ჩაუშვებდი ერთეგროიან მონეტას და გამოგიგდებდა და ყინულივით ცივ კოკა-კოლასა თუ სპრაიტს. ხოლო სახშაბეს ავტომატში ნახევარეგროიანს თუ ჩააგდებდი, თქიშინით წამოვიდოდა ცხელი წყალი. მოკლედ, იქაურობა ფანტასტი მწერლის, რეი ბრედბერის იდემალებით მოცულ სამყაროს შვავდა.

ვიდექით და გაცოცხლები ვიყურებოდით აქეთ-იქით... არა, ეს ავტომატები არ გაგვეკვირვებია, მართლა და მართლა მთვარიდან ხომ არ ვიყავით ჩამოცვენილები, სულ სხვა რამ გვეკვირდა: რატომ არ იქაურობა დამსხვრეული და დაღწილი, რატომ არავის მოეფსა იატაკზე, რატომ არ ამოკვანთებენ მგზავრებს თავისი სახელები და გვარები კედლებზე, რატომ არავის აენიანა ნათურები და ტუალეტის ქალაქი. რა იყო, რა ხდებოდა, რა ხალხი იქაურობდა ამ უცნაურ ქვეყანაში, რა ხალხი მიმოიხილა ამ გზაზე... თვალწინ დამიდგა დანგრეული, მწვარი რუსთაველის პროსპექტი, აღრჩობლებუფანჯრებამოღამებული, გაშვებული შენობები... მთლიან სახლი ბრძოლის ეპიცენტრიდან სულ რაღაც სამას მეტრში, ზედ თავისუფლების მოედანზე იდგა. ორი დღე ვიცადათ, მაგრამ სროლა რომ აღარ შეწყდა, გადაწყვიტეთ, გავიზნულიყავით. ნუცუბიძის პლატოზე მოუწყობელი, თითქმის ცარიელი ბინა მქონდა, რომელსაც სახელოსნოდ ვიყენებდი, მაგრამ დროებით თავშესაფრდაც გამოდგებოდა.

ბავშვებს და მოხუცებს თბილად ჩავაცვით და ეზოში ჩავიყვანეთ. მე მოედანზე გავედი, რომ იქაურობა დამეხურა. მაშინვე ვილაც შავნიღბიანი კაცი მომიახლოვდა, ეტყობა, მიცნო, რადგან სახელით მომართა - აქ ნუ დადგები, თორემ, შეიძლება ბრმა ტყვია მოგხვდესო.

მე ვუთხარი - თუ ძმა ხარ, ოჯახი მინდა გავხიზნო და მიჩივი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე-მეთქი.

საიუვილერო მალაზიის ვიტრინისკენ მივინიეთ. ნიღბოსანმა მითხრა -მოიყვანე და არკაში დააყენე, ზოგჯერ სროლა შეწყდება ხოლმე, მე განიშნებ და მაშინ გამოდითო.

ასეც მოვიქეცი, ბავშვები და მოხუცები ეზოს შესასვლელში გავამწკრივე და როგორც კი იმ ჩემმა ნაცნობ-უცნობმა ხელი დამიქნა, მაშინვე გარეთ გავედიო.

წინ ცოლი გავუშვი, მერე ბავშვები, უკან მოხუცები და სულ ბოლოს, ჩამკეტად, მე წავედი. ასე დანალიკებულები მივდიოდით და ყოველ წუთში სროლის განახლებას ველოდებოდით.

როგორც კი "რაზმი" სამშვიდობოს დაგივლევ, ვიფიქრე, მოდი, მივბრუნდები და იმ კაცს მადლობას მაინც ვეტყვი-მეთქი, მაგრამ სწორედ იმ დროს, ისეთი საშინელი სროლა ატყდა, რომ ამ განზრახვაზე მაშინვე ხელი ავიღე.

მალე მაჩაბელზე გადავუსვით. ისეც ისე მივდიოდით - წინ ცოლი, უკან ბავშვები, მერე მოხუცები და სულ ბოლოს მე.

მწერალთა სასახლეს რომ გავუარეთ, მის დაგმანულ კართან ატუზული ერთი ნაცნობი პროზაიკოსი შევინხე. მივესალმე და მერე ენგელსის ქუჩაზე ჩაუვსვიეთ, სადაც "რაზმის" თითოეული წევრი თითო ხის უკან დაეყენე და დაფუწყე ტაქსს ლოდინი. კარგა ხანს ველოდეთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, არავფერმა ჩამოიარა.

სროლა არ წყდებოდა. ავტომატების კაკანს ზოგჯერ ზარბაზნების ქუხილიც ზედ ერთვოდა და სოლოლაკის დაფხვანებულ სახლებს სულ ზანზარი გაუდიოდათ.

უცრად, მაჩაბლის ქუჩიდან იმ ჩემმა ნაცნობმა პროზაიკოსმა თავისი "ყოფლით" ჩამოუსვია და ჩვენსკენ წამოვიდა. შვებით ამოვისუნთქე, გაღიმებული წინ წავედექი და დავენახე, მაგრამ თითით მანიშნა - აქვე, სულ ახლოს მივედივარო და სვლა არც კი შეუნელებია, წინ ისე ჩამიქროლა.

გაკვირვებული და ნირნაშმადარი ვიდექი. გვიანდა გამახსენდა, რომ, ამ ორად გაგლვევილ საქართველოში, ის კაცი ერთ-ერთ გუნდს უთანაგრძნობდა, მე კი, ალბათ, მეორეს წევრი ვეკონე.

რალა უნდა გვექნა, ენგელსზე ფეხით დავეშვით, ბურის მოედანი გავიარეთ და იქიდან მტკვრის სანაპიროზე გავედიო. მალე ერთმა ძველმა "ვოლგამ" გაგვიჩერა, მძღოლმა, შუახანს გადაცილებულმა თბილისელმა სომეხმა მანქანის კარი გავვიღო და დასხედითო, თავით გვანიშნა. მე წინ ჩავეჯექი, ბიჭი მუხლებზე დავისვი, დანარჩენები კი უკან მოთავსდნენ.

სროლის ხმა აქაც ისმოდა.

- ვა, ეს რას აკეთებენ, ვაო! - საუბრის გაბმა სცადა მანქანის მძღოლმა, მაგრამ ისე ვიყავით კრი-



ჭაშკერულები, რომ სიტყვა ვერ დაგვაცდევინა.

ასე მდუმარედ გავიარეთ თითქმის მთელი ქალაქი და როცა ჩვენს კორპუსს მივაღწეეთ, ჯიბიდან ფული ამოვიღე და მძღოლს გაეწონაღდე, მაგრამ იმ-ან ხელი ამიკრა და მისაყვედურა:

- კაცო, ქალაქელი კაცი ხარ, არა გრცხვენია?!

ასე ვიქცეით "თბილისელ დაზარალებულებად".

მერე და მერე ეს ფრაზა დამკვიდრდა, სხვანი-რად აღარ ასხენებდნენ, თითქოს რაღაცას მალავდნენ, ვიღაცას უმაღლავდნენ, სიმართლის თქმას ერიდებოდნენ და მარტო ამ ერთ ფრაზას ჩასციებოდნენ, ასე წერდნენ, ასე ამკვიდრებდნენ - "1991-92 წლის დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენებით". აღარ განმარტავდნენ, რა მოხდა, რითი გახდა ცნობილი...

შინაურებს დიდხანს ვუმაღავდი, რომ ჩვენი სახლიც დაინვა, მთლიანად ჩაიფერვლა და მისგან შავად აყაყუნი კედლები და დარჩა. ავლაბრის გადმო-სახედიდან ვეფურებიდი, როგორ იწვიოდა, როგორ გახვეულიყო ცეცხლის ალში, რანაირად ადგა თავზე შავი კვამლისა და ფერფლის ღრუბელი. ერთი ნიგინც კი ვერ გამოვოცხანე, საბუთებიც ვერა, საოჯახო ნივთებზე რომ აღარაფერი ვთქვა. არადა ქალაქის ჩამცივებოდნენ, იქ ერთი ქალაქი კარგად თავი გვაქვს შენახული, ეგებ ის მაინც მოვატიანო, რომ გოზნაყი გავაკეთოთ, ახალი წელი მოდისო.

ექვს იანვარს ცოლი ამიხირდა, წავიდეთ, ჩვენი სახლი ვნახოთ. დიდხანს ვითრიე ფეხი, რაღა არ მოვიძიებუე, მაგრამ, ბოლოს, როცა მარტო წასვლა გადაწყვიტა, რაღას ვინამდი...

გაზაში ფრთხილად შევაპარე, დაინვა-მეთქი. რას ამბობო, ვაფთხრდა, იქნებ რაღაც მაინც გადარჩაო და როცა აბოლებული კედლები დაინახა, მუხლთ მოეკვეთა, კინალამ ხელში ჩამაკვდა. გავაქანე ლესელიძის ქუჩისკენ, სადაც ერთი პატარა ყავახანა მეგულეობდა, შევიყვანე, ოფიციალტს სირჩით კონიაკი მოვატიანე და კრიჭაშკერულს პირში ძალით ჩავასხი. ცოტა ხანში მოხივდა, მოფერიანდა და ტირილი დაიწყო.

ყავახანაში ჩვეულებრივად თბილოდა, ჩვეულებრივად ისხნენ შეყვარებულები და ყავასაც ჩვეულებრივად სვამდნენ.

გარეთ სროლა ჩამცხრალიყო.

თბილისი მგლების ნაჯიფგნი ძალღივითი იწვა და ჭრილობებს ილიკავდა.

ადამიანებმა ყველაფერი დაკარგეს, ხანდაზმულებმა საკუთარი მშობლებისა და წინაპრების ფოტოსურათები, ასალგაზრდებმა - რწმენა, ბავშვებმა - სათამაშოები, ალერსი და ტკბილი ღიმილი...

ერთხელ, სადაც საბურთალოზე, ხილ-ბოსტნეულის მაღაზიის საწყობში, ჰუმანიტარული დამაპალი კარტოფილის რიგში, ვახუშტი კოტეტიშვილმა შე-

მომივილა: წინათ მანეთიანი რომ დამეკარგა, გული მწყდებოდა, ახლა ყველაფერი დაგვარგე და, ვითომც არაფერი, გულს ახლოს არ ეკარებო. იგი თავისი წიგნის, "ჩემი წუთისოფელი"-ს შესავალში წერს: "უდგავარ ჩემი აფეთქებული სახლის აბოლებულ ნანგრევებთან ყოვლად უაზროდ. ამ მდგომარეობას არ შეიძლება დაერქვას არც "უსაშველობა" და არც "სასონარკვეთა". ეს უაზრობა ჩემი ახალი ყოფიერების ფორმაა. ვინც გარს მახვევია, თითქოს სადაც სხვაგან არსებობენ, ფუსფუსებენ და რაღაც აზრებს გამოთქვამენ, ცდილობენ მითანაგრძნონ... უნდათ ჩემი გამოყვანა ამ მდგომარეობიდან. მაგრამ მე ვერაფერს ვიკვებ, არც ვუსმენ, რადგან არავითარი სურვილი არა მაქვს ამ უაზრობიდან გამორკვევისა, აქ საოცარი სიმშვიდეა, უწინადაობის განცდა".

ასეთი განცდა, მაშინ, ათასზე მეტ "თბილისელ დაზარალებულს" გასჩნეოდა.

მაგრამ, მოდოდ, ისევ ჩვენს ფუნდუს დავუბრუნდეთ...

აბა, კოტე ჯვანიდერი იმ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა და საშხაპედან კარგახანს ისმოდა მისი "ტკბილი" სიმღერა...

სუფრა გარეთ, კონტა საჩრდილოებლში გამართულ მაგიდაზე გავმალეთ. ამოვლაგეთ ინსტრუქში ნაყიდი სანოვაგე და თბილისიდან წამოღებული კონიაკი, რომელიც, რა თქმა უნდა, ფალსიფიცირებული გამოდგა. ვადღერტელეთ ამ ქვეყნის მცხოვრები ღვთისწიერი ხალხი, კარგად დაეწყარდით და დავადექით პირველი იტალიური ქალაქის, ტრენტოსკენ მიმავალ გზას...

ეს გზა წარმოადგენდა მდინარე ადიჯეს ვიწრო ხეობაში მალალ ესტაკადაზე შემდგარ ავტობანს, რომელიც თანდათანობით ბარისკენ ეშვებოდა და აგრერიგად სასურველ, საოცნებო სამყაროს გვაახლოებდა. ირვკელივ ალუბების მოყავისფრო კლდოვანი მთები აღმართულიყვნენ. მარჯვნივ, ამ მთების გადღალმა, შვეიცარია გვეგულეობდა, იმის იქით კი - საფრანგეთი...

უკვე იტალიაში ვიყავით და რაც უფრო ქვემოთ ვეშვებოდით, სიქსე მით უფრო მატულობდა. ალუბი დადაბლდა და სულ მალე ამწვანებულ გორაკებდა გადაიქცა. ქალაქი ტრენტო ხელმარცხნივ მოვიტოვეთ და გავივკეთ კიდეც. ბევრი არ გვიკამათია, ვერონას მონახულება გადაენწყვიტეთ.

ვერონა ალუბების ძირში მდებარეობს და შუაზე მდინარე ადიჯე ჩამოუდის. ქალაქში 270 000 მცხოვრები ყოფილა, მაგრამ მის ქუჩებში ორი ამდენი ტურისტი ირეოდა. მანქანა ბრას მოედანთან ახლოს გავაჩერეთ და მაშინვე ბარში ვედურეთ თავი. ბარმენი ზანგის გოგო აღმოჩნდა, რომელსაც სულის მისაბრუნებლად ცივი კოკა-კოლა და

ბლომად ყინული ვიხსოვით. რაღაც საეჭვოდ გვიღიმოდა. მართლაც, ზურდაში მთელი ათი ვერო დაგვაკლო, მაგრამ კოტემ გაუგო, ფული წაართვა და კარგადაც შეგორა. ისე ვიყავით დასიცხულები, რომ სულ იმ ყინულებს ვისვამდით თავზე, კისერზე და მკლავებზე.

ბარიდან გამოსულებმა უძველეს რომაულ ამფითეატრს ჩაეფარეთ. იქ ახლა, თურმე, საოპერო სპექტაკლებს დგამენ. თეატრის შესასვლელთან ოთხი უზარმაზარი, ოქროსფერი სფინქსი იწვა, რადგან იმ საღამოს ცნობილი იტალიელი კინორეჟისორის ფრანკო ძევიერელის მიერ დადგმული ვერდის "აიდა" გადიოდა. საღაროებთან ტურისტების გრძელი რიგები გამართულიყო. გადაწყვიტეთ, ჩვენც შევსულიყავით და კოტე ბილეთების ასაღებად გავუშვით, მაგრამ მალე კუდამოძუებული მიბრუნდა, რადგან ყველაზე იაფი ბილეთი, თურმე, ასი ვერო ღირდა...

რაღაც ვიზამდით, ბრას მოედანს მივაშურეთ, სადაც შადრევანთან, ჭადრების ჩრდილში, სიციხისაგან გაღვიძებული უამრავი ტურისტი გულს ცივი წყლითა და ნაყინით იბრუნებდა. თითო ბოთლი ყინულივით წყალი ჩვენც დავლიეთ, უფრო სწორად, თავზე გადავივლეთ და გზას გაუფდეთ - ჯულიეტა კაპულიტის სახლი უნდა გვენახა...

ეს სახლი, როგორც ტურისტული ბუკეტების ერთმა ყოჩაღმა გამყიდველმა მიგვასწავლა, ვია პალაცოზე იდგა. ქუჩის პოვნა არ გაგვჭირვებია, რადგან მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩასული აუარება ტურისტი სწორედ იმ სახლის საახავად მიუშურებოდა და ჩვენც ისლა დაგვჩერებოდა, მათ გავყოლიდით.

ხალხით გაძევილი ვია პალაცო მარმარილოთი დაბეჭდილი ქუჩა აღმოჩნდა, რომელიც ცეცხლზე შექმნილ ტაფას ჰგავდა, ჩვენ კი იმ ტაფაში შექცავდა ჩალაგებულ ჭიჭყინა თევზებს - ქუჩაში დაბეჭდილი მარმარილო სიციხისგან ისე იყო გავრავრებული, რომ ზედ ხელსაც ვერ დაეკარებდი.

ტურისტების ჯგროს ადევნებულნი წინ ნელა, თითქმის ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწვევით. შუა ქუჩაში, ვილაც თვალთმაქცი იტალიელი ბიჭი ზედ ქვაფენილზე დაასრიალებდა სამ ჭიქასა და პატარა ბურთს. თუ გამოიცინობდი, ის ბურთი რომელ ჭიქაში იყო, ორმოცდაათ ვეროს მოიგებდი, თუ ვერა და ზუსტად ამდენივე უნდა ნაგევო.

სულმა წამძლია და გაეჭრდი. აშკარად შევნიშნე, როგორ უცებ გამოცოცხლდნენ ის ხელმარდი იტალიელი და მის გარშემო ჩაცუცქული რამდენიმე ბიჭი, მისივე ამფისონები, რომლებიც აქამდე თავს აზარტულ მოთამაშეებად ასალებდნენ. გაემეცინა, თბილისის ვაგზალზე ამის მეტი რა მენახა, დიდი ხანი მოცვლილი მქონდა ამათი მოსატყუებელი

კბილი.

ბოლოს, როგორც იქნა, "კაპულიტების სახლსაც" მივადექით.

თურმე შექსპირი ვერონაში არასოდეს ყოფილა, არც ვია პალაცო უნახავს და არც ერბეს მოედანი, რომელიც აქედან სულ რამდენიმე ნაბიჯზეა, მაგრამ აქ ჩამოსულ უკლებლივ ყველა ტურისტს სჯერა, რომ ეს სახლი სწორედ ჯულიეტა კაპულიტისაა, სწორედ ამ ეზოში იდგა რომეო, აქედან ესაუბრებოდა აივანზე გადმომდგარ სატრფოს და დარწმუნებულია, რომ სადმე კედელზე საკუთარი მიჯნურის სახელს თუ მანწერს, მისი სიყვარული გარანტირებული ექნება.

ამიტომაც არის თალოვანი შესასვლელის კედლები ძირიდან თავამდე წარწერებით დაფარული. აქ ყველა ენაზე წერია ყოველ ერში არსებული კაცი-სა და ქალის სახელი, ერთი თითისდადება ადგილი აღარსად დარჩენილა - უიმედოდ შეყვარებულ ადამიანებს ორივე კედელი მთლიანად შეუსვსათ.

აი, თურმე, რა ძალა ჰქონია მწერლის სიტყვას! აღტაცებულნი ვათვალიერებთ ამ წარწერებს - ისარგავრილ გულებს, თმასუტუტა კუპიდონებს. სულ მალე, ალბათ, ტურისტები კიბეებით ივლიან, რომ თალოვანი შესასვლელის ჭერსაც მისწვდნენ და წარწერებით ისიც შეავსონ.

მდღობრედ დეგავარ სიყვარულის ამ უცნაურ მექანი და გენიალური მწერლის უკცდავი სტრიქონები მაგონდება:

"აი ამბავი, თუ როგორი ბედი სწევია


ტურფა ვერონის ორ ძველ ოჯახს, ცნობილებს დიდად, მამათა შული ახალ მტრობად გადუქცევით და წმინდა სისხლით შეუბღალავთ ხელები წმინდა შებედ ვარსკვლავზე, საგალაოდ, ამ ორმა გავრმა ორი ნათლი სიყვარულის ვარსკვლავი შობა, შემდეგ საბრალო მიჯნურების ბედის აფდარმა, მათმა სიყვდილმა საბოლოოდ შეწყვიტა მტრობა. გულისმწყველია სვედინი ამბავი მათი!"

გულისმომწყველია წარწერებით აჭრელებული ეს თალოვანი შესასვლელიც, მაგრამ იმავე დროს იმედის ჩამსახველიცაა, რადგან გვერა, რომ სანამ ადამიანთა მოდემას სიყვარული ასულდამგმულებს, მანამ დალუგვა არ უწერია.

ბოლოს ეზოშიც შევედით. იქ "ჯულიეტას აივანს" ქვეშ თავად ჯულიეტა კაპულიტის ნატურალური ზომის ბრინჯაოს ქანდაკება დგას. კედელთან დიქტოფონებია ჩამწკრივებული. თუკი "რომეო და ჯულიეტა" ნაკითხული არა გაქვს, შიგ სამი ვერო უნდა ჩაუშვა, ღილაკს თითი მიაჭირო და შექსპირის ტრაგედიის მოკლე შინაარსს მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე გაიამბოს.

ჩვენდა ვასაკვირად, ჯულიეტას მარჯვენა ძუძუ





ისე აქვს გაპრიალებული, რომ მზესავით უნათებს. ვერ ვგებულობთ, რა სიმბოლური დანიშნულება უნდა ჰქონდეს ამას, მაგრამ სულ მალე ყველაფერი ცხადი ხდება...

აქ ყველა ტურისტ ქალს უნდა ერთი ნუთით მაინც წარმოიდგინოს თავი ჯულიეტად და კაპულეტების აივანზე სურათი გადაიღოს. ეს ილიი საქმეა - საკმარისია რამდენიმე ვერო გადაიხადოს, რომ სახლის მეორე სართულზე აუშვებენ და აივანზე გადმოდგარს ქვემოდან ფოტოგრაფი "ჩააკარტინებს". კაცსაც ხომ უნდა სამასსოვრო ფოტო, ამისათვის თურმე ჯულიეტას ქანდაკებას მარჯვნიდან უნდა ამოუდგეს, ხელი მარჯვენა ტუტეზე წაავლოს და იმ ფოტოგრაფის სამფეხაზე შემდგარი აპარატიდანაც მაშინვე "ჩიტი გამოფრინდება". ესეც ფული ღირს, სულ ათი ვერო, სამაგიეროდ შეუძლია ნაცნობ-მეგობრებთან ნაიტრამბასოს, რომ ამ რომანტიული ქალწულის ტუტე ხელში სჭერია!

მსურველი მრავალია და რაკი ერთი კაცი ამდენ საქმეს ვერ აუვა, ამიტომ ეზოში რამდენიმე ფოტოგრაფი მუშაობს, სახეზე ოფლის ხვითი გადასდით, გიღიმიან, გელაქუცებიან და, როგორც ჩანს, ბლომად მყფოსაც შოულობენ.

აგერ, ვიღაც გადამღრძვლი, ამერიკელი ბერი-კაცი ქანდაკებას გვერდით დაუდგა, ტუტეზე ბილ-

ნი ღიმილით წაავლო ხელი და მისმა თანშლებმა დედაბრებმაც მაშინვე ფოტოაპარატები ააჩსკუნეს.

ზიზღმორეულებმა დაატოვეთ ის ეზო, რომელიც თავიდან სიყვარულის მექა გვეგონა. ვია კაპულეზე გუნებანაშხრდები გამოვედით და ერბეს მოედნისკენ გაენით.

აი, თურმე, რატომ უპრიალებს მარჯვენა ტუტე იმ საბრალო ჯულიეტას...

სიცხისა და იმ ამაზრზენი სანახაობისგან ისე ვიყავი გაბრუნებული, რომ აღარაფრის თავი არ მქონდა, ამიტომ გუჯვას და კოტეს ქალაქის დასათვალიერებლად ველარ წავეყვი, აქ დაგელოდებით-მეთქი და ვერონას ლეიონსშობლის შადრევანთან ჩამოვეყვი.

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს შეურაცხყოფა მომაცყნეს, თითქოს საშინელი სილა გაანწეს წიგნის კითხვაში გაღებული ჩემს ბავშვობას, ყრმობას, ახალგაზრდობას და სიჭარბეცას. ამის მერე იქნებ სიცოცხლაც აღარ ღირდა. იქნებ ამ ოხერ ქალაქში ჩამოსვლას, სჯობდა ისეც იმ გარდასულ სამყაროში გავემზავრებულიყავი, სადაც ჯერ ისევ სასოების ცრემლით ალტობდნენ ბალიშს რომეოსა და ჯულიეტას ტრაგიკული ამბის კითხვისას, მაგრამ სად იყო ის სამყარო, დედამინის რომელ კუთხეში?

მეცხრამეტე საუკუნიდან მეოცეში მოსულ ადამიანებს ტყავის აბგებში წინგნებიც ელაგათ. რა იქნას წინგნები? ნუთუ აქ ამ ოცდამეერთე საუკუნეში წინგნი აღარავის სჭირდება? მაშ რატომ დაკარგა ფასი, რატომ შეცვალა იგი ყველა ენაზე მოლაპარაკე აპარატმა?

დღეს ჩვენში ხშირად გაიგონებთ: ვისაც წინგნი უყვარს, იმას ფული არა აქვს, ვისაც ფული აქვს - იმას წინგნი არ უყვარსო. ვითომ მარტო ამიტომ აიკრუა მკითხველმა გული წინგნზე? ვითომ მხოლოდ ამიტომ დაკარგა აშკარად ვერძნობთ რაღაც ნიშანდობლივს, ეგებ ამ ხიდის ჩანგრევის უმთავრეს მიზეზსაც.

საქართველოში მეოცე საუკუნე ილია ჭავჭავაძის მკვლელობით დაიწყო. ახლა, მწერლისა და მკითხველის დამაკავშირებელ, ჩანგრეულ ხიდთან მდგომარე უნებურად ვისხენებთ იმ ტრაგიკულ დასასწყისს, რადგან იმ მკვლელობაში აშკარად ვგრძნობთ რაღაც ნიშანდობლივს, ეგებ ამ ხიდის ჩანგრევის უმთავრეს მიზეზსაც.

ამ ოცდაათიდე წლის წინათ, "ცისკრის" რედაქციას მარჯანიშვილის მოედანზე, ერთი ძველი სახლის მეორე სართულზე რამდენიმე ოთახი ეჭირა. კიბე უნდა აგველი, ვინრო, ბნელ დერეფანში გასულიყავი და რედაქციის კარსაც მიადგებოდი. ხის მასიური, მაღალი კარი საშინლად ჭრიალებდა. მაშინდელ დაშვებ მწერლებს ეს ჭრიალი ძალზე გვაფრთხობდა, გვერჩინა, რედაქციაში შეუშენებულად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე შევსულიყავით. კაცმა რომ თქვას, ასევე ჩუმად და უხმაუროდ შემოვიდოდით მწერლობაშიც.

ერთ დღეს, რედაქციაში, სწორედ ასე უწუმრად შევიძურნე, მაგრამ ყველა ოთახი ცარიელი დაშვება და იძულებული გავხდი, რედაქტორის კაბინეტში შემეხებდა. ყველანი იქ იყვნენ. დამიძახეს, მოდიოდა მეც შევედი. საქალაქის ზურგსუკან ვმალავდი. მასსოვს, ტარიელ ჭანჭიროა გივი ძნელაძეს საყვედურობდა - ნამეტანი გადაყვეი სმას, რამდენი ხანია, ლექსი აღარ დაგინერიაო, ის კი ფანჯარასთან იდგა და ქუჩაში ნალვლიანი სახით იცქირებოდა.

უცერად, საშინელი ჭრიალი გაისმა. ასეთი რიხით იმ კარს მხოლოდ რედაქციის თანამშრომლები და ცნობილი მწერლები აღებდნენ. თანამშრომლები ადგომლზე იყვნენ და ამიტომ, ყველანი შემოსასვლელ კარს მივამრდიოთ, გვანტერქვებდა, ვინ იყო.

ოთახში შუახნის მაღალი, გამხდარი კაცი შემოვიდა, რომელსაც ილიაში რაღაც ხაზგასმული დაუდევრობით ამოეჩარა სქელი საქალაქე. სკამი შესთავაზეს, მაგრამ არ დამჯდარა, დაშვდურები რაღაც უცნაური, ამოუცნობი ლიმილით მოათვალიერა, ის საქალაქე რედაქტორს მაგიდაზე დაუდგო და თქვა: თუ დაბეჭდავთ, ხომ კარგი, თუ

არა და, ეს წინგნი თავის გზას მაინც იპოვნისო. მერე გაბრუნდა და ოთახიდან დაუმშვიდობებლად გავიდა.

- ვინ იყო? - ვკითხე კარლო კობერიძეს.

- ჭაბუა ამირეჯიბი. - მიპასუხა მან.

მაშინ ჭაბუა კინოგაქირავების კანტორაში თუ რაღაც ამის მსგავს დანესებულებაში მუშაობდა და ტელევიზიით ახალ ფილმებს რეკლამას უკეთებდა. ერთი პატარა წინგნიც ჰქონდა გამოცემული, მაგრამ მე არც მას ვიცნობდი და არც ის წინგნი წამეკითხა, ამიტომ ისეთმა რიხიანმა დაუდევრობამ და იმისივე საქალაქედემ, ცოტა არ იყოს, გამაკვივრა, დანარჩენებს კი ირონიული ლიმილი მოჰგვარა.

გავიდა ერთი კვირა.

საკუთარი მოთხრობების ბედით დაინტერესებულმა რედაქციას ისევ მივაკითხე, მაგრამ ან ჩემთვის ვის ეცალა, ან იმ ჩემი მოთხრობებისთვის - იქაურთა სკასავით არეული დამიხვდა. ყველას რაღაც ფურცლები ეჭირა ხელში, ზოგი იყვარდა, ზოგი იდგა, კედელს მხრით ან ზურგით მოყვდნობოდა და იმ ფურცლებს გატაცებით კითხულობდა.

- რა არი? - ვკითხე კარლოს.

- "დათა თუთაშხია". - ისე მიპასუხა, რომ ფურცლისთვის თვალი არ მოუცილებია.

მოვიდა გურამ ფანჯიკიძე, კარლოს ნაკითხული გვერდები გამოართვა და თავისები გივის მიუტანა.

- კარგია? - ვკითხე ახლა მას.

- მაგარი! - მიპასუხა და ოთახიდან კითხვით გავიდა.

საშინელმა სურვილმა შემიპყრო - ახლა ერთი გვერდი მაინც რომ არ წამეკითხა, გავგიჟდებოდი. ვიღაცას ვიხსოვებ და რამდენიმე ფურცელი დამითმო. დავინყე კითხვა და ველარ მოვწყდი, რედაქციაში დამალაძე.

ის საერთო აღტაცება და სიხარული მალე მთელს ქვეყანას მოედ... ასე იყო... მაგრამ ისიც სათქმელია, რომ მაშინ ჯერ კიდევ უყვარდათ კარგი მწერლები და კარგ წინგნებსაც სხვა ფასი ედო.

პალატო ერბუზე, ვერონას ღვთისმშობლის გამწერალ შადრევანთან მჯდომს, ამგვარი ფიქრები მანვალუბდა და აუტანელი პაპანაქებისაგან ისე ვიყავი გატანჯული, რომ სიკვდილს ვნატრობდი. კოტე და გუჯა ჯერ არსად ჩანდნენ. ვუყურებდი ჩემს წინ აღმართულ, მეცამეტე საუკუნეში აშენებული სახლის ფასაღს და ნუთისოვლის წარმავლობაზე ვფიქრობდი. მეჩვენებოდა, რომ სიკვდილი ერთადერთი ხსნა, ერთადერთი გამოსავალი იყო იმ სატანჯველიდან, რასაც ამ წუთში განვიცდიდი. წარმოვიდგინე, რომ მართლაც მოკვდი - გვერდზე გადავქანდი და ბორდიურიდან ქვემოთ ჩავცურდი. ვნეკარ გაუარვარებულ მარმარილოზე მოკუნტული, ტურისტები გვერდს მივლიან, თვალს მარიდებენ.



მოვიდა, მომიასლოვდა ერთი მტრედი და ცალი თვალით ფრთხილად შემათვალერა. მგონი მისვდა, რომ მკვდარი ვარ, ტურისტების მიერ გადაყრილი პურის ნამცეცები სწრაფად აკენკა და გაფრინდა.

კვლე მარტო ვრჩები, მაგრამ ახლა აღარაფერი მანსუბეს, აღარას ვნაღვლობ - აღარც სიცხეს, აღარც წყურვილსა და არც ფულივითა კაპულეტის პრილა ძუჭუს.

ბრუნდებიან შთაბეჭდილებებითა და ჯან-ღონით სახეე ჩემი მეგობრები კოტე და გუჯა, მანჯღრევენ - შვინათ, რომ ვსუმრობ, ან ჩამეძინა, ანდა, უარეს შემთხვევაში, სიცხისგან გული შემიღონდა, მაგრამ როგორც კი აღმოაჩინენ, რომ მკვდარი ვარ, განზე გატებითან და თავზარდაცემულები მიყურებენ.

სინდისი მქენჯნის: კარგი, მე მოკვდი, დავისვენე, წუთისოფლის ამოუბას გავერიდე, მაგრამ ამით რას ვერჩი, ამდენი სახლავორთო საქმე რად გავუჩინე? ჯერ ერთი, უნდა იზოფონი ცელოფანის დიდი ტომარა, შიგ ჩამტენონ და თან ქლორი თუ რაღაც ოხრობა ჩამაყარონ, რომ ამ სიცხეში დროზე ადრე არ გავიხრწნე. მერე, როგორმე, პალაცო ბრამდე უნდა მიმათირონ, იქ გუჯას ახლადნაყიდი მანქანის საბარგულში ჩამდონ და კრიჭაშეკრულები, მწუხარებითა და სასონარკვეთით აღსაყვინი გზას გაუდგინონ.

მე იმ საბარგულში თანდათანობით გავსივდები, რა თქმა უნდა, სუსსაც გავუშვებ, საშინლად ავყროლდები და მალე, ეს აუტანელი სუნი მანქანის სალონშიც შეაღწევს. ვინ იცის, რა დღეში ჩაცვივდებიან, მაგრამ რას იზამენ, უნდა გაუძლონ, გზაში ხომ ვერსად გადამაგდებენ...

ამიტომ არა, აღარ ვუბნობ!

ამის გაფიქრებაზე საკვირველი შვება ვიგრძენი, მიმოვიხედე - ქალაქის მთავარ მოედანზე, ვერონას ღვისამშობლის მარმარილოს ქანდაკების ფერხითი ვიჯევი და მართალია, ისეც საშინლად ცქილოდა, ისეც აუტანელი პაპანაქება იდგა, მაგრამ მიუსხედავად ამისა, მინც ისეთი მშვენიერი მომჩვენა იქაურობა, ისეთი თვალწარმტყვი, რომ ნახევრად შიშველი ტურისტების ყოვლის წამბილწავი ჯოგის დახსევაც კი შესაძლებელია.

ამასობაში ძველი ქალაქის ღირსშესანიშნაობებით მოხიბლული და გუნებაგამოკეთებული გუჯა და კოტე მართლაც მოვიდნენ. მოსაღამოვეზულიყო და უნდა გვექტარა, რომ ღამე ისევ ღია ცის ქვეშ არ გაგვეთია. უკან გამოვიარეთ ვია კაპელო, პალაცო ბრაზე გამოვედით, იქ თითო ნაყინი გვახელით, მერე ჩვენი მანქანა მოვძებნეთ, ჩავსხედით და ვენციისკენ გავუტეთით.

ჩვენმა მეგობარმა პაატა ნაცვლიშვილმა თბილისში ვენციის ყველანაირი რუკა მოგვცა და თან

დაგვარიგა - ღამე მესტრეში გაათიეთ, ვენციის სასტუმროებს ახლოს არ გაეკაროთ, თორემ გაიყიდებითო. პაატას მთელი მსოფლიო აქვს შემოვლილი, ევროპის თითქმის ყველა ქალაქშია ნამყოფი, ზოგიერთ მათგანზე, მათ შორის, ვენციაზე წიგნი აქვს დანერვილი და რა საბუთი გვეკონდა, რომ არ დაგვეყურებინა.

მესტრეში დაღამებულზე შევედით. გვშიოდა, გენყუროდა, დალილობისაგან არაქათი გვეკონდა გამოცლილი, მაგრამ მაინც ხალისიანად გამოვიყურებოდით, რადგან ვენციაზე სულ რაღაც 10-12 კილომეტრია იყო დარჩენილი.

კოტე და გუჯა სასტუმროს მოსაძებნად წავიდნენ. მე მანქანაში დავრჩი, ბუკლეტი გადავმალე და სასტუმროს ფასების თვალეგრებას შევეუდექი. სამადგილიანი ნომერი ას ევროზე ნაკლებად არსად ქირავდებოდა. ცოტა არ იყოს, მოვიწყინე, მაგრამ სხვა რა გზა გვეკონდა, ღამეს ცის ქვეშ ხომ არ გაეთენებდით.

კოტე და გუჯა მალე მობრუნდნენ. სასტუმროსთვის იქვე ახლოს, მეორე ქუჩაზე მიეგნოთ, სადაც ერთ ოთახსა და მანქანის სადგომს ასოც ევროდ აქირავებდნენ. მეძვირა, მაგრამ რა უნდა გვექნა...

ცოტა ხნის შემდეგ ერთ საშარათულიან შენობას მივადექით, საიდანაც სუჭუჭთმიანი ადმინისტრატორი გამოგვეგება, მანქანა სადგომზე დაგვაყენებინა და ლიფტით მესამე სართულზე აგვიყვანა. ოთახში კონდიციონერი მუშაობდა და სასიამოვნოდ გრილოდა. ასი ევრო მარტო ეს კონდიციონერი ღირსო, გამოგვიცხდა კოტემ.

მე და გუჯამ წყალი გადავივლეთ და მაშინვე სუფრის გაშლას შევეუდექით. ჩანთებიდან ამოვალაგეთ ინსბრუკის სუპერმარკეტში ნაყიდი პური, ძხვი, ლორი და ყველი, რომელიც სიცხისაგან ისე იყო გამდნარი, რომ რეზინივით იწელებოდა. ამოვიღეთ კონიაკის ბოლო ბოთლიც.

სააბაზანოდან გამოსულმა კოტემ ფალსიფიცირებული კონიაკის დაღვევაზე სასტიკი უარი გამოგვიცხდა. შევეზუბით - ცოტა ადრე გეთქვა, შე კი კაცო, გზაში რამე სხვას ვიყიდითო, მაგრამ კოტეს ეშმაკურად აუციმციმდა თვალეები და თავისი ხელწანიდან ტეკოლას ლიტრიანი ბოთლი ამოაჭრინა. თურმე, ინსბრუკში რუმად ცევიდა, რომ ჩვენთვის ეს სიურპრიზი მოეწყო.

ცოტა ხნის შემდეგ ის ბოთლი თითქმის ბოლომდე გვეკონდა დავეანილი და აღგზნებულები ერთმანეთს ლაპარაკს არ ვაცდიდით:

- ვერონა უნდა დანერგეს! - ვკიოდი მე.
- მართალია, უნდა დანერგეს! - მიდასტურებდა

კოტე:

- როგორც კართაგენი! - საკუთარ ჭიქას ჩაჰყვიროდა ბერიშვილი.



ასეთი სასტიკი განაჩენი გამოვუტანეთ იტალიის ამ უძველესსა და უმშვენიერეს ქალაქს იმ ღამით.

დღლით ყველაზე ადრე გამეღვიძა და როცა არეულ სუფრა მოვათვალერე, თავზარი დამეცა - ტეკილას ვიღა ჩიოდა, ჯანდირის დაწუნებული კონიაკის ბოთლიც სულ ბოლომდე გამოგვეწრუპა!

პირგამშრალმა მაცივრის კარი გამოვავლე - გამაგრილებელი სასმელებითა და ლუდით იყო გაძეპილი!

ის იყო, ერთი ქილა ლუდი დავლიე და მაცივრიდან ახლა მეორე გამოვიღე, რომ კოტე და გუჯა მეტნენ და ხელების გადაგრეხვა დამიწყეს. მე, რაც შემქმლო, ვენინალმდეგებოდი და ქილის გახსნას ვცდილობდი, მაგრამ ბოლოს, იმარჯვეს, ნამართვეს და ისევ მაცივარში დააბინავეს. ჯერ მეგონა, ჩემს ჯანმრთელობას უფროსიღებოდნენ, მაგრამ გამიორკვა, რომ ჩემი ჯიბის დარდი უფრო შქონოდათ - ლუდი აქ სამჯერ უფრო ძვირი ყოფილა, ვიდრე მაღაზიაში ან თუნდაც ბარში.

ქვემოთ მშვენიერი საუზმე გველოდა - ყავა, ჩაი, ჯემი, კარაქი, ყველი და გემრიელი ფრანგული ფუნთუშები. კარგად რომ დავნაყრდი, ჩვენი სასტუმროს ადმინისტრატორმა, ჯუზეპემ გვითხრა - ვენეციაში წასვლას თუ აპირებთ, გირჩევნიათ, მანქანა აქ დატოვოთ და ავტობუსით გაემგზავროთ.

გადაწყვიტეთ, მართლაც ასე მოვეცულებიყავით, ქუჩაში გამოვიდით და სანამ კოტე და გუჯა მანქანის საბარგულსა და სალონს ალაგებდნენ, მე მახლობელ ბარში ორი კაბას ლუდი დავლიე. ჯერ დილის ცხრა საათიც არ იქნებოდა და ამიტომ ბარი თითქმის ცარიელი იყო. შორეულ კუთხეში მართო ერთი ჩემსავით სახემოყაფული კაცი იჯდა და ისიც ლუდს შეექცეოდა. კარი გაიღო და ვიღაც მოტოციკლეტისტი ჩაფუტანაში ბიჭმა ხის ბადით ფუნთუშები შემოიტანა. ბარმენმა ქალმა მას ფული გადაუსხადა, მერე ერთმანეთს რაღაც უთხრეს და გაიცინეს. ბიჭი წავიდა. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ბარი იყო, მაგრამ რატომღაც გაიფიქრე, აქ აურობა სიცოცხლის ბოლომდე შემასხვრება-მეთქი.

ავტობუსში ჩასესვით და თხოუმტე წუთში უკვე ვენეციაში ვიყავით.

ვენეცია ქალაქი არ არი. აქ ყველაფერია: ქუჩებიც, მოედნებიც, ხიდებიცა და არქიტექტურის უბრწყინველესი ძეგლებიც, მაგრამ ქალაქი მანც არ არი, სხვა რამეა.

პაიჯა რომაზე, ავტობუსის ბოლო გაჩერებაზე, ამას ვერ იგრძნობ. ეს მოედანი ჩვეულებრივი ქალაქური ყოფით ცხოვრობს: იყიდება სუვენირები, ბუკლეტები, ვენეციის სხვადასხვა ზომის ფოტოები, ნაყინი და ათასნაირი გამაგრილებელი სასმელები, რომლებსაც უამრავი ტურისტი მისვია, მაგრამ,

საკმარისია, არხზე გადებული პატარა ბოგირი გადაიარო და ვინრო, მიხვეულ-მოხვეულ შუკვებში მოხვდე, რომ უმაღ შენიშნავ მაღაზიის ვიტრინებში გამოფენილ თეთრ ნიღბებს, რომლებიც მიცვალებულთა ღიმილშეყინულ სახეებს შგვანან და მოგეცვენება, რომ მათი თვალების ჭრილებიდან ვიღაც გაყურებს, ვიღაც დაყინებით გითვალთვალებს და შემს ყოველ ნაბიჯს ჩუმად ამონმებს.

ვენეციაში გებულობ, რომ სიკვდილს შშორის სუნი შქონია. სწორედ ეს სუნი უდის ერთი შეხედვით მიტოვებულ, დანესტიანებულ სახლებს, თანამედროვე რესტორნებსა და სასტუმროებს. ამ სუნით არის აქოთებული მისი ქუჩები, მოედნები და დაბალი წყლით სავსე არხები.

ვენეცია ქალაქი არ არი, ის მომაკვდავი დინობავრია, რომელსაც ოდნავლა უტემს გული და მისი გამომავალი ფლტეებიდან სუსტი სტვენა და ხიხინი ისმის.

ვენეცია პრესტორიული, მომაკვდავი დინობავრია და გვაშური ლაქებით დაფარულ მის სხეულზე გამუდმებით დაღოღავნ მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ტურისტები. ისინი ისე შესევიან ქალაქს, როგორც მატლები უპატრონიდ დაგდებულ ცხედარს. მათი უზღვავეი წაკადი მხოლოდ ერთი მიმართულებით მიედინება, ყოველი სახლის კედელს მხოლოდ ეს სამი სიტყვა აწერია - "PIAZZA SAN MARCO", ქვეშ კი ლურჯი ისარი აქვს მიხატული.

სან-მარკოს მოედანზე რომ მოვხვედრილიყავით, რა თქმა უნდა, ჩვენც ამ ბრბოს უნდა გავყოლოდით, მაგრამ ვერონას შემდეგ ისე ვიყავით ამათზე აღრენილები, რომ თვალის დასანახავად აღარ გვიწოდოდა, ამიტომ სან-როკოს ტაძართან მთავარი გზიდან გადავუხვეით და არც გვიანია, სულ მალე ერთ ძალიან საინტერესო დაწესებულებას მივადექით. ეს იყო Enoteca La Cantina, ანუ ღვინის მაღაზია.

შეგ შესულებს ერთი სანდომიანი სახის ქალბატონი შემოგვეგება, მაგრამ თარიღებზე ჩამომწკრივებულ ღვინის ბოთლებს ისეთი ფასები ეწერა, კაცს თმა ყალყზე დაუდგებოდა და ის იყო, უკან გამოსვლა დაევაშირეთ, რომ უტერად კედელთან ჩარიგებული კასრები დავინახეთ, რომლებიცც სხვადასხვანაირი ღვინოები ესხა. კოტემ დიასახლისს რაღაცა უთხრა, მანაც ყველა კასრიდან თითო ჭიქა გაგვასინჯა და როცა ჩვენ ფრანგული "კაბერნე" და თეთრი "პინო" შევუქეთ, ისეთი ტამისცემა და "ბრავოს" ძახილი ატყხა, რომ არ გვეყიდა, უნაშუსობა იქნებოდა.

ერთხელ ოთარ ქილაძეს ვკითხე - წუთუ მართლა ისეთი კარგია ფრანგული ღვინოები, როგორც აქებენ-მეთქი. როგორ გითხრაო, ზოგი არ დაიღუ-



ვა, ზოგი კარგია და ზოგიც ძალიან კარგი, მაგრამ მე მაინც ყველას ჩვენებური, ქვევრში დაყენებული "რქანითელი" მიჩვენებია.

დასახლისმა საიდანლაც პლასტმასის ორი ბოთლი გამოიტანა, ერთში "პინო" ჩაგვისხა, მეორეში - "კაბერნე" და კეთილი ღიმილით დაგვემწვიდობა. სამ ლიტრში დაახლოებით თხუთმეტი ევრო გადავიხადეთ, მაგრამ არ გვინანია, რადგან მართლაც რომ მშვენიერი ღვინოები გამოდგა.

სან-პოლოს ქუჩა ღვინის ნრუპვა-ნრუპვით გავიარეთ და ის იყო სან-ჯოივანიზე უნდა გადაგვეჩვიო, რომ, უფცრად, ერთი ვინო შუკიდან, შემწვარი თევზის მადისალმძვრელი სუნი გამოჩქროლდა. რა თქმა უნდა, სასწრაფოდ იქით გადავუხვით.

ეს იყო პატარა ტავერნა, სადაც მხოლოდ შემწვარი თევზი და იტალიური ჩამოსასხმელი ღვინო - "ბარდოლინო" იყიდებოდა. ოღონდ ეგ იყო, რომ პური არ ჰქონდათ და იძულებულნი გაგხდით, ცაპრუილი თევზი გეტყვამა.

ჩვენი "კაბერნე" და "პინო" რომ გაგვითავდა, ახლა "ბარდოლინოზე" გადავედით. კოტე ჯვანდიერმა მართლაც რომ ჯვანდიერულად მიირთხა ფეხი, გაიჯვავილა და გაიჯვანდიერა - ადგომას აღარ აპირებდა. ვინ აღარ ადღევრძელა. გაისუნა ჩვენი უდროოდ დაღუპული მეგობარი თამაზ ბაძაღუაც. თამაზს პეტრარკიდან ეუჯვანიო მონტალემდე თითქმის ყველა იტალიელი პოეტის ლექსები ჰქონდა თარგმნილი და ამიტომ აქაურობა ძალიან უყვარდა. ერთხელ, თურმე, კოტეს უთხრა - ვენეციაში რომ ვიყავი, სან-მარკოს მოედანზე ყავას ვსვამდი და ენატრობდი, ნერვატი ყველა ჩემს მეგობარს ეს ქალაქი აჩვენაო...

ტავერნადან გამოვედით, სან-ჯოივანის ქუჩიდან რიალტოს ხიდთან აუუსვით და შიგ შუა ბაზარში მოხვდით, სადაც გაცხოველებული ვაჭრობა იყო გაჩაღებული. იყიდებოდა თევზი, ხორცი, ხილი და ბოსტნეული. აქვე გაემართათ ფარდალები, სადაც ტანსამოსითა და სხვადასხვა სუვენიერებით ვაჭრობდნენ. ერთ ფარდალთან მილანის ფეხბურთელების ფორმა შევნიშნეთ, ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე ანდრეი შევეჩქოს მასიური ეკიდა. გუჯა მივიდა და გამყიდველს ოთხი თითი დაანახა.

"კახი კალაქი" - იყირა მან და მერე გუჯას გადაეკიდა, აღარა მაქვს, ნელან გამითავდა, მაგრამ სვალ დილით ნალდად მექენება და გინდა თუ არა, გამოიძარეო.

გამოგივლიო, - დააიძედა გუჯამ.

რიალტოს ხიდი გადავიარეთ და ორი აპრილის ქუჩით სან-მარკოს მოედნისკენ გავეშურეთ.

ეს მოედანი რომ აღწერო, სულ ცოტა სულხან-საბა ორბელიანი მაინც უნდა იყო, ამიტომ დავედუმდები და ხმას არ ამოვიღებ. მარტო ერთს ვიტყვი:

დოყების სასახლის ფსახდი ისეა მოხატული და ოქროთი მოვარაყებული, თითქოს მისი ამშენებელი ათასი ჯურის ყაჩაღსა და მეკობრეს გამომწვევად ეუბნებოდეს - ბიჭი ხარ და მოდი, ბიჭი ვარ და დაგებუბიო!

წმინდა მარკოზის თვალშეუნვდენელ სამრეკლოსთან ვიდექით და იქაურობას დამუნჯებულები ვათვალყირებდით. უზარმაზარ მოედანზე სულ ცოტა ათიათასი ტურისტი და ათჯერ მეტი მტრენი ირეოდა. ყოჩად იტალიელებს აქაც სარფიანი საქმი გამოეძებნათ - ცელოფანის პატარა პარკებით საკენკს ყიდიდნენ, რომელსაც ტურისტები განწუნებულ მტრედებს პირდაპირ ხელისგულიდან აჭმედდნენ, თითქოს ისინი აქაურობის სანახავად კი არა, ამ მტრედების გამოსაკვებად ჩამოსულიყვნენ.

ამდენ შთაბეჭდილებას ვეღარ გავუძელით, Canal Grande-ზე გამოვედით, ბილიეები შევიძინეთ და წყლის ტრამვაიში ჩავსხედით. აქედან ხელისგულით მოჩანდა გაღმა კუნძულზე აღმართული სან-ჯორჯოს, ანუ წმინდა გიორგის ტაძარი.

ვისაც ვენეციის დიდ არხზე უმგზავრია, არასოდეს დაავინყვდება მის ნაპირებზე ნამოჭიბული სრასასახლები, ამათებურად პალაცოები, რომელთა შორის გამოირჩევიან: პალაცო რეძონიკო, პალაცო ბალინი, პალაცო და მოსტო, სადაც 1432 წელს ცნობილი იტალიელი ზღვაოსანი ალივიზო და მოსტო დაბადებულა და განსაკუთრებით - მარმარილოს სვეტებითა და თაღებით დამშვენებული საოცარი კაზა და, ორო, რომელსაც ვენეციური გოთიკის მარგალიტს უწოდებენ.

1714 წელს, რომში ჩასული სულხან-საბა აღფრთოვანებული წერდა: "ერთი სასახლე იყო, მართალს გეტყვი, გარედან მისი შგავსი სასახლე არ მიწანავს. სვეტები მთელი. ზოგი სამი ადლი, ზოგი ნაკლები. ერთი მგელი პორფირის ქვისა, გათლილი, ორს ყმანვილს ძუძუს აწოებდა. რომის ქალაქი იმით აუშენებიათ. რაც სანახავები ვნახვით, ვით აღწერებდა, მაგრამ მე რასაც შევიძლება, ჩემს ნახულს მართალს დაწერო. დაიჯერეთ, რომ ასეთია".

სულხან-საბა ორბელიანის "მოგზაურობა ევროპაში" ტრაგიკული და გულუბრყვილო წიგნია, რომელიც ლატაქი ქვეყნის ევროპული ფუფუნებით მოხიბულ ელმს დაუწერია. სიტყვამ მოიტანა და ბარე ერთ ამბავსაც გავისუნებ: როდესაც სულხან-საბა ევრსალში საფრანგეთის მეფეს წარუდგინეს, ლუი XIV ახალი ნაავადმყოფარი იყო და თავს სუსტად გრძნობდა.

საბამ გამოჯანმრთელება მიულოცა.

- ავადმყოფობას კი ხელიდან დავეძვერი, მაგრამ სიბერეს ვერსად გავეცეკო, - მიუგო მეფემ და დუშმატა, - კაცი რომ სამოცს გადააბრეუებს, მისი საქმი წასულიაო. - არადა, იმ დროს უკვე სა-

მოცდათასაც გადასცდნოდა.

- ბატონო, თქვენი უდიდებულესობა ამ ასაკს ისე მოხდენილად ატარებს, რომ ყველა ისურვებდა ამ ხნისა ყოფილიყო! - უპასუხა სულხან-საბამ.

საბას პასუხი ლუი XIV-ს ძალზე მოსწონებდა და მოუხედავად იმისა, რომ მაშინ არც ტელევიზორი იყო და არც ინტერნეტი, ეს გამონათქვამი ევროპაში საკმაოდ სწრაფად გავრცელებულა. ბატონიშვილი ოღლა იგონებს, რომ ის რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II-ის კარზეც სცოდნიათ.

თვითონ სულხან-საბა თავის წიგნში არაერთხელ იმეორებს - "ბერი კაცი ვიყავ და სწეული". ამიტომ, ყოველთვის მეგონა, რომ ევროპაში მოგზაურობის დროს იგი უკვე ღრმა მოხუცებული იყო, სინამდვილეში კი მხოლოდ 55 წლისა ყოფილა!

რომის მოედნთან ახლოს, "პაპანდოპულოს სკვერში", სადაც უამრავი ტურისტი ისვენებდა, მე და გუჯამ ერთი მყუდრო, მაღახიანი ჩერო მოექცბნეთ და დასაძინებლად მოვეწყეთ, კოტე კი ქალაქში სასეთიკილოდ წავიდა.

მზე კარგად იყო გადასული, როცა გაგვეღვიძა. ერთხანს ვისხედით და კოტეს მოსვლას ველოდებოდით, მაგრამ რაკი არ გამოჩნდა, ავდექით და მის მოსაძებნად წავიდით. მალე მივაგენით, პიცერიის წინ იჯდა და გემრიელად ილუქმებოდა. თითო ნაჭერი პიცა ჩვენც გავსინჯეთ, მერე სან-როკოს ტაძართან ქუჩის მომღერალს მოვესმინეთ, რომელიც გიტარის თანხლებით ნეაპოლიტანურ სიმღერებს მღეროდა და კარგად რომ მოსალამოვდა, მესტრეში მაშინდა გავემზავრეთ.

გვიანი იყო, მაგრამ რაკი სასტუმროს ხარჯებს ვეღარ შევწვდებოდით, მანქანაში ჩავბარგდით და იმის იმედით, რომ გზაზე, სადმე, კემპინგს შევხვდებოდით, ქალაქ ტრიესტიკენ გავუტყით, სადაც ბერძნული ბორანი გველოდებოდა.

140 კილომეტრი რომ გავიარეთ, ჩვენდა გასახარად, კემპინგი გამოჩნდა. აქედან ტრიესტიკემდე სულ რაღაც 20 კილომეტრილა იყო დარჩენილი, ბორანი კი ნავსადგურიდან მეორე დღის 12 საათზე გადიოდა.

კემპინგი მაღალი გაღავნით შემოღობილი მშვენიერი ბაღი აღმოჩნდა, რომელიც პატარ-პატარა საკარვე ნაკვეთებდა იყო დაყოფილი. მისმა მუპატრონემ, შუახნის იტალიელმა კაცმა, ერთი ასეთი ნაკვეთი გამოგვიყო და ჩვენც მაშინვე მიუხეხნში წაიყდი ჩვენი ახალი კარვის გაშლას შევეუდექით.

ეს "კარვის გაშლა" სწორედ რომ დიდი სიამოვნება გამოდგა, შედეგმა ხომ ერთი ასად გვასიამოვნა - ისეთი კობტა და წარმტაცი რამ იყო, თვალს ვეღარ ვაშორებდით.

70-იან წლებში ასეთი კარავი ჩვენში საერთოდ არ არსებობდა. იყო "პამირკა", რომელიც მასწინ

დიდ ფუფუნებდა მიგვანდა და ისიც ყველას როდი შქონდა. ჩემმა მეგობარმა ნუგზარ ქაჯიამ (აცხონოს მისი სული ღმერთმა) ეს "პამირკა" ერთხელ დიდი ნაცნობობით იშოვნა და მისი ეშბით მთაში წასვლა გადაწყვიტეთ. გზაში გაგვიჭირდა. ჯერ იყო და პური გავითავდა, ცარიელი კონსერვების - "სგუმონისა" და "ტუმონის" ჭამისაგან გულბილა გადაგვილია. მერე, ძალიან დავიღალეთ, განსაკუთრებით მე.

გუდამაყრის ხეობიდან საორბეს უღელტეხილზე რომ გადავედით და ქვემოთ დავეშვით, ერთგან, ცხვრის ნაბინავარზე, უამრავ ქამა სოკოს მივაგენი და დავეწყ კრეფა - იქნებ ცოტა გული გვაპოინონს-მეთქი. ნუგზარი მიშლიდა - თავი გაანებე, ემანდ არ მოინამლო და ჩემი ზურგით სათრევი არ გახდეთ, მაგრამ არ დავიშალე და ბლომად აკვირეთ. კარგად იყო დაბინდებული, როცა ერთ ტყისპირში ჩამოვედით, ჩვენი "პამირკა" ლევის პირზე გავშალეთ და დაგებანაკვით. მე ამ სოკოების შეწვის ვაპირებ, ამიტომ ფიჩხის ასაგროვებლად წავეთ, ნუგზარი კი რატომღაც ბანაკში დარჩა.

მალე ტყიდან ბლომად ფიჩხი გამოვიტანე, ცეცხლი დავანთე და სოკო მოვიკითხე, მაგრამ სადა რალა - აულია ამ ჩემს ძმაცაც და სულ წყლისთვის არ გაუტანებია?!

გავვიღი, გადავირიგე, რალა არ ვუთხარი, რა სიტყვები აღარ ვეძახე. ის კი ზის და ჩუმად იღიმება, ვახშამს აშაადებს - "ტუმონკას" აცხელებს, "სგუმონის" ქილას ხსნის.

გაბრაზებულმა უფასშოდ დავიძინე.

შუალამისა გაუღვიძა. ნუგზარი კარავში არ არის. გაბისკდა გული - როგორც ჩანს, ისე მაგრად ვანყენინე, რომ წავიდა-მეთქი. ვინანე, ვაითუ, სადმე გადაიჩეხოს, ვაითუ, ნადირს რასმეს გადაეყაროს, ამ უღრან-უკუნეთში ყველაფერი მოსალოდნელია-მეთქი. კარვის კალთა გადავნიე და გარეთ გავიხეთ. ჩაბუტულ კოცონთან ზის, წინ ზურგჩანთები ულავია და რალაცას ჩალიჩობს. დავაკვირბი. ვედაფე ჩემი ზურგჩანთიდან მძიმე საგნებს თავისაში ალაგებს, ჩემსაში კი თავისიდან მსუბუქებს აწყობს.

პირუჭურადა დავნიექი, მაგრამ, ცხადია, რომ დილადა აღარ დამძინებია.

სწორედ იმ დილით ვნახე ბუნების ერთი საოცარი მოვლენა, რომელიც არასოდეს დამავინყდებდა: ოქტობრერი იდგა. ღამით პირველი სუსხი გააგდო და მთელი მიდამო თრთილით შეიმოსა. კარავი ღრმა ხევში გექონდა გაშლილი და ამიტომ მზე კარგა ხანს არ გამოჩენილა. ცეცხლთან ვისხედით, უგემურად ვილოდნებოდით და გაცეცქეროდით გაღმა ფერდობზე შეფენილ ნეკერჩხლის ტყეს, რომელსაც ფოთოლი სულ წითლად უღვიოდა. ნუგზარმა მითხრა - იმ ნეკერჩხლებს უყურე და ნახავ, მზე



რომ მიადგება, რა მოუვათო! მართლაც, სულ ცოტა ხანში, მზე წამომალღდა და გაღმა ფერდობი გაანათა. ვზივარ და ველოდები, მინიტრესებს, რა მოხდება. არ გასულა დიდი ხანი, რომ უეცრად, ნეკრჩხლის ტყემ ერთი რაღაცნაირად დაიშრიალა და თითქოს ლამაზმა ქალმა წითელი კაბა გაიძროო, მთელი ის ფოთალი სულ მიწაზე დაეფინა.

ეს ისეთი შთაბეჭდილი სანახაობა იყო, რომ გაცივებისაგან ყვირილი მოვრთე. ნუგზარი კმაყოფილი სახით შემომტკეროდა. მერე ამიხსნა: ნუხელ იმ ფოთლებს ყინვამ ყუნწები დაუშრო, მზემ კი გაუღლო და ერთბაშად იმიტომ გასცივიდაო.

კემპინგში ვიდევით და ჩვენნი ახალი კარვის სიამაზობით ვტკებოდით. მერე ლიებები ვაგებურეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კარავში ორის მეტი არ ეტეოდა. სხვა გზა არ იყო, ერთ-ერთს მანქანაში უნდა დაგვეყინა. მე წინადადება წამოვაყენე, რომ კენჭი გვეყარა, მაგრამ კოტემ დაიფინა, მანქანაში მიჩრეჩნიაო. ისეთი დაღლილი ვიყავი, კამათის კი არა, ჭამის თავიც აღარა მქონდა, ამიტომ კარავში შევძვირე და დავიძინე.

დღილით შაშვის ქაჩქაჩა გააძლიძა. ავდექი, პირსახოცი ავიღე და ონკანის მოსაძებნად გავეშურე. მალე კაფელით განყობილ, განკრიალებულ საშაპეს მივაგენი, ცხელი წყალი გადავივლე და უკან ჩქარი ნაბიჯით წამოვედი, რომ ეს ამბავი ჯანდღერისთვის მქარაგინა.

კემპინგის პატრონს 30 ვერო გადავუხადეთ, მანქანაში ჩავბარგდით და წამოვედით. ნახევარ საათში უკვე ტრიესტეში ვიყავით.

ტრიესტე ულამაზესი ქალაქია. მომხიბვლელია მისი შემოგარენი - თეთრი კლდეები, ლურჯი ზღვა და მწვანე გორმანები. წინათ მს ტურჯესტე რქმევიკა და ხან რომაელებისა ყოფილა, ხან ფრანგებისა და ხანაც ავსტრიელებისა.

მანქანა ზღვის სანაპიროზე გაგაჩერეთ და Piazza Unita D'Italia-ზე გავედით. აქ, ღია კაფეში, შავ ფრაკსა და თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილ ოფიციანტს სამი "კაუჩინო" და სამი ჭიქა ჩვეულებრივი წყალი შეუფრეთო, რაშიც მან 18 ვერო გადაგვასდევინა. იმ ფრაკსა და ხელთათმანების დანახვაზე, თვინდანვე მიგრძნო გულმა, რომ რაღაც ხიფათს უნდა გადავყროდით, მაგრამ კოტემ თუ ერთი აიხარა, მერე ხომ ვეღარ გადაათქმევინებ! დარწმუნებული ვარ, სწორედ იმ ოფიციანტის ფრაკმა და თეთრმა ხელთათმანებმა მოსტაცა თვალი, სწორედ მისმა ჩაცმულობამ აცდუნა.

დღისი ათი საათი სრულდებოდა, ქალაქის დათვალეერებას ვეღარ ვასწრებდით და ამიტომ ნავსადგურისკენ გავინეთ. საბუთების გაფორმებამ და რიგში დგომამ თითქმის ორი საათი წავგვართვა, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, გუჯას BMW ბო-

რანის უშველებელ სტომაქში დავაბნინავთ, სადაც სხვა უამრავი მანქანა იდგა, მათ შორის, უშველებელი ტრაილერებიც, ესკალატორით ზემოთ ავედით და პირდაპირ ბარს მივაშურეთ.

წინასწარ ვიცოდით, რომ საბერძნეთის ქალაქ პატრამდე თითქმის 40 საათი უნდა გვეცურა და ფიქრი დავინწყეთ, ეს ამდენი დრო რითი მოგვეკლა. ჯერ გადავწყვიტეთ ჯანდიერისთვის პოკერი გვესწავლებინა, რადგან მე და გუჯემ ზედმინვენი კარგად ვიცოდით, ამ თამაშში დრო როგორ სწრაფად გადიოდა, მაგრამ კოტემ იმედი გაგვიცრუა - ცხოვრებაში კარტი არ მითამაშია და არც ვითამაშებ, მაგას სჯობია, დავლიოთო! გაეხარია, კარგი იქნებოდა, ვინ აღარ იცის, რომ დრო ქვიფშიც სწრაფად გადის, მაგრამ ჩვენ არ ეხლა აქ ღვივნის სმა და მწვადის ჭამა დაგვეწყო, გუჯას მანქანის გაყიდვა მოგვინებდა. გემზე ყველაფერი რამდენჯერმე უფრო ძვირი იყო, ვიდრე ხმელეთზე - მარტო ერთი კათხა ლუდი რვა ვერო ღირდა.


დრო თავზუსაყრელი გვექონდა, მაგრამ არ ვიცოდით, რაში გამოგვეყენებინა. წერა-კითხვა გამოირცხული იყო, რადგან მოტორი ხმამაღლა თუხთუხებდა, გემი ირყეოდა და შესამე კლასის სალონში, რომლის ბილეთებიც ჩვენ გვექონდა, აუტანელი სიცხე იდგა. მოკლედ, ასეთ ექსტრემალურ პირობებს "პენ-მარათონის" მომწყობები - თამარ ლეხანიძე და ჯარჯი აქიმიძეც კი ვერ ინატრებდნენ.

რა უნდა გვექნა, ავიღეთ სამი კათხა ლუდი და დავინწყით ნრუპა, მაგრამ როდემე გვეყოფოდა!

მეზობელ მაგიდასთან ოთხი ბერძენი წარდს თამაშობდა. კამათელს ისე აზარტულად აგორებდნენ და კოჭებსაც ისე აჭახუნებდნენ, ვიფიქრე, ფულზე თამაშობენ-მეთქი, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ამათ, არც ერთს ჯიბეში ნაღდი ფული არ ედო. ის პარტია რომ დაამთავრეს, ოფიციანტს დაუძახეს და წაგებულმა მას ლანგარზე თავისი "Master Card" დაუდგო, რომელიც პატარა ტანის მელიოტმა, უღვაშმელებილმა ოფიციანტმა დახლთან მიაცუსტესუხა, სალაროს ჭრილში ჩაუშვა, ერთი გაატარა-გამოატარა, მერე ბარმეს ოთხი ჭიქა ყინულიანი ვისკი დაასხმევინა და მითამაშეებს მოუტანა.

გუჯას გადავხედე. საღერდელაშლილი იჯდა და ბერძნებს ისე უყურებდა, როგორც ნაბულზე დამდგარი მქებარი ხოხობს. ამისთანა მონარდე გემზე კი არა, მთელ საბერძნეთშიც არ მეგულებოდა. ხელზე შევეხე. შემომხედა და როცა ნაძქებულურად გაუვლიძე, ისე ამოიოხრა, კინაღამ გულიც თან ამოაკოლა.

კოტე განზე გავისმე, ჩურჩული გავუბი და ბოლოს, როგორც იქნა, დავითანმე, რომ ბერძნებთან მისულიყო და გუჯასთან თამაში შეეთავაზებინა, მაგრამ ჩემგან გაბრიყვებული საწყალი ჯან-



დღერი მონარდებმა პასუხის ღირსადაც არ ჩათვა-  
ლეს, ისე ამაყად და ამპარტაყნულად ასედ-დასხედეს,  
თითქოს ერთი ჩვეულებრივი ბერძნები ვი არა, ოლ-  
ამას ამბობს დამოუკიდებელი ჟურნალისტი.

კოტე კუდამოძუებული მოვიდა, უკმაყოფილო  
სახით შემოხმედა, დაჯდა და ლუდი მონრუპა. მე  
დახლთან მივედი და ბარემს ხელით ვანიშნე, ნარ-  
დი-მეთქი, მაგრამ მან თავი ბერძნებისკენ გადაიქნია  
და რაღაც მიიხრა, ალბათ - ეგ არი, მაგის მეტი  
არა გვაქვსო.

მტრის ჯინაზე სამი კათხა ლუდი კიდევ დავას-  
ხმევირე და ჩვენს მაგიდასთან მივიტანე.

მონარდებები თამაშს აგრძელებდნენ და თან ძა-  
ლიან კმაყოფილი სახით გვიყურებდნენ, აშკარად  
ტკბებოდნენ, რომ გემზე ერთადერთი ნარდი იყო  
და ისიც თვითონ ჩაეგდით ხელში.

ქართველი ამას როგორ იზამდა - თამაში გენ-  
ბავს? მობრძანდი, ჩემო ბატონო, აგერ დაბრძანდი  
და გააგორე! მთელი ჩვენი დღე და მოსწრება უც-  
ხოსა და გადამიივლს სულ ასე არ ველაქუცებო-  
დათ? ამ თვისებამ ბევრი დაგვაკლო და ბევრ ხა-  
თაბალასაც გადააგვიდა, მაგრამ ჩვენსა და მინც არ  
ვიშლით - ასაკიან ზუფრანზე ერთი რუსი რომ გვე-  
რიოს, ასევე რუსულად ვლაპარაკობთ.

ერთხელ დავით წერედიანმა მიიხრა: ვაზი ხო  
იცო, რანაირია, თუ არ შესარე, მინაზე გაიფართოხ-  
ბა, იქაურობას სარეველასავით მოედება და გავე-  
ლურდება, მაგრამ, საკმარისია, ჭიკო შეუყვნო, რომ  
მაშინვე ზედ შემოეხვევა, პენს დაიდებს და სულ  
მუჭისნიშხო მტევანს დაისხამს. ქართველებიც იმ  
ვაზს ვგავართ - სხვის დაუსმარებლად ცხოვრება  
ვერ წარმოგვიდგენიაო.

სალონიკში დავრწმუნდი, რომ სიამაყე და ამ-  
პარტაყნობა ზოგადბერძნული თვისება ყოფილა. აი,  
მოდის ქუჩაში ბერძნის კაცი, უკან ფაშვამა ცოლი  
მოსდევს და განუწყვეტლივ ელაქლაქება. ის კი ქა-  
ლის ლაპარაკს ყურს არ უდევს, ცხოვრების  
ამაოებისაგან გაბზურებული ადამიანის იერით მოა-  
ბიჯებს, და ისეთი სახე აქვს, მთელი ელინური  
კულტურა მისი შექმნილი გეგონება.

ლუდმა გვარინანდ მოგვამია, სასადილოში ავე-  
დით და რაღაც უგემური საჭმელი ვჭამეთ, მერე  
ჩვენს მესამე კლასს მივაშურეთ, საჯაროდებში ჩავს-  
ხედით და ჩათვლიდით - დრო ხომ, ყველაზე კარ-  
გად, მინც ძილში გადის.

შუალამისას გამეღვიძა. გარეთ ბნელიდა. სალო-  
ნიდან გამოვედი და გემბანს მიაშურე აეროლიტე-  
ლიყო. სკამი ავიღე, მოაჯირთან მივიტანე და ჩა-  
მოვჯექი. შორს სინათლეები ციმციმებდა. არ ვიცო-  
დი, სად ვიყავით, რომელი ქვეყნის სანაპიროს  
მივუყვებოდით, იქნებ ბოსნია იყო, ან მაკედონია ან-  
და, სულაც, ალბანეთი... ეს გაურკვეველობა წერვებს

მიშლიდა, მოსვენებას მიკარგავდა. ვცდილობდი  
სხვა რამეზე მეფიქრა, თუნდაც ისე იმ ვაზზე და  
ჭიკოზე, მაგრამ ვერ ვახერხებდი. თავი ცხივში მე-  
ჯივია. სულ მეუფიქრება.

სიბნელეში ვიღაც მომიახლოვდა და მხარზე ხე-  
ლი დამადო. გუჯა იყო.

- რას შერები, ზიხარ?
- ხო, კოტეს სძინავს?
- სძინავს.
- რომელი საათია.
- ხუთის ნახევარი.

მეტი არაფერი, მაგრამ ამანაც საკვირველი შეე-  
ბა მომგვარა.

ერთხელ, ერთმა ნაცნობმა ფსიქოლოგმა შემომ-  
ჩილა, რა ვქნა, იძულებული ვარ, ლონდონში  
ვიცხოვრო, იქ, ქართველებისაგან განსხვავებით,  
თითქმის ყველა ოჯახს საკუთარი ფსიქოლოგი  
ჰყავს და ჩემს პროფესიას მეტი გასაგალი ექნებაო.  
ამ ხელობის კაცი ქართველს მართლაც არ  
სჭირდება, რადგან მის მაგივრობას მეგობარიც  
მშვენივრად უწევს.

დილით ყველაფერი სხვანაირი იყო. ბორანი იდ-  
უშენივას ნავსადგურში შევიდა და თითქმის მთლი-  
ანად დიცილა.

ჩვენ გზა განვაგრძეთ, შუღამებულზე პატარაში  
მივედით, იქ უკვე მეორე ბორანი პატარა დაბა კა-  
მარეში გადავედით, მერე მანქანაში ჩავსხედით და  
გამოვუტყით...

გზაში თვალებს ვაცეცებდით - როგორც ყოველ-  
თვის, ახლაც კემპინგს ვეძებდით. ბოლოს, მივაგე-  
ნით, გზიდან გადავუტყით და ჭიშკარს მივადექით.  
ბევრი ვიძახეთ, ბევრი ვივალახეთ, მაგრამ რაკი  
არავინ გამოგვეპასუხა, ალაცაფის მოხურული კარი  
გავადეთ, მანქანა შევიყვანეთ, ერთი ცარიელი ად-  
გილი მოვძებნეთ და კარავი გავშალეთ.

დილით, ჩვეულებისამებრ ადრე გაგვეღვიძა  
და რადგან კაცი-პატრონი არსად ჩანდა, საჩქაროდ წა-  
სასვლელად მოვეშაადეთ, მაგრამ კოტემ აიხირო-აიჯ-  
ანდიერა - გინდა თუ არა, შხაპი უნდა გადავიფ-  
ლოო!

რაღას ვიზამდით, ჩავსხედით მანქანაში და და-  
ვუნწყით ლოდინი.

დავიინახეთ, რომ ეზოს ჭიშკარში ვიღაც ბერძე-  
ნი შემოიხმედა, ალბათ, კემპინგის პატრონი, ჯერ შო-  
რიდან შეგვათვალა, მერე ახლოს მოვიდა, მან-  
ქანის სარკველში შემოიხმედა და რაღაცა გვითხრა.

ვერაფერი გავიგეთ, მაგრამ ზრდილობისთვის  
თავები მინც ღმილით დავუკანტურეთ. ის წავიდა,  
გაგვეცალა, მიაჩრა-მოიჩრა, მერე უკან მობრუნდა,  
შორიახლო დადგა და დაგვინყო თვალთვალა.

ჩვენ გასუსულებით ვსხედვართ და გულის კანკა-  
ლით ვნატრობთ, ნეტავი კოტემ სიმღერა არ წამო-



ინყოს, თორემ ეს კაცი მაშინვე მიხვდება, ნუხელ აქ რომ გავათითე და სულ ცოტა ოც ვეროს მაინც აგვაფცქნისო.

ამის გაფიქრება და კოტეს სიმღერა ერთი იყო. ბერძენმა ყურები ცქციტა

იმის ნაცვლად, რომ გაგებარაზებულიყავით, მე და გუჯას ისეთი ხარხარი აგვიტყდა, ჩვენი ბერძენი შიშისგან შეტბა და კინალამ მოკურცხლა.

გუჯამ ჯობიდან საფულე ამოიღო, მანქანიდან გადავიდა და კემპინგის პატრონს ოცი ვერო ჩაუთვალა.

- სად არიის, სხვაგან ახალი ვარაზი! - მღეროდა კოტე.

არა, ძმაო, ეს სიმღერა ნაღდად ოც ვეროზე მეტი ღირდა!

ექტარობდით, რატომღაც ძალიან ექტარობდით. იქნებ იმიტომ, რომ სამშობლო მოგვენატრა, ან იქნებ იმიტომ, რომ ფული გვითავებოდა. თითქმის მთელი საბერძნეთი შეუსვენებლად გამოვიარეთ, ცოტა ხნით შოლოდ სალონიკში შეეჩრდი და მალე იქიდანაც გიჟებივით გამოვეცივდით. ჩვენ რა გვიჭირდა, გუჯა გვეკოდებოდა, რადგან არც მე და არც კოტემ მანქანის ტარება არ ვიცოდით და იმხელა გზაზე საჭესთან სულ ის იჯდა.

სალამოს პირზე ქალაქ ალექსანდრიეპოლს მივატანეთ, საიდანაც თურქეთის საზღვრამდე 30 კილომეტრიც აღარ რჩებოდა.

გზაზე გლეხებს ათასნაირი ხილი გამოეტანათ - ჩურჩხელები და დედას პურებიდა აკლდათ, თორემ თავი კახეთში გვეკონებოდა. ერთგან მანქანა გავაჩერეთ და ვიყიდეთ კარგი ატამი, საზამთრო და ვაშლატამა, რომელსაც ბერძენიცა და თურქებიც "ნექტარიონს" ეძახიან. მართლაც ნექტარივით იყო, ისეთი გემრიელი გამოდგა, კურკების გადაყრა გვენახებოდა.

კარსაც დავეციტ კემპინგ "სანტა როზაში", რომელსაც ბევრ სიკეთესთან ერთად საკუთარი პლაჟიც ჰქონდა. ჯერ ადრე იყო და ამიტომ გადავწყვიტეთ ალექსანდრიეპოლი მაინც გვენახა. ის პატარა, საკურორტო ქალაქი აღმოჩნდა, სადაც უამრავ დამსვენებელს მოეყარა თავი - გარეთ, ქუჩაში გამატარალ მაგიდებს შემოსხდომოდნენ და ყავასა და სხვადასხვა სასმელს შეეცქვიდნენ. იმათ მარაქაში ჩვენც გავერით და თითო დიდი ჭიქა ფორთოხლის წვენი დავლიეთ, რომელიც ბერძნის ბიჭმა, რაღაც კუსტარული მოწყობილობით, პირდაპირ ჩვენს თვალწინ გამონურა.

დავდიოდით ამ კომპნია ქალაქის ქუჩებში და გვაგონდებოდა გურიისა და აჭარის მოწყობელი, დანაგვიანებული სანაპირო, ქობულეთის გაძარცვული, გაპარტახებული დასასვენებელი სახლები, დანგრეული გზები...

სურსათის ერთ პატარა მაღაზიაში კოტემ ტკოლა მოიკითხა. მაღაზიის გამყიდველმა გოგომ, რომელსაც ღრმად ამოჭრილი გულისპირიდან მოსვინებულნი მკერდი მოუჩანდა, ჩვენს კოტეს თვალი დაადგა - ან მოეწონა, ანდა ძალიან მდიდარ ადამიანად მიიჩნია. ერთი სიტყვით, ზედ გადაჰყვა, ტეკილას ბოთლი და ლიმონები სულ სათითაოდ შეუხვია, პარკში ჩაულაგა და ქაღალდის ერთჯერადი ჭიქით მარილიც კი გამოატანა.

კარვის წინ ვივასშეთ, უკანასკნელ ღორსა და ყველს ბოლო მოვუღეთ, ზედ საზამთრო დაგაყოლეთ და დავიძინეთ. დილით ადრე ვიყავით ასადგომები, თურქეთის საზღვრამდე ბევრი აღარაფერი დაგვრჩენოდა.

ერთხელ, ამ ოცდაათი წლის წინათ, მე და გურამ დოჩანაშვილი ჩვენმა ბათუმელმა მეგობრებმა სარფში წავგიყვანეს. მაშინ იქ მოხვედრა დღევანდელითა ადვილი რაოდი იყო, რუსი მესაზღვრეები, საგანგებო საშვის გარეშე, სარფში კი არა, გონიოში არავის აჭაჭანებდნენ. ჩვენი გავლენიანი მეგობრების წყალობით ყველა "ზასტავა" დაუბრკოლებლად გავიარეთ და საზღვარზე მივედით, სადაც "ექსკურსიამპლოლად" ერთი რუსის მაიორი დაგვინიშნა. მან მავთულხლართებთან მიგვიყვანა და აგვისნა, რომ ამის იქით უკვე თურქეთის ტერიტორია იწყებოდა.

უკუსურებდით გაღმა ფერდობზე შეფენილ სახლებს, რომლებიც გამოღმა სახლებისგან არაფერი გამსხვავებოდნენ, უფრო მეტიც, როგორც ჩვენმა მაიორმა გვისჩანა, თურმე, იქითაც და აქეთაც. ერთი გვარის ხალხი ცხოვრობდა, ერთმანეთის ნათესავეები და მოკეთებები. თურმე, აქეთ რომ ქორნილი იმართებოდა, იქითურებიც ზეიმობდნენ, ხოლო როცა იქით ვინმე მოკვდებოდა, აქეთურებიც გლოვობდნენ - ქალები შავებს იცვამდნენ, ტიროდნენ და ლოყებს იხოკვადნენ.

- აქაურ კაცს რომ იქაურთან სტუმრად მისვლა მოუნდეს, რა უნდა ქნასო? - ჰკითხა გურამმა ჩვენს მაიორს.

- რა და ჯერ თბილისში უნდა ჩავიდეს, მერე მოსკოვში, სადაც შესაბამის საბუთებს გაუფორმებენ, იქიდან სტამბოლში უნდა გადაფრინდეს და ბოლოს, სარფში ჩამოვიდესო.

- ესე იგი, ჩამოვა, გამოიხედავს და თავის სახლს დაინახავსო? - ჰკითხა დოჩანაშვილმა.

- ტაკ ტონაო! - ისე უპასუხა მაიორმა, რომ არც კი გაღიებია.

დილით, ჩვეულებისამებრ, ადრე ავდექით, კარავი ავშაღეთ, ჩაებარგდით და დავიძარით.

პირველივე ადამიანი, ვინც თურქეთის ტერიტორიაზე შეგვხვდა, ქართველი აღმოჩნდა.

საზღვართან მანქანების რიგი გამართულიყო,

იქ ბაი უნდა გადაგვეხადა, მაგრამ თურქული ლირები არ გვექონდა და გუჯა ფულის გადასახურდავებლად გადავიდა. დავინახე, როგორ მივიდა იგი ერთი ტრაილერის შოფერთან, რაღაც ჰკითხა, მერე ხელი ჩამოართვა, ფული მისცა და ისიც სადღაც გაიტყა.

მანქანის სარკმელიდან თავი გადაეყავი:

- ვინ არი, გუჯა!
- ქართველია.
- თბილისელი?

- არა, კაცო, აქაური!

მე და კოტე მანქანიდან ჩავედით და ტრაილერის მძღოლს დაველოდეთ. ის სირბილით მოვიდა და გუჯას ლირები მოუტანა.

- ქართველი ხარ? - ვკითხე მე.
- ჰო, გურჯი. შენა?
- მეცა.

ხელი გამოგვიწოდა და ჯერ მე ჩამოვართვი, მერე კოტემ.

- რა გვარი ხარ.

- ოგანი. ალი მქვიან.

- ქართული გვარი არ გახსოვს?

- არა... - დაირცხვინა, - ნენემ იცოდა და მოკვდა.

- სადაური ხარ.

- ბურსა გაგიგია?

- როგორ არა!

- ჰო და, იქაური ვარ - მთებშია ჩვენი სოფელი.

- ძალიან გაგვიხარდა შენი ნახვა.

- მეც გამიხარდა, თქვენ დანახვაზე ცა გამეხსნა. ერთმანეთს დიდი ხნის უნახავი ნათესავეებით დავემშვიდობეთ და წამოვედით. მანქანაში ჩუმად ვისხედით - ყელში ხორკლიანი ბურთები გაგვჩროდა და ხმას ვერ ვიღებდით.

თურქეთის პირველივე სოფელში ვნახე ის, რასაც მთელს ევროპაში ამაოდ ვეძებდი. ეს იყო ფუნა - ყველა სახლის წინ მშობლობური ნესვის უზარმაზარი გორები იდგა!

- ნესვი, ნესვი! - ვყვიროდი მე.

მიხაროდა, რომ სამშობლოს ვუახლოვდებოდით.

გუჯას მობილურს რაღაც მოუვიდა და მესამე დღე იყო, რაც შინ აღარ დაგვერეკა, ამიტომ ერთ ფუნდუკში გადავუხვით. იქ მაშინვე ვიღაც შავი კაცი შემოგვეგება.

- ტელეფონ? - ვუთხარი მე.

- ტელეფონ იოხ. ჩაი!

- უკან შეისხი ეგ შენი ჩაი. ტელეფონ!

- ტელეფონ იოხ... - მიიწყინა თურქმა.

ჩაი კი მაინც დავლიეთ - პატარა, ნელში გამოყვანილი ჭიქებით მოგვართვის და ისე გვესიამოვნა, სამსამი ჭიქა გავხელით.

ამაზე ნათქვამი: "არ მინდამ სამი ჯამი მოტორაი".

დაახლოებით 200 კილომეტრი რომ გავიარეთ, გამოჩნდა ქალაქი, რომელსაც თურქები ისტამბულს ეძახიან, ბერძნები - კონსტანტინეპოლს, ხოლო ქართველს თუ შეგვითვისებ, როგორა ხარო, გიპასუხებს - სტამბოლის კათეჯითო, ამიტომ, მოდით, ჩვენც სტამბოლი დავეუქსათ.

მარმარილოს ზღვის სანაპიროზე და ბოსფორის სრუტის ორთავე ნაპირზე გაშენებული ეს თორმეტმილიონიანი მეგაპოლისი ისეთი სუფთა და განკრიალებული ქალაქი აღმოჩნდა, ავ თვალს არ ენახებოდა.

გვეშინოდა, რომ როგორც ყველა დიდ ქალაქში, მანქანის დაყენება აქაც ძალიან გაგვიჭირდებოდა, მაგრამ გუჯამ სადღაც შეუხვია, საიდანღაც გამოუხვია და ერთ სადღელამისო ავტოსადგომს მიადგა.

მანქანა საიმედოდ დავაბინავეთ და ქალაქის დასათვალიერებლად წავედით.

სტამბოლის ქუჩაში ქართველს ისევე სცნობენ, როგორც მოსკოვში ან პეტერბურგში.

- აი, გიურჯი, გიალ ბურია!

- ბიჩო, მოდი, პური ჩამოთ!

გვესმოდა ყოველი მხრიდან.

ათათურქის ბულვარზე, ერთ ბანკში, ჩვენი ფულის ნარჩენები თურქულ ლირებზე გადავასურდავეთ და ქუჩაში რომ გამოვედით, უკვე მილიონერები ვიყავით. რაღა ჩვენი კუპონები და რაღა ამათი ლირები!

ქუჩის კუთხეში ვიდექით და ფულებს ვითვლიდით, როცა აღტაცებული შეძახილი შემოგვეცმა:

- ოი, ნაში! - შორიახლოდან ორი რუსის ქალი მოგვეჩერებოდა.

- გრუზინი, ვი ოტკუდა!

- იზ გრუზიი.

- ესმისლე, იზ კაკოგო გოროდა...

- იზ ტბილისი.

- ა ვი ნა მაშინე?

- და.

- ა მოყნო, მი ს ვამი პოედიმ?

- ესაჟალენიუ, ნიეტ.

- ა პოჩეჟუ?

- ა პოტომუ.

ის მოძალადეები რომ მოვიშორეთ, ახლა ვიღაც თურქი გვეტაკა:

- გიურჯი, ბიჩო, მოდი, პური ჩამოთ!

ამ ცდუნებას კი ველარ გავუძელებით და მოპატივებს უკან გავყვით. მან ერთ დუქანში შეგვიყვანა, სადაც თორმეტ დოლარად ისე დავნაყრდით, მთელი დღე აღარ მოგვეშინია.

ვენეციაში ჩასული ყველა ტურისტი თუ სან მარ-



კოს მოედნისკენ მიემართება, სტამბოლში მათ აია-სოფიასკენ უჭირავთ გეზი და ამიტომ ჩვენც იქით გავეშურეთ...

ვერობიდან თურქეთში ჩასულ სულხან-საბას სტამბოლი არ მოსწონებია: "გამოვედით ხომალდი-დამ. კონსტანტინეპოლის სამი კუთხე შემოუარეთ. იქიდან კარგა გაესინჯეთ. ხომალდიდამაცა. დიდი ქალაქია და მრავალი შენობა, მაგრამ საფრანგეთიდან მოსულს აღარას მოგვეწონა. ოღონდ ადგილი მისთანა არსად არის, თვარა შენობა და სხვა რამე არად გვეყვება". მერე კი აღნიშნავს: "კონსტანტინეპოლის სიმგრგვლე არის ექვსი ევრი, რომელ არს თვრამეტი მილი"-ო. XVIII საუკუნის მსოფლიოში აშხელა ქალაქი ბევრი როდი იყო.

აია-სოფიასთან ასლოს ჯანდიდრმა თურქული "ფესკა" - შავფუნჯიანი ნითელი ქუდი შეიძინა, დაიხურა და ქობულეთამდე აღარც მოუხდია. სტამბოლის ქუჩებში ხალხი მას მონინებთი უთმობდა გზას, რადგან იმ ქუდისა და სათვალის წყალობით, ჩვენი კოტე, შუასაუკუნეების მუსლიმან სწავლულსა თუ ბრძენ ვარსკვლავთმრიცხველს დაემსგავსა.

ლამაზი შადრენებითა და ყვავილნარით დამშვენებულ ბაღში ვისხედით და აია-სოფიას გავცქეროდით. მზე საშუადღეოზე წამოსულიყო, ცხელი-და, მაგრამ თურქის ქალებს, ახალგაზრდებსაც და ხნიერებსაც, კოჭებამდე ჩაფართოებული, ნაცრისფერი კაბები ეცვათ, სახე კი იმავე ფერის ხილაბანდებით აუხვიათ, მაგრამ მალე დავირწმუნდით, რომ ეს ტრადიციული ტანსაცმელი ყველასთვის სავალდებულო როდი იყო - სტამბოლელი ლამაზმანების უმეტესობა ვერაშუღად გამოწყობილი დადიოდა და თბილისელი გოგოებივით ჭიპები იმათაც უჩანდათ.

აია-სოფია დაკვილი დაგვცვდა და გადავწყვიტეთ სულთან აშმედის მეჩეთში მაინც შევსულიყავით. მსახურებმა ფესკაცმელი კარებში დაგვატოვებინეს, შორტებზე გრძელი, მწვანე ფერის ფეშტამლები შემოგვავხვიეს და მეჩეთში ისე შეგვიშვეს. შიგნით გრილოდა, იატაკი ძვირფასი ხალიჩებით იყო მოფენილი და ზედ უამრავი უცხოელი ტურისტის ნაშოგორებულიყო. შეგშურდებოდა, ზოგი ისე ტუბილად ხვრინავდა.

მეჩეთის ერთ კუთხეში მოვიროხით ფეხი და მოზაიკით მოხატული კედლებისა და ჭერის თვალიერებას შევეუდექით.

მოშორებით მამა-შვილი ნამაზს ასრულებდა. კაცი ოცდათხუთმეტი წლის იქნებოდა, ბიჭი - ათისა. მამა რომ იატაკზე დაემხოებოდა და ხალიჩას შუბლს შეახებდა, შვილიც იჩოქებდა, ხოლო როცა კაცი ადგებოდა და სახეზე ხელისგულებს ჩამოისვამდა, პატარა ხელეოს ისიც ლოყებზე ითათუნებდა. მეჩეთის ღია კარიდან ნამდაღუნუმ იჭყიტებოდა ბიჭზე

ორი-სამი წლით უმცროსი გოგო, ძმას ემანჭებოდა და აცინებდა, ის ცდილობდა, დისთვის ყურადღება არ მიექცია, მაგრამ თვალზე მაინც იქით გაშურებოდა, გოგოს დანახვაზე ელიძებოდა და ამის გამო საკუთარ თავზე ბრანობდა.

მამა, რა თქმა უნდა, ყველაფერს ხედავდა, მაგრამ არ იძწნედა. ლოცვა რომ დაასრულეს, დაიხარა და, მაღლიერების ნიშნად, შვილს თავზე აკოცა. ამით გათამამებულმა ბიჭმა მამას რაღაც უთხრა, მან თავი დაუქცია და ბიჭი წავიდა, ხალიჩაზე წამოწოლილ ტურისტებს შორის გაიარა, გარეთ გავარდა და აკისკიებულ გოგოს გამოქნითო.

ამ სურათმა გული ამიოწყა, თვალზე ცრემლი მომგვარა და მამა-შვილის მიმართ უცნაური ნათესაობისა და ახლობლობის გრძნობა გამიჩნდა.

ბიჭის ნასვლის შემდეგ კაცი ადგილიდან არ დაძრულა, მეჩეთის კედელთან თვალმომლოწული იდგა და ეტყობოდა, ისევ ლოცულობდა. ვუყურებდი და მის მიმართ გულწრფელი პატივისცემისა და მოკრძალების გრძნობით ვიმსჭვავლებოდი - ამ კაცს მშურვალედ სწამდა ღმერთი, უნდოდა, საკუთარი ვაჟიც პატიოსან, ღვთისმოშიშ ადამიანად გაეზარდა და რა ჩემი საქმე იყო, რომელ აღმსარებლობას ეკუთვნოდა, რელიგიის რომელ მიმდინარეობას აღიარებდა.

ერთი ძველი ამბავი გამახსენდა...

1614 წელია... დავით-გარეჯის უდაბნოში, აღდგომის დიღაბელზე, ბერები ლიტანიობენ - ცისკრის ლოცვა უკვე აღუსრულებიათ და ახლა ანთეოზული სანთლებით, ხატებითა და ჯვრებით ხელში ეკლესიას გარშემო უფლიან... ამ სურათს თვალს ადევნებენ იქვე ასლოს ჩასაფრებული ყიზილბაშები. ეს ყარაიის ველზე დაბანაკებული შაჰ-აბასის ლაშქრის მხედრები არიან, რომლებიც აქ მათთვის უცხო და უცნაური რიტუალის სანახაოდ მოსულან. ცხენები მოშორებით მიუფარებიათ, თვითონ კლდეებში სხედან და ბერებს იქიდან უთვალთვალევენ... უყურებენ სანთლების შუქით განათებულ, ღვთის სიყვარულით გაცისკროვნებულ მათ სახეებს, მათ გაბრწყინებულ თვალებს და თანდათანობით საშინელი რისხვა ეუფლებათ, რადგან იციან, რომ არა არს ღმერთი, თვინიერ ალაჰისა და მუჰამედიას მისი მოციქული!

ანტონ პირველი კათალიკოსი წერს: "ზოლო რა იხილეს შორს მდგომარეთა, დამალულთა მათ ბარბაროსთა კრებული იგი საღმრთოი, ნარვიდეს მათ ზედა, ეკლესია გარეშეცევს და წმიდაი იგი კრებული უწყებულ ჰყვეს, ვითარმედ: ანუ დაუტყვევ ქრისტიანი, რომელსაც აღიარებთ, და მოსულნი სჯულისა-ღებისა მომართ მოციქულისა ჩვენისა დემეტრიდნეთ ჩუენთანა და ზავი ძმობითი ერთობაი და იგივეობაი ცხოვრებისა გუაქუნდინ ჩვენთა-

ნა. და უკეთუ არა ისინით ჩუენი, აჰა მახვილინი აღმოსდილინი ხელთა შინა ჩუენთა, რომელითა აღ-ისხნეთ, თვინიერ ერთისაცა თქუენგანისა გრძობოთა ცოცხალ ადრე"...

შეშინებულმა მლოცველებმა თავი ეკლესიას შე-აფარეს, მაგრამ "მაშინ შევიდეს უღმერთონი იგი მტარავალი ეკლესიად" და უიარალო ბერები ხმლებით აკუნეს. "მრავალნი მათგანნი მოსწყდნეს შინაგან წმიდისა ეკლესიისა, რომელნიმე წმიდათასა ეკლესიისასა შინა საკუთრხველსა და რომელნიმე დაჰკლნეს თვით წმიდასა ზედა ტრაპეზსა უწყალოდ"...

სულთან აჰმედის მეჩეთიდან რომ გამოვედით, მასხუერებმა ჩვენი ფესსაცმელები დაგვირგინეს, ფეშტალები ჩაიბარეს და დაგვემწეოდნენ.

სტამბოლიდან ისე როგორ უნდა წამოვსულიყავით, რომ დიდი ბაზარი არ გვენახა, ამიტომ ტრამვაიში ჩავსხედით და იქით გაწვიეთ. შევედით თუ არა, გასაყიდად გამოტანილმა უამრავმა და უზღვევამა საქონელმა გაგვაოგნა და თავბრუ დაგვახვია. ამასთან შედარებით, რიალტოს ბაზარი ელიავას ბაზრობად მოგაჩვენებოდა, თვალუნვედნელმა გვირახებმა და კატაკომბებმა კი სული ისე შეგვიხუთა, რომ იქიდან თავპრისმტერვეით გამოვცვივდით და გარეთ რომ გამოვედით, შვებით მაშინლა ამოვისუნთქეთ.

გვიწოდდა, რომ სტამბოლში ერთი ღამე მაინც გაგვეთია, მაგრამ სასტუმროს ფას ვერ შევწვდით, მოსალამოვებულზე მანქანას მივაკითხეთ, ჩავსხედით და წამოვედით. კარგად იყო შეღამებული, როცა ბოსფორის გასაოცარი ხიდი გადმოვიარეთ და აზიის კონტინენტზე შემოვედით. აქედან ბათუმამდე, სულ ცოტა, 1400 კილომეტრი უნდა გაგვეკლო.

სტამბოლიდან გამოდნევა ილიი საქმე როდია, ეს ისეთ გამოცდილ შტურმანსაც კი ვაუჭირდა, როგორც ჩვენი კოტე იყო - გზას ვცდით და ერთხანს სულ სხვა მიმართულებით ვიარეთ, მაგრამ, ბოლოს, კითხვა-კითხვით, როგორც იქნა, ანკარისაკენ მიმავალ ავტობანზე გავედით.

მოგდარიდით და ისე იმ ოხერ კემპინგს ვეძებდით, მაგრამ შუალაშე ისე გადავიდა, მის აღწოშენელ საგზაო ნიშანს ვერსად წავანყდით. ძილი გვერეოდა. ჩვენი თავი ჯანდაბას, გუჯა გვეცოდებოდა, რომელიც, მართალია, იხტიბარს არ იტყბდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ამხელა გზამ საშინლად დალალა და სიქა გააცალა.

გადაწყვიტეთ, ისევე სასტუმროში დაბინავებულიყავით და პირველივე მათგანთან გააქერდით. გუჯა და კოტე სასტუმროს ფოიეში შევიდნენ და ცოტა ხნის შემდეგ, იქიდან ასეთი ამბავი გამოიტანეს - 60 დოლარად ორსაწოლიანი ოთახს გვაძლევენ, სადაც მესამე საწოლსაც ჩავვიდგამენ.

ეგ იყო და ჩვენი საქმე!

მანქანიდან გადაბარგდით და ადმინისტრატორის მივადექით. მან აგვხედ-დაგვხედა, მერე მარჯის საათზე დაიხედა, რომელიც შუალამის სამის ნახევარს უჩვენებდა და თავხედურად გამოგვიცხადა - 60 კი არა 80 დოლარი უნდა გადამიხალოთ!

- კი მაგრამ, ხო მოვილაპარაკეთო? - ჰკითხა კოტემ.

- მოვილაპარაკეთ, მაგრამ სამოცად არ გამოვა, ოთხმოცი უნდაო! - თან თავისი გამოციებული თვალელებით უტიფრად გვიყურებს.

- სამოცდაათი რო მოგკეთო? - შეევაჭრა გუჯა.

- არაო, ოთხმოციო!

იცის, რომ სხვა გზა არა გვაქვს, დაღლილები ვართ და თანაც ძალიან გვეძინება. სამოცი კი თავიდან იმიტომა თქვა, რომ სასტუმროში შევეტყუებინეთ.

- შენი დედა, შენი მამა, შე ნაბოზარი თურქუმეთქი! - მოულოდნელად აგვივლდი მე.

გვრძობა, რომ სულელურად ვიქცევი, მაგრამ თავს ვეღარ ვიკავებ, ისე ვარ გაგიჟებული, ამას ერთი გემოზე თუ არ მოვედ, შეიძლება მეოთხე ინფარქტი ავიკილო!

კოტე და გუჯა მაკავებენ, გაკვირვებულები მომჩერებიან, ვერ ხვდებიან, რა მომივიდა, ასე უცებ რამ გადამრია.

მოულოდნელად დავინახე, რომ ფოიეში ორი ნაძინარევი ჯეელი შემოვიდა, რომლებსაც ქაბრებზე პისტოლეტები ეკიდათ. მოშორებით დადგნენ და დაგვიწყეს ყურება.

ახლალა მიხვდი, რა ხათაბალაშიც გავებო, მაგრამ ჩემი შეცდომა ისევე მე გამოვასწორე, კოტეს და გუჯას მივუბრუნე - თუ ძმა ხარ, წამოდი, ამით არაფერი გვინდა-მეთქი და სასტუმროს ფოიედან გამოვედი. ორივენი ხმისამოუღებლად გამოიყვნენ და მანქანაში რომ ჩავსხედით, მაშინვე სინდისის ქენჯნა ვიგრძინე - ამ საწყლებს ერთი სული ჰქონდათ, რომ ტანზე ცხელი წყალი გადაეცლიათ და დაეძინათ, მე კი რაღაც ოცი დოლარისთვის ასეთი აურზაური ავტყებ-მეთქი... კიდევ კარგი, იქვე ახლოს, სულ რამდენიმე კილომეტრში მეორე სასტუმროს მივაგენით, სადაც ორმოც დოლარად მშვენიერი სამსაწოლიანი ოთახი ვიქირავეთ.

თურმე დილის საუზმეც იმ ორმოც დოლარში შედიოდა და მერე როგორი საუზმე! ყველაფერი თავხესაყრელად მოგვიტანეს - ჩაი, ყავა, რამდენიმენაირი ყველი, კვერცხი, არაჟანი, ხილი და რა ვიცი, რა აღარ.

თურქეთში უგემრიელეს პურს აცხობენ და რო-



გორც ჩანს, ბლომად მოჰყავთ მარცვლეული კულტურები, განსაკუთრებით ხორბალი. გზაზე ხშირად გვხვდებოდა ოქროსფერი ნაწვერლები, სადაც უცნაურად დაგორგლილ-დახვეული ნაშვის ვეებერთელა ზეინები იდგა. სასტუმროებში, აქაც და სხვაგანაც, ყველამ მოეწყობა ეთნოგრაფიული კუთხეები, სადაც გამოეფინა: გუმბარი, უღლები, ქაწინები, კვერები, ფინლები და ძველი ყოფის ამსახველი სხვა ნივთები.

ამ ბოლო დროს საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში უამრავი კერძო სასტუმრო აშენდა, მაგრამ არზადაც არავის მოსდის, იქ ამგვარი კუთხე მოაწყოს, სტუმარს ჩვენი ქვეყნის უძველესი კულტურა გააცნოს და მისი წარსლის მიმართ ინტერესი გაუღვივოს. თუმცა, რომ მოინადინოს კიდევ, რას გახდება - სანთლითაც რომ ეძებოს, ერთ კვერს ველარსად იპოვნის. მოისპო და უკვალოდ გაქრა მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც გასულ საუკუნეში, ჩვენს სოფლებში, აქა-იქ ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი.

ამ ათი წლის წინათ, როცა სასწავლო ფილმ "ქართულ ანბანს" ვიღებდით, ხისფერსოიანი ურემი დაგვჭირდა, მაგრამ ვერსად ვიშოვნეთ, ფილმის რეჟისორს, ჩემს მეგობარ არმავ ბურნაძეს ვუთხარი - ნოსტემი ავიდეთ, მაგანიარი ურემი ბიძაჩემს უნდა ჰქონდეს-მეთქი. ორი მანქანით წავედი. არმავმა მთელი ფგუფი წამოიყვანა, ბარემ ის ურმიანი ეპიზოდი იქვე გადავიღოთო. ავედით ნოსტემი, მანქანა სოფლის ბოლოზე გავაჩერებინეთ და მე და არმავმა ბიძაჩემის სახლისკენ ფეხით გავწიეთ.

გოგა ხიზამბარელი, რომელსაც მთელი სოფელი "მღვდელს" ეძახდა, საბძელთან იჯდა და მზეს ეფიცებოდა. იმ დროს უკვე ისეთი მძიმე ავადმყოფი იყო, რომ არაფრის თავი აღარ ჰქონდა, მაგრამ ჩვენი დანახვა მინც ძალიან გაუხარდა და შინ შეგვიპატიჟა. არ შევეყვით. 1994 წელი იდგა, ხალხს უჭირდა, ბევრს საკუთარი ოჯახის გამოსაკვებადაც არაფერი გააჩნდა და ამიტომ მოვერდიეთ. მერე ურემი დავთავალიერეთ, მაგრამ იმასაც რკინის ბორბლები აღმოაჩნდა. ხის ფერსო მალაღია, იოლად ტყდება და წამდაუწუმ გამოცვლა უნდა, რკინისას კი რა მოუვა - ურემსაც მოინელებს და პატრონსაც.

- შინ შემოვით, კაცო, შინ შემოდითო! - ისევე ებოდა გოგა.

- არა, მღვდელი, ბევრნი ვართ, სხვა დროს იყოს-მეთქი...

- რამდენი ხართ, მინც რამდენიო!

შვიდნი ვართ-მეთქი.

- მოდით, კაცო, ყველანი მოიყვანეთო, არაყი ბევრი მაქვს, ყველი, პური და კეთილი გულიო!

არა ვქნით, დავემშვიდობეთ და წამოვედით,

მართლა შეიდ კაცს ხომ არ მივაყენებდით!  
 - იცოდეთ, მენყინება, აი, იცოდეთ, მენყინებო!  
 - განწირული ხმით მოგვძახდა საწყალი "მღვდელი".

ამის მერე არ გასულა რამდენიმე თვე, რომ გოგა ხიზამბარელი გარდაიცვალა...

მე ახლაც ყურში მინივის მისი ხმა, გულს მიწუსებს და სინდისი მქენჯნის, ვი იცის, როგორ უნდოდა საწყალს ჩვენთან საუბარი, გრძელი ზამთრისგან გაბეზრებულს სტუმარი როგორ ენატრებოდა...

როგორც თვითონ იცოდა ხოლმე თქმა, ერთი "ნაფორტალ-ნაბუნარი" კაცი იყო - ომის დროს გერმანელებმა დააბყვევეს და სახრეთ საფრანგეთში, ქალაქ ტულუზასთან გამართულ საკონცენტრაციო ბანაკში ჰყავდათ დამწყვედული. საბჭოთა ტყვეებს საქმელი აკლდათ, ხშირად ნაგავში კარტოვილის ნათაღს ეძებდნენ და იმას ხარშავდნენ, რომ შიშხილით სულელები არ ამოსძვრომოდათ, მაგრამ სწორედ ამის გამო მუცლის ტკივით ავადდებოდნენ და ბუზებით იხუცებოდნენ.

ფრანგი ფერმერები თურმე გერმანელებისგან ზოგჯერ მუშახელს ქირაობდნენ, რაშიც, ცხადია, სათანადო საფასურსაც იხდებდნენ. მისულა ერთხელ ვილაც კაცი და რამდენიმე ტყვე უთხოვია, თან უთქვამს -ვენახი მაქვს გასასლაგი, როგორც მითხრეს, ეს საქმე ქართველებს სცოდნიათ და ამიტომ იმათ წაიყვანო. გერმანელებსაც რა ენაღვლებოდათ, ტყვეებს შორის ათი ქართველი ამოურჩევიათ, მანქანაზე დაუსხამთ და ბადრატის თანხლებით გაუტანებიათ.

იმ ათ კაცში მოხვედრილა გოგაც.

მოიყვანეს თურმე ერთ თვალუნუნელო ზვარში და დაურიგეს სასხლავები. თითქმის საღამომდე ამუშავეს, მერე დასესეს ისევ მანქანაზე და ერთ ორსართულიან სახლს მიაციენეს. მასპინძლებს ბადრატისთვის იქვე, ეზოს ფანატურშივე გაუშლიათ კარგი პურ-მარილი საუკეთესო ძხვეულით, ლორთი და ლუფით. ტყვეები კი სათანადო ნებართვის შემდეგ, შინ შეუყვანიათ.

დახვდათ იქ ამ დაქიმითებულ ბიჭებს ისეთი სუფრა, რომ ჩიტის რძეც კი არ აკლია: ნიგვზიანი ფხალები და ამოლესილი ლობიო, მჭადი, ორ-სამნარი ყველი და ცივად მოხარშული დედლები, კუჭმაჭი და საუკეთესო თევზული, მოხარშული ბურვაკისა და ციკნის ხორცი, ნიორწყალში ჩალაგებული შემწვარი წინილები და, რაც მთავარია პური, სულ თონეში გამომცხვარი, გამტყიცული დედას პურები და ლავაშები!

დგანან თურმე გაოგნებულები, ასეთი ზღაპრული სიუხვით თავზარდაცემულები და თავი სიზმარში ჰგონიათ. ფრანგი მსახურები სულ

თვალეში შესცივინებენ, თავზიანად უღიმიან - დაბრძანდით, მიერთით, თავი ისე იგულვით, როგორც საკუთარ სახლებშიო!

მართლაც, დასდნენ და შეუდგნენ ჭამას. მსახურებმა კარგი წითელი ღვინო მიართვეს, თითო ჭიქა დალიეს და დანაყრებულებმა თვალებიდან რომ გამოიხედეს, სწორედ ამ დროს, გაიღო კარი, ოთახში ერთი ვიღაც დარბაისელი კაცი შემოვიდა და სტუმრებს ქართულად მისვალმა - მშვიდობა თქვენს მოსვალს!

ფეხზე წამოიზაღნენ და მსაპინძელს დაბნეულუბი მიაჩერდნენ.

- დასხედი, დასხედიო! - თქვა მან, თვითონ სუფრის თავში დაჯდა და მსახურმა რომ ღვინო დაუსხა, სასმისი ხელში აიღო, - გაგიმარჯვოთ, ამ გაჭირვებისთვის გაგეცლოთ, ღმერთმა სამშობლო გაჩვენოთ! - და ცოტა მოსვა.

ტყვეები პირაკანულები სხედან, აღარც ჭამენ და აღარც სვამენ, მსაპინძელს უნძოდ მიშტერებიან:

- რა იყოთ, კაცო, რა გაკვირვებულები მიყურებთო, - გაეცინა იმას, - განა უცხო ვარ, მეც თქვენსავით ქართველი ვარ, ჩემი მხრის ხალხი მომენტარა და აქ იმიტომ მოვიყვანეთო.

მერე ჩამოჭყვა და ყველას სათითაოდ გამოჰკითხა - ვინა ხართ, სადაურები ხარო.

ზოგმა ეს უთხრა, ზოგმა - ის, ბოლოს, გოგას ჯერიც დადგა:

- ნოსტელი ვარ, კასპის რაიონიდანო...

- რა გვარო.

- სიზამბარელიო.

- მამამენს რა ჰქვიაო.

- ილაო.

- გოგა ხარო, ბიჭოო?!

- გოგა ვარო? - გაჰკვირვებია მღვდელს.

- კაცო... მე გორგიჯანიძე ვარ, შენი ნათლია! გადაეხვივნენ თურმე ერთმანეთს.

ეს გორგიჯანიძე ყოფილა პაპაჩემის, ილა ხიზამბარელის ძმაკაცი, ბიძაჩემი 1918 წელს მოუნათლავს და 24 წლის აჯანყების დამარცხების შედეგ საფრანგეთში გამოქცეულა. აქ შოფრობა უსწავლია, ერთხანს, მარსელში ტაქსის მძღოლად უმუშავია, მერე ფრანგის ქალი შეურთავს და ტულუზაში დასახლებულა. შეუღებულ კაცი იყო, დიდი მამულე ბისა და ზერების პატრონი. საკონცენტრაციო ბანაკში ვიღაცას ქრთამი მისცა და ბიძაჩემი სამზარეულოში გადააყვანინა. გერმანელებმა რომ კუდი ამოიჭყეს და ტყვეები ბუდის ანაბარა დაყარეს, იმათგან ზოგი სამშობლოში დაბრუნდა, ზოგმა კიდევ ამერიკაში გამგზავრება გადაწყვიტა.

სამშობლო გოგასაც მონატრებოდა და ინევდა, მეც უნდა ნავიდეო, მაგრამ გორგიჯანიძეს დაუშვალა - სტალინი ტყვედ ყოფნას არავის აპატიებს

და ყველას დახვრეტსო.

- მაშინ ავდებები და ჩემს ამხანაგებს ამერიკაში მეც გაგყვებიო!

- ამერიკაში რაღა გინდა, ბიჭო, ფლავს კი არ არიგებენ იქაო! აბა, ყური დამიგდე, რა გითხრაო: მე ხო მიყურებ, შვილო, რო ჩემი წილი ქვაცა მაქვს და კაკალიც, მაგრამ ქალი ბერნი გამომადგა, შვილი არ გაუწნდა და ეს ამოდენი ქონება რაღა ვიღაც ოხერსა და მამამაღლს დარჩეს, მოდი, გიშვილებ, ამ სიბერეში გვერთად დამიდექი და ყველაფერს შენ დაგვიტოვებო.

გორგიჯანიძემ დანაპირები შეასრულა - ნათლული შვილად აიყვანა და ანდერძი დაწერა, რომლითაც მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას მას უტოვებდა. მაგრამ ატყობდა, რომ გოგას მანაც სამშობლოსკენ ებრციებოდა თვალები. ამიტომ ასეთი რამე მოიფიქრა: ერთი კარგი ძმაკაცი ჰყავდა, ჟან ლეფლოი, რესტორნების პატრონი, ტულუზაში იმისთანა მდიდარი კაცი მეორე არ დადიოდა, მაგრამ ერთადერთი ქალიშვილის მეტი არავინ ებადა.

სწორედ იმ ლეფლოს შეუწნდა:

- კაცო, ხო უყურებ, რო დავებრდით, ორ-ორი პარასკევილა დაგვრჩენია, მოდი, ეს შენი გოგო ჩემი შვილობილი შევაუღლოთ და ჩვენ რო აღარ ვიქნებით, რა გინდა, ორთავებს ქონება ერთ ოჯახში დარჩებათო.

ლეფლოს გორგიჯანიძის ნათქვამი ჭკუაში უფედებოდა, მაგრამ მანაც შორს ეჭირა, ალბათ ფიქრობდა, ეს ერთადერთი შვილი ამ ვიღაც გადამთიფის ხელს როგორ ჩავუტელო.

ყოყმანი რომ შეატყყო, გორგიჯანიძემ ლეფლოს მეორე ფრონტი გაუსხნა - შვილობილი მის ქალიშვილზე, თვრამეტი წლის ნიკოლზე დაგემა და, მართლაც, ასეთმა სტრატეგიამ, ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა - ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ გოგამ მამობილს ფრანგული ცინე-სიმაგროს გასაღები ჩააბარა. ჟან ლეფლომა უკანასკნელად გაიბრძოლა - მაშინ, ჩემთან უნდა იცხოვრონო და რაღას იზამდა, გოგაც იმათა გადაბარგდა.

ომი ახალი დამთავრებული იყო, ცხოვრება ნელ-ნელა იწყებდა გამოცოცხლებას. გოგა ფრანგულს სწავლობდა, ენას იტყნდა. დადიოდნენ სინემაში, კაფეებსა და საცეკვაო მოედნებზე. ნიკოლი მას თავის მეგობრებს აცნობდა და ისიც თანდათანობით ეჩვეოდა ახალ ცხოვრებას.

თაფლობის თვე მალე გაილია და ერთ დღესაც ლეფლომა სიძე კანტორაში დაიბარა - აბა, რა იცი, რა ხელობის კაცი ხარო!

რა უნდა სკოდნოდა, ერთი ტლუ ბიჭი იყო, სოფელში ბარისა და თოხის მეტი რა უნდა ესწავლა, მაგრამ გაახსენდა, რომ ბოლო დროს, საკონცენტრაციო ბანაკში, მზარეულს ენმარებოდა და უპასუ-



ხა - ხორცის დაჭრა მეხერხებაო.

ძალიან კარგით, - ლეფოლმა, - კარგი ხელობა გცოდნიაო და თავის ერთ-ერთ რესტორანში მზარეულის თანამშენებელად გაამწესა. გავიდა ხანი და სულ მალე ისეთი მარიღვითი გამოიჩინა, ისეთი გემრიელი კერძების დამზადება ისწავლა, რომ სიმამრმა წლის თავზე მზარეულად დააინიშურა.

ერთხელაც, სამზარეულოში რომ საქმიანობდა, რესტორნის დარბაზიდან ქართული სიმღერა შემოესმა, გაიხედა და თავისი ამხანაგები დაინახა, რომლებიც ამერიკიდან ჩამობრუნებულიყვნენ. გახარებულმა ბიჭებს სულ სათავითაო საქმელ-სასმელი მიართვეს, თვითონაც გვერდით მიუჯდა და "გაფრინდი, შავო მერცხალო" წამოიწყო. სუფრასთან ვიღაც უცხო, სწიერი კაცი იჯდა, რომელიც გოგას შუბლმუკრული მისიერებოდა და როცა იმან სიმღერა დაამთავრა, ჰკითხა:

- სიმღერა კარგი გცოდნია, მაგრამ ეს ქართველი კაცი აქ რას აკეთებ?
- ცოლი შევირთე, ოჯახი შევექმენო...
- მერე, შე კი კაცო, დედაშენი დღე და ღამ შენს გზას გამოსცქერის და რა გაძლებინებს აქაო!
- გოგამ ამხანაგებს გადახედა.
- ხო, ვერაო, ჩვენ დილაზე მივდივართო... - უთხრეს იმათაც.

აუჭიროლდა სანყალს გული, თან ის კაციც ცეცხლზე ნავის უსხამდა:

- აბა, ჩემო გიორგიო, იქ შენი სამშობლო გელოდებო, ადექი და წამოდი, რას შესცქერის ამით ხელემშიო!

დილაბნელზე გოგა ცოლს ლოგინიდან გამოუძვრა, ტანისამოსი ილიაში ამოიწარა, გარეთ გამოიღიანა და იქ ჩაიცვა. მერე ვაგზალში გავიდა, მატარებელში ჩაჯდა და ამხანაგებთან ერთად სამშობლოსკენ გამოსწია. აქ, რა თქმა უნდა, დაიჭირეს და გააციმიბირეს, მაგრამ გზიდან გაიქცა და ექვს წელიწადს გროზნოში იმალებოდა. საქართველოში სტალინის სიკვდილის მერედა ჩამოვიდა.

სიბერეში კარბზინ გამართულ სკამზე იჯდა ხოლმე და დარდობდა - რა ვუთხრა, რა პასუხი გავცე გორგვიანიძეს საიქიოშიო. როცა ჰკითხავდნენ, რასა იქ, მღვდელი, როგორა ხარო, სინანულით მიუგებდა:

- აბა, რაღა როგორა ვარ, ჩემი საქმე ისეა, ღორის თავი რა ხალიჩაზე დადეს, იმან კი იგორა, იგორა და ბოლოს, ნოსტის ნესვში ჩაგორდაო...

სიკვდილის წინ დაებარებინა, სასაფლაოზე არ ამიტანოთ, კოშკის გადმოსწვრივ, გორის ძირში რო ერთი კარგი მღვდელი, იქ დამარხეთო. ეს ანდერძი შეილება პირნათლად შეუსრულეს.

ანკარის ავტობანი მარჯვნივ მოვიტოვეთ და საშუაისსაკენ მიმავალ გზას დავადექით. თურქეთის

ნაყოფიერ ველებზე მივქროდით. იქ, როგორც უკვე ვთქვი, ძირითადად მარცვლეული კულტურები მოჰყავთ, მაგრამ ხშირად გვხვდებოდა პამიდო. ნათესებიც, სადაც სარწყავი სისტემა, მინის დამუშავება და მოსავლის აღება მთლიანად მექანიზებული იყო - პამიდურის მწკრივებში კომბაინის მსგავსი რალაც პატარა მანქანები. დადიოდნენ, ბარდებს ძირიანად თხრიდნენ, ხის ყუთებში ბერტყავდნენ და მნიფე ნაყოფს აყრივინებდნენ. აქა-იქ გვხვდებოდა შედარებით პატარა ნაკვეთებიც, სადაც ხილბანდით პირასვეული ქალები ჯერ ისევ მამა-პაპური თოხითა და ბართ მუშაობდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მინც აშკარა იყო, რომ თურქეთს ფართოდ გაეღო კარი ევროპული კულტურისა და შრომის თანამედროვე ტექნოლოგიებისათვის, ავგავების გზაზე დამდგარიყო და თანდათანობით ცივილიზებულ ქვეყანას ემსგავსებოდა.

ერთი ჩვენებური გალესის ნათქვამი გამახსენდა: "კარგი და მინა მომცეს, მერე? დამუშავება ხო უნდა: მოხენა, დაფარცხვა, დათესვა, გათოხნა... ტრაქტორი არ არი, სანავი არ არი... სანავეს იშოვნე, სასუქი არ არი. სასუქი არი - შმაქმიმიკატი არ არი. რად მინდა ეგეთი მინა!" და რადგან არ უნდა, ჩვენი ისედაც მცირე სავარგულები თითქმის თხუთმეტი წელია, რაც ცდება.

არ ვვარგებულვართ, არაო! - გაისმის სოფლად თუ ქალაქად, - ეს რა ხალხი ვყოფილვართო. ძმა ძმას აღარ ინდობსო. ყველანი გავკრა-გავგლეჯვაზე ვართ, ქვეყანა ფეხებზე გვკიდიაო. რა გასაჩენი იყო ჩვენწარი ხალხი - უსაქმურები, სულთუყურები, თითზე თითს არ დავადებთ, საჩვენო თუ არ ურევიაო. მარტო ლაპარაკი ვიცით, საქმე არაო.

ამისი მთქმელი თვითონ არ ატოკებს ხელს და სხვას აუნათებს, სხვას ემურმურება, სხვისი ხელით უნდა ნარის გლეჯა. ამნარმა ლაპარაკმა მართლა დაგვადამბლავა, ყველაფერზე ხელი ჩაგვაქნევინა. ზოგს ამერიკისკენ გვებრძობება თვალენი, ზოგს ევროპისკენ და ზოგსაც რუსეთისკენ. ველოდებით, აი, მოვლენ და მოგვეპატრონებიანო. ვინ მოვა, რატომ მოვა, ჩვენს სასიკეთოდ რატომ შეგვეწევა?! თუკი მართლა გამოგვიჩნდა ვინმე გულმემატკივარი და სამონყალოდ რამე გადმოგვიცდო, ისეთი ზედახორა დადგება, მეორედ მოსვლა გეგონება - კაცი კაცს აღარ ინდობს, პარტია პარტიას აღარ ინდობს. ტელევიზორის ეკრანიდან უკვირებენ ერთმანეთს - შენ მეტი შეგხვდა და მე ნაკლებიო! რაღას არ ამბობენ, რაღას არ კადრულობენ და ამ ლანძღვა-გინებას, ცილისწამებასა და დედ-მამის სულის ტრიალს პოლიტიკურ ბრძოლას ეძახიან. რას იზამ, პოლიტიკაში ყველა ხერხი მისაღება, გამარჯვებულს არ ასამართლებენო. ისე დაუმშვენდათ ცხვირიო კინაღამ წამოცედა, ამ სიმაღ-

თლით იარონ-მეთქი. აკი, მართლაც ამ სიმართლით დადიან და ქვეყანასაც ხარის ტყავივით თან დაათრევენ - გასწევენ და გამოსწევენ, გასწევენ და გამოსწევენ. ამ განეგ-გამონეგეაში იგლოჯება ეს ტყავი, იფლითება და გზაში ეკარგებათ ნაფლეთები, ტურებსა და ყვავ-ყორანს აძლობენ, იმათ ასუქებენ. აღარც შიში იციან და აღარც სირცხვილი. ან ვილასი უნდა რცხვენოდეთ, ვილასი უნდა ეშინოდეთ, როცა ყველა მათ შენატრის, ყველას მათ ადგილზე უნდა ყოფნა. ბავშვს რომ ჰკითხო, ვინ გინდა გამოხვიდეთ, არც კი დაფიქრდება, ისე გიპასუხებს - პოლიტიკოსიო, პოლიტიკოსი უნდა გამოვიდეთ!

ერთხელ, ერთ ინტერვიუში ვთქვი: ჩენი ხელი-სუფლება საკუთარ ხალხს ისე ექცევა, როგორც დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობას-მეთქი და მეორე დღესვე ერთი ჩემი ახლობელი მომიგზავნეს - რა იყო, რამ გაგაცოფავო.

თქვე კაი ხალხო, სვავი რო სვავია, იმან იცის - სანამ ძვალს უკან არ მიიზომებს, არ გადაყლაპავს და თქვენ რაღა მოგივიდათ, რატომ გგონიათ, რომ ყველაფერი შეგარჩებათ-მეთქი.

ერთი ამხედ-დამხედა და მაშინვე გამეცალა... სამსუფში არ შევჩერებულვართ, გზა განავარდით და ქალაქ ორდუს მისადგომებთან ერთ სასტუმროში დავბინავდით, რომლის შესასვლელთან თურქეთის, გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და აზერბაიჯანის დროშების გვერდით ჩენი დროშაც იყო გამოკიდებული.

სასტუმრო ზღვისპირზე იდგა. მის მშენებრად მოვილი ბაღში ვივასშმეთ და ადრე დავიძინეთ. ჩენი ვარაუდით, ზვალ ამ დროს უკვე ქობულეთში უნდა ვყოფილიყავით.

დღით ადრე გამოვეგზავრეთ, ქალაქს გამოვცდით და ბენზინის ასალებად ერთ ფუნდუკში გადავუხვიეთ. წინ ვილაც ახალგაზრდა კაცი შემოგვეგება და ხელით გვანიშნა - აქეთ, აქეთ მოდიეთო! თავიდან ვერ მივხვდით, რა უნდოდა, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ მანქანების მრეცხავი ყოფილიყო და მუშტარს ეძებდა.

სანამ გუფა ბენზინს ასხამდა, მე და კოტე მანქანიდან გადმოვედით და მუხლი გავმართეთ. ის კაცი ღიმილით მოგვიახლოვდა:

- გურჯები ხართ?

- ხო.

- გამარჯვება! - გვითხრა და ორივეს ხელი ჩამოგვართვა. - სადაური ხართ.

- თბილისელები. შენა?

- აქაური. აგე, იმ მთებშია ჩემი სოფელი. შუქრი მქვია.

მალე გუფაც მოვიდა.

- ესეც თიფლისიდან არი?

- ხო. როგორ მიხვდი, რო ქართველები ვიყავით.

- გულით გიცანით.

ვილაც ორი ახალგაზრდა მოვიდა, დადგნენ და ისინიც ღიმილით მოგვაჩერდნენ.

- ესენი ჩემი ყონალები არიან, - გვითხრა შუქრიმ, - ეს ყადირაა, ეს კიდე, მუნჯი.

- როგორ, მუნჯი.

- მუნჯია, ლაპარაკი არ იცის.

- ქართველია?

- არა, ბოლოკი.

- ბოლოკი?!

- ხო, ჩვენ თურქებს ბოლოკს ვეძახით.

- რათა?!

- ნითელი ქუდი უყვართ, - გაიცინა შუქრიმ.

ყადირამ რაღაც ჰკითხა და ჩვენზე ანიშნა.

- რაო?

- გურჯები და ლაზები ხსიმიები ხართო?

- ხო, ხსიმიები ვართ.

როცა შუქრიმ ჩემი ნათქვამი გადაუთარგმნა, ყადირა სადღაც წავიდა და ჩაი მოგვიტანა.

- ლაზია? - ვკითხე შუქრის.

- არა, ესეც ბოლოკია, მაგრამ ლაზის ქალი ყავს.

- ჩენი სიძე ყოფილა.

- მე ფარას ვაგროვებ, თიფლისში უნდა ჩამოვიდე და ვნახო... ბათუმიც მინდა.

- მისამართს დაგიტოვებ. - უთხრა კოტემ.

- ტელეფონიც მითხარი, რო ჩამოვალ, დაგიჩვენებ.

კოტემ მანქანიდან ბლოკნოტი მოიტანა და ჩენი მისამართები ჯერ ინგლისურად დაუნერა, მეორე კი ქართულად.

შუქრიმ ქალაღლი გამოართვა და დახედა.

- ეს ქართული აღფავიტია?

- ხო. არ იცი ქართული კითხვა?

- არა, საიდან... - ქალაღლი გულში ჩაიკრა და ჩახრინწული ხმით თქვა, - ნეტა, ეს მასწავლა და მეტი არაფერი მინდა!

- ჩამოდი და გასწავლი. - უთხრა კოტემ.

მასწავლებლს დავემშვიდობეთ, წამოვედით და ორი საათის შემდეგ უკვე ტრაპიზონში ვიყავით, რომელსაც თურქები "ტრაპზონს" ეძახიან. ამისთანა ლაზია ქალაქი მთელი შავი ზღვის სანაპიროზე არსად შეგხვდებოდა. მისი თეთრი, მრავალსართულიანი ქათქათა სახლები ლურჯი ზღვის პირას, მწვანე ფერდობზეა შეფენილი და ფერთა ეს გამაშორიდან საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს. მანქანა მინისქვეშა სადგომში დავაბნავეთ და ქალაქში გავიარეთ.

ერთ მალაზიაში ახალგაზრდა ლაზი გამოგველაპარაკა, ჯერ თავისი საქონელი გვაჩვენა, მერე წამოგვეყვდა და სხვა მალაზიებიც მოგვატარა, მაგრამ მალე შეგვატყყო, რომ ქქსეტად ვიყავით და



ჩვენს მიმართ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა.

ამასობაში სადილობის დროც მოსულიყო, გინდოდა, სადმე კარგი ცხერის მწვადე გვეჭამა და იმ ლაზმა ერთი სამწვადე მიგვასწავლა.

ტრაპიზონში დიდხანს აღარ გაჟერებულვართ, რალაც გვეწოდა და საქართველოსკენ მოგვაჩქარებდა.

კარგად იყო შედამებული, როცა სარფში მოვედი.

საბაჟოზე გუჯამ მანქანა გააჩერა და ადმინისტრაციულ შენობაში შევიდა.

ჩვევსებდვართ და ველოდებით. ვიცით, რომ შეიძლება აქ დილაღვე გვაყურყუტონ, ამიტომ, ვცდილობთ ამ აზრს როგორმე შევევლოთ და წერვებს არ ავყევთ.

გუჯა ათი წუთის შემდეგ გამოჩნდა, უკან ორი კაცი მოსდევდა, ერთი, დაახლოებით, 50 კილო იქნებოდა, მეორე - სულ ცოტა - 180. ის ასოთხმოცკილოანი მოვიდა, ძლივს დაიხარა, მანქანის სარკმელში ქოშინით შემოისხვდა და მე და კოტეს ზრდილობიანად მოგვესალმა - კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანებაო! მერე ორმოცდაათკილოიანს მიუბრუნდა და უბრძანა: გამოართვი ბატონ ელგუჯას საბუთები და ყველაფერი სწრაფად გაუკეთეო! ბოლოს დაგვეშვიდობა და ისე წავიდა, მადლობის თქმაც კი ვერ მოვასწარი.

გუჯას გამოშტერებული სახეებით შევეყურებდით, მაგრამ ის, ვითომც არაფერიო, მანქანაში უხმოდ ჩაჯდა და მაგნიტოფონი ჩართო.

გზედვადით, როგორ დარბოდა ის ორმოცდაათკილოიანი: ხან ერთ ოთახში შევარდებოდა, ხან მეორეში და თან ჩვენს ქალაღდებს დააფრიალებდა.

- რა უთხარი, კაცო, ეგეთი - ველარ მოითმინა კოტემ.

- არაფერი, რა უნდა მეთქვა.  
- კარგი ეხლა, ნუ მაიმუნობ!

გუჯამ ახლა კი ველარ შეიკავა თავი და გაცინა.

- თქვი, რა უთხარი.

- ქართველი მწერლები მომყავს და, აბა, თქვენ იცით, თავი არ შეირცხვინოთ-მეთქი.

- ვინ მწერლები, კაცო?!

- ვინა და თქვენა - ჯანდიერი და შატაიძე!

- მაიცა, თუ ძმა ხარ... და მერე, მაგან გაჭრა?!

- ხო, რა იყო, მაგისთვის სულ ერთია ნუგზარ შატაიძე და დავით კლდიაშვილი, არც ერთი არ წაუკითხავს.

ისეთი ხარხარი აგვიცყდა, რომ გუჯა სულ პირზე ხელს გვაფარებდა.

მანქანიდან მარტო ერთხელ გადავედით, როცა საკუთარი პასპორტები უნდა წარგვედგინა, მერე იმ ორმოცდაათკილოიანმა გვანიშნა, უკან გამომეყ-

ვითო და თვითონ წინ სირბილით გაგვიძღვრა რკინის ჭიშკარს რომ მივადექით, ჯისურვიანსა მი პოლიციელი გამოგვივარდა და ისეთი წიგნიკივილი ატყეს, კინაღამ გულები დაგვიხვთქეს:

- გადააყენე მანქანა გადააყენე!  
- გაულეთ, ბიჭო, დროზე გაულეთ... - საიდუმლო სმით ეუბნებოდა მათ ჩვენი ორმოცდაათკილოიანი.

- რატო, ძმაო, რატო გავულო, ვინ არიან! - აყვირდა ერთ-ერთი მათგანი.

- კაცო, გაულე და რო წავლენ, გეტყვი...

ბოლოს რკინის ჭიშკარი მართლაც გაიღო. გუჯამ პირველში ჩააგდო, გახს მიანვა, მანქანა დაძრა და საქართველოში შემოვედით!

გამოვიარეთ სარფი, კვარიათი, გონიოს ციხის შვე კედლებსაც გამოვცდით და გუჯამ თავისი მობილური მოიკითხა.

ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ვერ ვიპოვნეთ - ვილაცას აენწაპა.

როგორც ჩანდა, მანქანიდან მაშინ აგვაცალეს, პასპორტების საჩვენებლად რომ გადავედით...

უხმოდ ვისხედით და ჩვენს საფიქრალს ჩუმად ვფიქრობდით.


მე რატომღაც ეს სიტყვები ამეკვიატა და ველარ მოვიშორე: "კაპიკი გაკაპიკებულა, საკაპიკეში ჩაკაპიკებულა... კაპიკი გაკაპიკებულა, საკაპიკეში ჩაკაპიკებულა... კაპიკი გაკაპიკებულა..."

უკვე სამშობლოში ვიყავით.


ღამის თორმეტი საათი სრულდებოდა.

ირგვლივ საშინელი წყვიდაი ჩამოწოლილიყო.

2003 წ.



# შავი პეკლეზის სერენადა



კაცი იფიქრებდა, აშოტ ბალოიანი იმიტომ დაიბადა, რომ ცოლი მოეყვანა, სამი წლის მერე მოეკლა, სამი წელიც ციხეში მჯდარიყო, მერე მოპარული ფულით რატომღაც პაინიო "პეტროფი" ეყიდა და მაშინვე ლოგინად ჩავარდნილიყო. აგერ ოცდამეერთე წელი გადიოდა სანოლიდან თავისით აღარ წამომდგარა აშოტა. იტალიურ ეზოში დაბალ "ბელეტაუზე" ჰქონდა ოთახი. წამოსვამდნენ ძველებურ, მონიკელებულ "კრაოტზე", უკან პრიალა, ატლასის ბალიშებს ამოუდებდნენ... გასცქეროდა ეზოს. "კუკლასავითა" ვარ რა" - გაიფიქრებდა ბალოიანი, რადგან ლაპარაკი უჭირდა. ძალიან უნდა ალეღვებულიყო, რომ დაძაბულ რამდენიმე სიტყვის გადაბმულად თქმა მოეხერხებინა. ბალიშებზე კი შვილიშვილები კლარისა და ქეთევანი წამოსვამდნენ ხოლმე. არა მარტო წამოსვამდნენ, მოსაშარდად მანენის ნახევაროღორთანაც უტოვებდნენ. ხანდახან დაავიწყდებოდათ... აი, მაშინ უნდა გქმინათ აშოტ ბალოიანის განთქმული სამსართულიანებისთვის ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე. სომხურად ხო დაიწყებდა და დაიწყებდა, მერე ქართულზე გადადიოდა, თათრული გინებაც თავიკარად იცოდა, მაგრამ ამ ენას ყარაბახის პრობლემის გამო, პატივს აღარა სცემდა, ბოლოს რუსულად დააბოლოებდა. ეს კი შედეგრი იყო. თბილისურ გინებას რუსული ინტერპეტაციით სულ სხვა ეშვი ჰქონდა ბალოიანის თვალში, კაცი იფიქრებდა აშოტა "ბისზე" გამოდიხო. არა, რუსული კარგად იცოდა. ციხე - ცხონებული სუსანა ალბერტოვნა სწორედ რუსეთში, კრასნოდარის მხარეში შემოკვდომოდა დენით. "შემოკვდომა" მოსამართლემ არ დაუჯერა და მაშინ... ეჰ... პირველად ჩასვეს. კარგი იყო სამხრეთ რუსეთის ციხე. რომ გეკითხათ, რუსულად ლაპარაკი არც დასჭირვებია. სუ აქაურები ისდნენ - ქურდებიც და დანარჩენებიც, რუსული მერე, ჩასახლებამი ვისწავლეო, ამბობდა. იმ ციხის შემდეგ საინტერესო აღარაფერი გადახდენია ცხოვრებაში, არც იმდენი ხალხი გაუცვნია. აი, ახლაც დახუჭავს თუ არა თვალებს, მაშინვე იქ არის... ანეკდოტებს ყვებიან... "ჩაი, ჩეფირი, სალა და "კილაკა"... "შოკოლადნი კარაქი..." პაპიროზი რა გემო ჰქონდა... კლარისას ვეტყვი მოიტანოს... ჯიგრიანია. ქეთევანი თავისი ტრაკის იქით არაფერს უყურებს", - ქართულად წვალეებით ფიქრობდა მოგონებებში გადავარდნილი აშოტა. მერე ზონაში გაუშვეს, მერე ჩასახლება, რამე და ბოლოს სულაც გამოუშვეს. არმაეირში

ნათესავებთან მიბარებული ქალიშვილი სვეტლანა წამოიყვანა და თავის მარტოხელა დასთან, გოშარ ბალოიანთან გამოსწია თბილისში. სვეტლანაც იმან გაუზარდა. გამოსაშვები საღაოსთვის კარგი კაბა უყიდა და ბანკეტზეც გაუშვა. იმ ბანკეტიდან ოთხი წლის მერე დაბრუნდა სვეტლანა ცალი ჩემოდნით, ერთი თუთიყუშებით მოქარგული აბაჟურიანი ლამპით და ორიც ბავშვით, აი, იმეებით, ახლა რო აშოტას ატლასის ბალიშებზე სვამენ და ხანდახან მანენის ნახევაროღორიანი რო ავიწყებბათ. მანამდე მხოლოდ ღია ბარათებს აგზავნიდა. დაბრუნდა კი იმიტომ, რომ ორივე ქმარს გაყროდა თუ გაქცეოდა - პირველი ბერძენი ჰყავდა - ომარ აქსოპულოსი თუ ტაქსოპულოსი, სამოქალაქო ავიაციის არშემდგარი პილოტი, მეორე კი ქართველი, პაინიოების ამწყობი სლაფა მესამიშვილი. "ხაშიშ... რაო?! - დავკითხა ატირებულ სვეტლანას გაცოფებული ბალოიანი, - მეტასახელია?" "მესამიშვილი, - ამოისლუკუნა ქალიშვილმა, - გვარია. მაგრამ გალოთდა... ისე გალოთდა, რო თავის ბავშვს ომარას ბავშვისგან ველარ არჩევადა. კარგი, შენი რამდენიც გინდა სცემე, სხვისი ბავშვისგან რა გინდა? შენი ხომ არ არის - ომ-



არასია!" დაცხა და, ეგ ომარაა თუ ჩემი ფეხები... მოკვდა?" ისევ ასლუკუნდა სვეტლანა, შავი ტუში თვალებიდან ნიკაპზე ჩამოსდიოდა, ნიკაპამდე ძალიან წითელი პომადის ნარჩენებს მოიყოლებდა და... "ფრანკენშტეინი ხარ რა სუფთა! - ილიაბა ამოტამ, - გადი, პირი დაიბანე, მერე მელაპარაკე... აგე ბავშვიც გაჩემდეს, თორე სულ ფანჯრიდან..." აქ ბალიანს გაასხენდა, რომ პირის დასაბანი ონკანი ეზოში იყო, და რო სვეტლანას ყველა ეგრევე დაინახავდა, არ ივარგებდა. "კარგი... მერე დაიბანე, რო დაღამდება... რა მოუვიდა იმ დამბალ ომარას? თავის "სამალოტში" ჩაჯდა და გაფორინდა?" "სამალოტამდე ვინ მიუშვა?" - რაღაც ძალიან ქართულად შეიცხადა სვეტლანამ, ლოყაზე ხელი იტყვიდა და ცოტა ჩამოიკანრა კიდევ. "ჰაა! - ნარბი ასნია ამოტამ, - ეგეთები არ დამანახო!" "ეგეც გალოთდა, ისე გალოთდა, რო გამოცდაზეც არ გაუშვეს... ეგრევე გამოავდეს, მშენებლობაზე ცოტა ხანს ცემენტს ათრეყდა, თან სვამდა, სვამდა... მერე "პრარაბმაც" ძალიან სცემა ლოთობისთვის, სლავამ. სლავა მაშინ კარგი ბიჭი იყო..." "სლავა? აბა, პიანინოები აწყობსო?" "მესამიშვილი მაშინ "პრარაბი" იყო. პიანინოები მერე აწყობდა, რო გალოთდა. ძალიან სცემა და ცოლად მომიყვანა კიდევ, მაგრამ მერე ისიც ადგა და... ეეჰ..." სვეტლანამ თავი ჩაჰკოდა, წვეტიან ცხვირზე დაევიდა ტუშიანი ცრემლი, მერე მოსწყდა და ამოტას ბალიშზე დაეცა. უცებ ძალიან შეეცოდა გოგო, შვილი იყო, ბოლო-ბოლო, და ყველაფერი აპატივა, ხმაც არ ამოუღია ისე. აი, ასე დაბრუნდა სვეტლანა ბანკეტიდან. მოდელების სახლში დაინკო მუშაობა, ფულსაც შოულობდა თითქოს. გოგოები სკოლაში დადიოდნენ - ბერძენიც და ქართველიც. ბავშვებს ამოტას და უფელიდა. მაგრამ ერთხელ გოჰარა ორთქლის აბანოში წავიდა, იბანავა, მერე, სანამ ბართაშვილის აღმართს ამოათავებდა, გაცივდა... "მა რა იქნებოდა, იანვარები იყო!" გაცივდა და მოკვდა. გოგოები მერევე კლასიდან საცირკო-სასეტრადო სასწავლებელში გადაიყვანეს, ოღონდ დამბლისაგან თითქმის დამუნჯებულ ამოტას დიდხანს უშალავდნენ ამას.

"ვაჰ, ის ტანც-კლასი დაინვა!" - გულში ღრიალებდა ბალიანი - ცირკანები და შანსონეტები... ჩათლახები და მატრახებები... მე ვიცი ეგენი რასაც იზამენ... სანამ იზამენ, მე უზამ - დაჭყბამ სამუდამოდ მაგრამ როგორ დაჭყბამ - "უბორინაში" ჩემით ვერ წავსულვარ... ვახ, ეს "უბორინა" სად ამიშენეს, კაცო?!" - ფანჯრიდან მომზირალს შუა ეზოში საერთო ონკანის გვერდით ნამომართული მახინჯი ნაგებობა შეეჩინა თვალში.

პირველ სართულზე ჩანგრეულ-გაუქმებული საპირფარეოს ნაცვლად, იტალიურად შერაცხული ზახლის მთელი ჭრელი საზოგადოების დადამწყვეტილებით, სახლმმართველობამ სწორე, შუა ეზოში წამოჭიმა თურქული ფენისალაგა. განყობილი მართლაც რო "უბორინა". უფრო მოხერხებულია, რადგან წყალი ახლოაო, სახლმმართველმა. უხერხულობის თავიდან ასაცილებლად განრიგიც შემოიღეს: ქალების საათი, ბავშვების საათი, კაცების საათი და ამოტ ბალიანის პერსონალური, ტანჯვით და ვეებით აღსავსე საათი. სხვა საათებში, რომც გამსკვარიყავი, თურქულ და ძალიან იდოლოტურ ფენსალაგში ცხვირს არ შეგაყოფინებდნენ. "ტვალეტში სისუფთავე დაცავით" - გაჰკვივის ხოლმე სოსუმელი ლტოლვილი მერი, რომელმაც საპირფარეოს კარს რატომღაც ჯერ ნალი მიაჭყდა, მერე გვერდიდან ჯვარიც მიამატა.

"ტვალეტში არა, კლაზეტში - ჩაიფხუკუნებდა ფანჯარაზე მიწებებული ამოტა, - ბებიათქვენისამ..."

გოგოები რომ საცირკო-სასეტრადოში გადავიდნენ, სვეტლანა მაშინვე გათხოვდა. ბერძნული მაინც კარგად ვიცოი, ყურადღებასაც უფრო მოგატყვევო, მოუბოდიშა მამას, და ისევ ბერძენს გაჰყვა, ოღონდ ამჯერად იქვე ავლბარში კი არა, პირდაპირ საბერძნეთში - საზღვივანი გასსნილიყო უკვე. კლარისა მაინც ნაიყვანე, აკი ბერძენია, აქსოპულოსი თუ ტაქსოპულოსიო. არაო, მერეო, სვეტლანამ, ჯერ უნდა დავლაგდეო. შენ რაღა დაგალაგებს... ეს ქუ მერლაცენცემ... ვისუ უზნ ზა არგონავტამი განაიეშსა, ტოეფ მნე მედეა კალხილსკაიაო... მაგტო არგონავტები რათაო, სვეტლანამ, მესამიშვილიც ხო მყავდა, აი, პიანინოები რო აწყობდაო... მიაფურთხა ამოტამ და ხმაც აღარ გაუცია. წავიდა სვეტლანა და გოგოებმაც თავი აიშვეს - ბერძენმაც და ქართველმაც, ვის აღარ მოათრევენენ სახლში... ამოტას სარეცხის გასანეეგამოსანევი ჯოხი ჰქონდა აყუდებული სანლოთან. იმ ჯოხით მიანეებოდა კარს, გვერდით ოთახში იჭვრიტებოდა. თავის პატარა ოთახის გარდა, ორი ოთახი ჰქონდა კიდევ, როგორც თვითონ ეძახდა - "ზალა ი გასტინაია". პიანინო ამყი მეტსახელით "პეტროფი" ზალაში იდგა, ნაცრისფერ შალითაში გასუსულიყო, თითქოს ელოდა როდის წამოხტებოდა ამოტ ბალიანის, თითებს გაატკაცუნებდა და შეუბერავდა "მთვარის სონატას". ადრე ცალი თითი უკრავდა "მთვარის სონატას". სხვა არაფრის დაკვრა არ იცოდა. მოსწონდა ეს სონატა. ზალაში ბეთხოვენის პორტრეტიც ეკიდა ერთხანს, მაგრამ კლარი-

სამ ჩამოსხნა მერე, ნიფხავსა და ლიფში გამოწყობილი დიდძალეუბიანი ქალის სურათი დაკნა, პამეღა ჰქვიაო. წაივდეს მაგისო, ბალოიანმა, ევცე შენაირი ჩათლასი იქნებო. არ ეტყოდა ამ სიტყვას, მაგრამ გაბრაზებულნი იყო შვილიშვილებზე, ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავის სახელს ლარისას რაღაც ფილმის ნახვის შემდეგ წინ ასო კ დაუმატა, გინდათ თუ არა კლარისა დამიძახეთო, მეორეც იმიტომ, რომ გამოუცხადა - შოკოლადიან კარაქს მარტო კომუნისტები ჭამდნენ, ახლა კულანარიული ვადმონაშთიო. კომუნისტები ბალოიანს გულთით სძულდა, მაგრამ სიტყვა "ვადმონაშთზე" ძალიან დასწყდა გული. "მა მე რაღა ვარ?" - ამოიხრა და გულში გადააფურთხა. იმნასვე დახედა ატლასის ბალიშს და მიხვდა, რომ მარტო გულში კი არ გადაუფურთხებია, არამედ... და ისე გამწარდა, სომხურ-რუსულ-ქართულის მერე, ყარაბახის პრობლემა გამეშუბულ ფეხებზე დაიკიდა და მთელი ათი წუთი აზურბაიჯანულად იგინებოდა.

ამ ბოლო დროს ყველაზე ხშირად ვიღაც ორი ბიჭი დადიოდა, ლაზათიანად ეცვათ, ერთხელ ფანჯრიდან დაინახა - ალაყაფის კარი ღია დარჩათ, წინ კლარისა და ქეთი მოხტოდნენ, უკან კონიაკის ბოთლებით დახუნძლული მალალი ქერთაშინი მოაბიჯებდა, მეორე მალალი კი, ოღონდ შავგვრემანი, ქუჩაში გაჩერებულ "მერსედესს" ეტყავდა.

"გულაობენ ვირიშვილები!" - გაიფიქრა აშოტამ, დაცოფების თავიც აღარ ჰქონდა, მაგნიტური დლეები იდგა და მოთენთილიყო ბალოიანი, დაშუბულ ფარდას ამოეფარა, უყურებდა თან. კლარისამ ის მალალი შეაჩერა, ყრალაცას ჩახურჩულებდა. მერე კონიაკის ბოთლები გამოართვა და აიმ "უბორნიაში" შევიდა. "ვაჰ!" - გულში შესძახა აშოტამ, მაგრამ არ გადაუფურთხებია - საკუთარ თავს აღარ ენდობოდა. "უბორნიიდან" კლარისა უმიზობლებოდ გამოვიდა. მალე ყველაში "ზალაში" შემოღავდნენ, გოგოებმა გამოუცხადეს, "მუსკომედიიდან" კოლეგები არიან მოსული, რეპეტიცია უნდა გაეიაროთო. "ტანცორები" არიან? - ამოიხრა აშოტამ, - მე თქვენც პოლკა-მაზურკის თავი არა მაქ" არა, მუსიკა უნდა ავირჩიოთ, ნუ გემინიო, კლარისამ. მიხვდა აშოტამ, ჯერ იმ რაღაცა მუსიკებს მოუსმენდნენ, მერე პაპას დიდმადროიან ჩაის დაალევიებდნენ, მანვინის ნახევარლიტრიანიში გადააყენებდნენ, ბოლოს ტუალეტიდან იმ კონიაკებს გამოიტანდნენ და იქ ამბავი ატყდებოდა - მტრისას. გაბრაზების ილაჯიც აღარ ჰქონდა. თავშიაც ქვა უხლიათო, გაიფიქრა, ცოტა მეზობლების რცხვენოდა, ბოლოს მეზობლების პატრო-

ნი დედაცო, დაასვენა, და ისიც იმ მუსიკებს უსმენდა, სანამ დიმედროლიანი ჩაი ძარღვებში დაუვლიდა, სანამ დაეძინებოდა და ისევ თავის ციხეს და შოკოლადიან კარაქს არ ნახავდა სიზმარში.

მეორე დღესაც მოვიდნენ ის ორნი, "მერსედესი" ისევ ქუჩაში გააჩერეს, კონიაკები წამოიღეს და ჯერ "უბორნიაში" დურთეს თავი, მერე უბოთლებოდ, უბოდიშოდ შემოაბიჯეს ზალაში. გამწარდა ბალოიანი, აღარ დალია იმ დღეს ჩაი, შვილიშვილების ფინაზე აღარაფერს დააკარა პირი და მთელი ღამე ფიზილად დარჩა. თავის ციხე ვერ ნახა სიზმარში, ვერც შოკოლადის კარაქი და ვერც ვერაფერი, სამაგიეროდ დაეფრინეო, უხაროდა, ჩემ ამბავში ესეც საქმეო. არივები განბილებულნი წავიდნენ იმ დღეს, ადგილიდანვე მოსლიტეს "მერსედესი" გაბრაზებულემა, კონიაკი აღარც გახსენებიათ. მაგრამ რად გინდა - ორი დღის სიღრმე გამოცხადდნენ, ამდენი ღამისთევა სადღა შეეძლო ბალოიანს, დალია დიმედროლიანი ჩაი და გასწია სიზმრებში შოკოლადის კარაქის გასასიწვად. დილით გამოიანგარიშა და ოთხშაბათს და პარასკევს მოდიან "მუსკომედიელები", დაასვენა. არ უნდა სძინებოდა ამ დღეებში. ესენი თუ ამდენ რეპეტიციებს დაეჭვივნენ, კონცერტები მერე ნახეო - თავს იმხვენებდა აშოტა.

\* \* \*

გურამ ხატისოვი ბოლო ორი წელი იყო, რაც გალოთდა. მანამდე კი საშახურიც ჰქონდა, ცოლიც ჰყავდა, თავგასიებულ და ძალიან ჭორფლიან რიყა ლანირაკთან ერთად. ოღონდ ლანირაკი გურამას შვილი არ ყოფილა, ცოლს მოჰყვა. გურამასაც რა უნდა ექნა, ხანდახან ჩუხად თუ შეაგინებდა, თორემ ისე სასოებით და ევრუდუნებით ზრდიდა. მერე ის ფირმა გაკატორდა, სადაც გურამა მუშაობდა, პრეზიდენტი დაიჭირეს, ხატისოვს სიმწრით აშენებული სახლი გააყიდვის და უმუშევრად დატოვეს. ცოლმა ბუზლუნი დაიწყო, ლანირაკიც უკვე აღარ ლანირაკობდა, თინეჯერი გაშდარიყო ამასობაში, გურამას მიმართ უსაფუძვლო პრეტენზიები გასჩნდოდა და ხანდახან ისე აბრიალებდა თვალებს, გურამას ერთი სული ჰქონდა ანთებული სიგარეტით შვილუბილის სიფათზე გაბნეული ჭორფლები ამოეშანთა, მაგრამ თავს იკავებდა. ბოლოს მოთმინების ძაფი გაწყდა - მთერალმა ლანირაკმა მამობლის უკანასკნელი იმედი ახალთახალი "ოპელ-ომეგა" უბნელ ბიჭებთან ერთად მოიპარა, მცხეთაში გაისერნა და ისე დამატერია, გაყიდვას ვინ ჩივის, სათადარიგო ნაწილებადაც აღარავინ ჩაიბარებდა. გურამა შვილო-



ბილი საავადმყოფოდან გამოათრია და იქვე, კლინიკის ეზოში ისე სცემა, ლანჩირაკი ისევ უკან, ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში შეაბრუნეს. მაშინ ძლივს გადაარჩა დაჭერას. ცოლმა მაინც უჩივდა. ძმაკაცები დაესმარნენ, გამოიყვანეს. ამან კიდევ ახლა ცოლი დაიჭრა და ისიც იქვე, ტრავმატოლოგიურში...“ აბა, როგორ ეტყოდა, რომ კისერში შემთხვევით მოუხვდა, თორემ ისე საფეთქელში უშიზნებდა, მაგრამ რას იზამ... ბედი არასოდეს სწყალობდა გურამ ხატისოვს. რაც დარჩენოდა, ყველაფერი გაყიდა და ამ ორი წლის წინ აქ, ამ დანაყველილ ეზოში იყავა ერთი ოთახი და ერთიც სამზარეულო. აიმ სამზარეულოში გალოთდა კიდევ ხატისოვი კარის მეზობელ გურჯაანელ გადამდგარ კრიშნაიდ ივანე ავსაჯანიშვილთან ერთად. ივანეს უფრო ადრე გაყიდა გერ-შვილობლები ცოლ-კრიშნაიდებთან ერთად, ქუჩად გაჭირილიყო და ასე ასას გრამოზობით მეთუე წელი იყო, რაც ლითობდა. ხატისოვის გული ღრმა და საფუძვლიანი განათლებით მოინადირა ავსაჯანიშვილმა და ისე გადაიყვანა ჭკუიდან, არყით აფოფინებულ გურამას ხანდახან რა აღარ მოელანდებოდა ხოლმე. მაშინ ძალიან ბრაზდებოდა ავსაჯანიშვილზე, მაგრამ იმასთან ჩხუბს აზრი არ ჰქონდა, ივანე უკვე დიდი ხნის წინ გადასახლებულიყო თავის გამოგონილ ქვეყანაში და რაც არ უნდა საზიზღარი არაყი გადაეკრა, პირიდან ნეტარი ღიმილი მაინც არ შორდებოდა. ეს დღისით, თორემ ღამე მწვანე მავლაჯუნებით დასახლებულ გვირაბში დაბორილობდა ავსაჯანიშვილი... გაქცევა უნდოდა თითქმის, მაგრამ ვერსად გარბოდა, იცოდა, რომ ეძინა, მაგრამ მავლაჯუნები ისეთი ნამდვილები იყვნენ, მათი თათების ლორწოვან სიცივესაც კი გრძნობდა... ღრიალით გაეღვიძებოდა ბოლოს, მისი კვილი გურამა ხატისოვს კი არა, ტულაგეტის გადაღმა მცხოვრებ დაძვლებულ აშუკ ბალოიანსაც კი აფრთხობდა. ოფლიანი, საცვლების ამარა გამორბოდა ეზოში. დილაუთენია არავის სცხელოდა მისთვის მარტოხელა სოფი პავლნას გარდა. ქალბატონი სოფო ადრე გერმანულის მასწავლებელი ყოფილა. ეზოში თითქმის არავის ელაპარაკებოდა, გამუდმებით შინ იჯდა, გამოვლული ფანჯრიდან გაცქეროდა ფუნქიკულიორს, მამადავითის ეკლესიას და გრძელ, თეორ მუნდშტუკში ჩარჭობილ სიგარეტს აბოლებდა. იფიქრებდა - ვილაცის დაბრუნებას ელისო. მისი ფანჯრიდან ხანდახან გიტარის წკრიალი და ქალის დაბალი ხვეწნოვანი ხმა ისმოდა ხოლმე. “იშხნელებს უსმენს! - შენიშნავდა ხოლმე ხატისოვი, - რას იზამ, ძველი ქალია, “კნიგინია”, რამე...” დანამდვილებით

შხოლოდ ბალოიანმა იცოდა (ისიც თავის დისგან), რომ ის მართლაც იყო “კნიგინია”, იშხნელებს კი არ უსმენდა, თვითონ მღეროდა და თავის დროზე ეს ამბელა ეზო და სახლი, სადაც ამჟამად ორმოცდაათამდე იდიოტი ცხოვრობდა, მთლიანად მამამისის ეკუთვნოდა მესამე სართულის სამი ფანჯრის გარდა, რომლებიც ასლაც დაკეტილი იყო და ვის უნახავდნენ, სახლმმართველის გარდა არცინ იცოდა. ქალბატონი სოფო მაშინვე გადმოდგებოდა ფანჯარაში, შილს მოისხამდა... “ოო, სოფი! - პათეტიურად იწყებდა ავსაჯანიშვილი, ამ დროს გაყვითლებული საცვლიანი აცხახებებული ხელებით ეჭტრა, - შენ სასო ხარ ჩემი უკანასკნელი, სოფო...” მერე რალაც ტირადებს მიაყოლებდა და ასე ბოდავდა, სანამ სოფი ეზოში არ ჩამოვიდოდა ვალერიანის წვეთებიანი ჭიქით, დაალევივნდა, მერე ხელს მოჰკიდებდა, ფრთხილად წაიყვანდა თავის ოთახისკენ: “დანიწარდი, ვანო... უხიაგ სიზმრებს როგორ უნდა დააწავკრინო თავი”. “მწვანე და სველი ხელები აქეთ, სოფი, - გაავაციცებით ჩურჩულებდა ვანო, - საშინელ რალაცებს ჩამჩურჩულებენ...” “ძილის წინ ის ფსალმუნები წაკითხე-მეთქი, ხომ გითხარი... ოთხმოცდამეათე კი აუცილებლად უნდა იკითხო დილით თუ ღამით”. “ოთხმოცდამეათე გურამას ვათხოვე, სოფი, - ლულულუღებდა ქანცკაცილი ვანო, - ცოლი ისე საშინლად ესიზმრებოდა, მთელ კვირას ბორგავდა თურმე... მე კი მივხვდი - ის ცოლი არ იყო... შივას მეხუთე მტანჯველი დემონი იყო, შვიი კილებით და ცეცხლოვანი თმებით...” “სისულელებს ნუ ლაპარაკობ! ცოლი გურამას დაესიზმრა, შენ ხომ არა...” “დემონი იყო, ცეცხლოვანი თმებით... გურამამ სურათი მაჩვენა... შეილიც იმგვარი თმებით... თინეიჯერი-ნაბიჭვარი... ტრავმატოლოგიური განყოფილება...” “დანიწარდი-მეთქი, ვანო!” “შემდეგი განსხეულებისა მე შენი მარაო ვიქნები, სოფო... ანდა შენი კეთილი სპილო, მივალ ქვეყანას შემოგატარებ...” ლოგინში ჩაანენდა ქალბატონი სოფო მისავათებულ ივანეს, ფსალმუნს წაუკითხავდა, ბავშვივით დააძინებდა ბოლოს. მერე ხატისოვს დაუკაკუნებდა კარზე - მეზობელს ყურადღება მიაქციეო. დაფეთებული წამოხტებოდა ხატისოვი, ნაბახუსარ თვალებს აპარპალებდა. მოუსმენდა თავის კანტურით, დიდადა მაალობოთ, დაუქნევდა თავს და მაშინვე იძინებდა. იმასაც თავის გასაჭირი ადგა - აღარც ფული იყო, აღარც არაფერი, ავსაჯანიშვილის გარდა. ის კი დასალევს. ყველასდა გასაკვირად ყოველთვის შოულობდა, ბაზარში კახელ მელვინებს ჩამოუვლიდა ხოლმე. ალბათ ნაცნობებს ართ-


მეგსო, ფიქრობდა. მაგრამ მაჯლაჯუნების გადამკიდვე ბოლო დროს ავსაჯანიშვილის საქმეც ვერ მიდიოდა კარგად. ხატისოვმა თავის ყურით გაიგო, როგორ ეხვეწებოდა თავგასიებულ მებრყეს - ლიტრიანი გამაზბანე და რომელიღაც განსხეულების დროს (რომელის - გურამამ ვერ დაიმახსოვრა) შენი ვენახისთვის წვიმად მოვალ განანია გვალვაშიო. არყის გამყიდველი ბოლოკს ქამრად არყის შოვნა. თუ ვინაა ბოლოკს მოგცემო, უთხრა, და ორმოცდაათ გრამს დაგისხამ, მეტი მოგკლამსო. არაო, ავსაჯანიშვილმა, შენ გვალვას ხო არ ეხუმრები, ლიტრა მინდაო. ვერაო, მებრყემ. თუ ვერადა, პირველსავე განსხეულებაზე სეტყვად მოგივალ, დედა გეტრივბაო. კახელმა აიღო და ბოლოკი ესროლა. გაჭირდა არყის შოვნა. ჭკუიდან გადაადგენ ლოთები, ხელები უცახცახებდათ, ჩაცვენილ ლოყებზე გაყვითლებული ჭალარა აებურნათ და შივას დემონებს კი არა, რას აღარ ჰგავენენ.

სწორედ მაშინ იყო, იელოველი ქალები რომ მიადგათ კარზე. გურამის სამზარეულოში ისხდნენ. ილიმბოდნენ ქალები და დამშვიდდნენ. სახლმშობილოებიდან მოსულებს არ ჰგავენენ, ისინი არასდროს იცნოდნენ, შველა გჭირდებათო, გაღიმებულმა ქალებმა თქვეს. გეჭირდება რომელია, დინუნუნა ივანემ. ახლავეო, ქალებმა და ჩანთები დახსნეს. ძმაკაცებს სული შეუგუბდათ. იმათ კი რალაც ყურნალები და პატარა ნიგნები ამოაძვინეს ჩანთებიდან და ქაქას მოჰყვნენ. ავსაჯანიშვილი თვალმოილულული უსმინდა და თავისთვის ფიქრობდა რალაცას. მოიცათ, ვერ გისმენთო, ჭკუა იხმარა ხატისოვმა, თავი გასკვამზე მაქესო. იქნებ არაყი ან კონიაკი გქონდეთ, ცოტა გამოვფიზლდები, მერე ჩემი თავი მოგიკვდეთ, რასაც გნებავთ მოვისმენ, სადაც გინდათ იქ წამოგყვებით და, საერთოდ, აქამდეც უნდა მოსულიყავით ჩვენთანო. სიტყვა არც დაემთავრებინა, გიშველითო, ქალებიდან უფრო ახალგაზრდამ თქვა, რალაცანიარად გრძელი, ჩინელივით წინ წამოწეული კბილები ჰქონდა და ამიტომ სტვენა-სტვენით ლაპარაკობდა, კარი გამოიწოლო და გარეთ გაიჭრა. "კუთხეშია!" ძლივს მოასწრო დაძახება გურამამ. ქალი დაბეჭდილი არყის ბოთლით დაბრუნდა. "პერცოკვა?" - ნაზი ხმით იკითხა ივანემ და თვეზის ქონით გათითხნილი ჭიქა ასწია, შუქზე უყურებდა, მერე ერთბაშად გადაჰკრა. გურამა უკვე მეორეს სვამდა, მესამე ჭიქის მერე კი ქალთაგან ყველაზე ახალგაზრდას დაადავა თვლი. ამას არც იცნო სამწიფელი კბილები აქეს... მეოთხე ჭიქის მერე ავსაჯანიშვილს ერთბაშად ყველა მაჯლაჯუნა გამოუფრინდა თავიდან, დამშვიდდა, ალაქლაქებულ ქალს ანიშნა

წამით დადუმდით და: "შემთხვევით, ტელევიზორის შეკეთებაც ხომ არ იცით? - ლულუნით დაეკითხა, - "ჰორიზონტი" მაქეს, ოთხმოცდასამი წლის გამოშვება..." ქალთაგან უფრო ახალგაზრდამ კი შეყვლებით დაასლოკინა, რადგან ჯერ მუხლისთავებსუა, მერე უფრო ზემოთ და შიგნით რალაც თბილი და სოკოვანი იგრძნო. "მშვენიერი კბილები აქეს!" - ხატისოვს მესუეთ ჭიქა დაეღია და მარჯვენა ხელიც შეეყო ქალისთვის ფეხებში და საით მიცოცავდა, თვითონაც არ იცოდა. ამ დროს ნეტარების ბურუსიდან ამოყვინთა ავსაჯანიშვილმა, იელოვას უფროსმა მონმემაც მოკვტა. ორივენი იდაყვამდე კაბის ქვეშ გაუწინარებულ ხატისოვის მარჯვენას დასცქერიოდნენ. ალალი, ალალიო, ჯერ სლოკინით წაბურბებულ უმცროსს მიეფერა კრიშნაიდი, მერე დაეღმებული თვალები გაასწორა, მოულოდნელად მეორე ქალის გამჭტერებული სახე მოიქცია ხელებში და ყურებამდე გადღლეზილ ტუჩებზე ტელაშნით აკოცა...

სამინელი, ენით აუნერგელი ნივილ-კვილი ატყდა შუა თბილისში, ველური კაცკახილებით დასახლებულ იტალიური რეზერვაციის ეზოში... ჯერ აშოტ ბალოიანმა წამოიწია ნიკელის გირლიანდებიან "კრაოტზე", მერე შუბლზე ლუპამინებებული მესაათე აიღო გამოვარდა პურის დანით და მონადირული ძეხვით ხელში, ყსაბამა გოგიამ ჯიბლიბოიანი თვალი გაახილა და ქვეცნობიერისგან აკივლებულ ცოლს ძალუმი სილა სტკიცა, მესამე სართულზე სპირალურ კიბეებზე აქითქოთებული შავრაზმელი ვარვარა ნიკიტიშნა მოათრევდა გამჩიკულ პეტროვიჩს სათვალით და თავზე წაფარებული კროსკორდით ხელში რუსულად - მართლმადიდებელნო, მარლმადიდებელნო, გაჰყვიროდა, თან პეტროვიჩს მოტვლეპილ კინკრისოში ურტყამდა. "კლარისაც - ღრი-ალედა ბალოიანი, - ქეთევანო..." და მისთვის მიუღებულ აზურბაიჯანულზე გადადიოდა. ბალოიანს ეს მერამდენედ აყურადებდა ახალგაზრდა, ოსი შოვინისტი ვალო ძუგაევი, ყოფილი მემანქანე, ამჟამად საკუთარ სარდაფში ფაღსიფიციერებულ ლუღის წამომსხმელი, რამდენჯერ რუსულ-ქართული ასოებით დაუნერა ოსური გინება "ძია აშოტს", მაგრამ ოსურს ალლო ვერ აულო პოლიგლოტმა ბალოიანმა, ვერ იგინებოდა ალანურად გულზე სკდებოდა ვალო, შინ იჯდა და რასაც ბალოიანი ქართულ-სომხურად იგინებოდა, ოსურად იმეორებდა თვითონ, შაერს ხტებოდა, თან სარკეში თავის თავს ბრანწს უწვენებდა, და ყოველი შეგინების მერე ამერიკულად "იეს! იესო!" - აყოლებდა. ხოლო აფხაზი ლტოლვილები დიდიან-პატარაანად ღრია-





ლებდნენ, გაკვირვებული იყურებოდნენ ფანჯრიდან ფეხბურთელი ძმები სოსო და ვასო, ერთმანეთს გადახედეს, მერე დანყვილებული თითები პირში ჩაიწყვეს და სტვენას მოჰყვენენ, გახსნილი დანით დარბოდა ეზოში ერთადერთი კრიმინალური ავტორიტეტი ავლაბრელი ძველი ბიჭი, მეტსახელად ბაგირა, რომელიც რომ დაკარგულ მანქანებს პოულობდა და, რომელსაც, როგორც აშოტ ბალოიანი იტყოდა, ქურდები აფასებდნენ. საზრიან ბაგირას ვერ გაეგო, რაში იყო საქმე და გაცოფებული ვის დასტაკებოდა აღარ იცოდა, ბოლოს ქვა აიღო და ებრაელი მუსიკოსის ერიკ ჯინჯიხაშვილის ფანჯარას სტყორცნა. "რა ხდება, ერიკ?!" ერიკა კი ხმას არ იღებდა, თუნდაც იმიტომ, რომ ებრაელი იყო, თანაც მუსიკოსი, თანაც იცოდა, რომ წივილ-კივილი ებრაელებისთვის მუდამ ცუდად მთავრდებოდა და, თანაც, ეზოს ცენტრალურ ნაწილში თურქულ ფეხისალაგზე იჯდა - ებრაელ მუსიკოსთა საათი დამდგარიყო განრიგით, მერე ბალოიანის ფერი დგებოდა... გურამ ხატისოვის ნახევარსარდაფიდან ამორბოდა ორი ქერათმიანი ქალი, ერთს უცნაურად დაეკრიჭა კბილები და ხელები ბარძაყების გასწვრივ დაეწყო, ისე მირბოდა. მეორეს კი სახე მოღრეცოდა, სირბილისას სამკუთხედ უკანაღს რომელიღაც ჟურნალით იფარავდა და გაბმით ზმუოდა. გამოღებულ კარებში კრიშნიად ავსაჯანიშვილს "პერცოვკის" ცარიელი ბოთლი ჩალურჯებულ თვალზე მიედო, აღრიალებულ და ძლიერ აღტყინე-

ბულ გურამ ხატისოვს წითელი მატერიის ნაგლეჯი ეჭირა ხელში და კბილებდაკრეჭილი ქერათმიანის დაწვეას ლამობდა...  
 ყოველთვის ასე იწყებოდა დიდი დარბევები კავკასიაში. ეს იეღოველთა პირველი, სასტიკი გამოცდა იყო... მაგრამ მათ გაუძლეს, მიაღწიეს ალაყაფამდე, იმან, რომელსაც სამკუთხედი და იეღოვას ჟურნალით დაფარული უკანალი ჰქონდა, ხელიც კი გინჯინა ალაყაფის ტიშკრის გასაღებად და... ამ დროს არა მარტო ტიშკარი, არამედ მთელი ალაყაფი, ექვსმეტრიანი, მწვანე და ჩაყანგებული, მონოლითური რკინის არე ერთიანად გაიღო და ყოველივე გაქვავდა... ხმები შეწყდნენ და მიქვესკნლდნენ... იქ ძალიან გრძელი, შავი და შიშისმომგვრელი ლიმუზინი იდგა, ჩამუჭებული მინებიდან არაფერი ჩანდა, მაგრამ ერთ-ერთი სარკმლიდან ნებიერად დაშვებულიყო ძვირფასი კოსტუმით შემოსილი ვილაცის ბებრულად დაკლანკილი, მაგრამ ლომისბეჭდიანი და უფლებამოსილი მარჯვენა, სიგარა ჰქონდა იმ მარჯვენას თითებში გაჩრილი. იეღოვას მონშეებისთვის ყველაფერს ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მათ შორი და ბრიყვული სივრცეებისკენ ეჩქარებოდათ, ფაცხაფუცხით გადახობდნენ ლიმუზინის პრილა ზედაპირზე და მალე ღვინის სახელობის დაღმართზე დაეშვნენ. "ვაჰ! - გაიფიქრა ღვინის სარდაფის წინ მიგდებულმა ლოთმა გალუსტამ, გაქცეულებს თვალს აყოლებდა, - ჩათლახები დაღმართზე გარბიან!" "აჰ! - გაიფიქრეს

ლტოლოვლიმა მოწმეებმა, - ქვაფენილზე ლოთები ყრინა!" მაგრამ ლოთებისთვის აღარ სცხელოდათ, საკმაროდ დაფეთებულიყვენ უკვე და ეშინოდათ. თანაც მოწმეებიდან ჩინურკბილებიანს ქვედა საცვლის ძირითადი ნახევარი აღარ გააჩნდა.

"გ რა გიჭირავს, ქერობ? - დაეკითხა აღვლებული ბაგირა ლიმუზინის ფანჯრებს მიშტერებულ გურამა ხატისოვს, - ტრუსიკია, ტო?" "ტრუსიკია, - განითლდა ხატისოვი, - ტრუსიკია და მორჩა..." "აუპაპა... აუპატივებდით, ტო?" "კარგი რა... თბილისელი კაცი..." "მა ქალის ტრუსიკი რათ გინდა?" "ვანოსია, - თავი უკან გადააქნია დარცხვენილმა გურამამ, - ხო იცი, რა ტიპია..." ბაგირამ კი აღარაფერი იცოდა უკვე, დავკრეფებით ხან ლომისთავიან ბეჭედს ათვალერებდა, ხან პიჯაკიდან გამოჩნრილ პერანგის სახელოზე აბჭყვიალებულ ოქროს შესაბნევს...

სამაგიეროდ ფანჯრის მინებზე აკრული ბალოიანი ხედებოდა რაღაცას. კი არ ხედებოდა, გუმანი კარნახობდა გაუგონარ ამბებს. თვალებს ალაპაპებულში მზისგან იჩრდილავდა აშოტ ბალოიანი, დაბლა კი შქონდა, მაგრამ თვალში იოტისოდენაც არ აკლდა. ლომისთავიან ბეჭედს მიჩერებოდა ისიც, ეცნობოდა ლომისთავიანი ბეჭედი...

\* \* \*

"ოთხმოცდამეათეს მორჩი?" - ათროლებული ხმით დაეკითხა ხატისოვი ჭუჭყიან დივანზე წინწივით მიგდებულ ვანოს. "ვერაფრით დავამთავრე, - აკანკალებული ნიკაბი დაიოკა ავსაჯანიშვილმა, - რაღაც სახეები მოდიან... აზრებს ერთმანეთს ვერ უკვავშირებ..." "უნდა დაამთავრო, ვანო! - მკაცრად ამბობს ხატისოვი, - დასალევს ისე ციდან არავინ ჩამოგვიგდებს. ღმერთო, მამატიე მე ცოდვილს, შემინდე დამაპალს და ახვარს... მომიტყევე ღმერთო!" "ეზოში რა ხდება? - სიტყვას ბანზე ადგებს ავსაჯანიშვილი, ცალი თვალით ტუალეტს გასცქერის, - ქალები აღარ მორჩნენ, კაცი?" "ნაიკითხე-მეთქი! - გურამას "ფსალმუნნი" გადაუშლია და აცხცახებულ თითს აყოლებს სტრიქონს, - აი, ნახავ სოფის თუ არ ვუთხარა..."

\* \* \*

შავი ლიმუზინიდან ჯერ ახალგაზრდა, ტყავებში ჩაჭედილი ჯელები გადმოვიდნენ, ერთხანს ათვალერეს თვალბეჭეტილი ხალხით გავსებული ეზო, მერე სახლი ათვალერეს. ორმა მათგანმა შავი ტყავით განწყობილი ინვალიდის სავარძელი გადმოიღო. "ძვირფასი რამეა!

- გაიფიქრა გულაფანცქალებულმა ბალოიანმა, - ვაჰ... თან ეს სიგარაც..." ბოლოს მძლორიც გადმოვიდა, ყველამ ხელში აიყვანა უკიდურესად ასაკოვანი, მაგრამ მაინც მაღალი, ნაცრისფერსახიანი ბერიკაცი და იმ სავარძელში ჩასვეს. სიგარა გაუვარდა მოხუცს ხელიდან. სოფი პავლნას ფანჯრებიდან შეკვივლების მაგვარი ხმა გაისმა. "ხო ვთქვი! - შეშვიკრა ბალოიანმა და სიხარულისგან თვითონაც არ იცოდა რატომ, ფანჯარას მიაფურთხა. მერე სარეცხის გასაწვეჯოსს ნამოავლო ხელი, მოიქნია და შუშებს დასცხო. დასაძახებლად იძაბებოდა თან - "დადაშ! - დაიკვილა როგორც იქნა, - ეს ქუ მერლაცნეცი... დადაშ... დადაშ!" და გული ნაუვიდა. სავარძელში ჩასვენებული ბერიკაცი მოჭუტული თვალებით გასცქეროდა ჩამსხვრულ ფანჯარას, დამძახებლის სახე ვერ გააჩნია, მაგრამ ხმაზე იცნო... გაეცინა და გაფიქრდა დადემქელიანი, თვალის უბები ჩაუშვდა. მსლებელთაგან ერთმა სასწრაფოდ მორაგო უნებგადის ნიღაბი. მერე სავარძელი ასნიეს და ლომისბეჭდიანი ბერიკაცი მესამე სართულის კიბებისკენ წაიყვანეს.

\* \* \*

იმ სავარძელში ახლა აშოტ ბალოიანი იჯდა. "ის კაცი ამომიყვანეთ!" - უბრძანებია დადაშს. დადემქელიანი საწოლზე მისვენებულიყო, საბანზე ელაგა გაყვითლებული, ვენებდაბერილი ხელის მტეცნები. "ვერც დაღვბერტეს, ვერც ვერაფერი, - ხმა ამოიღვა ბალოიანმა, - ვიცოდი... კლიანუს... ვიცოდი... ისეთ რამეებს ლაპარაკობდნენ..." "დამხვრტეს, - უღრიალა ხმით თქვა დადემქელიანმა, ტუჩები დაბრიცა, რაღაც გაცინებ-სავით გამოუვიდა თითქოს, - მაგრამ ამოცდინეს!" "იქ მებევი ამბავს ლაპარაკობდნენ, აი ამბოკარმა ჩაუშვა დადაშო... აი ვახა-ბეგმა გაყიდაო... ვინ დაიჯერებდა? არავინ! თან არც ერთი ცოცხალი აღარ არის..." - ბალოიანი თვალბეჭეტილი გასცქეროდა ახლა ისევ განაცრისფრებულ დადემქელიანს. ღელავდა ოდნავ, მთელი ცხოვრება, მთელი სიცოცხლე აინტერესებდა ეს ამბავი, სვეტლანას ბედ-ოდნულ უფრო აინტერესებდა, აეს კლარისას ხო... თფუიშ! "ჩამიშვეს, იმიტომ, რომ მკვდარი ვეგონე, - საჩვენებელი თითი გაჭირვებით ასწია დადაშმა, - დამაპალმა პროკურორმა სპეციალური გაზეთი დააბეჭდინა... ერთი ცალი "პრავდა" დააბეჭდინა... ჩვეულებრივს შკავდა... - სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, - ის შეუგზავნეს კამერაში... ქურდების ხელით შეუგზავნეს... ამას რომელი ქურდი წარმოიდგენდა? ვერავინ. სასამართლო შედგა... განაჩენი სისრულეშია მოყვანილიო, იმ "სასამართლო ქრონიკაში" ეწერა. იმათაც დაიჯე-



რეს და ყველაფერი მე ამკიდეს... რას იზამ - მკვდარს ყველა აბრალებს... წესივით არის".  
 "ვახ!" - ბალოიანმა თქვა. "ვახა-ბეგმა, ამ ამბავს რო მისვდა, გამოძიებლის თვალწინ, კაბინეტში ჩამატყვია ფანჯარა და ყელი ისე გამოიჭრა, ხელები შეკრული ჰქონდა. იქვე გათავდა... ამბოკარს რომ უთხრეს ჩემზე ცოცხალიაო, ბადრაგს დაეტყვა, ერთს ცხვირი მოაჭამა, ერთი დაახრჩო და მიახვრიტეს კიდევ... თავი მოიკლა". "ვახ!" - ეს კიდევ ბალოიანმა თქვა, წელან თავის ჩამტყრული ფანჯარა გაახსენდა თანაც. "მერე მე ჩინეთში გადავედი..." ბალოიანმა ცალი თვალით გამოხედა. მერე კორეაში ვიყავი ორი წელი, სამხრეთში... იქ უკვე ადვილი იყო და... საფრანგეთში ჩავედი მერე..." "ძალადეც!" - ამის თქმალა მოახერხა სულშესუთულმა ბალოიანმა, - ინგლისური-მინგლისური ხო ისედაც იცოდი..." "იოთამს ჩაი დალაღვიე, სოფო!" - გასძახა დადემქელიანმა. "ვაჰ! სუ იოთამს მეძახდა! - გაახსენდა გახარებულ ბალოიანს, და კიდევ შესძახა "ვაჰ!" რადგან ოთახში სოფი პავლნა შემოვიდა: "შაქარი რამდენი ჩაგყავართ, აშოტ?" "ორი... რა ვიცო... ამი". ბოზი კლარისას დიმიდროლიანი ჩაი გაახსენდა ბალოიანს. "ამის სანახავად ჩამოვედი - გაყვითლებული თვალებით მივევრა სოფის დადემქელიანი, - თანაც ვკვდებო... სარკომა მაქვს. ჰა, ჰა ორი დღე... ჰა, ჰა სამი... მორჩა ყველაფერი". "მა ეგ სიგარა..." "რალა მნიშვნელობა აქვს... იოთამს ჩემი წიგნები მიეცი, სოფო!" "ჰეს ქუ მერ ლაცენცემ!" - გაოცებისგან გაიჭურა ბალოიანს, სოფი პავლნა სამ წიგნს აწვდიდა, ერთს ძალიან დიდს, მეორეს - საშუალოს, მესამესაც ისე რა, მომცროს. ბალოიანმა წიგნების შეფასება სხვანაირად არ იცოდა. სამივეზე დადემქელიანი ეხატა. "შენზეა, ტო... ვაჰ!" "მე დაენერე... ჩემზეც არის... შენზეც... ვახაზეც და ამბოკარაზეც..." წიგნები არც ქართულად იყო, არც რუსულად და, მითუმეტეს, არც სომხურად. სხვა ენებზე კი ვერაფერს ნაიკითხავდა აშოტ ბალოიანი. ფრანგულ-ინგლისური კი არა, ისეთი გინება ვერ ასწავლა ვალო ლუგავემა. "ჩვენი დრო წავიდა, იოთამ, - თქვა დადემქელიანმა, მერე ჩურჩულით ალაპარაკდა, - ბოზორს დრო იყო ჩვენი დრო... ჩვენც! ჩვენც არ ვარსებობდით, იოთამ... ისე ვცხოვრობდით, როგორც ცუდ სიზმარში... კარგი არაფერი გაგვიკეთებია..." "ვაჰ!" არაფერი "ვაჰ!" ერთი კარგი საქმე მითხარი ჩვენი გაკეთებული... შვილი - არა... სახლი - არა, ყველაფერიც - არა... ჰოდა, რასან - არა, არც ჩვენ ვარსებობდით... და მორჩა!" "მა "ძალელები" რო ვესროდით და... ეე... "ძალელები" რო გვესროდნენ... და... ეე... პეტერ-

ბურგში რო "ასტორიაში" სამი თვე სუ "იკრა" და ეე... ხიზილა და... ეე... "პრიბლტისკაიას" ვარიეტენაშები და მადამ აგნესას პოლეკები და... ჩემი "პარაბელი" რომ გაიუქ და..." "მოკვდები იოთამ!" - დანიურულად დადემქელიანმა, - ეე ყველაფერი სიზმარი იყო... ჰალუცინაცია! ცუდად ვიცხოვრეთ, ლამის პეპლების კომპარატივით... შავი, დიდი პეპლებივით, შავი პეპლების ყველას ეშინია, იოთამ, იმხელეთა - ლამაზურებს გვანან... მაგრამ პეპელა, ბოლო-ბოლო, პეპელაა, მოკვდება, გახმება, ჩიტი მივა და გადაყლაპავს... მთავარია, იმ დაბმულმა, პეპლებზე ვამბობ, კვერცხების დადება ვერ მოასწრო. იცი, ჩვენი გარდა კიდევ რამდენია ცოცხალი? რო გავიცოთხე, გული გამისკდა... კაცი ცოცხალ მძორად არ უნდა იქცე. მძორს არავინ მოეფერება... რო დაბერდები, უნდა უყვარდე ვინმეს... მაგრამ ვის? ჩუმად უნდა ავითესოთ ამ ქვეყნიდან, იოთამ, თორე ჩიტები გადაგყლაპავენ", - ტურქებზე თითი მიიღო, თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა, - "უნდა გავექრეთ... როგორც ქარში გაფანტული მტვერი ქრება... როგორც ჭირხლი გაყინულ შუშაზე... ის ყველაფერი რო ამათაც ისწავლონ, დაილუპებიან, იოთამ, ისედაც უქრით..." მერე დადემქელიანმა ბალოიანს სავარძელი და პატარა, "დამსკი" "ბერეტა" აჩუქა და ნემსის გაკეთების მერე, ჩაეძინა კიდევ.

აშოტა ფარაონის პოზაში იჯდა, დადემქელიანის წიგნები მუხლებზე ეწყო, ოთხ კვს მიჰქონდა სავარძელი ბალოიანის სახლისკენ. ფანჯრიდან გაკვირვებული კლარისა და ქეთევანი იყურებოდნენ.

"ინგლისური მინც ესწავლათ, ამ ბოზებს!" - უბოროტოდ გაიფიქრა ბალოიანმა შვილიშვილებზე და ტირილი წასკდა.

\* \* \*

დადემქელიანი კვირის თავზე მოკვდა. სანამ მორგადან მოასვენებდნენ, ბალოიანმა შავი კოსტუმი ჩაიცვა: "ვაჰ, ეს ნაფტალინი!" "პრემიერის" ძველი შავზოლიანი და შინდისფერი შალსტუხი გაიკეთა, კლარისას ჩამტყრული ფანჯარა გამოაღებინა და ზემოურ-მგლოვარე იერიით გასცქეროდა ეზოს: "ვახ, ეს ტუალეტი!"

მონიშებით ასცქეროდა აშოტას ეზოს კრიმინალი ბაგირა, ფანჯარასთან წრილობდა:

- რამე ხო არა გჭირდება, აშოტ?

ბალოიანს ხმა არ გაუცია. იხტიბარს არ იტყვდა, მინც წრილობდა ბაგირა:

- ვაჰ, ხატისივი იმ დღეს რო ქალის ტრუსიკით დარბოდა...

გახსოვს?

ფეხზე ეკიდა ბალოიანს ტრუსიკიც და ხა-

ტისოვიც, აეს ბაგირა ხო ეკიდა და ეკიდა... "ლა-პარაკის გაბმა უნდა დამბალს!" ესლა გაიფიქრა აშოტამ, სარეცხის ჯოხი ჩავარტყა თუ არაო, ჭოჭმანობდა. გადაიფიქრა მერე. რაღაცას ელოდა ბალოიანი. ჯიბეში დადემქელიანის "პერეტა" ედო, ნელა ისევამა გაშემებულ მუხლებზე ხელებს - ელოდა...

\* \* \*

"ქელეს ეზოში გაშლიან ალბათ, - ეზოს გას-  
 ცქეროდა გურამ ხატისოვი, გაუპარსავ ნეერს  
 იფხანდა, - მაგრამ ეს ტულეტე... "არა მგონია,  
 - ამოიოხრა ავსაჯანიშვილმა, - მანდ ისეთი  
 ხალხი მოდის... მაიცა, ნუხელ ვინ ისროდა?" "ბა-  
 ლოიანი, - გაიცინა გურამამ, - აი, ლარისასთან  
 რო "მერსედესით" "პიჟონები" მოდიან... იმათ  
 მანქანას შიგ შუშებში დააჭედა... უკანა ფანჯრი-  
 დან ესროლა... პიჟონები კვილით გარბოდნენ.  
 აი, იმეებივით, ჩვენი იელოველებივით..." "აშოტა  
 ჯიგარია!" "დაიცა და, ის ჯვარი რატოა  
 ტულეტეზე? აქეთ კიდე ნალი..." "მერამ მიაჭედა,  
 - ამოიოხრა ავსაჯანიშვილმა, თავი უსკდებოდა,  
 - კოლიტი აქვს ალბათ მაგ მერის. არც ღმერ-  
 თი სწამს, არც არაფერი..." "შენ ხო ბაბუაშენი-  
 სამ, ლოცვით თავს იკლავ! - აღშფოთდა ხატი-  
 სოვი, - შივას დემონი! კრიშნას დემონი! დაამ-  
 თავრე ოთხმოცდაშვით, შე ტარტაროზო?"  
 "ვამთავრებ, - თვალები გააცეცა ავსაჯანიშვილ-  
 მა." "აი, პახმელიაზე რო ფეხებს გაჭიმავ, არ-  
 აყვ ვინ მოგიტანს, მერე ვნახოთ..." "თუ გაცჭი-  
 მე, არაყი რაღაში მიიდაო!" - თავისთვის გაუკ-  
 ვირდა ავსაჯანიშვილს, თქმით კი არაფერი  
 უთქვამს. "თუ ღმერთი არსებობს, ქელეს ეზო-  
 ში გაშლიან! - გაახრჭიალა კბილები გურამამ,  
 "ქელი "პერცოვკის" ბოთლი დივანზე ისრო-  
 და, - ეზოში!"

\* \* \*

ბალოიანი ასეთი გახარებული არასოდეს ყო-  
 ფილა. იქით კლარისა ტიროდა, აქეთ კიდევე ქე-  
 თიანია. აშოტას ფეხებზეა მანვინის ნახევარლიტ-  
 რიანი მიემარჯვებინა, შარდავდა, სიცილით  
 კვდებოდა თან. მერე სასწრაფოდ მოატანინა შა-  
 ვი კოსტუმო, ნეერგაპარსულმა ბაგირა და ძუგა-  
 ვი გამოიძახა. სავარძლიანად ჩაიტანეს ბა-  
 ლოიანი ეზოში. თითებში "პიჟონ-ტანცორების"  
 დატოვებულ "მარლბოროს" ატრიალებდა  
 აშოტა, ოცი წლის მერე მოსწია სიგარეტი, თავ-  
 ბრუ დაესვა...

ისინი კი მართლა მოვიდნენ... თან რამდენი...  
 თან ცოცხლები... ზოგი თავისით მოდიოდა, ზო-  
 გი მოჰყავდათ და ზოგიც ვილაცემებს მოჰქონ-  
 დათ. თავი ხან "ზონაში" ეგონა ბალოიანს, ხან

პეტერბურგის ასტორიაში, ხან ფუნკულიორზე  
 და ხანაც... სად აღარ... "როგორც ქარში მტყე-  
 რი... - ჩურჩულებდა აშოტა, - როგორც ღამის  
 პეპლები დღის სინათლეზე... უმწონი და ველა-  
 რაფრის შემქლენი..." მზე იყო, მაგრამ ძალიან  
 შესცივდა აშოტას. იმხელა ეზოში ვალერიაანის,  
 იოდის თუ რაღაც წამლების სუნი იდგა. დაფე-  
 თებული მეზობლები ფანჯრებიდან იმზირებოდ-  
 ნენ, ლტოლვილები ეზოს გვიდნენ და ბაგირას-  
 აც გაეკეთებინა რაღაც გალსტუკი, რაღაც ბეჭე-  
 დიც წამოკოსებინა თითზე.

ისინი კი მოდიოდნენ და მოდიოდნენ... პირვე-  
 ლად ვაშა-ბეგის ძმა იცნო, ხერხემალი გაღრე-  
 ცოდა სერ ახმედს, შავი "მერსედესიდან" ძლივს  
 გადმოიყვანეს შვილიშვილებმა, იმასაც სიგარა  
 გაერჭო პირში, გაქაჩლებულიყო ერთიანად, მაგ-  
 რამ თვალები... თვალებში შავი ჭინკები დაუშ-  
 ტოდნენ - ორი პროკურორი ჰყავდა გაგორებუ-  
 ლი ჯერ კიდევე კომუნისტების დროს... ვაჰ! მე-  
 რე ქართველიველი მოაგორეს აშოტასნაირი  
 სავარძლით... გაცრეცილი შარვალი ეცვა, სავარ-  
 ძლის უკან რაღაც ბოთლი დაუნახა: "კათეგორი  
 ჩაუდგიათ წეროსთვის!" მესამე გაქცევის დროს  
 ციხის ერთი კორპუსიდან, კაცმა არ იცის, რო-  
 გორ, სროლა-სროლით მთვრე კორპუსზე გა-  
 დაფრინდა ქართველიშვილი. მაშინ დაარქვეს ნე-  
 რო. ისიც დახვრეტილი ეგონა აშოტას, ყოველ  
 შემთხვევაში მკვდარი. მამოიანი თავისით მოვი-  
 და, ორი ყავარჯნით გადმოვიდა ტაქსიდან.  
 "ბებიაშენისამ..." - ესლა გაიგონა ბალოიანმა.  
 მძლოლმა თავი გააქნია, საქვს მუშტი დაარტყა.  
 გაეცინა აშოტას - კიდევე გადააგლო მამოიანმა  
 ტაქსიო. მერე მახანკალელი მიქაელოვები იცნო.  
 ყველა მოვიდნენ. "ჰამზათაც ცოცხალია, ტო?" -  
 გაკვირვებას ვერაფერ დაუშლიდა - ას წელს იყო  
 გადაცილებული შახ-ჰამზათა, ოცდაორი გვამი  
 ჩასდგომოდა კვალში, ცოცხლობდა მაინც, შვი-  
 ლებით და შვილიშვილებიანად გადმოლაგდნენ  
 ავტობუსიდან ავარელები, ყჩაღად იყვნენ. ბა-  
 ლოიანი გადაკოცნა შახ-ჰამზათამ, მაშინვე ვალე-  
 რიანის და რაღაც წამლების სუნი ეცა, მკვდარს  
 ვკოცნო, გაუელვა. მოსკოვის თვითმფრინავი გა-  
 ვიანებსო, ჰამზათამ, გერცენა და ავლიანი  
 მოდიანო. "როგორ არის გერცენა?" "რა უჭირს,  
 მაგრამ აღარ აქვს". რათაო. არ ვიცყო, ცაში  
 მერეცლებს ახვდა ჰამზათამ, ბერლინში მოაჭ-  
 რეს, - მერე ბანზე აუგდო, - წამო, შალიკაშვი-  
 ლი ვნახოთ, ეგ ადრეც ბრმა იყო, ახლა სულ ვე-  
 რაფერს ხედავს, ნახე როგორ მოგვმტყერებიაო.  
 ვაჰ! შალიკაშვილი და ქიტესა ჩამოსულან პარი-  
 ზიდან! "პარიზიდან არა! - ეუბნება ქართველიშ-  
 ვილი, იჭინთება თან, შარდავს იმ ბოთლში, -



ცოლი რო მოუკლეს, მარსელში გადავიდა ქიტე-სა, მერე შალიკაშვილებიც წაიყვანა..." "რაფიელა?" "რაფო ოცი წლის წინ მოკვდა, შეჩემბ! მაგის ბიჭია აქ..." "სადა?" "გული ვერა აქვს კარგად. დადიანის მინქანაში ზის". დადიანიც ცოცხალია... "რა აზრი აქვს რო? სკლეროზი აქვს... ზის, სადა ზის, რატო ზის - აზრობ არ არის, ისიც არ იცის დადიანია თუ ეე... ინაური". "ინაურმა თვითონ აიყვანა... ესროლა კიდევ - ვაჰ - მაგ ინაურს!" "ვიცი". ბალოიანმა მერე დუშელი "ბანარა" დაინახა. ორჯერ ჰქონდა თავი ჩამოხრჩობილი - ერთი სიკვდილიმისჯილებში, ერთიც არ ვიცი - ისე, გამოსაცდელად - თერთმეტჯერ ნატყვიარს აინტერესებდა - მავჰვედები თუ არაო. არ მოკვდა მთიელი. მას მერე იყო, რო კონალამ აქა-იქ შემორჩენილმა ხევისთავეებმა არ განკვეთეს - რომელიღაც ხატობაში სტალინის დედის ტირების და ქურდების სადღეგრძელო ექვსჯერ დალია. დრო იყო ეგეთი - სტალინი უყვარდათ, აი, ქურდები კი მთაში არცა ჰყავდა და არც გადმოცემით უყვარდათ... მელიტ ბერიკაცს თითის სისქე სათვლელ დაეკოსებინა, თავი უცანცარებდა, კისერი ისე წაგრძელებოდა, იფიქრებდი კიდევ ყულფში აპირებს თავის გაყოფასო. აშოტამ ბაგირა გააგზავნა - სთხოვე მოვიდესო. "შენ ვინა ხარ რო?" - ისეთი ხმით წაუსისინა გალსტუვიან ბაგირას დუშელმა, რომ გული გაუცივდა ეზოს ავტორიტეტს, ეგონა გაყინული სკალპელი შემისრილდა სსეულშიო. აშოტამ გთხოვაო, წამოიწავლა. მოვიდა ბანარა. დაინახა სავარძელში იჯდა ბალოიანი, აღარ სწყენია. "ეს ვინ არის რო?" - ბაგირაზე მეორედ იკითხა ბანარამ. ავტორიტეტს მეორედ გადაუტრიალდა გული. კარგი ბიჭიაო, ბალოიანმა, ჩვენიანო. იმ სქელ შუშებში თვლები გაუბრწყინდა ბანარას, მთიულურად მიეფერა კიდევ: "კალიკსა" დაჰყლაპამ, შეილო?" ჯერ არაო, ისე დაიმორცხვა ბაგირამ, განითლდა კიდევ, გული გალიის ჩიტივით უფრთხილუნდა. დავითურიც ჩამოგამფალდა ფასანაურიდან, შვილიშვილმა გადმოიყვანა ძველი "ვილი-სიდან". შუა ეზომდე ვერც მიიღწია, ხენგმატეხილი ჩამოჯდა კიბის საფეხურზე, გული ხელით ეჭირა. "დაისვენე, დაისვენე!" - დაუძახა ბალოიანმა. დავითურმა ხელი ჩაიჭინა. მერე იქვე, მზეზე მივიცხებულ, საღაფავით ამოყორილ მანანალა ძაღლს წაჰკრა წიხლი. ლტოლივლებს ყავდებო მიჩვეული: "მა მგელი ევრე გაძლებს, შე შობელძაღლო?" - ანდაზურად დაეკითხა გაბესტილ ქოფაკს. მერე სვანები მოვიდნენ, ვინც უკვე აღარ იყო იმათი სურათები მოიტანეს, მერე სომხები მოვიდნენ... ძლივს ჩამოვედით კიპროსი-

დანო. იქ რალა გინდათო, აშოტამ, მაგრამ - თუმცა ჰოო, ეგენი ხო ყველგანა ხართო. ამასობაში მოსკოვის თვითმფრინავიც დაეშვა. ოდესელები როსტოვის გავლით ბაქოში ჩასულან მუსტაფასთან, ახლა იქიდან მოდიანო, ბანარამ, მობილურზე ველაპარაკეო. ოდესიდან კი მარტო შვარცი ჩამოვიდა ხიზაიმივლითან და ბებუთოცთან ერთად. ბებუთოზე შეიქყანა ბალოიანი - ცოცხალი არც მეგონაო. არც მაგას ეგონეო, წერო, მაგას კი არა, არც მე მეგონეო. ბებუთოვი ნაცემი ჰყავდა ჯეელობაში, მართალია, ქელის გულისთვის, მაგრამ მაინც...

მოდიოდნენ და მოდიოდნენ. ამით რა სასაფლაო ეყოფათო, გაიფიქრა აშოტამ, მერე დალონდა და თავიდან გაიფიქრა - რა სასაფლაო გვეყოფათო... ყველანი მოვიდნენ თითქმის. ბალოიანს არაქათი გამოეცალა. თავი სავარძელზე ჰქონდა გადაგდებული, გათიშულიყო. "ლამის პეპლები... - ჩურჩულებდა, - ლამის პეპლები!"

ბოლოს გამოსვენეს დადეშქელიანი. კატაფალკა ნელა დაიძრა. მძიმედ და ტაბათი გაჰყენენ უფან. არც ერთი არ იყო ოთხმოცზე ნაკლების. "გაგაგორო?" - აშოტას სავარძელს მიანვა ბანარა. არაო, ბალოიანმა, დავრჩები, გული რალაც ვერა მაქვსო. ნავიდა ბანარაც, დავითურს ხელი გაუყარა, ორიგენი წეროს სავარძელს აწვებოდნენ - გამხდრები, ჩიები, აღარაფერნი...

ბალოც გამოჩინებულაო, დავითურს შესჩივლა წერო, - თავის თავს ელაპარაკებო... "რაც მაგას ცოლები და მოლარეები ჰყავს გაგორებული, კიდევ კარგად არის..." "არც მაგდენი, - ამოიხრა დავითურმა - ორი ცოლი და სამიე მოლარე".

სვიათაშორის, მეორე ცოლიც დენით დაელუპა ბალოიანს - მოწესრიგებული არაფერი უყვარდა, მითუმეტეს, იმ დანყველილ "ელექტრონთა მოწესრიგებული მოძრაობა", რომლებმაც მისი ორივე ცოლი შეიწირა, ერთი - არმავირნი, მეორეც - უზბეკეთის ქალაქ მარში. კიდევ კარგი მარულმა მოსამართლემ არმავირნიდან განსხვავებით პირველი ცოლის დენთან შეუთავსებლობის ამბავი არ იცოდა. უბედური შემთხვევაო, დაასკვნა. ძალიან ვწუხვარ, წადი, მესამე მოიყვანე, უთოს აბაზანაში ნულარ შეტანინებ, გაუფრთხილდე და გული გადააყოლეო.

- სარატოველმა ინკასატორებმა რა, თავი ეიკლეს? - შესიერებას ძალა დაატანა ბანარამ. ეე, ეგენი შვარცმა გააგორო, ბალოიანი უკვე მატარებელში იჯდაო, გაახსენა წერო, შენც კარგა მაგარი სკლეროზი გაქო.

"სანამ ჩიტები გადაგვკლაპავენ!" - გაახსენ-

და ბალოიანს, ლამურის სმენა ჰქონდა და ესმოდა დაეითურის ლაპარაკი, ხმაძალდა გაიმეორა მერე, - სანამ ჩიტები გადაგვყლაპვენ...

ალმართზე ანელილ პროცესიას გასცქეროდა.

ხატისოვს და ავსაჯანიშვილს არ გაუმართლათ - ეზოში ქელესი არავის გაუშლია. რესტორანში გაშალეს. მეზობლები არ მიუწვევიათ. მხოლოდ ბალოიანი წაიყვანეს. ლამის იყო იტირა ბაგირამ. აკანკალებული ავსაჯანიშვილი შემდგომი განსხეულებებისას რაებს აღარ პირდებოდა მეღვინეებს - მინც აღარ აძლევდნენ არაყს. ჭუჭყიან დივანზე საცოდავად ეგდო გურამ ხატისოვი, ბოდავდა, წითური და ჭორფლიანი თინეიჯერები ესიზმრებოდნენ დამტყვეული "ოპელ-ომეგებით"...

ხელცარიელი შემოპორილდა ავსაჯანიშვილი ეზოში. ტულაღის კედელზე მიკრული ჯვარი მოხვდა თვალში. შეეყოყმანდა. მერე მივიდა, უბიდან ხატისოვის გადანერვილი ფსალმუნები ამოიღო, კიდევ შეეყოყმანდა და კითხვა დაიწყო, უცახცახებდა არყით დახეთქილი ბაგეები. იკითხა, იკითხა, მერე ამოიოხრა და ტულაღტში შევიდა. როცა წყლის ჩაშვება დააპირა, ჯაჭვი არ დაეორჩილა, რაღაცას ედებოდა თითქოს.

"გაფუჭდა თუ გაიჭყედა?"

კიდევ ჩამოქაჩა, მერე ფეხის წვერებზე აინია ბაკში ხელი ჩაჰყო...

ლო ხატისოვს ძილ-ღვიძილში ჩაესმა შემ-

ერთი არსებობს, გურამ!"

ავსაჯანიშვილია!" - გაიფიქრა ხატისოვმა.

ესებობს-მეთქი, ღმერთი!"

ლიან ყვირის, მამაძალი!" - ხატისოვი გააკვირვებდას შეუღდა.

...დაეცნენ მარცხენით შესა ათასეულნი და ბევრეულნი მარჯუენით შესა - კიოდა ავსაჯანიშვილი, - ხოლო შენ არა მიგეახლენენ..."

ხატისოვი წამოხტა და თვალები მოიფშვნიტა: ჭუჭყიან დივანზე ფრანგული კონიაკის სველი და სავსე ბოთლები ეყარა... "ენისელის" და "სარაჯიშვილის" ბოთლებიც დანახა ხატისოვმა, ისინიც სავსე და ისინიც სველი.

"...ხმა ჰყოს ჩემდამო! - ღრიალებდა ავსაჯანიშვილი, - და მე ვისმინო მისი და მის თანა ვიყო ჭირსა შინა, ვისხნა იგი და ვადიდო იგი და ჭრუენო მას მაცხოვარებაი ჩემი!"

- ვილოცე, გურამ!

ხატისოვს პირი ხელით დაემუნა, ნისლი ედგა თვალებში და ტიროდა კიდევ...

- ტულაღტზე... იმ უწმინდურზე... მერის რო კოლიტი აქ და ჯვარი რო გააკრა... იქ ვილოცე, და ღმერთმა ნიშანი მომცა - ბაკი გაჭედა, გურამ, ღმერთმა, და იმ ბაკში... ოო, "...ვისმინო მისი და მისთანა ვიყო ჭირსა შინა..."

ავსაჯანიშვილიც ქორიანად განუწულიყო, გულში ისუტებდა კონიაკის ბოთლებს, გახსნას ცდილობდა თან, ვერ ახერხებდა და მაინც ბედნიერი იყო...

შუალამისას მოიყვანეს აშოტ ბალოიანი და სოფი პავლნა შავი "მერსედესით". ბალოიანი თავის სავარძელში ჩასვეს. გიტარა ედო აშოტას მუხლებზე. ქალბატონი სოფი ეზოში დადგმულ დომინოს მაგიდასთან მივიდა, დაებჯინა, მძიმედ ჩამოჯდა სკამზე. ხელისგულზე დაიყრდნო შუბლი. აშოტაც მიგორდა მაგიდასთან.

"მე ვიციოდი, რო მაგრა უკრავდით, - რაღაც უნდოდა ეთქვა ბალოიანს, - დადაშაც მაგრად უკრავდა..."

გაეცინა სოფის, მერე გადაწვდა და გიტარა აიღო აშოტას მუხლებიდან.

მესამე სართულზე დადგმულიანის ფანჯრები ბრდღვიალებდნენ. ლამის პეპლები ირეოდნენ ნათურების შუქზე... დაბალი, სასიამოვნო ხმა ჰქონდა სოფი პავლნას...

ტიროდნენ გამომთვრალი ხატისოვი და ავსაჯანიშვილი, ნახევარსარდაფის სარკმელს მიკრულები უსმენდნენ და ფრანგულ კონიაკს "ენისელს" აყოლებდნენ. სხვა არაფერი ჰქონდათ...

"ზერეტას" ჯიბეში ბლუჯავდა ბალოიანი - ყველაფერი გადანყვეტილი ჰქონდა უკვე - სანამ ჩიტები გადაგვასნლავენ... სანამ ჩიტები გადაგვასნლავენ...

"... არა გეშინოდეთ შიშისაგან ლამისა..."

ერთადერთი ტყყა ჰქონდა აშოტ ბალოიანს... პატარა, შვიდგრაშიანი, ვერცხლისფერი, და ამქვეყნად აღარაფრის აღარ ეშინოდა.





ზარბა ლეჟაე

ჩვენი თბილისქალაქი კონტრასტების ქალაქია: აქ ყველაფერი ლამაზიცაა და უმწოცე; აქ ხან ცივა, ხან ცხელა; ერთი და იგივე რამ ზოგჯერ ჩალის ფასად იყიდება, ზოგჯერ კი ცეცხლის ფასი ადევს; მცხოვრებლები - ზოგი ძალიან მდიდარია, ზოგიც უკიდურესად ღატაკი; ერთი სიტყვით: არ იცის ამ ქალაქმა ზომა და წონა და ამიტომ, ნუ გაგიკვირდებათ, რომ ეს ამბავი ჩვენს ქალაქში მოხდა.

ისე, ალბათ, მარტო ჩვენი ქალაქი არ უნდა იყოს გამონაკლისი, ალბათ სხვა ქალაქებიც ასეა და სხვაგანაც შეიძლება მომხდარიყო იგივე, ან მსგავსი რამ, თუმცა, ეს, როგორც იტყვიან, ვარაუდის დონეზე, რეალობაში კი ეს ამბავი სწორედ ჩვენთან მოხდა და თუკი ვინმეს ბანალურ სისულელედ მოეჩვენება, ალბათ იმიტომ, რომ ის უბრალოდ მიუჩვეველია, თვალი გაუსწოროს ცხოვრებას და რაღაც-რაღაცეებს ამ ცხოვრებაში.

გოჩა და ხვიჩა ტ-ძეები ტყუპები იყვნენ. ისინი უჩვეულოდ, როგორღაც ერთდროულად, ფეხშექცევით მოველინენ ამ ქვეყანას და ამიტომ შეუძლებელი შეიქნა დადგენა იმისა, თუ რომელი ტყუპთაგანი იყო ძე პირველშობილი და რომელი მეორე. ამას გარდა, ორივე ტყუპისცალი მართლაცდა გაჭრილი ვაშლივით გავდნენ ერთმანეთს. ცნობილია: მშობლები მაინც როგორღაც არჩევენ ერთმანეთში თავიანთ შვილებს, რაოდენ დიდც უნდა იყოს მათი

# დიდი ჭუჭუა და პატარა ჭუჭუა

მსგავსება, რადგან მაინც არის ხოლმე პატარა განსხვავება გარეგნობაში, ქცევასა და ხასიათში. ეს ორნი კი გარეგნული იერით, თუ სხვა მონაცემებით, ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებოდნენ, გარდა ერთისა. ეს ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი ძმებისა იყო - ჭუჭუა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ტყუპები ერთდროულად, ფეხშექცევით, ერთმანეთში გადახლართულები დაიბადნენ და როდესაც ექიმმა გინეკოლოგმა - ზორბა და ლონიერმა, დიდებულება კაცმა ეს პატარა, ვარდისფერი, ცოცხალი გორგალი ფრთხილად გაშალა, რათა ტყუპები ერთმანეთისგან დაეცალკეებინა - მის მზერას წინ უჩვეულო სურათი გადაეშალა: ერთ პანანას პერანგის ლილივით ერთიბენო ჭუჭუა აღმოუჩინა, რომელიც კოტიტა ბარძაყებში ჩამალული, თითქმის არცკი მოჩანდა; სამაგიეროდ, მეორე პანანას დაახლოებით მტკაველნახევარი (ექიმმა გინეკოლოგმა თავად გაზომა) სიგრძის ჭუჭუა (არ მსურს



ვისმარო სიტყვა დასთრევდა) ჰქონდა ჩამოკიდებული მუხლის თავებს ქვემოთ, თითქმის კოჭებამდე. ღიმილის მომგვრელია, მაგრამ ეს ჭუჭუა მგონი ოდნავ შემდგარ-შემბარებულიც იყო, ან იქნებ ექიმის ხელის შეხებისას შეიქნა ასეთი, როცა მას იგი თავისი მტკაველით ზომავდა. - "ო-ო-ო-ლა-ლა, - შესახა მაშინ გინეკოლოგმა და ბებიაქალებს თავმოწმონედ გადახედ-გადმოხედა, - ამისთანა ძალაყინის პატარონს რა დაგამარცხებს ვაჟკაც! შენ კი პატარავ, - და ექიმი ამ სიტყვებზე მეორეს მიუბრუნდა, საჩვენებელი თითი ღილაკივით პატარა ჭუჭუაზე ოდნავ დააჭირა და ასე უთხრა: - დიდი ბიჭი გაიზარდე და დიდი ჭუჭუა გაგეზარდოს!"

თუმცაღა, ყველას ყველაფერი ისე ეზრდება, როგორც ეს ბუნებას სურს.

გოჩა და ხვიჩა ერთად, ერთნაირად იზრდებოდნენ: თითქმის ერთსადაიმევე დროს იძინილენებდნენ, ერთი და იმავე საკვებით იკვებებოდნენ და ნონაშიც თანაბრად იმატებდნენ, თუმცა (გასაგები მიზეზის გამო), გოჩა 200-250 გრამით ყოველთვის უფრო მძიმე იყო ხვიჩაზე. ეს, რასაკვირველია, ყრმობისას, თორემ მოზარდობასა და სიჭაბუკეში სულ ცოტა რვაასი გრამით მაინც.

ბუნების ეს ზემორობა, დაცინვა თუ შედგომის რომ არა, ძმებს ცხოვრება ალბათ შემდგომშიც მსგავსი ექნებოდათ: სავარაუდოა, რომ ერთი ერთ უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარებდნენ, ერთ ფაკულტეტზე ისწავლიდნენ, ერთი ივლიდნენ სპორტსა თუ მუსიკაზე და ერთი იგივე მისწრაფებები ექნებოდათ, მაგალითად მათი ჭუჭუების სხვაობამ ზომებში, ეს იმდენად განასხვავა, რომ ანტიპოდებად აქცია. მაგრამ ამაზე შემდგომ. არ ღირს წინ გასწრება მოვლენებისა.

რაც უფრო ემატებოდა ხვიჩას ასაკი და რაც უფრო ეზრდებოდა მას მისი "ყბადანლებული" ჭუჭუა, მით უფრო ამპარტავანდებოდა იგი. გოგოებში და ქალებში (საოცარი, მაგრამ ქალებში უფრო) სახელს იხევედა, რამეთუ მასთან დანოლაზე ოცნებობდა ჩვენი ქალაქის მრავალი ლამაზმანი. თანაც, სხვათა შორის, არა იმდენად მსუბუქი ყოფაცქვეისანი, არამედ ქმრიანები, ოჯახიანები. გოჩა კი მათ ოცნებას შექალებისდაგვარად უსრულებდა. ქალებთან ურთიერთობა და მათთან გულითადი დამოკიდებულება, რაოდენ საოცარიც უნდა

იყოს, არათუ უფუჭებდა, არამედ ხელს უწყობდა კაცებთან, მათ შორის, გოჩასთან ლამეგანათევი ქალების ქმრებთან მეგობრობას. ერთი სიტყვით, გოჩას ჩვენს ქალაქში თავზე საყრელად ჰყავდა მეგობრები და საყვარლები, ხოლო ვისაც თავზესაყრელად ჰყავს მეგობრები და საყვარლები, მას, აქედან გამომდინარე, თავზე საყრელად აქვს ფული. აქედან გამომდინარე კი ეს ქვეყანა მისია.

ერთი სიტყვით, ამ კაცმა, ანუ გოჩამ, თავის ჭუჭუას ხარჯზე ცხოვრება მოიწყო. თუმცაღა ან მოიწყო და ან არა. იგი თავისი ჭუჭუას წყალობით ქალებს, ღვინოსა და ნარკოტიკებს მიეძალა და ძალიან ადრეულ ასაკში, რომ იტყვიან, ცხოვრებაბოლომდენანახი მიიცვალა. მეგობრებმა და თავყანისმცემლებმა ქალაქში თავიდან ერთგვარი გლოვაც კი გამოაცხადეს მისი გარდაცვალების გამო, მაგრამ მალევე დაივიწყეს ეს ახლადღმობუცხენული კოლორიტული ახალგაზრდა, რადგან როგორც ზემოთ უკვე ახაერთხელ ითქვა, მას თავისი ჭუჭუას გარდა ღირსშესანიშნავი მეტი არც არაფერი ჰქონდა.

რაც შეეხება მეორე ძმას - ხვიჩას: იგი კარჩაკეტილი და მრისხანე გახდა; ხალხს გაურბოდა, ხალხის რცხვენოდა; მას მოზარდვაც კი უჭირდა კაცურად, რადგან თავისი "ღილაკი" შარდვისას ორი თითითაც ვერ დაეჭირა ხვიჩიანად, ჭუჭუა მას ხელიდან უხსლტებოდა და უკეთეს შემთხვევაში თითებს უსველებდა, უარეს შემთხვევაში კი საცვლებს, შარვლის ტოტებს, წინდებსა და ფეხსაცმელებს... ხვიჩა ამ მიზეზის გამო იძულებული ხდებოდა ქალივით ჩაცუტქულებს მოეშარდა. შეეძლო განა საბრალო ხვიჩას, დავუშვათ, ძმაბიჭებთან ერთად სადმე ბუნების წიაღში მოქიფვს, იქვე ბუნებისთვის მიეშარდა ვაჟკაცურად? - არა, არ შეეძლო! იგი უნდა გასულიყო სადმე სხვაგან, ქალივით ჩაცუტქულიყო ბუჩქის ძირას და მეგობართა ქირქილისა და მისი ჭუჭუას სიმატარავის თაობაზე გამოთქმული სხვადასხვა მსუყე გამონათქვამების ფონზე სიმწრით მოეშარდა? არა, არ სჭირდებოდა ხვიჩას ასეთი, მაპატიეთ და, სიამოვნება! არ იყო ასეთი ქეიფი ნეტარების მომგვრელი მისთვის და ან ისეთ ძმაბიჭებს რა ვუთხარ, რომლებთანაც ვერცკი მოგიშარდაც ადამიანურად. ხვიჩა თანდათან საკუთარ თავში იკეტებოდა, უკარება და ავი ხდებოდა. სვამდა. მას აღარავინ უყვარდა - მზეც კი. გოჩა სანამ



ცოცხალი იყო, ყურადღებას არ აკლებდა და საგრძნობლადაც ეხმარებოდა თავის გალოთებულ ტყუპისცალს, რომელსაც მარტოობაში სმის უკიდურესად მაცნე ჩვეულება დასწემებოდა. მაგრამ როცა გოჩა მიიცივალა, ზვიჩა ნელ-ნელა სულ მთლად წაიღო წყალმა, საბოლოოდ გალოთდა, უსახლკაროდ დარჩა, ნათესავებმა და ახლობლებმა მას დიდი ხანია ზურგი აქციეს და ახლა ეს საცოდავი, მშრალი ხიდის ძველმანებით მოვაჭრეთა ბაზრობის მკვიდრი გამხდარიყო: აქ ვაჭრობდა ზვიჩა სათევზაო ჭიებითა და ნემსკავებით, იქვე თევზაობდა ხიდის სიახლოვეს და იქვე იძინებდა დაცარიელებულ დახლებს შორის. მას ჰქონდა ძველი პალტო და ორი დასაკეცი ანკესი. ამ ავლადიდებას იგი ნაგვის ყუთში ინახავდა და საჭიროებისამებრ ხმარობდა - ანკესებს თევზაობისას, ხოლო პალტოს ძილის დროს და სიცვიეში. აი ასე ცხოვრობდა ზვიჩა, რომელიც უკვე 50 წლისა გამხდარიყო.

ლიზიკო ბო-ძე მესამე მთავარი და ალბათ მართლა მთავარი გმირია ამ მოთხრობისა. ის ღირსეული და ძლევამოსილი, მართლაცდა გმირი ქალი იყო. მას ხომ ჩვენში ყველა იცნობდა, როგორც უდიდეს საზოგადო მოღვაწესა და ძალზე გულუხვ ფილანტროპს, რომელიც უნაგაროდ იღვწოდა ჩვენი ხალხისთვის და გულწრფელად ცდილობდა თავისი წვლილის შეტანას, ჩვენი ქვეყნის, განსაკუთრებით კი ჩვენი ქალაქის აღორძინების საქმეში. ლიზიკო - ასე სახელით მოიხსენიებდნენ ხოლმე ელიზავეტა ბო-ძეს ხალხში. ის ხომ ყველასათვის ახლობელი იყო, ყველა თბილისური ოჯახი თავის ნევრად თვლიდა. ალბათ არ მოიძებნებოდა ჩვენს ქალაქში ადამიანი, რომელზეც ლიზიკოს არ ეზრუნოს. მწერლები, კინორეჟისორები, მეცნიერები, მასწავლებლები, პოლიციელები თუ ხელოსნები - ყველანი ემადლიერებოდნენ ამ, მართლაცდა, საოცარ ქალს. მან ხომ ქალაქს საჩუქრის სახით ორი დიდი სასტუმრო უძღვნა; ააშენა სკოლა და საბავშვო ბაღები; დააფინანსა წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა (შექმნა რამდენიმე კომანდოს ბატალიონი); დააარსა უფასო საერაბილიტაციო ცენტრი ნარკომანებისათვის; თავისი ხარჯებით გაარემონტა სავალალო მდგომარეობაში მყოფი ციხე; თბილისის გარშემო გააშენა ტყე, რომელშიც თავად დარგო პირველი ხე...

ლიზიკო პატარაობიდანვე აქტიური იყო,

ძლიერი და გავლენიანი ოჯახის შვილი ისედაც ყველგან ექნებოდა გზა ხსნილი, მაგრამ იგი არასოდეს კმაყოფილებოდა სხვისგან გაკავებული გზებით. იგი თავად იკავავდა გზებს: სულ ფრიადებზე სწავლობდა, იყო პიონერული რაზმეულის თავმჯდომარე, კომკავშირის მდივანი, დეპუტატი და ათასი სხვა რამ; პროფესიით ეკონომისტი და იურისტი კარგად ერკვეოდა პოლიტიკაშიც. ეს იყო ნამდვილი რკინის ლედი.

რკინის ლედი იყო მაქსიმალისტი. ის თვლიდა, რომ ვინაიდან ადამიანი მხოლოდ ერთხელ ცხოვრობს ამ ქვეყანაზე, ხოლო შემდეგ რა ექნება, კაცმა არ იცის - ამიტომ ამ ცხოვრებისგან ყველაფერი უნდა აიღო, უნდა გამოიყენო ყოველი წუთი, დაზოგო ყოველი კაპიკი, თავდავინყებოთ მიეცე მხიარულებას, თუკი მხიარულების ხასიათზე ხარ და თუ დრო და საშუალება გაქვს ამისა; ლიზიკი ბოლომდე უნდა გამოწერო, ძვალი კი ბოლომდე უნდა გამოხრა.

აბა, რა საერთო უნდა ჰქონოდა პატრიცული წარმოშობის ელიზავეტა ბო-ძეს სახელგანთქმულ რაჟდენ ბო-ძესასულს, ვილაც გოჩა ტ-ძესთან...

... მაგრამ სწორედ იმ ღამეს, იმ პატარა, საკურორტო ზღვისპირა ქალაქში მოხდა მათი შემთხვევითი შეწყვილება. ლიზიკო იქ ისვენებდა. ის ახალგაზრდა, გასათხოვარი გოგონა იყო, თუმცა საკუთარი გარეგნობისა და ხასიათის გამო თავყანისმცემელ მამაკაცთა ნაკლებობას არ განიცდიდა, მაგრამ მინც ძალიან დანიტერესდა, როცა მეგობარმა გოგონამ გაანდო მას თუ ვისთან იყო "წუხელ ღამეს" და როგორი ჭუჭუა ჰქონდა იმას, ვისთანაც ის "წუხელ ღამეს" იყო. ლიზიკომ შეიტყო, რომ "ის" ვისთანაც მისი მეგობარი, შთაბეჭდილებებით აღსავსე გოგონა "წუხელ ღამით" იყო, "ხვალ" უკვე წასვლას აპირებდა იმ კურორტიდან, ამიტომ ლიზიკო დაფაცურდა და იმავე მეგობარი გოგონას უშუალო დახმარებით დაუკავშირდა და არა მარტო უბრალოდ დაუკავშირდა, არამედ სქესობრივადაც დაუკავშირდა გოჩას. ლიზიკომაც და გოჩამაც შამპანური ჩაიტკბარუნეს იმ საღამოს ყელი და არა მარტო ჩაიტკბარუნეს, არამედ იმ რაოდენობით იგემეს ეს მეფური სითხე, რომ მეორე დღეს, როცა ისინი დაშორდნენ - სახელებიც კი აღარ ახსოვდათ ხეირიანად ერთმანეთისა.



გოჩას მალე გადააინყდა მალალი, ტანსრული გოგონა დიდ და მკვრივჭუჭუბინანი. მას ხომ ლიზიკოს გარდა უამრავი ლამაზი ქალი ჰყავდა ცხოვრებაში. სამაგიეროდ, ლიზიკოს ახსოვდა "ის". მართალია სახელი აღარ ახსოვდა (გოჩა თუ რალაც ასეთი, ჩა-ზე რომ მთავრდება), მაგრამ სამაგიეროდ კარგად ახსოვდა "მისი" ჭუჭუა. გარდა ამისა, ლიზიკოს სამახსოვროდ დარჩა ნაბახუსევი გოჩას მიერ შემთხვევით დატოვებული დასაკეცი დანა. ამ დანას ლიზიკო მთელი ცხოვრება თან ატარებდა, იმ "ცეცხლოვანი" ლამის მოსაგონებლად, რამეთუ იმისთანა სიამტეპილობა მას ცხოვრებაში არ განეცადა არც ერთ მამაკაცთან, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, მამაკაცთა ნაკლებობას არ განიცდიდა. იგი სამჯერ იყო გათხოვილი. ახლა ვილაცამ შეიძლება დაინყოს: "ესაო-ისაო, ასეო-ისეო" - იცით რა, გეთავყავთ, მოიღო ყველაზე თავის თავს მოუაროს და ლიზიკოზე აუჯი ნურავის დასცდება. ის ქალი იყო - ნამდვილი ქალი - და ჰქონდა კაცებისადმი მიდრეკილება. აბა, ზოგიერთ ქალს, სულ არ აინტერესებს იმას კაცი, თავისი ქმარიც კი არ უნდა: ქმარი ანუხებს, კაცი ანუხებს, სექსი ანუხებს, ჭუჭუა ანუხებს - ყველაფერი ანუხებს. მოადგებიან მერე და - "პატიოსნებო, ესაო, ისაო..." კაცო, თუ სექსი არ სიამოვნებს ქალს, ის "პატიოსანი" იქნება, აბა რა ჯანდაბა იქნება, მაგრამ ისე ეს "პატიოსნება" პატიოსნება არ არის, ესაა "ეგრეთ ნოდებული" პატიოსნება. ნამდვილი პატიოსნება კი ის არის, როცა ადამიანს არ რცხვენია იყოს ისეთი, როგორც ის არის, ლი-

ზიკო იყო სექსუალური ქალი და არ რცხვენოდა - იგი ამაცობდა ამით.

მშობლიურ ქალაქში დაბრუნებული ლიზიკო მალე, როგორც წარჩინებული სტუდენტი, მოსკოვში გაგზავნეს სწავლის გასაგრძელებლად. როცა კი ბრუნდებოდა სამშობლოში, მუდამ ცდილობდა გოჩას პოვნას, მაგრამ აბა რალას იპოვიდა, როცა სახელიც კი აღარ ახსოვდა ხეირიანად მისი. აღარც მას, აღარც მის დაქალს და არც სხვებს აღარ ახსოვდათ იმ დიდჭუჭუიანი ბიჭის აღარც ასავალ-დასავალი და აღარც არაფერი.

გოჩა კი, როგორც უკვე ითქვა, მოკვდა. ამასობაში დრო გადიოდა: ლიზიკო მოსკოვში დარჩა, იქ დამკვიდრდა და დიდი ბიზნესიც გააჩაღა. ის სამჯერ გათხოვდა: ჯერ რუსზე, მერე ქართველზე და ბოლოს ებრაელზე. ესენი - სამივენი, რომ იტყვიან, მოინელა, მათ ქონებას დაეუბატონა და ძლევამოსილი დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს - ფულიანი, გავლენიანი, მცველებითა და თავყვანისმცემლებით მუდამ გარს შემორტყმული. ჩამოსვლის შემდეგ კი, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, გააშენა ტყეები, შეაიარაღა ჯარი, დაურთო პენსიები მოხუცებს და ააღორძინა ქართული კინო...

ყველა ეგონა (და ალბათ ლიზიკოსაც ასე ეგონა), რომ იგი მშობლიური ქალაქის სიყვარულმა ჩამოიყვანა უკან. მაგრამ სინამდვილეში ვერავინ ხვდებოდა (და ალბათ, ლიზიკოც ვერ ხვდებოდა), რომ მთავარი მიზეზი მისი დაბრუნებისა იყო არა იმდენად მშობლიური ქალაქის სიყვარული, არამედ სულ სხვა რამის სიყვარული. ეს "სხვა რამე" კი იყო - ჰამ, ალბათ, ყველა ხვდებოდა თუ რა იყო ეს "სხვა რამე".

კაცების დიდ შემფასებელს, მცოდნეს და დამფასებელს, ვერ დაევიწყებინა ყმანვილი, რომლის ასავალ-დასავალი არ იცოდა, ვერ დაევიწყებინა მისდამი (არამართებულია ხმარება სიტყვისა - სიყვარული) ლტოლვა - ამძუნებული ძუს ლტოლვა - ისეთი გამძაფრებული და გამკვეთებული, როგორის უნარიც შესწევთ მხოლოდ ნამდვილ ქალებს, ძუებს, ფურებს, ფაშატებს, დედლებს - ანუ მდედრებს.

ლიზიკო ქვეშევრდულად ეძებდა გოჩას, ილტვოდა მასთან შესაწყვილებლად და ამასობაში ამ ლტოლვით გამსჭვალული აიარაღებდა ჯარს, ურიგებდა პენსიებს პენსიონერებს, აღორძინებდა ქართულ კინოს და ფიქრობდა ჭუ-



ჭუაზე.

ყველა ადამიანს (ან ალბათ ყველას) აქვს რაღაც შობი. ლიზიკოსაც ჰქონდა თავისი შობი. ეს იყო ძველმანების შექენა. იგი მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით დადიოდა მშრალი ხიდისა თუ ნავთლულის ბაზრობებზე და დიდი ხმაურით, სიცილ-ხარხარით, ძველმანებით მოვაჭრეებთან გაბაასებით, მათთან და სხვა უცხოებთან ფოტოების გადაღებით, შევაჭრეებითა და დანუნება-მოწონებით ათას უმაქნის რამეს - ძველებურ უთოებს, საკერავ მანქანებს, კლიტეებს თუ ნავთქურებს - ყიდულობდა. ეს დასვენება, გართობა იყო, გართობის დროს კი ძალიან სერიოზულ, გავლენიან ადამიანებსაც აქვთ ცელქობის უფლება: ამბობენ, ამერიკის რომელიღაც ცნობილი პრეზიდენტი, თურმე ნუ იტყვით, პინგ-პონგსაც კი თამაშობდაო - ეს მისი შობი ყოფილა. ეჰ, რას არ გაიგებს კაცი - პრეზიდენტი რომ პინგ-პონგის თამაშს დაიწყებს, სხვებს რაღა უნდა მოთხოვო ნეტავი...

იმ დღეს ლიზიკო მშრალ ხიდზე იყო გამოსული. იგი ჩვეული ენერგიულობითა და ხალისით დადიოდა ძველმანებით მოვაჭრეთა რიგებში. დადიოდა. გვერდით მოსდევდა ბრგე მცველი, რომელიც ახლადნაყიდ ორთავალა ურიკას მოასრიაგინებდა. ამ ურიკაზე კი უკვე იყო აჩონჩხილი ახლადნაყიდი ძველმანები: ავსტრო-უნგრეთის იმპერიის დროინდელი საბეჭდი მანქანა "რაიმეტალი", მტვერსასრუტ "რაკეტას" ჯაგრისთა ნაკრები, დასაკეცი სკამი და თუნუქის დაბეჭდილი თუნგი.

უსახლკარო, მარტოხელა გალოთებულნი უმუშევარი ხვინა ტ-ძე იმ დღეს მტკვარზე თევზაობდა თავისი ანკესით. ის ძალიან უხასიათოდ გახლდა, რადგან მას პოლიციელმა კოჭლამაზაშვილმა პანჩური ამოარტყა ხიდისქვეშ თევზაობის გამო. ხიდის სიახლოვეს ორმოცდაათ მეტრში თევზაობა კანონით აკრძალულია, ამისთვის მეთევვეებს აჯარიმებენ და ართმევენ ანკესებს. ხვინას დაჯარიმება სასაცილო იყო - მას ხომ ფული არასოდეს ჰქონდა; მისთვის ანკესების წართმევა კი პოლიციელ კოჭლამაზაშვილისათვის შეუძლებელი საქმე იყო: ხვინა ადვილად არ დასთმობდა თავის ანკესებს და პოლიციელის მხრიდან წართმევის მცდელობის შემთხვევაში, სამკვედრო-სასიცოცხლო წინააღმდეგობას გაუწევდა წესრიგის დამცველს. არ დაბადებულიყო ჯერ ქვეყნად ისე-

თი პოლიციელი, რომელიც შეძლებდა მარტოს წაერთმია ხვინასთვის მისი ერთადერთი ქონება - ანკესი. აი, რაც შეეხება პანჩურის ამორტყმას - ეს, როგორც იტყვიან, "მოსულა"; თუმცა, როგორც ყველა ხვინასნარი ადამიანი, ხვინაც მეტად ამბიციური იყო: აქ ადგილი ჰქონდა ერთგვარ შეუთავსებლობას, როცა ადამიანი თვლის, რომ იგი, ყველაფრისდა მიუხედავად, კაცური კაცია, ხოლო საზოგადოება თვლის, რომ იგი ყველაფრისდა მიხედვით ჩანჩურპეტროვიჩია. პოლიციელმა კოჭლამაზაშვილმა ხვინას, როგორც ჩანჩურპეტროვიჩს ამოარტყა პანჩური; ხვინამ კი ეს პანჩური, როგორც კაცურმა კაცმა, იუკადრისა. ამ ნიადაგზე ნერვებაშლილს, ხვინას წყალში გადაუვარდა სამდღიანი თეთრი ჭიებით სავსე ქილა, რომელიც მისი ერთ-ერთი ჭიებიანი ქილათაგანი იყო. საქმე ისაა, რომ ხვინას ჭიები თავად გამოჰყავდა: იგი დამპალ თევზს მარლაში ახვევდა და როცა ამ თევზს ჭიები გაუჩნდებოდა, ამ ჭიებით თევზაობდა და ვაჭრობდა. პატარა, ორდღიანი ჭიებით იჭერდა სახანს, საშუალო, სამდღიანი ჭიებით იჭერდა ჭანარს და დიდი ოთხდღიანი ჭიებით მუწრწას. ახლა კი, როცა პოლიციელ კოჭლამაზაშვილზე გაბრაზებულ ხვინას სამდღიანი ჭიები წყალში გადაუვარდა, იგი იძულებული შეიქნა სამდღიანების ნაცვლად ორდღიანებით თევზავა. ნებისმიერმა თბილისელმა მეთევვემ იცის, რომ მშრალ ხიდთან მხოლოდ ჭანარი მოდის, ისიც მხოლოდ სამდღიან ჭიაზე, ამიტომ ორდღიანი ჭანარს მაინცდამაინც არ უყვარს, ალბათ ეპატარავება, ოთხდღიანს კი მხოლოდ მაძლებს მირთმევს. ჰოდა, იჯდა სანაპიროს მოაჯირზე პოლიციელ კოჭლამაზაშვილზე და მთელ კაცობრიობაზე გაბრაზებული ხვინა, ბურტყუნებდა რაღაცას (ტყან-ტყუნ-ტყან-ტყუნ-მოგი-მოგი) და არაშესაბამისი ჭიებით თევზაობდა, უცბიერეს თევზზე თევზაო შორის, ჭანარზე. ყოველივე ამას ერთვოდა უკვე ქრონიკული ბოლმანაღველი, რომელიც მას ჭუჭყას სიპატარავის გამო განვითარებოდა ორმოცდაათწლიანი გაძაღლებული ცხოვრების მანძილზე.

ენერგიული, ხალისიანი, მბრძანებლური, უსვი და "მდაბალი" ლიზიკო უეცრად გაშრა სავაჭრო რიგებს შორის. მან იცნო, ან უფრო იგრძნო ის, ვისზე ფიქრიც ღამეებს თეთრად ათენებინებდა მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე. სახელიც კი აღარ ახსოვდა

ხეირიანად იმ ყმანვილისა და რომც სსომეპო-  
და, განა ჰგავდა ის ახალგაზრდა ამ ბოგანოს?  
მაგრამ ლიზიკომ იცოდა, რომ მიუხედავად  
ყველაფრისა - ის, ის იყო. ლიზიკო გრძნობდა  
აბას.

იგი ცუნცულთით მიეახლა ბოგანოს და ყურ-  
ში ალერსიანად ჩასჩურჩულა: "კლუიო-ოტ?" -  
"ნი კლუიოტ!!!" - უპასუხა ბრაზმორეულმა ბო-  
განომ აწიხლად. საქმე იმაშია, რომ ტერმინი  
"კლუიოტ-ნიკლუიოტ" მეთევზეთა საერთაშო-  
რისო ტერმინია და დაახლოებით ასე ითარგმ-  
ნება: "კენკავს თევზი სატყუარას? - არა, არ  
კენკავს!"

- მერე რატო არ "კლუიოტ"? - შეეკითხა  
ქალი ალერსით ბოგანოს ისევ.

მეთევზე ბოგანომ ასე-დასხედა აბეზარ, სუ-  
ნამოებისა და ნელსაცხებლების სუნით "აყრო-  
ლებულ", ტუწი-წამწამ-ლოყაშეთითხნილ ზორბა  
ქალს და "ტყან-ტყუნ-ტყან-ტყუნ-მოგი-მოგის"  
ბურტყუნით იქაურობას გაეცალა. ლიზიკომ  
აღარაფერი უთხრა "ბრაზიან მეთევზეს", მან  
მხოლოდ და მხოლოდ ნასიამოვნები მზერა გა-  
აყოლა ბოგანოს გამობერილ შარვალს. ამ გა-  
მობერილ შარვალში ლიზიკოს სანუკვარი ჭუ-  
ჭუა ეგულებოდა, მაგრამ შარვალი სინამდვი-  
ლეში სხვა მიზეზით იყო გამობერილი. ხვიჩას,  
როგორც უკვე ითქვა, ორი დასაკვეცი ანკვი  
ქონდა - ერთი ჩვეულებრივი, ნებადართული,  
მეორე კი აკრძალული, ბრაკონიერული. ჩვეუ-  
ლებრივ ანკვსზე ეკეთა ჩვეულებრივი სათევ-  
ზაო ნემსკავი, ხოლო ბრაკონიერულზე სამკბი-  
ლა, ეგრეთწოდებული "ტრანინიკი". ბრაკონი-  
ერული ანკვსით ხვიჩა ყოველთვის ვერ თევზა-  
ობდა და ამ ანკვს შარვლის ტოტში მალავ-  
და, თუ სადმე სიახლოვეს "რიზნადზორები" გა-  
მოჩნდებოდნენ. იმ დღესაც შარვლის ტოტში  
ჰქონდა ხვიჩას დამალული თავისი ანტიენისებუ-  
რი, დასაკვეცი ანკვი. სწორედ ამის გამო ჰქონ-  
და მას შარვლის ერთგვარი გამობერილობა და  
სწორედ ამ გამობერილობას გააყოლა განაზე-  
ბული მზერა მონუსხულმა ლიზიკომ მშრალი  
ხიდის "ბარახოლკაზე".

ამ ინციდენტის შემყურეთ, არავის გაკვირ-  
ვებია მომხდარი: ძველმანებით მოვაჭრეებმაც  
და დაცვის ხალხმაც ძალიან კარგად იცოდნენ,  
რომ ლიზიკოს სწევოდა ბაზრობაზე უბრალო  
ხალხთან გასაუბრება, ხოლო ის, რომ ვილაც  
ბოგანო ხვიჩამ არ ისურვა ლიზიკოსთან საუ-  
ბარო და მეტიც - "ტყან-ტყუნ-ტყან-ტყუნითაც"

მოიხსენია იგი, ამაშიც ვერავინ ვერაფერი და-  
ინახა უჩვეულო. პირიქით: ლიზიკოს შესწევდა  
ძალა და უნარი ძალიან მკაცრად დაესაჯა  
თავზედი ბოგანო (საკმარისი იყო, მხოლოდ  
თვალთი ენიშნებინა თავისი მცველებისთვის),  
მაგრამ იგი ასე არ მოიქცია, არამედ მხოლოდ  
ხელოვნურად შეძებარი, ოდნავ მიაბიტი და  
ნაწყენი მზერა გააყოლა ხვიჩას და იქ მყოფთ  
გულლიად გაუღიმა, რითაც ბევრი იქ მყოფთა-  
განის გული მოიგო. ინციდენტი ყველასათვის  
ამით ამოიწურა, მაგრამ არა ლიზიკოსთვის,  
რასაკვირველია.

ლიზიკომ თავისი მთავარი მცველი თითოთ  
მოიხმო და ჩურჩულით უბრძანა ასდევნებოდა,  
თვალყური ედევნებინა და არაფრისდიდებით  
არ გაეშვა ბოგანო თვალთახედვიდან. მცველმა  
თავის მხრივ თავის რამდენიმე კოლეგას ანიშ-  
ნა და ისინიც ყველანი აედევნენ ხვიჩას. ლიზი-  
კოს დაცვაში მსახურობდნენ კვიძო დეტექტი-  
ვები და ყოფილი პოლიციისა თუ უშიშროების  
თანამშრომლები - დევნა და თვალთვალი მათი  
პროფესია იყო და ამიტომ არც გასჭირვებით  
ბრძანების შესრულება. ისინი ძალღებვით მის-  
დევდნენ ხვიჩას, თვალთვალის დროს ენაცვლე-  
ბოდნენ და რაციებით უკავშირდებოდნენ ერ-  
თურთ და ლიზიკოს. ლიზიკოს მათთვის ბო-  
განოს აყვანა ნაბრძანები ჰქონდა, როგორც კი  
საამისო ვარემოება შეიქმნებოდა, ანუ ყოველ-  
გვარი აყალმყალის გარეშე.

ხვიჩა ლოთი იყო, მაგრამ მაინც შეამჩნია,  
რომ მას ვილაცები უთვალთვალდნენ. ეს ვი-  
ლაცები - ყველანი მკაცრი პირისახისები და  
ბრგე აღნაგობისანები იყვნენ, ჰქონდათ რაცი-  
ები და იარაღი. ეს ხალხი ხვიჩას "რიზნადზო-  
რებად" ეჩვენა და ამიტომ იგი დიდხანს ცდი-  
ლობდა მდევართათვის თავგზა აეზნია: სად  
აღარ შეძვრა, საიდან აღარ გამოძვრა, სად არ  
იბობდა და იფორთხილა, მაგრამ პროფესიო-  
ნალ მდევრებს მაინც ვერსად გაეცქა. იგი ბი-  
ლოს ისევ იმ თავის მშრალ ხიდზე მიძუნღულ-  
და და სწორედ მის ქვეშ მიიწყვდიეს ლიზი-  
კოს მცველებმა და იქ დაიჭირეს. სხვათაშორის,  
ხვიჩამ მტკვარში გადახტომაც მოასწრო, რი-  
თაც ძლიერ განარისხა ლიზიკოს მცველები: ამ-  
ის გამო ორი მათგანი იძულებული შეიქნა  
წყალში გადახტარიყო. მათ ბოგანო წყლიდან  
გამოათრის და დაჯავშნულ, ლიზიკოსეულ  
"ჰამერში" შეადგეს ბურთივით. - დავალება  
შესრულებულია, შეე! - მოახსენა ოპერაციის



ხელმძღვანელმა და მთავარმა მცველმა ლიზიკოს რაციით. - გმადლობთ შველევ, მომიყვანეთ იგი ჩემს ბუნგალოში! - გაისმა რაციაში ლიზიკოს ხმა.

ხეიჩა მცველებმა "ჰამერიტ" მიიყვანეს ლიზიკოს ბუნგალოში და ჯაჭვებით მიაბნეს (ასეთი იყო ლიზიკოს ბრძანება) ჭერზე. შემშინებული ხეიჩა ახლა ველარ ბედავდა ეძახა თავისი "ტყან-ტყუნ-ტყან-ტყუნ-მოგი-მოგი", არამედ მხოლოდ გაუბედავად ყროტინებდა რაღაცას, სტვენდა.

ლიზიკო კი ამ დროს დიდრონ, მარმარილოს აბაზანაში იწვა და ახდენილი ოცნებისა არა სჯეროდა. იცოდა, რომ ნანატრი ჩიტი მახეში იყო გაბმული, მაგრამ არ სჯეროდა. უნდოდა წამომხტარიყო და შევარდნილიყო იმ დარბაზში, სადაც ნანი-ნანატრი ტყვე ეგულეობდა ჭერზე ჯაჭვებით მიბმული, მაგრამ ვერ აკეთებდა ამას, რადგან სურდა მოსალოდნელი სიამოვნება შეძლებისდაგვარად გაეხანგრძლივებინა, როგორც შანქორული ხალვის მიერ მონიჭებული სიამოვნება, ხალვისა, რომელიც პირში ტკბილად დნება, მაგრამ თუ ნელა მოწუნნი, უფრო ნელა დადნება და ტკბილად დნობის პროცესიც უფრო ხანგრძლივი და ნაზი გახდება. ან რა საჭირო იყო, ნეტავ ხეიჩას ჯაჭვებით დაბმა? მაგრამ ამასაც ასხნა უნდა. საქმე ისაა, რომ ქალბატონ ელიზავეტა ბოძის სადისტიური მიდრეკილებები გააჩნდა. მას სქესი უფრო მეტად სიამოვნებდა, თუკი შეწყვილების პროცესში პარტნიორ მამაკაცს, ჯერ ერთი, გაამათრახებდა, შემდეგ კი მალაქუსლიანი, წვეტიანი ფეხსაცმელებით ჩანჩქლავდა. მოსწონდა ლიზიკოს პარტნიორი მამაკაცები, ყვრილი და ღმუილი, ლანძღვა და ხვეწნა-მუდარა, მათი ოთხზე ხოხიალი, ამოგანგლული ტანსაცმელი და მიჟეფილი, სისხლიანი ცხვირპირი; აი, ასეთი მამაკაცი იდეალური სექსუალური პარტნიორი იყო ძღვევამოსილი ქალბატონისთვის - ისეთისთვის, როგორიც ლიზიკო იყო, რადგან ლიზიკოს არ შეეძლო (ან თუ შეეძლო, ძალიან უჭირდა) მისცემოდა მამაკაცს - ის თავად უნდა დაუფლებოდა მას და თანაც წინასწარი დამცირების შემდეგ, რათა მამაკაცს სადმე არ ეთქვა ან არ გაეფიქრა: "ლიზიკო ვისმარეო", არამედ სწორედ თავად ყოფილიყო ნახმარი ლიზიკოს მიერ. რაც შეეხება ხეიჩას: რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მისი დაბნა, დავარცხნა, მკურნალობა (აუცილებ-

ლად), მოწესრიგება, მაგრამ იმდენად დიდი იყო ლიზიკოს უინი და ზვაშიადი მისდამი და იმდენად ხანგრძლივი იყო განშორება, რომ ქალმა თავი მთლიანად მიანდო გრძობებს და ჭერზე ჯაჭვებით მიბმულ ხეიჩას თვალბეღვარე, ეროტიკული იერით გამოეცხადა. მას წითელი ლიფი, წითელი ტანვა, წითელი კოლგოტკები და წითელი მალაქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა, თავზე ეხურა წითელი სომბრეო, ტუჩები სისხლისფერი პომადით, ხოლო ფრჩხილები ხელეხსა და ფეხებზე ამავე ფერის მანიკურით შევლებდა. ცალ ხელში ეჭირა ყველაზე დიდი ზომის გაუსხნელი პრეზერვატივი "სიკო", ხოლო მეორეში მძიმე მონღოლური მათრახი. ლიზიკო, როგორც უკვე ითქვა, ახალგაზრდობაში მალადი და ტანსრული გოგონა გახლდათ, ახლა კი იგი უბრალოდ მთად დამსგავსებოდა - თეძოვანიერ, ცოტათი დონდლო მთას. "თეძოვანიერი, ცოტათი დონდლო მთა" ღრიალ-კვიციანი, მალაქუსლიანი წითელი ფეხსაცმელების ბაკუნით და მონღოლური მათრახის ტყლაშუნით მიეახლა გულგახეთქილ ხეიჩას და რამდენჯერმე მარჯვედ გაუტყლაშუნა მათრახი, შემდეგ კი მუცელში ატაკა ფეხსაცმლიანი ფეხი და წვეტიანი ფრჩხილებით ყურებში ჩააფრინდა საცოდავს. - ა-ა-ა! - იყვირა გულგახეთქილმა ხეიჩამ და თავის ცოთავისუფლება სცადა, მაგრამ ამ დროს ლიზიკოს ანთებული ბაგეები ხეიჩას ბაგეებს შეერწყნენ და ყვირილის საშუალება შეუზღუდეს, თუმცა მიინც ისმოდა ხანდახან რაღაც ხმები: - "ტყან-ტყუნ-ტყან-ტყუნ-მოგი-მოგი" სახით. ლიზიკომ ბარძაყებით იგრძნო ნაცნობი სიმარე ხეიჩას შარვლის ტოტში, მის გულს ბაგა-ბუფი აუყენა ამ შეგრძნებამ. არანაკლებ უცემდა გული სანყალ ხეიჩას, რომელმაც ყველაფერთან ერთად შიშისაგან ჩაიჯვა (სიტყვაზე კი არა, მართლად).

კალმით ძნელი აღსაწერია ის, რასაც ლიზიკო სწადიოდა: იგი ტანსაცმელს აგლეჯდა ჯაჭვებით დაბმულ ხეიჩას, ჰკოცნიდა, ჩქმეტდა და სცემდა. აი, შარვლის ლილების ჩაგლეჯით შარვალი და საცვალიც ჩახადა, სანახევროდ გააშიშვლა ბოგანო და...

ხეიჩას ლილაკივით პატარა ჭუჭუა ხერიანად არც კი ჩანდა დაბერებულ და ქალარაშეპარულ ხუჭუჭა თმებში. ხოლო ის, რაც ლიზიკოს ჭუჭუა ეგონა, სინამდვილეში აღმოჩნდა ანტენისებური დასაკეცი ანკესი.

ლიზიკოს საშინლად ასტიკვდა გული. იგი ცუდად გახდა და ლასლასით ძლივს მიაღწია იქვე მდგომ სავარძლამდე, ჩაესვენა მასში და გულცივ წაუვიდა. შარვაღალახდომმა, შემინებულმა და ჩაჯმულმა ხვინამ ერთხანს კი იყუნა, მაგრამ შემდეგ გაათმაგებული ძალით მორთო ყვირილი. მცველები ამ დროს დაბმული კარის მიღმა თამაშობდნენ დომინოს და ლიზიკოს სექსუალურ ოინებზე ოხუნჯობდნენ - ეკატერინე მეორეს ადარებდნენ მას.

ლიზიკო დაახლოებით თხუთმეტ-ოც წუთში მოეგო გონს. მან იქვე მაგიდიდან გულის წვეთები აიღო, დალია და მიბნედილი თვალებით ჩაჯმულ ხვინას მიაცქერდა.

- ვინ ხარ შენ! - ჰკითხა მან ხვინას ხმადაბლა, ენის ბორძიკით.

- ტყან-ტყუნ-ტყან-ტყუნ-მოგი-მოგი! - უპასუხა ხვინამ.

- ვინ ხარ-მეთქი, შე საცოდავო?! - მიმართა კიდეც ერთხელ.

პასუხად ისევ: ტყან-ტყუნ...

ლიზიკომ ღილაკს ხელი დააჭირა, რის შემდეგაც დაბამული კარი დაუყოვნებლივ გაიღო და ოთახში მსუბუქ სპორტულ კოსტუმში გაბობნეობილი შველეგი შემოვიდა.

- ვინ არის ეს კაცი შველეგ? - იკითხა ლიზიკომ და შველეგს ხვინაზე მიუთითა.

გაკვირვებულმა შველეგმა ჯერ ხვინას გადახედა, შემდეგ კი ლიზიკოს, შემდეგ ისევ ხვინას.

- რა გინდათ ჩემგან უფროსო, - აუყვირდა ხვინა შველეგს, - მე ორი ნემსკავით არ მითევზავია, ერთი ნემსკავი მეკეთა ძუაზე! არც "ტრანიკით" მითევზავია მისდღემში! ბრაკონიერი კი არა ვარ, რა გინდათ, რას მერჩით!!!

შველეგმა მხრები აიჩჩა და გაოცებულმა ლიზიკოს გადახედა. ლიზიკო ახლოს მივიდა ხვინასთან, თვალებში გამომცდელად ჩახედა, მერე მზერა ჭუჭუაზე გადაიტანა და ჰკითხა:

- შენ გოჩა ხარ?

- არა, ხვინა ვარ! - უპასუხა შემცბარმა ხვინამ.

- გოჩასი რა ხარ? - კითხა ლიზიკომ.

- ძმა! ლვიძლი ძმა! ტყუპის ცალი! - უპასუხა ხვინამ.

ლიზიკო გამოცოცხლდა, თვალები აუელვარდა:

- გოჩა სადღაა?

- გოჩა მოკვდა!

- მოკვდა?!

- მოკვდა!

- გოჩა მოკვდა! - ჩაუნჩუნულა ლიზიკომ სივრცეს, - გოჩა მოკვდა და შენ დარჩი!

- ჰო. ჰო. გოჩა მოკვდა, მე კი დავრჩი! ტყან-ტყუნ...

... მაგრამ ლიზიკო ხვინას აღარ უსმენდა...

- დამტოვეთ მარტო შველეგ! - მიმართა მან შველეგს და ამ სიტყვების შემდეგ აბსოლუტურად ყველაფერს ზურგი აქცია.

ლიზიკო ლასლასით მივიდა სანერ მაგიდასთან, აიღო თავისი ხელჩანთა, ამოიღო იქიდან დასაკეცი დანა - სწორედ ის, რომელიც გოჩას დარჩა მათი შეწყვილების ღამეს, გახსნა ეს დანა და წარმოთქვა უცნაური სიტყვები:

- "ეს შენეული დანაო, უბეში დამაქვს თანაო,

ამოვიღებ და დავიკრავ მარცხენა ძუძუსთანაო".


ამის შემდეგ ლიზიკომ ისე სწრაფად, ისე მოულოდნელად მოიკლა თავი, რომ შველეგმა ჰაერის შესუნთქვალა მოასწრო მხოლოდ, ამოსუნთქვისას კი ლიზიკო უკვე ცოცხალი აღარ იყო.

ყოველივე ამას მოყვა დიდი განამანია: გაბოძიება, მოძახებები, დაპატიმრებები, სკანდალი, უსიამოვნება. ბოლოს კი, როგორც ეს ყოველთვის ხდება, ყველაფერი ჩანყნარდა, მოშუშდა და დავიწყებას მიეცა.

ერთი სიტყვით, ორი მთავარი გმირი, ფაქტიურად ჭუჭუას გამო დაიხოცნენ, მესამე კი დღესაც ცოცხალია, მაგრამ აბა რა აზრი აქვს მის ასეთ ყოფას. ასეთი სიცოცხლე ხომ სიცოცხლეც არ არის.

მორალი კი ამ იგავ-არაკისა ესაა:

ცუდია, როცა კაცს აქვს ძალიან დიდი ან ძალიან პატარა ჭუჭუა; კაცს უნდა ქონდეს საშუალო ზომის ჭუჭუა.





თაში უსაკაძე

# ბოსტანი კონფლიქტის ზონაში

სრაფერი ზონა არ იყო კაცო, მაშინ! არაფერი კონფლიქტის! მხარე იყო ჩვეულებრივი, ბიბინა. ჩემ ძმას გაუქრა უტვინო თავი რო, იმთავითვე ამირია საქმე თორე...

სოფლის განაპირა სახლი ჩვენი იყო. იქა, აი იქა, ესლა რო წინდაუკან აკაკანებენ ავტომატებს... მაშინ ქათმები კაკანებდნენ მარტო, თუ საქმე კაკანზე მიდგა და ცაში კიდე, ჩიტები ფრენდნენ და თავთავის გზაზე დამდგარი თვითმფრინავები... განა ესეთები, რო წამოუვლით და გადმოგვიფრენენ ოლოლივით!


სახლი გვედგა თეთრი აგურის, ორსართულიანი. კაი ეზო წინა, ბაღა, ბოსტანი, საყოლებელი... დედ-მამა ეგეთი უნდოდა, ჩვენები რო იყვნენ. გაანათლე ღმერთო, იმათი სულელები... მამაჩემი - პაპის-პაპებით ქართველი, პურ-ლენინიანი კაცი, სიტყვა-პასუხიანი, კაი შესახედი, კაი გამოსაჩენი... დედაჩემსა კიდე, ბებია ჰყავდა ოსი. ერია მოკლეთ, სხვა სისხლი ცოტა, მაგრამ მაგას ვინ უყურებდა კაცო! სულ ეგრე არ ვიყავით იქითა ერთიმეორეში გადარეულ-გადმორეულები?!

დედაჩემის სიღამაზის ქალი იშვიათობაა. ნეტა, გოგო მაინც ჰყოლოდა, რამე დაუტყობდა დედი-სა... თუმცა, ზალიკოს, ჩემ ძმას კი ააქ ცოტა ისეთი თვალ-წარბი... დედაჩემისა. ტანით ორივე ძმანი მამაჩვენსა გვევართ, აწონილები ვართ, მალღეები, ხმელ-ხმელები, კერკეტები...

ისე იცხოვრეს ჩვენმა დედ-მამამ, ერთი-მეორისათვის ხმაშალაი სიტყვა არ უთქვამთ. უერთმანეთოდ პური არ გაუტვინათ და ცეცხლს არ მიჰფიცებოიან. გვევლებოდნენ თავზე. დაგვზარდეს, გავსწავლეს, კაცებად დაგვაყენეს. ჩაჰკიდეს მერე ერთმანეთის ხელი და ერთად გაიღანდნენ ამ წუთისოფლიდან. დაგვიტოვეს გამოჩუმებული სახლკარი და ეზო-ყურე.

ჩემმა ძმამ, ზალიკომ სატყეო დაამთავრა დედაქალაქში. მე - აგრონომიული. ერთ რუსის ბაბულისათან ვცხოვრობდით ქირით, ერთოთახიან ბინაში. ბაბულია ლოჯში ცხოვრობდა, ჩვენ - ოთახში, საღამომობით კიდე, ერთად ვცვამდით ჩაის ბაბულიას სამოვრიდან, ჰოდა, ვსიყვებოდა სულ, როგორ იცეკვა ერთხელ ვალსი კანაკების ატამანთან და მერე კიდე, როგორ ჩაჰყვა ბერლინამდე ერთ ხუჭუჭა ტანისტს.

ბრას და, ჩემ ძმამ, ზალიკომ ცოლის შერთვა არ მოიფიქრა?! არ ჩაესიდა კიდეც კუპატაძეებს? პრდაპირა კორპუსი? დაეჩი მარტო ბაბულისათან. წელიწადიც არ გასულიყო და არ გადაბრუნდა და არ მოკვდა საცოდავი ქალი? ერთია რო, გადაბრუნდა და მოკვდა და მეორე რო, ის ერთო-



თახიანი ბინა მე დამიტოვა თავის ყველაფრიანა.

ის დროა რო, სწავლას მოვრჩი, დიპლომი მაქვს, აგრონომი კაცი ვარ, მე-4 წელია გარეუბნის გამწვანებაშიც ვმუშაობ და მინდა ესლა რო, ჩემ მამაპაპულზე დაებრუნდე, ჩემი სახლ-კარი გამოვასაღისო, სოფელში ჩემი ადგილი ვნახო და რამე... ვიფიქრე, ბაბულიას ნაჩუქარ ბინას გავაქირავებ, ავიღებ ორ-ორ კაპიკს და ავაყვავებ წელწელა ჩემ ფუქს. ჰოდა, აემ დროს მოდის ჩემი ძმა, ზალიკო და მეუბნება:

- რობიზონ... რალაცა ვერა. ვარ კარგათ. დამკრა თავში ელდამ.
- რათა ბიჭო? რა იყო... რა მოგივიდა...

შეგნედე, ფერი არ ადევს სახეზე. მწვანეა. ტუჩები უკანკალებს ციებიანსავით. მხას არ იღებს.

დამიტრიალდა თავში წამიერად რო, ვაი კაცი შემოაკვდა... ვაი და, წააგო სახლ-კარი. ვაი და, ცოლმა უღალატა... რა ვიცი, ოხერი.

- ავად ვარ, - თქვა ზალიკომ, დაჯდა სკამზე და შუბლი ბაბულიას სამოვარს ჩამოადღ.

მომეცვლა მუხლები. ჯანის ამბები გულშიაც არ გამივლია! ფრჩხილი არ წამოსტკიებია ბიჭო აქო-ბამდე.

- როგორ, ავად...
- ე... ალბათა, მალე... - და ჩაუნყა ხმა.
- ვაი, შენს რობიზონს! სხვა ვილა გაბადია, ბიჭო! ეს ერთი კინკილა ძმა გყავს და ისიც ხელიდან ბეც...
- რასა ბოდავ, ბიჭო! - დავიბრუნე უცებ ნი-
- რი. რაა რო, შეგუძახხო, შევალწინვრო.

- ექიმმა მითხრა... - თქვა თავაულებლივ.  
 ექიმშაოო?!

- რაო, რა გითხრა...

- თავში გაქ რაღაცაო.

- ე! მაგაზე კარგი რა უნდა ეთქვა, ბიჭო! - ავღლაბუცდი უადგილ-უღალაგოდ, - აბა ის იყო კარგი, ასე ერთევა, ცარიელა გაქ თავი, შინ არაფერი გიყრიო?... შეუქისარ ადამიანსა...

არ სწევს თავს ზეით. შუბლით აკვრია ბაბულის სამოვარს, ეგრე მუშუნება:

- ან სასწრაფო ოპერაცია უნდა, ან არადა... ან არადა...

- რა... - გადავწყლაპე ჰაერი.

- ან არადა, შაა-შაა ხუთი-ექვსი თველაო...

ვაი, შენ ჩემო თავო! ტვინი გაატოკე რობიზონ, დროზე რამე მოიფიქრე, ბიჭს გული გაუკეთე!

- მაინც, რათ მიხვედი ექიმთან, რა განუხებდა?

- თავის ტკივილები, რობიზონ! თავისა! არ გიმხელდი, თორე... მაინც ემ ბოლო ხანებში, ემ ბოლო ხანებში. მანანა შევალონე მარტო ლაღამობით ნუნუნითა, მანანა...

- მანანას შენუხებას ჩივი შენა! ცოლია და შენუხდეს უნდა, აბა როგორ!

- ორსულათაა...

- ბიჭო, ზალი, ზოგი ცხლა მე მომისმინე იმ ექიმის მერე...

- ჰო... - ასნია თავი და შემოშხედა იმედმოცემულ მომკვდავივით.

- ოპერაცია და დანების ტრიალი არ უნდა შენს თავის ტკივილსა...

- აბა?

- აბა და, მოკიდე მაგ შენს ცოლს ხელი და ნავიდეტ ჩვენს სოფელში. ოპერაცია რას გიშველის ბიჭო იმდენს, მარტო იქის ჰაერი რო იზამს! მარტო იქის ისა... იქის ისა...

- რათ ნერვიულობ? - გაუკვირდა ზალიკოს.

ნერვიულობდე კიდევ: სიტყვებს დაეძებდი სასიტყვეთში და ვერ ვპოულობდი.

- ბიჭო... ზალი... მომიხედე აქა... აგრონომი კაცი ვარ, ამის დედა ვატირე... ავაყვავებ ერთ სეზონზე იქაურობას! ეს ჩემი ბინა გავაქირაოთ ძმაო, ავიღებთ ტკბილად ფულსა, ერთი კაი ძროხა ვიყიდოთ ბაბულისას სახელზე... მოწველოს შენმა მანანამ, ყველი ამოიყვანოს, ავანძინაოთ ძმაო ეზო-ყურე... ზოგი მაშინ ნახე, რო თავი გეტკინოს, იმ შენს ბიბინა ეზოზე რო ივლი... იმ ჰაერს რო... იმ წყალს რო... იმ ჩიტებს რო...

- ჰეჰ! - ჩაეცინა მწარედ ჩემ ძმას, - კაცსა, შტატებში მჭირდება ოპერაცია და შენ კიდევ... ჰაერი და ძროხა დამიწყე აქა... - დაახეთქა შუბლი ისევ სამოვარსა და აუტკაცგდა მხრებო.

- რა... რა გატირებს, ბიჭო... - გზადაგზა სიტყ

ვაზე გამეპარა სმა.

ნამოვარდა ზეზე, გაიჯახუნა კარი და წავიდა.

ბოლთისცემაში გავათენე ღამე. დავისჩნე, ლამისიყო, ფიქრებში. კორიანტელად მიტრიალებდა გასურებულ თავში ამერიკა, ძროხა, მანანა, მდგმურები, ქათამები, ლანცეტ-პინცეტები, ბოსტანი, ისევ ამერიკა და ისევ ჩვენი სოფელი...

მეორე დილით მივედი. ვაი ამ მისვლას. უფრო გამწვანებულა ჩემი ძმა და უფრო ლანდივით და-რაცრაცებს.

- მივედივარ, რობიზონ... - მითხრა გალუული ხმით და გადამეხვია.

- რა დროს შენი წასვლაა, ბიჭო... - ამომიგდა გული, - ვინც ნავცივია, არა კმარა ისაა?...

- ამერიკაში მივედივარ, ბიჭო. განა საიქიოში...

ავახილე ცრემლით წალეკილი თვალები. აზრზეც მოვედი ნელ-ნელა.

- სადა ბიჭო?!

- ამერიკაში საოპერაციოდ. მანანაც თან მიმყავს.

- ო... ორსულად როა?

- უკეთესი იქ თუ გააჩენს, მოქალაქეობა ექნება ბავშვსა ეგრევე.

- დაცა და, ფული?... -

- მაქვს... - ჩალუნა თავი ზალიკომ და იმ გამწვანებულზე სინითთე აპკრა.

- საიდან? - დავადე მე პირი.

- მაქვს, კაცო... რა გინდა შენ...

- აღარაფერს ვჩივით, რობიზონ, გადარჩეს ეს ბიჭი! - ჩაგვერთო მანანა, - აღარც ორსულობას ვჩივი, აღარც სუტკა ფრენას... გადარჩეს ოლონდ...

ესა, ზალიკო, დგას და შეჩერებია ცოლს მამკვლსავით.

- როდის მიდხაროთ, - ამოვღერლე ბოლობოლო.

- ზეგ! - დამახალა მანანამ.

- ასე უცებ როგორ...

- რეისი ზეგაა, - ჩაიდუღუნა ჩემ ძმამ.

მომეზვინა გული ყელში. ლამისაა, დამახრჩოს ცრემლმა და ნალღელმა. არადა, ვფიქრობ თან რო, ამერიკა არა სჯობს საიქიოსა! თან, საოპერაციოდ მიდის კაცი... გაიკეთებს, მორჩება და ჩამოვა, სად ნავა.

დავჰკარი ბეჭზე ხელი და გადავეხვიე.

- წადი ძმაო, წადი! მიხედე თავსა. მე კიდევ, შენს... თქვენს ჩამოსვლამდე, ნახე რა ვყოფ ჩვენ მამაპაპეულს! ჩამოხვალ და გაგიკვირდება, ძმაო, იტყვი, სადა ვყოფილვარ და სადა ვარო! ედემის ბაღს დაგახვედრებ, თუ ჩვენი ძმობა! სამოთხეს! შენ ოლონდ მორჩი და რო ჩამოხვალთ, ადამ და ევასავით მეყოლებით შიგა...

ზეგისდღევ მოვიდა და დიდხანს ვუქნიე ცაში



აფრენილ თვითმფრინავს ხელი.

მეორე არადა, მესამე დღეს დავაჯექი ავტობუსს და გაესწიე მამაბაპულისკენ.

უკვე ის დროა, ცოტა აღმწვდომია წყალი. ამ ჩვენს აქეთა სოფლებში, თორე იქითებში ხო, რა ხანია აიშვარა. ცოტა, აქეთაც ისეა უკვე გოვ, დაძაბულთა ხარ კაცი. შაა-შაა და ზონა გავხედებთ, კონფლიქტის, მარა ჯერ მაინც არაუჭირსრა. მიწდორია, ველია, ლიხავია იქითა, ხარია, ძროსაა, ხალხი მიდი-მოდის, სალაშია, ქალამი...

მივდივარ, მოკლეთ, რახნის ჩაუსვლელი... გაუდის ავტობუსს რახრახი. მე ჩემსას ვფიქრობ რო ეგე, აპრილია, წვიმს და დამისხდება ჩემი სახლი და კარი გამოყრუებული... ვფიქრობ რო, ჰეეე, რა დრო იყო რო, ჩვენი საკვამურიდანაც კვამლი ადიოდა, დედაჩემი რო სურნელიან პურებს და ნაზუქებს აცხოვდა, გზიდან ჩასულებს რო გვახვედრებდა... აბა, ჩაიდი ახლა რობიზონ გამოციებულ, ნაზამთრალ სახლში, ხმის გამცემი რო არავინაა, შეილოს მიქმელი, დამხვედრ-ჩამსუტბელი... ეეს.

და ემ ფიქრებში გზაც გაილია.

ჩამოვხტი ავტობუსიდან. გადავუხვიე ჩვენსკენ. გავიარე ალვების რიგი, მერე ლელისპირები, მერე მაყვლიანიც ავიარე და შაა!!! გავშემდი კაცი ადგილზე! აგე, ჩემი სახლი სოფლის განაპირას და ეგე კაცო, კვამლი ამოდის საკვამურიდან! და სარეცხიც ფენია ეზოში!

ვაი, შენს რობიზონს! ამიცაცხახდა მუსლები და მივანყდი წინ. სიზმარში მგონია თავი. შაი, დედა ვიღრიალო მინდა, შაი - მამა! აღარ ვიცი, რომელი. ამერია საიქიო და სააქიო ერთიმეორეში. მიგრბივარ და აგე, ჩვენი ჭიშკარიც შეღებულია და ბიჭოს! ოლეგა არა ჩხახას შემს ჩვენ ეზოში? ოლეგა, ზოიან ბიჭი. ჩვენი მეზობელი. იმისი სქელგვერდება ცოლი კიდე კიბის თავზე გადმომდგარა და ნია-ნია-ნიაო, ქათმებს უძახის.

შევედი ჭიშკარში. ოლეგიათყო, დავიძახე. მოტრიალდა ოლეგაცა და ვააო, შენაო, რობიზონო? საიდანაო?

- მე ჩემ სახლში მოვედი, რა საიდან, შენ შენი მითხარია, აქ რა გინდა, ამ ჩემ ეზოში-მეთქი.

თან, რალაცნაირად ვარ, ეზო მეუცხოება, ვერა ვცნობ თითქოს.

ოლეგამ ნაჯახი კუნძს დაასო, ხელები შარვალზე გაისვ-გამოისვა და წამოვიდა ჩემსკენ.

- ევეჰ, ვიცი, გიჭირს ესლა შენა, რობიზონ... ძნელია, შეწეულს რო სხვისადა ხედავ, მარა რა გიყო. როცა კი გაგვხარადეს, ძმაო, მოდი და გვესტუმრე, არ მოირიდო...

თავი მიხურს, მიხურს. ეზოც, რალაცნაირად, ტრიალებს, თან სხვანაირია, ეს ოხერი, ვერა ვცნობ და ვააას! - უცებ ვხედები რატომაც. კაკალი აღ-

არაა! აღარაა დიდბაბუაჩემის დარგული კაკალი... შუა ეზოში. ტიტველაა ეზო, რალაცნაირი, უშნოდ და უსირცხვილოდ გატიტველებულ ქალსავით.

რა ამბავია, რობიზონ, შენს თავს ნეტა, შა? ხო არ გიყვებოდი ბიჭო? შენც საოპერაციოდ ხო არ გაქცე თავში ამბებო?..

- ბიჭო! რა გინდა-მეთქი ამ ჩემს ეზოკარში? - ვეკითხები ოლეგას.

ეცვალა კაცს ფერი. შენაო, რაო რა, მართლა იძახი, მართლა არაფერი იციო?

- რა უნდა ვიცოდე?

- მომიყად, ბიჭო, ზალიკომა ეს კარმიდამო, ორი თვე მაინცაა უკვე! რა, შენ არაფერი იცოდი, კაცო?

გამეცინა რალაცნაირათ. თან, ცივი ოფლი მასხამს შუბლზე.

- რა გაცინებს, ძმაო, ეგრეა მართლაო, - მეუბნება ოლეგა.

- როგორ ეგრე.

- გადმოფორმებულია ჩემზე უკვე აქაურობა. ყველაფერი. მე რა ვიცოდი, მითხრა - რობიზონ თანახმაა, ჩამოსვლის დრო არა აქი, მუშაობსო. ფული მიცემულია, ძმაო, საბუთი გაფორმებულია, ყველაფერი. ისე, მე კი მიკვირდა, შენ რო აღარ გამოჩნდი, მარა აბა რა ვიცოდი... თანახმაო და! დაიცა, სად მიდიხარ, ბიჭო... დაჯე, დალიაპარაკე, დაისვენე, პური ვჭამოთ... ქალო, მოიტანე ისა - სად მიდიხარ, კაცო! ეგრე განერვიანებული სად გაგიშვა... რობიზონ! რობიზონ! მე იმის... აბა მე რა ვიცოდი... თანახმაო და!.

- კაკალი რათ მოჭერი, - მოვუტრიალდი და ვკითხე ჩემი ხმისა შემეშინდა. უცხო იყო.

- დაიცა, ბიჭო! სადღა მიდიხარ! დაჯვადეთ. თითო ჭიქა დაჯე...

- არ უნდა მოგეჭრა.

- მაინც, ვის უნდა დავკითხოდი თქუასა? - მკითხა ოლეგას სქელგვერდება ცოლმა თვალების ჭუჭუტით, - აქა ახლა უკვე რას მოგჭრით და რას დაგვრამთ, ჩვენი საქმეა.

- ეგრეა, - დაეთანხმა ოლეგა.

გამოვიკეტე ჭიშკარი და აუყუყვი მაყვლიანს. მერე ლელისპირი გავიარე, ალვების რიგი, დავაჯექი ისევე ავტობუსს და წამოველი უკან...

ერთი კვირა სახლიდან არ გავსულვარ. ვინეკი და ავშტადერობი ძქვრს. ჭერში ხან დედაჩემ-მამა-ჩემს ვხედავდი, ხან ოლეგას, ხან ზალიკოს, ხან ბაბულიას, ხან ლიხავისპირებს და ხანაც სიბნელე-სიცარიელეს...

მერე, დაიძრა დრო ნელ-ნელა.

ერთი თვის თავზე ამერიკიდან წერილი მომივიდა ზალიკოსგან. გავხსენი და წავიკითხე: "რობიზონ! ვიცი დასანახად შეგვაჯვრდი და

მართალიცა ხარ. მაგრამ შენ ისე მაგაზე არ დამთანხმებოდი და მე კიდევ, ბედი უნდა მეცადა აქა. მაგ სიდუხჭირეში ვეღარ გავჩერდებოდი. მე და მანანამ მუშაობა დავინწყეთ აქა. ვირებოვით: კი ვმუშაობთ, მარა აქ ეგრეა. ავიღებთ დოლარებს. შენც გამოგიგზავნი ცოტ-ცოტას. რათ გინდა, ბიჭო იმ არეულობა ადგილზე ან სახლი, ან კარი. შარია. ლამისაა, ომი გაჩაღდეს. ლამისაა, გამოვბოდვს ხალხი იქიდან და შენ ახლა გაგიჟიდი იქისთვის, ბიჭო? აბა, ზოგი აქ ნახე, რა მოქარაგულათ ცხოვრობს ხალხი. თვეში 50 დოლარს გადამოგიგზავნი ჯერა, მერე ვნახოთ. აგროვე. ზაფხულში რემონტი გააკეთე. მოიყვანე მერე ერთი კუკლა ქალაქელი ქალი და იყავი ძმად ტკიბილათა. რა გეოიება და რა გეშარება. ვერა ხედავ, აქეთა სოფლებს რო უტყვენ ნელ-ნელა? მე გაგიგე აქა და შენ ვერა? რალადროს დამაპაულებია, რობიზონ. აბა, აქ ნახე, დღეის დღეით რას ხარობენ? ბიჭო, ჩემ ოპერაციაზე არაფერი იდარდო ტყუილათ. რა მაქ ძმად საოპერაციო, თავი მიმუშავებს დეიფოკივითა. ისა მაშინ შენ, გულის მოსალბობათ მოვიგონე. უფრო იოლათ რო გამოგეშვი. ეგ იყო, რობიზონ. ამოგითქვი ყველაფერი და შენი კეთილი გულისა რო ვიცი, მაპატიებ. ვინ იცის, როდისლა ვნახავთ ერთმანეთსა და შენ იცი, ძმად. იცოდე, გულით მიყვარხარ და მოგიკითხა. მანანამაც აგერ. შენი ძმა ზალიკო. ესოზე გვითხრეს აქა, ბიჭიაო. მაკლი უნდა დავარქვათ. ეგრეა აქაურულად მამაკვლის სახელი მიშა. შენი ძმა ზალიკო“.

რალა ბევირ გავაგრძელო და, ნაწიდა დრო თავის კალაპოტით. ვარ უფესვი ხესაგი. როდის დამიბერავს ნიაგი და როდის ნაქიქცივი, არ ვიცი... აბა რალა მამაგრებს ამ წუთისოფელში... ბაბულიას ბინა? არაფერი გეტყვით. ჩემი ფესვი ეგ არ იყოს და მაგან არ დამიჭიროს. ვილა ვართქო ვფიქრობ, ვილა?

გავეძლი აპრილი და მისის პირველ კვირაში მოვაჯექი ავტობუსს და ნავედი... რათაა, რისთვისინ, ვისთან - არ ვიცი! გული მიმეჩაჩება, ფეხები მისდევენ, ტინს ვილა უგდებს ყურს!

ჩამოხტი ავტობუსიდან და შემომკრა კიდეც სახეზე ჩვენებურმა ქარმა. გადაფუხვი ხელმარჯვნივ, მივწყვევი ალუების რიგს, ლელისპირს, ვნახოთ, - ჩემსოფლები მოდიან. ერთი, - ზემოუბნელი სევარა, მეორედი მუხრანა, მუხოს ეხახან.

- ვააჰ, რობიზონ, რობიზონ... - შემხვდნენ დიდის ამბით, მარა ორივეს ვატყობ თვალეში რო, ვეცოდები. ემ შეცოდებით სულ მივარდება თავში და მეკრაქუნება კბილები.

- ბიჭო, რა უქნია იმ შენ სახლიკაცს შენთვისა, ბიჭო, - მეკითხება სევარა. - კაცსა, გაურიალებს ბიჭო აქაურობისთვის, სული გტკივა, ეგ როგორ

გაგიკეთა, ბიჭო ეგ! - აწყვა მუხო.

- განა გვეზარება ოლეგა, ძმად. ღმერთმა გაუმარჯოს, კი ბიჭია, მშრომელი, მარა შენ მამაპაპულეზე რა უნდა ოლეგასათქო, მაგას ვიძახი...  
- კაკალი მოჭრა, - ვთქვი მე.

- ჰოო... - გადახედეს ერთმანეთს, - ისე, გული არ დაგწყდეს, ძმად დაძაბულობაა რობიზონ აქით. ხან მიველად გაიტაცებენ ძმად, ვინმესა, ხან საქონელს წაასხამენ, ხან რა, ხან რა...  
- მარა, ჩემდათავად აქედან ფეხის მომცვლელის ასე და ისე! - ისე ატხა ხელის ქნევა მუხომ, გეგონება, თერმორმეტრს ბერტყავსო, - არა ძმად! მაგას ვერავინ ეღირსება... ვერც ოსი, ვერც რუსი, ვერც ფრანგი და ვერც ინაპლანტიანი... დასაცველი გახდება რამე? დავიცავთ ბოლომდენ. ვერც ჩვენ ნანვალბ სახლ-კარს დავუთმობთ ძმად, ვინმეს და ვერც ვერაფერს. შევაკვდებით რობიზონ და დავიცავთ მაინც! ეგრე იქნება... - დააძრო გულისჯიბიდან "ასტრა" და გააბოლა მწარედ.

- მე რა დავიცვა, - დავეკითხე ორთავეს ერთად.  
- შენა?... შენ... ისა...  
- როგორ თუ რა შენ ესლა... ისა...  
მოკლეთ, აირიენ და პასუხიც ვერ გამცეს. მართო რო დავრჩი, მაყვლიანის გორაზე, ბებურ ცაცხეკვეშ დავეჯექი და გადაფხევი არემარეს. მომანვა ცრემლი ყელში. მომანვა და ავტირდი პატარა ბავშვივით... აი, საყვარელ სათამაშოს რო წაართმევენ და გული რო ამოუფდება, ისე...  
ერთი უყურე, რა ლამაზია! ერთი უყურე... თოთო ბალახს როგორ წამოუხავსია მინა... ლიახვის ტოტები როგორ ლაპალაებენ მაისის მზეზე... აგე, მიდიან საბარავად... სათესად... აგე, ოლეგა რა დღეშია... დაფათურობს ვენახში. აგე, გვერდები უთბება მზეზე ჩემ სახლს... ოქროსფერში მოჩანს... ოოოხს, ზალიკოოო... ოოოოხს ზალიკოოო... რა მიქნეი ბიჭო, რა გამომაცალე დედაბოძი, რა გამიმეტე, ბიჭო! მართლა საოპერაციო გქონია შენა ძმად თავში, აქაურობას რო შეეღი, მართლა საოპერაციოდ! ესლა რა ვქნა, ბიჭო... აგე, მიდიან სათეს-სახნავად... მე რალა დავხნა, შე რეგვენო შენა! მე სადლა დავთესო რამე... ვიდასი ტიკიტომარა ვარ აქ! სადლა მიდგას ფეხი! ოოხ, ზალიკოო, ზალიკოო... როგორ გლახა-სტუმრად მაქციე ჩემსავე სახაპინძლიში!

აგე, როგორ არიან გადაფოფრილი! ვერ უყურე მუხოსა, რეები თქვა? დავწყდებით აქა და მანაც დავიცავთო. მე რალა დავიცვა, შე... შე... როგორ გლანძლო ქვეყნის დასალიერზე მყოფი ძმა, თორე...

ვზივარ. ვთუხთუხებ. ვასკები გულს. მილოკავს სახეს გრილი ნივქარი. თითქო მებალერსება და



სსსუო, რობიზონ, სსსსუო... მანყნარებს.

ჰოო, ისე, - ვფიქრობ, - მთლად ვგრეც კი არაა. დაცვით ეხლა, სულ რო, აგე, საიდან ჩამოდიან, ჯარი გინდა, პოლიცია გინდა... რა, კარ-მიდამოე-ბი კი არა აქვთ აქა, მარა იცავენ! ეგ ხოო. ეგ ხოო. ქართველი კაცი ხარ და საცა გინდა, იქ დაიცავ შენს მიწასა, მარა... მე რას ვიძახი, - შენი როა მა-ინც, მამაპაპეული, შენი ნაამბარი, შენი ნაფერები, ის უფრო სხვაა რაა! ეხლა, რო რამე იყოს, სხვის ბავშვებსაც გადააკედები, ისე დაიცავ, მარა შენსას ხო ცოტა კიდე რალაცნაირად, ჰა?..

უცებ, ამეების ფიქრში ვარ და არ მტყუცა თავ-ში აზრმა?! ნამოვარდი და ემ მაყვლოვანიდან და-ვეში თაკვე. ჩავირბინე დაღმართი და აჰა, შევ-ვარდი თაკვე ჩემს... ოლეგას ჭიშკარში.

- ოლეგა!! - დავიღრიალე მოუთმენლათ, - ოლ-ეგა-მეთქი! ოლეგა!!!

გამოიზუტა ოლეგა მარნის შხრიდან. ფერი არ ადევს. ვინ იცის, ჩემ მოსაკლავად მოსულაო, ფიქ-რობს.

- კიდე შენა ხარ, რობიზონ? რაშია საქმე...  
- ოლეგა!! - ვებდღვენი მე შხრებში, - მისმინე ბიჭო, რა გითხრა... - ძლივს ვიბრუნებ სულს, - რამე რო იყოს, ბიჭო... აგე, კონფლიქტის ზონა ვართ უკვე და... დასაცავი რო გახდეს აქაურობა... დამაცვიინებ მეცა?! ჰა?!? დამაცვიინებ, ბიჭო?! ჰა?!?!!

და შევაჩერდი მოუთმენლათ. პასუსს ველი. გავ-ხედოთ და, იმისი სქელო ცოლიც გამოიზლანა მარნიდან, შემოილაგა თავისებურად დონჯი და თქვა:

- ჩვენსას ჩვენც კარქა დავიცავთ ყველაფერს! არ გეჭირდება დაშხარებები, - და გადაუბღვირა ოლეგას. იმანდა, ამოიდგა ენა:

- ეგრეა, ჰო... კი არ გენყინოს რობიზონ შენა, მაგრამ... ჩემსას ძმაო, მე დავიცავ, თუ რამეა...

- თვალებსაც არ ამოგკორტინი?! - ჩაურია ცოლ-მა.

ეხო იყო რალაცნაირი, მელოტი კაცის თავი-ვით... მოტვლეპილი. უჩრდილო. უცხო და უნაირო.  
- ე, დიკო ბიჭო... სად მიდიხარ? ქალაქიდან ჩა-მოსვლხარ, კაცო, ან გშია, ან გწყურია...

- კაკალი რათ მოჭერი, - ვკითხე და ჩავაცქერ-დი თვალებში... მოვტრიალდი მერე და ნამოვედი. მაყვლიანისკენ მანამ ავუსხვედი, ფეხი შევანელე და აბა ბიჭო, მაშინ დამკრა თავში აზრმა, თუ დამკ-რა! ბომბივით გასკდა შიგა, ბომბივით!

ბოსტანი უნდა გავაკეთო!  
ჰა? რაო ბიჭო? - დავეკითხე ჩემ თავს.

- ბოსტანი! ბოსტანი!! აგე იქ! აგე! ჭაობამდე არ-მისული... არც არავისია, ძმაო, არც არავის უნდა, არც ვართმე ვინმეს, არც ვყიდულობ, არც საბუ-

თებით ვიფორმებ, არც არაფერი... უბრალოდ... ისე... ერთ პატარა ბოსტანს გავაბიბინებ ზედ და ეგ იქნება ვინ გამეცვს ხმას! არც არავინ!

მივევარდი იმ ადგილას. დაბალი ეკლით იყო გა-დავლილი და კალივს პარპაში გაუდიოდათ.

აჰა... ათი ნაბიჯი იქით, ათიც აქით... ქაქე შე-ნი საბოსტნე, რობიზონ!!

დავიხარე და მიწა გაჭიჩქნე თითებით. ან რათ მინდა გადაჩიჩქნა. ისედაც კარგად ვიცი, რა არ-ის და როგორია. როგორია, რა?! ადამიანის ხელი აკლია, ყამირია, მოვლა უნდა.

- დაცვა, რა გიყო შენ? - ველაპარაკები და ვუსვამ ჯვარა-ეკლიან ზურგზე ხელს, - დაცვა შენ... დამაცადე... ერთ-ორ თვეში იქნება თავი ვე-ღარ იცნო! ჯერ... ჯერ გაცვლეავ. გაგასუფთავებ. მერე დაგბარავ. გაგავფხვიერებ. მერე სასუქითაც გაგანოყიერებ. მერე ჩითილებს დაგარგავ... თესლს ჩავყრი... დაცვა, რა ვენათ მე და შენი სასიარულოც მექნება აქ! ჩამოსასვლელი... გლახა-სტუმარივით კი აღარ ჩამოუნებებ... ისე დაგიცავა კიდე როო...

დავბრუნდი ქალაქში იმედინი და გულმოცემუ-ლი. ჩემ სამარედ ქვეულ ბაბულის ბინასაც აუტ-ოკდა სიცოცხლის ძარღვი. დაუბრუნდა ხალისი და აზრი. გავიქცევი - იმის თესლს მოვიტან, გამოვიქ-ცევი, - ამისას. ხან სასუქს მოვარბენინებ, ხან შა-ბიამას, ხან თოსს, ხან ცელს... მოვაროვე. მოკ-ლედ, რაც საჭიროა ყველაფერი და მოველი შა-ბათ-კვირას გულისფანქალით.

მოვიდა ისიც. შაბათ-კვირა. ჩემი საბოსტნეც ადგილზე დამხდა. სად წავიდოდა... ჰოოდა, დაეტ-რიალდი. ჯერ ცელით გადავასხიბინე იქაურობა. სულ აქეთ-იქით ხტოდენ კალიები და სულ აქეთ-იქით წვებოდა ჯვარა ბალახი და ეკალ-ნარი. მოკ-ლამაზად იქაურობა. დაეტყო ხელი. მივდექი და ბარვა დავინყე.

მაისია. კაი რამე ამინდი და ვადგავარ საქმეს ხალისიანად.

ენახით, მუხო მოდის ისეც, სევარა და ერთიც კიდევ, ზაურა, ტრაქტორისტი.

- ვაა, რობიზონ? - გაიკვირვს რიგ-რიგობით.

- სალამ-ქალამი ბიჭებსა-თქო, - შევძახე. თან ესაქმიანობ ჩემსას.

- რა გამოგინყია? - მეკითხება სევარა.

- ბოსტანი.

- ბოსტანი?! - დააღეს პირები.

- რა გაიკვირვეთ, რა იყო... ბოსტანი-თქო, მთავ-რობის სასახლე ხო არა...

სევარამ მოიფხანა წითელი ცხვირი და მითხრა:  
- რობიზონ... განა რა უნდა მოიყვანო აქა იმ-დენი რო... მოდი ბიჭო, როცა გინდოდეს... პამიდო-რი გენდომება, მწვანელი, რამე... როგორც შენს ბაღა-ბოსტანში, კაცო... სხვა რა ვართ ერთმა-

ნეთისთვინ...

- გინდა ჩემსაშიც, - თქვა მუხომ.
- გინდა ჩემთანაც, რა! - თქვა ზაურამ.
- იყოს... ჩემი მექნება... - ვთქვი და დავანექი ბარს.

- ტრაქტორით გადაგისხვ მიწაც, ბიჭო, - თქვა ზაურამ, - რას ეჭიდავები ემ ქვადამებსა...

- ნნ... იყოს... ასე მიორჩენვია-მეთქი, ვუპასუხე და გადავავორე ბელტი განზე.

- კაი აბა. ღმერთი შენგერო, - თქვეს და გაუდგენ გზას, - თუ რამე გინდოდეს, არ მოიორილო...

მეორე კვირას ჩავხიდე ნერგები და გავაყოლო გამოვყოფილ მწკრივში. დასათესებ დაეთესე ყველაფერი. ჩავატანე ჩემი იმედ-ოცნებები.

იმის მეორე კვირას ჩავიტანე სადურგლო იარაღები. მივკარ-მოვჭკარი ფიცრებს და თავასხედელი გრძელი სათავსო გავახერხე, იარაღებისთვინ. სკვირივით რალაც. თან წამოიწოდებოდა კიდევ ზედა. დავადე პატარა ბოქლომი და დავაჯექი ძუნწ-კარაპეტასავით ჩემ ავლა-დიდებას. ვიფუსფუსე მთელი დღე და შემომალამდა ლამის იყო. ძლივს მოვუსწარი ბოლო ავტობუსს.

იმის იქით კვირასაც, ავდექი და შეიღვივრია სიმინდი შემოვთუთესე ოთხივე მხრიდან ჩემს ბოსტანს. საჩრდილობლად და საცავად.

ამასობაში, კონფლიქტის ზონაც არ გავხდით?! რა გეჭირდა საკონფლიქტო ეს ოხერი, მაგრამ ზოგი გარედანაც აურიეს ამ ჩვენ ოსებსა ტვინი და მიდითი... დაიწყო ინილო-ბინილო...

ერთხელაც, უკვე რო მუხლამდეა ჩემი პამიდვრები და უკვე რო თვალს უხარია ჩემი ბოსტინის დანახვა, გაიკაკანა ახლომასლიში ავტომატმა... გაწევი სიმინდებთან, გავეკარი მინას და ვეჭურჩულე:

- ნუ გეშინია... აქა ვარ... ფესსაც არ მოვიცვლი აქედან. ისე დაიცავ, გაგიკვირდეს... დაიცა შენ...

იმ დღეს კიდევ, რო ვთონი ჩემ ბოსტანს და, დაუშვა კოკისპირულმა! აუჰ, მიხარია!.. გახეთქილია უკვე მინა გველვისაგან... დახარბებულია წყალს... დაუშვი! დაუშვი! - ეღრიალებ ველურსავით. ვეშვირები წვიმას. ვილუშები იმინ-იმანა. ეს ამინდიც - გაგიჟდა სულ. ჩამოშავდა ღრუბელი, მოდის ღვართვადად. გაივლევებს - დაიქუხებს... გაივლევებს - დაიქუხებს... ცეცხლებსა ყრის ცა.

"ხო არა გებობბავენ, ეს ოხერი..." - გავიფიქრე.

ვნახოთ, ოლევა მორბის ემ მეორე მოსვლაში. ჩემმა აცვია და ბრეზენტი წამოუფარებია თავზე. მოიბრინა აქოშინებულმა და მიყვირის იმ ელვაქუხილში, რაც ხმა აქვს:

- დაანებე თავი!! დაანებე თავი ამ წვალეებს! წამო! წამო!!

ის იქით მექაჩება ორთავე ხელით, მე აქეთ ვი-

ნეც.

- რა გინდა, კაცო?.. - ვერ გამიგია ვერაფერი.

- წამო! მომკლა შენმა ყურებამ! წამო, დაგაცვივინებ! დაგაცვივინებ ჩემსას...

"ქხხხ"... ქუხს და ასხამს წვიმა.

- შააა?! - ეღრიალებ.

- დაგაცვივინებ!! დაგაცვივინებ... - ღრიალებს ოლევა. ქარი და წვიმა პირში უფარდება.

- კაკალი რათ მოჭერი - ეღრიალებ ახლა მე. ახლა მე მახრჩობს ქარი და წვიმა. გვეგონება, შუა ადვეტებულ ზღვაში ვართ ჩაყრილები ორთავე და ვისრჩობით.

- შააა?! - ყურს მიშვერს ოლევა.

- კაკალი კაკალი...

ჩაიქნია ოლევამ ხელი და გატრიალდა. სულ ძუნძულით გარბოდა. თავისი ჩემი სახლისკენ. რადაციანარათ, შემეცოდა კიდევ და უუხხ, ზალიკოო, ზალიკოო-მეთქი - დავკარი ფეხი დატბორილ მინას.

მოვიდა ზაფხული. გამიშვეს გამწვანებიდან შვებულეებში სეტქმებრამდე. ჩამოვიდა ზალიკოს გამოგზავნილი 50 დოლარი. ჯერ უკან მინდოდა გაგზავნა. მერე აზრი შევიცვალე. ვიფიქრე, გამოგზავნის - დავდე. გამოგზავნის - დავდე. მივამატებ ერთმანეთს, თავს მოვუყრი. რა იცი, რა ხდება! იქნება, მომიყდოს როდესმე ოლევამ ჩემი სახლ-კარი... დღეს არა მჭიდის, იქნებ ხვალ გაყიდოს, კაცო...

ივლისის ბოლოდან სულ აირია მონასტერი ჩვეგენ. რასაც ქვიან, ნაღდი ზონა ვართ უკვე კონფლიქტის. გაიგო მთელმა მსოფლიომ. ტელევიზორშიც მაგას ლაპარაკობენ. რადიოშიც. ავტობუსშიც. ყველგან... ზალიკომ ხო, გაიგო და გაიგო ამერიკაში. დამირეკა ტელეფონზე.

- რობიზონ. ალო.

მაშინვე ვიცანი. აბა, ძმას როგორ ვერ ვიცნობდი, მაგრამ ვითომ არ მესმის, ვითომ ხმა არ გამოდის, ეგრე ვიქცევი.

- ალო-ალო! ალო! ალო-ალო! - ვიძახი, - შქშქ-ვუბერამ სულს... მინდა ცოტად დაწყნარდე. მინდა, ყელში ამოგდარი გული უკან ჩავაბრუნო, საგულეში. პატარა წყენა და საყვედურიც არ მინდა ხმაში დამეჭყოს...

- რობიზონ! ალო! ზალიკო ვარ, ბიჭო!

- შოო... - ამოთქვი ძლივსძლიობით.

- როგორა ხარ, ბიჭო! ხო კარგათ ხარ! რაები ხდება ბიჭო ჩვენგან, რა ამბებია... მოეშვი, არა ქნა იქით პირი! ან არ მოგკლან, ბიჭო, ან არ გაგიტაცონ მძევლათ... ესელა მიხარია, რაცა ვქენი... არ მიბორიალებ მაინც იქითა... როჰული ბოვეიკი შენა მყავხარ, თანაც... რობიზონ! ალო!

- ალო... - ვთქვი დაგუდულ ხმაზე... - ალო...



ალო... ჰ. ჰ.

- ფუი! არ გადის ხმა, ამის... - ჩაიდუდუნა ზალიკომ და დადო ყურმილი.

ვივარ ჩემ ნაღველთან დარჩენილი. ავდექი მერე, ჩამოვისხი პატარა ქიქაში არაყი და გადავკარი. მერე სამზარეულოში გავედი, ბაბულიას სამოვარს მივუჯექი და იმის გამობერილ მუცელში ჩემ სახეს დაფუნყე ცქერა. ცხვირი - მსხალივით. ტუჩები - ზანგებს რო აქვთ, ისეთი. თვალები - ხბოსი. გამეცინა უნებურათ. გადმოიყარა ცხენის კბილები...

სამეგონა, საცოდავ ბაბულიას სული ამ სამოვარში დარჩა-თქო. არის იქ თავისთვის შეყუყუელი...

მივაკაჯუნე თითით სამოვარზე.

- ჰეი! ბაბულია... ზღეს ტი, არაა? - ვუთხრებო, თან ჩემ ხბოს თვალებს ვხედავ და მსხალივით ცხვირს. რასა ვგეგვარ, ე!

- ზალიკო პაზვანილი სიჩას. გაიგე? ამერიკიდან. გავარიტ, ნი ხადი ტუდა, ვინაიო... ოჩინ ხარაშოც ზდეღაღ, ჩტო პრადაღო. ჰ! დაიცა, ერთიც ჩამოვისხა. მანდ იყავი. პადაუდი...

ავდექი. ერთი ქიქა არაყი კიდე ჩამოვისხი, სამოვართან დაებრუნდი და გადავკარი.

- ჰუ!

ჯერ ხომ ისე რა იყო ეს ჩემი სიფათი სამოვარის სარკეში და რო მოვიჭყყანე, ზოგი მაშინ გეწახათ!

იმ თავგასიებულზე ისე მომეკიდა არაყი, რო გორც ნავთნახსმულ ფიჩხს ცეცხლი.

- სლოში, ბაბულია... ტყე ხარაშო მანდ, ხო? ვ სამავარე. აგაშენა ღმერთმა! ჰოდა, მწე ტამ ხარაშო... პრადალ ზალიკო? - პრადალ! რაც იყო, იყო... ბრატ მინც, პანიმეშ?.. ესლა... ესლა ბაბულია, აგაროდ უ მენია ტამ. ბოსტან! პამიდორი, სომინდი, რამე... დაიცა, ერთიც დავისხა... პრიდუ სიჩას...

დავისხი ერთიც. მივუჯექი ისე ბაბულია-სამოვარს.

- ზალიკო გავარიტ, ვინა ტამ და რა ოხრობად გინდა საშარო რამე იქაო! ესლა მიხარიან რო გაეყიდე და მოგიშალე სიფათი და რამეო...

ჰეი!

ნიჩოვ ზალიკო ნი ზნეტ! ნიჩოვ! ტამ... ტამ... აესლა, რო დავანახა მარტო, ბაბულია, როგორაა გადაბარდნილი ყველაფერი, როგორ! საცოდაობა არაა ესლა, ტყვიამ რო აწვიმოს იქაურობასა?.. იმას ახლა უნდა აწვიმოს, ჩემო ბაბულიაჩკა, კი ჟუჟუნა წვიმებმა მარტო...

ლამე ვერ ვრჩები იქა! ეგაა საქმე. არადა, დასაცავი გახდა უკვე, რო იცოდე... აღარაა ნადინა-

მოდის დრო! ან იყავი ძმაო იქა და დიციავი ბოლომდე, ანარადა, დაიხურე ქუდი და მიატოვე!

წ! რას ვიზამ, ბაბულია, თუ იცი... ხვალ წავალ, მიუსობ ჩემ საამიკას აქეთ-იქდან რამეს და გადავხურავ ჩალა-ბულით! რო, ესე იგი, წამოინოლეობდეს და არ მანვიმდეს თავზე, ისე... პანიმეშ, ბაბულია! ჰოდა, ღამითაც ტამ ბუღუ...

ჩამეძინა ეგრე, სამოვარს ჩახუტებულს. გათენდა და ავიკარი გულა-ნაბადი. ჩასვლაც ძირს უკვე, კაცო... გადადი, გადმოდი... იქ პოლიცია დგას... იქ ჯარი, აქეთ ეს მილითს დამკვირვებლები აკვირდებიან რიდაცებს, იქით ეს კამერებიანი ჟურნალისტები გარბი-გამობრიან... მთავრობის მანქანები დადიან... ზონაა რა, კონფლიქტისა! ჰოდა, მეც იქა ვარ და ვდგევარ მაგრა.

- ტკაცა! - გამოვარდება ტყვიან.
- ტკუტუ! - გასკდება ლიმონკაა თუ ეშმაკები.
- ბუბუბუბუ... - დააქუსებენ გაუბიჯებულს...

ვარ. არ ვიცვლი დეფს. როგორც ვთქვი, მოვიწყე სადარაჯო და ვდგავარ მარჯვეთ. დედას კი არ ვუტირებთ? ერთი მოვიდეს ვინმე და მე წინ და შენ უკანაო, მითხრას! კარგ მწყერსაც დაეჭვრონებ! იმაზეც გულზე ესკდები კიარა რო, იქიდან რო გვიკაკანებენ, ეს ჩვენი ბიჭები მინც იკავებენ ჯერ თავსა! ჯერ ერთდებიან სისხლისღერასა და რამეს... იქნება, გონს მოეგონო, თორე განა რამე გვაკლია... გაიარე, აბა ერთი ზეით, შტაბისკენ!

ჩემი შტაბი კიდე, ჩემი ბოსტანია. იქა მაქ საგუშაგო პოსტიც და ყველაფერიც. ჯერ ვიკავე თავი და ბოლო-ბოლო, მამაჩემის ნაქონი სანადირო თოფიც ამოვიდე თავქვეშ და ზალიკოს ღურბინიც დავიკიდე გულზე... აი ისა, მანანას საყურებლად რო იყიდა, მანამ მოიყვანდა, ბაბულიას ლოჯიდან კუპატაძეების ლოჯს რომ გასცქეროდა გემის კაპიტანივით და არც სხვა ქალების ჭვრიტინს რო აკლებდა კიდე ხელს...

გავხედოთ, ერთხელაც ჩემი გარე ბიძაშვილი ომარა და იმის ცოლი მოვიდნენ ჩემ ბოსტანში.

- ბიჭო! რაებაა ჩადი, არ აალაპარაკე მთელი სოფელი? - მეუბნება ომარა.
- რათ ავალაპარაკე, - გამიკვირდა მე.
- ბიჭო, სუყველას შენა და შენი ბოსტანი აკერიან პირზე! ჰაი, რობიზონი რო თავის ბოსტანს იცავს და... რობიზონი რო თავის ბოსტანს უდგავს და...
- ყოჩაღ, ყოჩაღ რობიზონ, - მეუბნება იმის ცოლიც, ნათია.
- რა ძალიან გყვარებია ბიჭო ეს აქაურობა... ზალიკოს გაუხმა თავი... ბიჭო, რამდენჯერ გითხარიო, ღამე მინც დარჩი კაცო ჩვენთან. ჭერქვეშ არავინ მოგვლას აქა, მარტო...
- იყოს... აქ ექილები - ვუთხარი, - შტაბი მაქ

აქა.  
ამ ლაპარაკში ვართ და ატყდა და რა ატყდა!..  
კაკანი და რა კაკანი! ზუილი და ბლული გაუღდის  
თუ ტყვიას და თუ სწარიადებს! აღარა ხუმრობენ,  
ხო იცი! სულ გაუვიდათ თავს! შაი, დედასა! გა-  
მოგვრჩებიან ეგენი კარგ დაგაღუღს აქედან!

გაკრულები ვართ მინაზე სამივენი. მე, ომარა  
და იმის ცოლი. აკრატუნებს ომარაც პბილებს...

რო მიწყნარდა და, წამოწია თავი სოფელმაც.  
აბა, ვის სახურავში მოხვდა რამე, ვის ღობეში...  
გაეხებოდა და რასა ვხედავ! ოლეგა მორბის კოჭ-  
ლობ-კოჭლობით... ბარდაყზე იჭერს ხელს... სისხლი  
სდის თქრიალითა. დაჭრილია კაცი!

დასტაცეს ხელი ჩვენმა ბიჭებმა, ჯარისკაცებმა,  
გაშოტეს ბრუნჯის საკაცეზე და გაატანეს სასწ-  
რაფოს მანქანისაკენ. გავვარდი. დავენიე.

- ოლეგა-მეთქი, - ვეუბნები, - დარდი არაფრი-  
სა გქონდეს, ბიჭო... როგორც ჩემ საკუთარ ბოს-  
ტანს, ისე მიგხედავ შენს... შენს კარმიდამოსს.

ცოლი და ბავშვები გახიზნული ჰყავს უკვე. აღ-  
არავის ანაბარა ურჩება სახლი და კარი...

მთარბენინებენ საკაცით. მივსდევ გვერდიდან...  
ამოშედა. გაისვა ენა გამშრალ-გალურჯებულ ტუ-  
ჩებზე და მუუბნება:

- არ უნდა მომეჭრა კაკალი...

შეაცურეს მანქანაში და გააქანეს.

იმ დღიდან ქალაქისკენ პირი აღარ მიქნია. არც  
ვიზამ, მანამ არ დალაგდება ყველაფერი. მანამ არ  
შეხედავ რო, არც ჩემ ბოსტანს ელის ხიფათი,  
არც ოლეგას სახლ-კარს, არც ემ ალგების რიგს,  
არც მაყვლიანს... არც მთელ ყველაფერს...

წინა კვირას დავჭკრიფე ბლომათ წითელ-წითე-  
ლი პამიდვრები ჩემ ბოსტანში, შემოვუნყე კაი წი-  
წაკა, პრასი, ნიორი, მწვანილი და ავუტანე შტაბ-  
ში ბიჭებს. აუჰ, ჯიგარი ხარო, დამკრეს ბეჭებზე  
ხელები და აღარ გამომიშვეს. ერთად ვჭამეთ პუ-  
რი. მერე, შტაბის უფროსმა გადაამკიდა მხარზე კაი  
ავტომატი და კეპიც მაჩუქა სამხედრო... დაფოთ-  
ლილი. აჰაო, ძმაო და აბა, შენ იციო... ჯიგარი ხა-  
რო...

იმდენი უძახნიათ ემ სოფელში, რობიზონას  
ბოსტანი და რობიზონას ბოსტანიო რო, კამერია-  
ნი ჟურნალისტი არ მომადგა გუშინ საღამოს?!

ხან ავტომატიანი გადამიღო, ხან უავტომატო, -  
ჩემ ლობიო-პამიდვრებში... ხან დურბინდში მაცქე-  
რინა...

- თქვენაო, რას იცავთ, ესეიგი, ბოსტანსო?
- ჰო, თქო... ბოსტანს.
- ეს ბოსტანი თქვენთვის მხოლოდ და მხოლოდ  
ბოსტანია, თუ რამე, ბოსტანზე უფრო მეტით...
- ჰო, რამე უფრო მეტითქო, რა ვიცითქო...
- კონკრეტულადო?

კონკრეტულადო და, ატყდა კაკანი და გუგუ-  
ნი. დაესტაცე მეც ჩემს ავტომატს ხელი და აბა,  
გავრბივარ და გამოვრბივარ!.. თუ ჩემი ბოსტანი  
და თუ ოლეგას კარ-მიდამო! - თქვენი დედა, თქვე-  
ნი თქო, - ვლრნილებ და ვაკაკანებ, - რა გინდათ,  
თქვენი ასე და ისე, სახლი აღარ გინახავთ?! კარი  
აღარ გინახავთ?! ბოსტანი აღარ გინახავთ?! რას  
ატყდით, თქვენი კარგები, თქვენი თქო... აღარ დაგ-  
ვანებებთ თავსა? აღარ დაეტევით თქვენ ტყავში?  
რა გინდათ, გავცოფდეთ და დედები გიტვიროთ მა-  
ინცდამინცეთქო?!

დადამდა მერე და ისე მოიჭედა ცა ვარსკვლავ-  
ვებით, ვითომც აქ არაფერი... სწყნარე ჩამოვარ-  
და... ჩემი სიმინდები შრიალებენ ბნელში და ჭაო-  
ბების მხრიდან ბაყაყების ყიყინი ისმის... ლიხვის  
ხმა მოაქვს შორიდან ნიაფს...

ჯერ ჩემს საამიკავზე ვინქი. მერე უცებ, მინა-  
ზე ცომინდა წოლა.

დავწევი სიმინდებს აქეთ, ბალახზე. დავეკარ  
ზურგით მიწას... ავაცქერდი ვარსკვლავიან ცას...  
იმდენი ვარსკვლავი იყო, იმდენი, ბიჭოოო... ერთი  
მინც, თითქოს მე დამცემცემებდა... თითქოს ჩემი  
ბედისა იყო... თითქოს ჩემი მფარველი...

აქა ვართქო, ვფიქრობდი... აგე, მაინც აქა ვარ...  
ისეც აქა ვარ...

და ჩამეძინა.

მესიზმრა, შუაგულ ჩემ ბოსტანში კაკალი ამო-  
სულიყო... აი ისა, ოლეგამ რო მოჭრა... ჩემი დიდ-  
ბაბუის დარგული... ვუყურებდი, ვიცინოდი და  
ვტიროდი...

2004  
ავგისტო  
სხვიტორი





## ბათუ ღანელია

ციკლიდან "Mirabile vita"\*

### საძბნელია


ქვეყანა დღისაგან ქვრივდება ბინდების საფარველად...  
 მომაკვდავ შშის ტოტზე დაკვიდე სტრიქონი - საქანელა,  
 დავექ და ვქანაობ, სასიბო რითმებით დარწყული...  
 ჯერაც ცის ამბრებში დაყრილი არაა მარცვლეული...  
 და, აი, ვქანაობ, ვქანაობ, ვქანაობ, ვქანაობ და  
 თავზარის ტენორი მოისმის დაისის სანაოდან... -  
 წითელი კივილი იბნევა სიკვდილის აკორდებად,  
 საცაა, იესოს ნათლის თავით დაგორდება  
 მზე - ჩვენი დედა და და-ძმთა მოძღვრული საიმედოდ.  
 ღმერთო, რა მოხდება მუდმივი სიცოცხლე გაიმეტო!  
 მეგონა სიცოცხლეს სიკეთე აკმევდა აკვარელად,  
 მაგრამ აქ სიცოცხლე ყოფილა სიკვდილის საქანელა... -  
 სიკვდილიც, ბავშვით, ქანაობს თავისი საქანელით  
 და არის ფრთოსნობის ყველაზე უზადო საფანელი...  
 მე მაინც მელნისფერ ციაგზე დაკვიდე სტრიქონი და  
 ვქანაობ - მეგონა ამისი მეწველიც მიპოვინდა...  
 ვქანაობ და ვიდრე არ ჩანან მშველელი სტრიქონები,  
 გადაყრილ ვარდებად ვიშლები და ისევ ვიკონები...  
 დაისის ვიდეომ, რამდენჯერ, კინალამ დამანელა,  
 მზე ახლაც ჩავა და გაწყდება სტრიქონის საქანელა,  
 ო, თუ ვერ ჩაბარდა იდუმალ აღვზნების გამოცდები,  
 გაწყდება ობოლი სტრიქონის თოკი და ჩამოვწყვები...  
 და ზვავად მოწოლილ გრძობათა ლირიკულ კამიკაძეს,  
 სანამდე არნახულ გაწირვის გრიგალი გამიტაცებს -  
 ვქანაობ, რომ სული ისმენდეს ჩავლილი ჟამის სოლოს  
 და ბედის შურდულმა სიშორის გადაღმა გამისროლოს...  
 და იქით ვეწვიო იმსვე, აქეთკენ რასაც ველი...  
 და გავზნე წერტილი, სამყაროს ბოლოში დასასმელი,  
 მაგრამ ჯერ სტრიქონზე ვქანაობ სიცოცხლის საფანელად  
 და ჯერაც ქანაობს სიცოცხლე - სიკვდილის საქანელა!..

### მთვრალი კაცი

ხსოვნას მზეც ვეღარ მითბობს.  
 ვეძებ კორპუსებს მალღივს.  
 სახლთან ვერ მიველ, თითქოს  
 აორთქლდა ჩემი სახლი.

მოსახვევებში ვუხვევ  
 და მაბნევს ჩემი ჩრდილიც...  
 ღვინით დათვეური წუხელ,  
 სახლს ვეღარ ვაგნებ დილით.

დავალ აღმა და დაღმა,  
 მაფრთხობს ჩიტების გუნდი,  
 ხილით გადაველ გაღმა  
 და უკან გამოვბრუნდი.



\* ცხოვრება საოცარია (ლათ.)

დავალ, გზადაგზა ვკარგავ  
 ჯიბეში მცხოვრებ საგნებს...  
 ვეზვევი ყველა ნარგავს,  
 სახლს კი ვერაფრით ვაგნებ

და ლამის ჩავიძინო,  
 ამ დროს, უეცრად, მოდის -  
 ხელკავს მიკეთებს ღვინო  
 და მეუბნება ბოღიშს.

### სიმძგბა უცხოეზბა

ეროტიკული ფილმები შვების  
 მომგვრელად უკვე იზიდავთ ქალებს  
 და თბილისელი ქალების კმრებიც  
 თანდათან უფრო იკლებენ აღერსს.

მეტ დროს უთმობენ ბრიჯსა და პოკერს,  
 ვიდრე ქალებთან არშიეს და ფლირტებს,  
 ცხოვრების გემოს იმგვარად გრძნობენ,  
 თითქოს ძალიან იაფი ღირდეს.

ზოლო ქალები გაუცხოვდნენ და  
 ხსოვნაც მოუკვდათ ქსოვის და ქარგვის  
 და სიყვარულსაც, ქალურ ცხოვრებით,  
 ეხამუშებათ უხადონ ხარკი...

სიყვარულს ძალა აკლდება, ძალა!  
 სადღაც ჟანგდება ხანჯალი ქაშრით...  
 და ქალის მუხლის ელვაზე ბალანს  
 ძველებურ ვნებით არ იშლის მამრი.

### უჰამლეტობა

არვის ექვე ჯორ-ცხენად,  
 აღარავის ესაჰყარო...  
 ჰამლეტობა ჯობს ყველას -  
 დანიაა ეს საჰყარო.

მაგრამ უჰამლეტობა  
 მძვინვარებს და ვითელებით,  
 სულს ბურუსი ედება,  
 მრავლდება იან სკვითელები...

კი, ჰამლეტის დანიას  
 ძალუმს სულშიც მოკალათდეს,  
 მაგრამ თუ ინანიებს,  
 მიუტევე მოღალატეს!

### თიეზაოზბა მწუხრზე

თეეზაობ. წვიმას წამოსვლა სწადის -  
 ხვალისთვის ველარ ვიშოვი სადილს,  
 არ გამაჩნია ფანტასტიური  
 ბადე თედოსი, ანკესი - "ბრატის"...  
 თავზემით ღრუბელით კრებაა... უკან  
 ლაყუნისფერი მზის ბურთი ცმუკავს -





გამოსათხოვარ სასწაულს სჩადის:  
უსმენს თავისი სიკვდილის ფუგას  
და სამარეშიც თავისით ჩადის.

### მეშხალეები

*მერაბ აბაშიძის ხსოვნას*  
მე მინდა, სიტყვები სიცოცხლეს მოეხიოს  
და სული როკავდეს სამყაროს კლავიშებით.  
მე მინდა, მაშხლისებრ მანთებლეს პოეზიის  
ცეცხლისგან შექმნილი ქალიშვილი...

ამბობენ, როდისმე ციერთა დასი მოთოვს.  
მე მაინც ციერებს მიველტვი გაშმაგებით  
და ვყვირი: აქეთკენ წამოდი, კვაზიმოდო,  
და წამოიმძღვარე მაშხალეები!..

ციკლიდან "მარადფარულები"

### გროვა

თოვლს ვაგროვებდი, ოღონდაც მარტო იმიტომ  
კი არა - მისგან ბაბუა მეკეთებინა,  
კიდევ რაღაცით იყო ის საინტერესო...  
ჯერ შეგროვებაც იმისა - სიამეს მგვრიდა:  
გუნდა, ქათქათა ეზოში ნელი გორებით,  
თოვლს აიკრავდა თვითონ და ასეთნაირად  
გროვდებოდა და ხდებოდა ვეება გროვა.

მერე იმ გროვას ვაქცევდი თოვლის ბაბუად  
და, თუ არ მსურდა იმისი გაბაბუება,  
მე კმაყოფილი ვიყავი მაინც, რადგანაც  
ისეც და ესეც ის იყო გროვა თოვლისა,  
რაც სხვა თოვლივით ადვილად არა დნებოდა...  
გადნობის მერე მის ადგილს სისველე აჩნდა  
და იქ ბალახიც უფრო სქლად ამოდიოდა...

მე მიხაროდა უსაზღვროდ, ყველაზე დიდხანს  
ჩემი ქოხის წინ რომ ენთო სითეთრის გროვა,  
რითაც ბავშვებთან თავსაც კი მოვიწონებდი:  
"ჩემს ეზოშია... თქვენთან კი აღარ გაჩერდა"  
და თოვლის ისეთ გროვათგან მიღებულ ტკობებით  
ჩემში საერთოდ აბსტრაქტულ გროვის შესახებ  
დაგროვდა აზრი და დღემდე ისევ გროვდება...

თუ დავაკვირდით, ბევრ რამის არსებობს გროვა:  
ყინვა სიცივის გროვაა, ყინული - ყინვის,  
დღეც ზომ გროვაა სინათლის, სიბნელის - ღამე,  
მზის შუქი - ციურ ხანძრების, მთვარის შუქი კი,  
მზისგან წყალობის გროვაა... გროვაა თვალიც -  
დანახვის გროვა. გაგების გროვა ყურია  
და ენა გახლავთ სწორედაც საუბრის გროვა.

თავი გროვაა ძვალ-სკალპის, ნერვების, ტვინის.  
ტვინი გროვაა გონის და აზროვნებისა,  
გული გროვაა სისხლის და ფუქულების... თავად  
ადამიანიც გროვაა ხორცის და ზემოთ



ჩამონათვალის ყველაფრის ერთად და ყველა  
 და ყველაფერი რაღაცის გროვაა ცისქვეშ.  
 ღმერთი გროვაა მრავალთა იმედის, რწმენის...

და დედამიწაც უთუოდ არის კოსმოსის  
 ზღვაში მცურავი ვეება გროვა, რაშიაც  
 სულ ვიქებებით ჩვენ, როგორც ნაგავში ვირთხა  
 და ველარაფერს ვპოულობთ, გარდა იმისა,  
 რისგანაცაა შემდგარი უვრცესი გროვა,  
 რასაც, მისივე სისხლ-ხორცით გაყვყვილები  
 დედამიწადაც ვუხმობთ და არცა გვრცხვენია.

სუყველაფერი რაღაცის გროვაა მართლაც:  
 მუშტი გროვაა თითების, წიგნი - ამბების,  
 დიალოგების, აზრების, პერსონაჟების  
 და საკითხავად მით უფრო მიმზიდველია,  
 რაც უფრო ერთად არიან მასში ისინი...  
 ჩვენ კი ისევე ვარსებობთ დაფანტულები,  
 მაშინაც, როცა დროებით საღმე ვგროვებებით...

ჩვენ, ვინც სიკეთის თოვლად ვართ ჩამოთოვილი,  
 სიავის გროვებს კრიჭაში ველარ ვუდგებით,  
 რადგან სიავის გროვები ქვეყნიერებას  
 მოდებულები არიან მყარალა ბალახად  
 და ჩვენ არ გვინდა, მაგათთან ბრძოლით ავყროლდეთ,  
 ჯობს, შეგვაგროვოს რაიმე ზებუნებრივმა,  
 ვით ყვითელ ფოთლებს წლის ოქროდ აგროვებს ცოცხი.

ანდა სიკეთე, როგორმე, ოქრო ფიფქების  
 გუნდად შეკკრათ და ყოველგან ვაგოროთ, როგორც  
 ბავშვი აგროვებს დათოვლილ ეზოში გუნდას,  
 რაც თოვლს იკრავს და თანდათან დიდდება ისე,  
 რომ ბავშვს იმისი გორება გაუჭირდება  
 და თოვლის პაპას აკეთებს იმხელა გროვით,  
 რაც არა ღნება ზანდაზან გაზაფხულამდეც...

და როცა არსად არაა თოვლის ნასახიც,  
 ბავშვის ეზოში ანათებს გროვა თოვლისა,  
 უქრობ ცეცხლივით... მას მოდით, ჩვენი სიკეთის  
 გროვამაც სწორედ იმგვარად ანათოს ირგვლივ,  
 თორემ სიავის გროვები სიბნელეს შობენ  
 და დედამიწა შიშისგან ტირის და... ლელავს  
 ზღვა - დედამიწის ცრემლების ლაჟვარდი გროვა.





“ფაუსტის” სრულფასოვანი ესთეტიკური აღქმისათვის ყველაზე ხელისშემშლელი რაც არის, მკითხველისეული წინასწარი მოლოდინია, მოლოდინი იმისა, რომ ჩვენს წინაშე ტრადიციული დრამატული ქმნილება, აკი მთელი ნაწარმოები მონოლოგებისა და დიალოგებისაგან შედგება.

ეს მოლოდინი უნდა თავიდანვე უკუვაგდოთ. გადამწყვეტი აქ ლირიკული სტიქიაა. დრამა, შეიძლება ითქვას, მეორადია. ნიშანდობლივია, რომ ავტორი რითმას იშვიათ შემთხვევაში, ძირითადად ანტიკური მანერით შესრულებულ მონაკვეთებში თუ შეეღვება ხოლმე, თან ბოლომდეც არა, ჩვეულებრივ დრამებს კი იგი, როგორც მოგვესხენება, პროზად ან ურითმო ლექსით წერდა.

დრამა წინ მოსწრაფეა, ლირიკა ყურადღების კონცენტრირებას ადგილზევე მოითხოვს, არსად მიეჭარება. “ფაუსტის” მხატვრული ძალა რომ აღვიქვათ, ეს ორი, ლამის ურთიერთგამომრიცხველი მოლოდინი უნდა გარკვეულ შესაბამისობაში მოვიდეს, რაც უცხადი მკითხველისათვის ძალზე ძნელია, რადგან საკმაოდ მაღალ პოეტურ გემოვნებას საჭიროებს. სრულფასოვნად თარგმნასაც უწინარეს ყოვლისა ლირიკული სტიქიის პრიმატი აძნელებს, არა იმდენად გარითმების აუცილებლობა. თითქმის ყოველი სტრიქონი უნდა ლირიკული სიფაქიზით დამუშავდეს. წინამდებარე სცენაშიც, რომელსაც სიუჟეტურად მნიშვნელოვანი როლი აკისრია, ტექსტის დაახლოებით ორი მესამედი - თუ მთელი ტექსტი არა - პირწმინდად ლირიკულია.

აქ დასაბამს იღებს ნაწარმოების ცენტრალური თემა - ფაუსტისა და მეფისტოფელის ურთიერთობა. მათი პირველივე რეპლიკები მკვეთრად ირონიულია, სადაც ინტონაციას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე სათქმელის შინაარსეულ მხარეს. ისინი ინტონაციურადაც შეჯიბრში იწვევენ და ტოლს არ უდებენ ერთმანეთს, რაც შემდეგ სცენაში კიდევ უფრო თვალნათლივია. თუმცა მეფისტოფელს ერთი უპირატესობა მაინც აღმოაჩნდება: თვითირონიულობა. ფაუსტი უაღრესად თვითირიტიკულია, მაგრამ არასოდეს თვითირონიული არ არის. მეფისტოფელის ეს თვისება, მოძრავ, მახვილგონიერ, მზიარულ ნირთან ერთად, საკმაოდ მომგებიათ სახასიათო შტრიხია, ამ სცენური ნიღბის მიმართ კეთილად განმანყობელი. ნუ დაგვაყინვდება, რომ მეფისტოფელი ბიბლიურ სატანას არ-

# იოჰან ვოლფგანგ გოეთე

სცენა “ფაუსტიდან“



ამც და არამც არ განასახიერებს, იგი ხალხური დრამებიდან წამოსული სახეა, ისევე როგორც ფაუსტი, და მის ნიღაბს თავისებური მომხიბლობა ახლავს, ურომლისოდაც მხატვრული თანაფარდობა დაირღვეოდა: ფაუსტი და მეფისტოფელი ერთმანეთისათვის შექმნილი ჰარმონიული წყვილია, ერთიმეორის წარმოქმნი და შემავსებელი. მათი წარმომავლობა - ნიღბურობა თუ სულაც თოჯინურობა - პოეტს არ ავიწყდება და შიგადაშიგ, ნაწარმოების ირონიული უკუფონისათვის, ოსტატურადაც იყენებს.

რაც შეეხება ბოროტ სანყისს, იგი ჩვენს თვალწინ თითქმის არასოდეს ვლინდება. მეფისტოფელი ფაუსტს სრულ მორჩილებას უცხადებს, ერთგულად ასრულებს მის ყველა ბრძანებასა თუ სურვილს, არც ერთ შემთხვევაში აშკარად არ ცდილობს, საითმე უბიძგოს, თავს რამე მოახვიოს. თუმცა მისი უწინარი ძალისხმევის შედეგად ფინალს მიღწეული ფაუსტი მაინც მძიმე ცოდვებით აღმოჩნდება დახუნძლული. მაგრამ ეს საკმაოდ ვრცელი საკითხია, უფრო ზნეობრივ-მსოფლმხედველობრივი, ვიდრე მხატვრული, და მისი განხილვის საჭიროება აქ არ არის.

დაპირი წერადიანია

## სცენა “ფაუსტიდან“

სამუსაო ოთახი

*შემოდის ფაუსტი, პუდელიც თან მოუყვანია*

**ფაუსტი**

ბნელში დავტოვე ტყე და მინდვრები,  
ლაშე ჩამოწვა და გადაფარა.  
კვლავ ის ჟამია, დრო გარინდების,  
როცა უღრმესი იწყებს ლაპარაკს.  
ცხრება წადილთა ხმა დღისიერი,  
ჩასძინებიათ საშმაგო ზრახვებს,  
და სული ჩვენი თრთოლვით ციერთ  
ღვთისა და კაცის სიყვარულს ახმევს.

დაწყნარდი, პუდელი, რა იყო, რას მირბენ გარს?  
რას ყნოსავ ზღურბლსა და კარს?  
რას დაწრიალებ, დახტი, წკმუტუნებ, ღრენ?  
წიქ ღუმელს უკან! ჰა, ჩემი ბალიში შენ!  
გზად ბევრი იცელქე, სულ ზტუნვით იარე კართამდე,  
აქ უკვე შინა ვართ, ეგ შენი ბზრიალი დამთავრდეს.  
კეთილი მასპინძლის თუ ვიცავ წესსა და რიგს,  
სტუმარმაც წესი ჰყოს, უკადრის ნურაფერს იქს.

აციაგდება როცა ლამპარი  
და განათდება სენაკი ვიწრო,  
გულიც ნათდება გრძნობით გამთბარი,  
გული, რომელმაც საგულე იცნო.  
ბასრდება აზრი, კვლავ დარი დარობს,  
კვლავ ძალას იკრებს იმედი მცხრალი,  
სადღაც სულ ახლოს ღიკლიკებს წყარო  
და უკვდავების გაღმოდის წყალი.

ნუ მიშლი, პუდელი - ხმებიან ზენა!  
თუ განზრახ ატეხე ყეფა და ღრენა?  
არ გამაკვირვებდა, კაცს ექნა ეს,  
ჭირად სჭირს არჯელობა ადამის ძეს.  
დაჰყეფებს, დაჰკმუველებს, არ ესმის რაც,  
აიკლებს დაცივით!  
შენ, რაო, პუდელი, რა ტვირთი გაც?  
რას მავნობ კაცივით?

მორჩა, ეგ იყო, დაშრა მკურნალი წყალი!  
სცადე, რაც გინდა, არ ამოფეთქავს ძალით!  
კვლავ უნდა ვიჯდე წყურვილეული,  
მე შენ გეტყვი და არ ვარ ჩვეული,  
გამოცდილება აბა მანდა მაქვს, თუ მაქვს...  
მაინც დაეძალავ! სალბუნს უუპოვი უმაღს!  
ძალი მიწიერი





და ძალი ციერი -  
გამოცხადება!  
ახალ აღთქმაშია ყველაზე ძლიერი  
მისი ნათება.  
მსურს წამოვიწყო საქმე ძნელად გასაბედავი,  
ავამეტყველო ჩვენს ენაზე წმინდა ღვინო.

თავდაპირველად იყო სიტყვა, - ასე წერია.  
უკვე შეფერხდი. მანდ სათუო არაფერია?  
ასეც დაეტოვოთ? არა, სიტყვა არ ღირს მაგდენად.  
არ ეფარდება. საჭიროა ცნების დაღვენა.  
გაღამეწმინდე, გამინათლი, გონებავე ქუფრო!  
სჯობს - პირველთაგან იყო აზრი. ფარდია უფრო.  
შესდექ, ნუ ჩქარობ, არაფერი ჩაწერო მცდარი.  
არ გაგიმრუდდეს პირველივე ნათარგმნი ბჭკარი.  
აზრისგან იქმნა, რაც რამ იქმნა? ნივთი ყოველი?  
თუ - პირველთაგან იყო ძალი? ძალი ცხოველი.  
არადა, რაღაც არ მანებებს, დავწერო ასე,  
რაღაც მაძალებს, შესატყვისზე ვიფიქრო სხვაზე.  
სული მკარანაზობს! ზუსტი არსი მოიკვეთება!  
ვწერ დარწმუნებით: პირველთაგან იყო ქმედება!

თუ გინდა, პუდელი, გაგიყო ჭერი,  
შეწყვიტე ყმუილი, ფარსაგად მღერი!  
არც მისმენს, თუ დაღვეს, თუ დაცხრეს წუთით!  
ცეტი ხარ, ყმაწვილო, ცეტი და ცმუტი!  
გაუბეზრდი, დამთავრდა, მეტს ველარ აგიტან,  
ერთ-ერთი ჩვენგანი მიბრძანდეს აქედან!  
ვწუხვარ, მასპინძელი გამოვდექ ცული,  
არადა, რა გიყო, ბრალი ზომ შენია.  
ეს აგერ კარები - გზა ვარდალ გფენია!

ოპო! რას ვხედავ! რა ოინია!  
რამხელა გახდა ჩემი ფინია!  
წუთიც და სახე როგორ იცვალა,  
სად აიწელა, სად აიძალა!  
შინ მოჩვენება შემომიშვია,  
ვინ ეშმაური ჯილაგ-ჯიშია!  
პუდელი იყავ, ცქაფად შემოხტი,  
გაქრა პუდელი, დგას ბეკემოთი,  
დაუფენია ხახა ვეება,  
ალი გიზგიზებს თვალითა წრეებად.  
ვერ გამისხლტებით ქვესკნელის ძენი,  
კლიტე მიპყრია სოლომონ ბრძენის!

სულელები,  
ტალანდიდან

ფრთხილად! არ გაბედოთ შესვლა!  
გარიგვლივ მოჯარდით ყველა!  
გაბმულა ბებერი ეშმა,  
ძრწის როგორც ხაფანგში მელა!  
ვუშველოთ, ხვერელი რამ ვუჩვენოთ,  
ქათიბი გასძვრება უჩვენოდ!



არიქა! არიქა!  
 ზე და ქვე! გარიგარ!  
 ოთხახმით! შაეის ხმით!  
 სანამ არ ღავისხნით!  
 ღავისხნით, მისხნი ვართ,  
 ათასგ ზის გიხსნივართ!

## ფაუსტი

შელოცვა ღაგცე მლაზერელი,  
 ოთხთაგან ამოშაზერელი.

სალამანდრა იწვოდეს,  
 უნდინა ღვარობდეს,  
 სილჟი ქარობდეს,  
 კობოლდი მიწობდეს.

ოთხივე სტიქიას  
 ნიშანთა რიგი აქვს  
 ჯაღოდ სახმარისი,  
 სულელების საუფლოს  
 ვერ შეესაუბროს,  
 ვინც იგი არ იცის.

აღში ჩასრიალდი,  
 სალამანდრავე!  
 ჭავლად გაშრიალდი,  
 უნდინავე!  
 ფრინდი, სილჟო, შორით შორად,  
 ცაზე ბრწყინდი მეტეორად!  
 ინკუბუსო, ამუშავდი!  
 გამო, ვინ ხარ, გამოშავდი!

ამ ოთხთა არსი

ცხოველში არ ზის.  
 წევს და შემომღიმის, ვითომც არაფერი,  
 ვითომც სალადობოს ველაპარაკები.  
 ვაწუნით სხვა რამე,  
 უფრო სავარამე!

კრულვისამც სული ხარ?  
 ქვენით მოსული ხარ?  
 გზახნელო მოხეტევე,  
 ამ ნიშანს მოხედე,  
 სცან, რასაც ღაგმახი!

ეცნო, აიჯაგრა, შეუღდა ძაგმაგი.

ყურთ იღე ძახილი,  
 იხილე სახელი  
 უჟამ-უქმნელისა,  
 გამოუთქმელისა,  
 დიდებასრულისა,  
 ნებით ბასრულისა!

თვალდათვალ იფუშება,

კუთხეში იყუყება.


გაფუვდა, იფოლზეება,

ჭერისკენ იბოლქება.

განერთზე, კვამლო, ნუ მიდენ ნურსად,

მბრძანებლის ფერხითი გაწეკი ლურსად!

მიხვდი, ტყუილად არ გეშუქრები,





ყველა სატანჯველს დაგცემ უკლებლივ!  
გნებავეს, გინვენო, რისიც ვარ შემძლე,  
სამპირი გრძნება ვიხმარო შენზე,  
სამსახშილოვან ალზე გახურო...

**მეფისტოფელი,**

*გამოდის კეამლიდან მოგ ზაურ სქოლასტად ჩაცმული*

რა საჭიროა ეგ ხმაური? გთხოვთ, მიმსახუროთ.

**ვაუსტი**

აი კახუსი! პუდელშიგნით რა ჩიტი მჯდარა!  
სქოლასტი, თანაც მოგ ზაური! ღირდა წვალებად.

**მეფისტოფელი**

ჩემი სალამი ბატონ სწაველულს და მოკრძალებას!  
ისეთი ხეითქი გადამდინდა, ამ ჯერზე კმარა.

**ვაუსტი**

რა გქვია?

**მეფისტოფელი**

ყოვლად უსაგნო კითხვა,  
მისგან, ვისთვისაც უქმია სიტყვა,  
სძულს გარსი, ჩენწო, მოდებ-მიდება  
და საგნის არსში ღრმად იჭვრიტება.

**ვაუსტი**

ეგ თქვენი ჯური თქვენი ფანდებით  
სწორედ არსობრივ ვინ რა ბრძანდებით,  
ზედწოდებებიც მკაფიოდ ავლენს,  
ბუზების ღმერთი, მაცთური, მაკნე...  
კარგი, ვინა ხარ?

**მეფისტოფელი**

ვარ იმ ძალის ნაწილი ვართი,  
ღლეშუდამ ბოროტს რომ იზრახავს და სწადის კეთილს.

**ვაუსტი**

როგორ გავიგოთ? უქარაგმოდ თქვი სათხრობელი!

**მეფისტოფელი**

სული გახლავარ, მუდამ ყოვლის უარმყოფელი,  
და სწორიცა ვარ, რაც შექმნილა, გაქრეს, ჯობია,  
ღიას, პირწმინდად, უკვალ-უკლებ მოსასპობია  
და, რომ არასდროს შექმნილიყო, ის აჯობებდა,



ანუ, მოკლედ და უქარაგმოდ, რასაც ცოდვებად, წაწმედად ნათლავთ, ბოროტება რაზეც გიქვიათ, გახლავთ, ასე ვთქვათ, ძირეული ჩემი სტიქია.

### ვაუსტი

ნაწილი ვარო, აცხადებ და - დგანარ მთლიანი?

### მეფისტოფელი

მოკრძალებული სიმართლეა, გაჭრილად თქმული. ეს - თქვენი მოდგმა ყელყელაობს, ადამიანი, რეგენი თავი მთლიანობა ჰგონია სრული. მე ნაწილი ვარ ნაწილისა, იმ პირვანდელი ყოვლის ნაწილი, იმ ბნელისა, ვინც შვა ნათელი, ყინჩი ნათელი, დედალამეს რომ ეჭიფებდა, რომ ეღაუბა სივრცესა და ძველ ხელმწიფებას, მაგრამ ფუჭია, რასაც ომობს თავადაკლული, რადგან სხეულთა ზედაპირზე რჩება გაკრული, მათით ლამაზობს, მათით არის, თუ არის მნათი, მათგან მოდენს და გზაც აგრეთვე ეხშობა მათით. მათთან ერთადვე, იმედია, მალე გაქრება, სრულად მოუწევს არყოფნაში ჩაარაფრება.

### ვაუსტი

გასაგებია, რაც გიტვირთავს ღირსეულ ვალად, ქვეყანას ვნება მოუტანო, არ შეგწევს ძალა, დაფაციფუცობ, პატ-პატარა ზიანს შეზარი.

### მეფისტოფელი

და მანდაც ბევრი არაფერი მაქვს საკეზარი. სამყარო ანუ წამიერი მცირე წყვეტილი, არარაობის წიაღიდან გამოჭყეტილი, მანც დგას, ვერა დავაკელი, რაც არ ვირჯები, რა ქარიშხლები, რა ხანძრები, რა მიწისძვრები, რა წყალთა რღვნები, რითი აღარ აღმმართე ხელი, ვერა და ვერა, დგას უვნებლად ზღვაცა და ხმელიც. ან ეს ჯილაგი, ცხოველთა და კაცთა ნაყარი, მუსრე, რამდენიც გაგიზარდეს, ტალახში სრისე, გაიხედავ და სამზოზე დაცოცავს ისევ, მიმორბის სისხლი ახალი და კიდევ ახალი. წყალს, მიწას, ჰაერს მოსდებია სიცოცხლის ღივი, ღვივის და ღვივის, ერთი იყო, ათასი შობა, არც სიცხე უშლის, არც სიცვიე, ღღობა თუ შრობა, გაგებზრდი! შევლა აღარ არის! ღვივის და ღვივის! ცეცხლი რომ არა, მცირე გოჯსაც კერსად ვპოვებდი, ჩემი რამ კუთხე მომეფარგლა განკერძოებით.

### ვაუსტი

მოკლედ, ამაო ზაკვით ჩუმ-ჩუმით  
 შემოქმედ ნებას წინ ეგრიხები



და უილაჯოდ გაქვს დაკუმშული  
 ეშმაკეული ცივი მჯიღეები.  
 გიჯობს, მონახო სხვა საწრიალო,  
 ქაოსის ძეო კუდბაწრიალო.

**მეფისტოფელი**

ზეალზევით ისევ მოვალ და გნახავ,  
 მაშინ ვიფიქროთ ამა საქმისაც.  
 ნება მიბოძე, დაგტოვო ახლა.

**ვაჟსტი**

ვიშ, ჩემი ნება მოესაკლისა!  
 გნახე, გაგიცან, აგიბი მხარი,  
 წა და მო, როცა მოგცეს გუნებამ,  
 აგერ სარკმელი, ეს აგერ კარი,  
 არც ბუნრის ხერელი დაიწუნება.

**მეფისტოფელი**

მაგრამ გავლენა კარსქემო ნიშნის,  
 მაგ ღრუღეს ფეხში რაც იფარება,  
 შემაფერხებლად ცვლის ვითარებას...

**ვაჟსტი**

აჰ, პენტაგრამა? და გასვლას ვიშლის?  
 შიგნით როგორღა შემოხვედი, თუ ასე გუსხავს?  
 ეს ჯოჯოხეთის მონასხლეტი, ეშმა ნაჯიკი,  
 ვერაფერს მიხვდი და ტყაპანით ლაფში ჩაჯექი?

**მეფისტოფელი**

ტლანქად ხატია, მოხაზული არ არის ზუსტად.  
 ქიმი, გარეთკენ მიმართული, ხედავ თვითონაც,  
 თავშეუკერელი დარჩენილა, პირი აქვს ღია.

**ვაჟსტი**

და ტყვე ხარ ჩემი? აი მესმის შემთხვევითობა!  
 ჰე-ჰე, იბალმა გამიჭრაო, ამასა ჰქვია,  
 უფიქრ-უზრახნად ტარტაროზის აქ ჩაყუდება!

**მეფისტოფელი**

ვერ მოჰკრა თვალი სიჩქარეში ნიშანს პულელმა,  
 ცქვიტად შემოხტა, არ ჰქონია არაფრის რიდი,  
 სამაგიეროდ ზის ეშმა და კელარსად მიდის.

**ვაჟსტი**

შენც, დიდი საქმე, ადგები და ფანჯრიდან წახვალ.

**მეზისტროფელი**

მაგ მხრივ ქაჯა-ეშმაკ-მოწვევებს კანონი გვზღუდავს,  
თუ სადმე შესხლტი, იმავე გზით გამოსხლტე უნდა.  
შესვლა ჩვენზეა, გამოსვლისას კანონის ყმა ხარ.

**ვაუსტი**

მაშ, ჯოჯოხეთიც მკაცრ კანონებს მორჩილებს რაღა!  
დავიმასხოვრებ, სამომავლოდ გამომადგება,  
ხელშეკრულების თუ მომიხდა თქვენთან დადება.

**მეზისტროფელი**

ო, მაგ საქმეში პირის შეშლა არა გვჩვევია,  
ბოლო მისხლამდე მოგეცემა, რაც აღგეთქმება,  
მაგრამ ხელწერილს დადინჯებით უნდა შედგენა,  
ყოველი სიტყვა სამსჯელო და გასარჩევია.  
ამ ჯერზე აღარ მოესწრება, დღეს მოვრჩეთ ამით,  
ხვალ-ზეგ მოვალ და გავეგრძელოთ ეს ლაპარაკი.  
ახლა გამიშვი.

**ვაუსტი**

კიდევ ცოტაც, ორიოდ წამი.  
ჩემზეც მითხარი სამერმისო რაშე არაკი.

**მეზისტროფელი**

დღეს მეჩქარება, სხვა მოსვლაზე დავრჩები დიდხანს  
და შეძლებისად ვუპასუხებ შენს ყველა კითხვას.

**ვაუსტი**

რას მედავები, შენს გაბმაში მე მიდევს ბრალი?  
შენს თავს მოჰკითხე, უნდა უკეთ გჭეროდა თვალი.  
თქმულა, ეშმაკი მოიმწყვდილო, მყის ხელი სტაცე,  
ვინძლო მეორედ ვეღარ შეხვდე შემთხვევას ასეთს.

**მეზისტროფელი**

რახან ეგრება, დავრჩე უნდა, რა მაქვს სათქმელი,  
ოღონდ პირობა: კითხვები და განსჯები მორჩეს.  
ეს დრო ვართობას მოხმარდება. ვთავაზობ კონცერტს.  
ჩემი მაღალი ხელოვნების სმენით დატკებთ.

**ვაუსტი**

იყოს, თუ მართლა ეგ სიმაღლეც აქვს მეტ-ნაკლები,  
თუ შიგადაშიგ ცოტა მაინც ჰგავს ხელოვნებას.

**მეზისტროფელი**

მდაბლად შეგნიშნავ: ჰაიპარად მსჯელობ მაგაზე.



ეს მცირე ხანი ბევრად მეტი განცდით აგავსებს,  
ვიდრე მთელი წლის შენეული ერთფეროვნება.  
რასაც აქ ახლა გიმღერებენ ჩემი ჩვილები,  
ეს არ იქნება, უნდა გითხრა დანამდვილებით,  
მხოლოდ მსგავსება, მხოლოდ გარსი და საბურველი,  
ჩვეულებრივი ხელოვნების ლანდთა ლამუნი,  
შემღებ შეეხო, ნახო გემო, იგრძნო სურნელი,  
გულს შეგიჩქოროლებს, მიყუნილები თვალდანამული.  
თან არც მზადება გეჭვირდება დიდი.  
აბა, ღლაპებო, აქა ხართ, მიდით!

### სულელები

თაღებო, განქარდით!  
ბინდო, გაიფანტე!  
გადმოკრთა ლაფვარდი,  
ჯერ თაღთა სიფართო,  
ღრუბლები მიდიან ზედ!  
სინათლე იაღებს  
ღრუბელთა კვალად,  
გადაციიაღებს  
ვარსკვლავი ცაღად,  
გადაიკაშკაშებს მზე!  
ციური წყვილები,  
ნათლით მოსილები,  
ირგვლივ მიმოქრიან,  
სხივისთან სხეულებს,  
ალში გახვეულებს,  
ლტოლვით მიმოზრიან.  
სამოსთა კალთები,  
ქობები, კვალთები  
მთაღაბარს ფარავენ,  
დაჰბრუნავს ამაღლა  
ქალ-ვაჟთა სამაღავ  
დაბურულ თაღარებს.  
სავესილიაზე,  
ზერებად ატეხილი,  
თაღარი თაღარზე,  
ვაზების გრეხილი,  
მტეენები, ჯაგენები,  
მძიმენი, სართვლონი,  
სავესილიაზე,  
ლრმანი და ფართონი.  
გადმოდის ღვარები,  
ნაკადზე ნაკადი,  
ივსება ღვარები  
ლაღლით და აქატიით...  
კვლავ გაფორინდებიან,  
გადავლენ დას-დასად,  
იქ სადაც ტბებია,  
ბორცვები ხასხასა.  
მერე კი - ზღვისკენ!  
სამხრეთის მზისკენ!  
კუნძულთა რწეულთა,



ლაჟვარდში რეულთა,  
 ზეულთა, მზეულთა  
 სანატრელ მზრისკენ!  
 ფერხისთა წყობანი  
 გზებზე თუ მინდვრად,  
 საკრავთა ზმობანი  
 ყოველი მხრიდან.  
 წყობანი, წყებანი,  
 მროკველთა რებანი...  
 და ისევ მიქრიან  
 გუნდებად სხვადასხვად,  
 რომელნი მთადამთა,  
 რომელნი ზღვადაზღვა.  
 ცალდაცალ მიქრიან,  
 კვლავ და კვლავ იკვრიან  
 და ფრთაშეწყობილნი  
 გვერდ-გვერდ მიფრინავენ,  
 სადაც შეტრფობილნი  
 ვარსკვლავნი ბრწყინავენ.



### მეზისტოველი

მორჩა, გეყოფათ, ყმაწვილებო, ჩინებულა!  
 კარგად იღვაწეთ, მისცემია ძილსაც გულიანს.  
 დიდად მაამეთ მაგ კონცერტით. მაღლობას გიძღვნით.  
 ჯერ არ მოსცილდეთ, ცოტა ხანიც გაართეთ სიზმრით.  
 იძინე, ფაუსტ, არ ხარ ის კაცი,  
 რომ ეშმას კუდში ჩასჭილო ცაცი.  
 ახლა ვირთაგვის გვეჭირდება კბილი,  
 უკუმისაქცევს გაგვიჭრის ბილიკს.  
 მანდ სადღაც ახლოს გაიფხაკუნა.  
 თავიც გამოყო. მო, ვირთაგუნაჯე!

პატრონი ყოველთა თავგვიერთა, ვირთაგვიერთა,  
 ბუზთა, ტილ-რწყილთა, ბაღლინჯოთა, მყვართა, მღიერთა,  
 გიბრძანებ ზვეელი დატოვო ახლავ  
 და ზღურბლზე ჩემთვის ბილიკი გახრა,  
 ჩემი შემკვერელი გახირნხო ქიმი!  
 პა, ზეთს ვაწვეთებ, გიპოხავ ცხიმით.  
 კარგია! კიდევ! ცოტათი კიდევ!  
 მოსაღრღნელია უკანა ძვიდე.  
 მორჩა, ეგ იყო, გზა არის ხსნილი!  
 მშვიდობით, ფაუსტ! სიზმრები ტკბილი!

### ფაუსტი,

*იღვიძებს*

კვლავ გაუვიდათ ავსულებს ფანდი,  
 გაბრიყვებული დავრჩი აშკარად,  
 ძილში მანახეს ეშმაკის ლანდი,  
 ამასობაში ძალდი გამშპარა.




პუბლიკ ჯონი

მაგარი

გოგო-ბიჭები

მეორე კაცს რომ გამოუყვანა წირვა, მაშინდა დაიჭირეს. სხვა დანაშაული პროცესზე არავის უხსენებია და ამიტომ ცეზარს სახეივით შერჩა პირველი მსხვერპლის, ერთობ ჯმუხი ყმანვილის გასაღება, ყმანვილისა, რომელსაც ნორთისტი მისახვევში, მისი სახლიდან რაღაც ორიოდ კვარტალის დაშორებით შეუჭრია გულის ფიცარი და რომელიც სიცოცხლეს იმ ქალის გამო გამოეთხოვა, სულაც სხვა, მესამე რომ უყვარდა. მეორე მოკლული კი ნაადრევად გაჭალარავებული ოცდაორი წლის ბიჭი იყო, რომელსაც მხოლოდ რამდენჯერმე თუ გაუბედა სხვის უბანში გადასვლა.

შვიდი თვის შემდეგ ცეზარი დაიჭირეს და მეორე კატეგორიის მკვლელობისთვის გაასამართლეს. ის კი, მთელი ძიების განმავლობაში მარტო პირველ მსხვერპლზე, პერსი ვეიმუთზე, ანუ "ოქრობიჭზე" ფიქრობდა და არა ანტუან სტოდარდზე, რომლის გვარ-სახელსაც წარამარა უმეორებდნენ. ცხოვრებამ ბოლომდე უჭირა ყოფა ცეზარს მას შემდეგ, რაც ამ თითხმეტი წლის წინ, ჯერ კიდევ პირველითა ლაპამა, სამუდამოდ მიატოვა მამისეული სახლი. მაგრამ ცხოვრებასთან რა დაეა ჰქონდა, გაცილებით უარესი თვითონვე მოუწია საკუთარ თავს. ათასმა უბედურებამ და კიდევ იმან, თევების მანძილზე საღდაც აქოთებულ ჯურღმულბეში რომ იმალეობოდა, ცოტა არ იყოს, ჭკუა შეურყია და ახლა ეგონა, ოქრობიჭის მიწვევისათვის მასამართლებენო. "მთლად გიყი არა ხარ, მაგრამ სიგეთეს კი ნაღდად უკაკუნებ," ასე ესმერებოდა ივონა მილერი. ეს ნაბოზარი ანტუანი ვილა ჩემი ფენობა და ოქრობიჭზე რატიო არ მანვეიანო, ფიქრობდა ცეზარი. მაგრამ მერე, როცა მისამართლემ შვიდი წელი მიარჭო და ლორტონისაკენ დაულოცა გზა, ცოტა ტინი გაეხსნა და ვიდრე დარბაზიდან გაიყვანდნენ, თვალწინ დაუდგა ღამის კლუბ "პრაიმ პროფერტის" წინ ასფალტზე გამოტილი ანტუანი, მკერდიდან სისხლი რომ სდიოდა და იდოიტივით ღაფავდა სულს. ამასობაში ყველაფერი გაახსენდა: როგორ იყდა ტროტუარზე სასმელით გამოლენჩებული, როგორ ესვენებოდნენ ძმაკაცები, ჩქარა აახვიე აქედანო და როგორ ურტყამდა თავში კლუბის ღია კარიდან გამოჭრილი ჯაგიაჯუგი. სხვა ქვეყანაში გადასული ანტუანის გვერდით იყდა და ისე უნდადა გამოლუბა, რამდენიმე ნაფაზის გულსათვის კიდევ ერთ მკვლელობაზე წავიდოდა. "ისე ახლოს ხარ სიგეთესთან, ჩემო ბიჭო, ალბათ იმისი სუნთქვაც კი გეხმის," უმეორებდა ივონა. იმ გოგოს სჯეროდა უბედურების, ბედნიერებას კი



საბჭურად მიიჩნევა. ცეზარმა იცოდა, ივონა მილერი ჯოჯოხეთშიც დაელოდებოდა.

ლორტონში ადგილის დამკვიდრება არ გასჭირვებია: მალთრი უილსონი და ტონი კათედრალი, ეს ორი სტაჟიანი მკვლელი, სიცოცხლის ბოლომდე რომ უნდა ესებათ ციხის კედლები, მას ჯერ კიდევ ნორთისტიცა და ნორთისტის მღელვარე დღეებიდან იცნობდა. ციხეში იმათი სიტყვა კანონი იყო, იქაური ადმინისტრაცია ლორტონს უილსონ-კათედრალის ბუნაგსაც კი ეძახდა. იმათაც მივლ ლორტონს მოსდეს, ცეზარი მაგარი ბიჭია, მაგასთან თქვენბური არ გაგვიათ და ცოტა წელა იყავითო.

ჯერ ერთ კვირასაც არ ჩაველო, ტონი კათედრალმა რომ ჰქითხა:

- ჰა, სიზ, რას იტყვი, რა კაცია შენი მეზობელი?

მეზობელში, ცხადია, მის თანასაკენლს გულისხმობდა. ცეზარი იქამდე ციხეში არ მოხვედრილა, თუ არ ჩავთვლით გისოსებს მიღმა გატარებულ ხუთ დღეს და კიდევ იმ ერთ-ორ კვირას, საქმის გამოძიებას რომ დაახარჯეს კანონის მსახურებმა. ტონიმ ეს კითხვა ჭამის დროს დაუსვა, გვერდი-გვერდ იხსდნენ და ერთმანეთს არ უყურებდნენ. მალთრი მათ პირდაპირ გამოჭიმულიყო. ტონი წამში უღებდა ბოლოს სალაფავს, ცეზარი კი გულმოდგინედ იღეჭებოდა. დედამ მიაჩვია ასე: "გინდა იმ ბებრეკს დაემსავასო, შვრიის ფაფის მეტს რო ვერაფერსა ჭამს?" "შვრიის ფაფა რო მიყვარს, დე?" "აი, ყოველდღე რო მაგას გახუთებენ, იქამდე, ვიდრე ფეხებს გაფშეკ, მერეცა თქვი, მიყვარსო." კიდევ კარგი, სანყალი "დე" ვერ მოღსნრო ცეზარის დაცემას!

- რა უშავს, რა... - ჩაიბურდლუნა ცეზარმა.

ელვარდ ჯონი - ამერიკელი მწერალი, 2004 წლის პულიცერის პრემიის ლაურეატი.

ჯერ ხეირიანად ხმაც არ გაეცა იმ თანასაკნელისთვის.

- შენი ნარი თუ განყოფილება, სიზ? - ახლა მალთორში ამოიღება ენა.

მალთორ უილსონს თავის ორ "ქალთაგან" ერთერთი ევჯდა გვერდით. როგორც ჩანს, ის უკვე დიდდა აღარ ეპიტანავებოდა და წინდანინეც ებრძანებინა, შენი ხმა არ გავიგონო, ევჯე და ხეთქეო. ისიც მორჩილად, მაგრამ უხალისოდ იკიციებოდა. ქალს ოჯახი ჰყავდა, ცოლი და სამი შვილი, მაგრამ ისინი მის სანახავად არ მოდიოდნენ. არც ცეზარს აკითხავდა ვინმე.

- რა უჭირს, რა...

ცეზარი ზედა ნარზე იწვა, რადგან თანასაკნელს ადრევე ამოერიჩა ქვედა, თანაც "სანოლის" რკინის თავზე პლასტიკის პანია პანდა ჩამოეკვდა ძაფით.

- ზედა, ქვედა... ორივე ერთი ნაგავია, რა...

ტონი ცეზარისკენ გადაიხარა და საგანგებოდ მორუდილი, წამახული ფრწილით კბილებიდან ქათმის ხორცის ნარჩენები გამოიჩინა.

- სიზ, მოიხედე, გინდაც განყოფილება ის შენი ნარი, იმას მინც დაანერე ქვედა. ხო უნდა იცოდეს, ვინ არის პირველი. აუსხენი, რო იმ წამპალ გულში გაუყურე დანას, მერე კი არხეინად შებრუნდები და ვახშამს დაათხოვავ, მერე დესერტსაც მიყოლებ და თითებსაც ჩაიკვებ.

ამ სიტყვებზე ტონი საზეიმოდ გაიმართა წელში.

- სიზ, შენ აქ კარგა ხანს მოგინევს ყურყუტი. ამიტომ, ევადე, თავზე არავინ წამოისვია.

ცეზარი თავის საკანში დაბრუნდა და პანჩო მორისონს უთხრა, რა ექნა, ძმაო, ზედა ნარზე ვერ ვიძინებო. ძალიანაც ცუდიო, უთანაგრძნო პანჩომ. ის მზარ-თეძიზე წამოწოლილიყო და "იელოვას მონშეების" გამოცემულ წიგნს კითხულობდა. არა, თვითონ კი არ იყო "მონშე", ღმერთმა დაიფაროს, უბრალოდ აინტერესებდა.

ცეზარმა წიგნი ხელიდან გამოგლიჯა და გისოსებს მიანარცხა. იელოველთა ნაღვანმა ძირს გაადინა ბრაგვანი. მერე ცეზარმა პანჩოს ფერდში წიხლი ჩაახილა და ვიდრე მეორედაც უმარჯვებდა, პანჩომ მისი ფეხი ორივე ხელით ჩაბლუჯა, ერთი ღონივრად მოქიჩა მოძალადე და კედელს მიახეთქა. ამის შემდეგ პანჩომ წამოიღგომა იკადრა და თითქმის მთელი ერთი საათი უბრაგუნებდნენ ერთმანეთს. ბოლოს ორი მცველი, გარედან რომ უთვალთვლებდა ორთაბრძოლას, საკანში შემოიჭრა და კეტებიც ამუშავდა.

- მორჩა შოუ, მორჩა! - გაიძახოდა ერთ-ერთი მათგანი.

იმ ღამით უსიტყვოდ იშუშებდნენ იარებს და მეორე დღეს, სადილის შემდეგ ასევე უსიტყვოდ ეკვეთნენ ერთმანეთს. ერთი სიმაღლისანი იყვნენ, მაგ-

რამ ცეზარი უფრო ღონიერი ჩანდა, პანჩო უფრო გულმოდგინე. ტონის მოხსნო და დილასვე ეუნწყებინა ცეზარისთვის, რომ ლორტონში მოხვედრამდე, მთელი სამი წელი პანჩო მარტო პერიონზე იჯდა, ევ იყო იმისი შური და წყალი და წესით, მის მორჯულებას დიდი დრო არ უნდა დასჭირვებოდა. ცეზარმა სამ დღეში გაართვა თავი ამ ამოცანას. პანჩო ხუთი შვილის მამა იყო. ხელის ყოველ მოქნევაზე ახსოვდა ისინი და... ისიც, თუ რა დამართა მათ თავისი უტყურობით. უნდოდა მალე დაბრუნებოდა ოჯახს და დანაშაული გამოეყვიდა. მესამე დღის ალიონზე გაიხარა, რომ თუ ცეზარს თავს შეაკლავდა, ამას ვეღარ მოახერხებდა. ამიტომ როცა ცეზარმა მუცელში წიხლი ჩაახილა, თხუთმეტი წუთი გაუძირველად იწვა იატაკზე. შექცეო ადგომა, მაგრამ არ ამდგარა. ამის შემყურე ორი მცველი სიცილით იგულებოდა.

პანჩოს გოგონა, ის, რომელსაც მისთვის პანდა ეწოდებინა, ცხრა წლის იყო და დედამისი ჭეშმარიტ კათოლიკედ ზრდიდა.

იმ ღამით ცეზარი ქვედა ნარზე იწვა და ჩამობნელებამდე ათვალერებდა მოპირდაპირე კედელზე აკრულ ფოტოსურათებს. იცოდა, თავისი გადასანყვეტი რომ იყო, სხვაგან გაეკრა პანჩოს იმ მომღმარე ლალებების სურათები, თუ საქათოდ მეომრებინა იქედან. ორი უმცროსი ბავშვითი ცალკე სურათზე იყო აღბეჭდილი, ბუნების წიაღში; პირველი ზიარების აღსანიშნავად საკვირაოდ გამოეწყო.

თავად ცეზარი მთელი ორი წელი ითვლებოდა მამად. გოგომ, რომელიც F-სტრიტის კლუბში გაიციონო, უთხრა, შენა ხარ ჩემი ბიჭის მამაო და ერთი ხანობა ცეზარმაც დაუჯერა. მერე ბიჭს ყურებმა საეჭვოდ უწყო ზრდა. ვის ჰქონია ჩვენს გვარში ამხელა ყურებითი, გაადირია ცეზარი, გოგოს ერთი-ორი სილა აჭამა და ისიც ბავშვის დაბადების დღემდე ერთი კვირით ადრე გამოუტყდა, ჩემი "პირველი სიყვარულს" შეილიაო.

- პირველ სიყვარულს ვერ გაეცევი. - დაასკვნა გოგომ.

ამას რომ ამბობდა, ისეთ თავგადაკლულ ტელეფანატს ჰგავდა, რომელსაც სიცოცხლეში ერთი წიგნიც კი არ ნავეითხა. როცა ცეზარი წასასვლელად მოემზადა, გოგომ ჰკითხა, რაც აქამდე განუქმებია ბავშვისთვის, სათამაშოები და რამეები, ყველაფერი უკან უნდა წაიღო. მსგავს აყალმაყალს მიჩვეულ ბიჭუნას ამ დროს ტახტზე, ანუ განვადებით გამოტანილი გარნიტურის ძირითად შემადგენელ ნაწილზე ეძინა. ცეზარს მეტი აღარაფერი უთქვამს და ვიდრე იქაურობას რვა კვარტალით არ გასცილდა, არც თავისი ოქროს სანთელეა გახსენებია. გოგომ სანთებელა დააგირავა და ავეჯის საფასურიც გაისტუმრა.



ცეზარი და პანჩო სამრეცხაოში მუშაობდნენ. ოთახი ხმაურიანი იყო, სველ იატაკს ბალიშის ბურტყლი ათოვდა. პანჩო ჭუჭყიან სარეცხს კალათებში ასარისებდა, მერე უნიფორმიან კალათებს მარცხნივ აჩოჩებდა, თეთრეულით თავმოდგმულებს კი მარჯვნივ. ავერ უკვე სამი წელი მისდევდა პანჩო ამ საქმიანობას, მაგრამ ლორტოვიდან რომ გაიშურებდა, მშენებლობაზე მოუხდა მუშაობა, ხელის ბიჭად. თავისუფალ სამყაროს პანჩო-მრეცხავი არ სჭირდებოდა.

შემდგომი ორი კვირის მანძილზე, როცა ცეზარი შრომისმოყვარე პანჩოს, უფრო სწორად, მის ზურგს შეჰყურებდა, სულ იმას ფიქრობდა, აწი როგორღა მოვიტყეო. კაცები და მათი ხმარება სულ ფეხებზე ეკვდა ცეზარს. ასე რომ, ეს საკითხი თავისთავად მოხსნილიყო დღის წესრიგიდან, მაგრამ ფოტოსურათების ბედი ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა.

ორი კვირაც მიიწურა და ერთ მშვენიერ დღეს ცეზარმა პანჩოს თავზეშოთ მოციმციმე სინათლე შენიშნა. პანჩო ისე შეჰყურებდა ამ უცხო ნათელს, როგორც ზეითი მოვლენილ მხსნელს და ცეზარმაც გადამწყვიტა, ჯერ-ჯერობით სურათები კედელზე დაეტოვებინა.

სამი წლის შემდეგ პანჩო გაათავისუფლეს. თუ-კი ადრე ის და ცეზარი ერთმანეთს თავს არიდებდნენ, ახლა, პანჩოს ნასვების დრო რომ მოახლოვდა, თითქმის დაძმავდნენ და იმაზეც კი მსჯელობდნენ, როგორ აპირებდნენ ცხოვრების გაგრძელებას ლორტოვის კედლებს გარეთ. ბოლოს ისე დაუტყბნენ ერთმანეთს, რომ ცეზარი კედლიდან სურათების გაქრობამ დაალონა კიდევც. ახლა ცეზარმა სულ შეპირდა იცოდა იმ ბაჭყალების სახელები. პანჩომ უკანასკნელი სურათიც ააძრო კედელს და საკანი თითქოს დაცარიელდა. მერე პანჩომ ცეზარს კურდღლის თათი აჩუქა, ბავშვებმა მისასხოვეს და მიუღი ამ ხნის მანძილზე ჩემი თილისმა იყო, ახლა შენ გქონდესო. უკლებლივ ყველა ლორტოველს სჯეროდა, რომ თუ თილისმა ძალას დეკარგავდა, მაშინვე სხვისთვის უნდა გადაეცემა, ეგებ იმ სხვას ნასდგომოდა რამეში. ამ კურდღლის თათს კი ძალა რამდენიმე თვის წინ დაეკარგა. აქამდე ცეზარის ერთადერთი ავგაროზი პეროში დამზადებული გასაღების ჯაჭვი იყო. ეს ჯაჭვი მთელი ორი წელი ანებოვებდა მეზობელი საუნის ბინადარ ბანკეების რისხვას. მაგრამ მერე სკოლიდან შინ მიმავალი მისი მესამეკლასელი გოგონა გაიტაცეს და მოკლეს.

პანჩო წავიდა და ცეზარს მეორე დღესვე ქურდი შეუსახლეს, ქურდი, რომელსაც შეთავსებით სამი ხანდაზმული ქალის გაუპატიურებაც ედებოდა ბრალად. იმან ცეზარს თავი დაუქნია, ამცნო, უოტსონ რეინი ვარო და საუნის კეთილმოწყობილ ოთახად გარდაქმნას შეუდგა. ბოლოს პანჩო მავდიის


ლაშქაც შემოიტანა, კობტა და მწვანე შუქფარიანი, რომელიც დიდი რუდუნებით მოათავსა კედელზე მიმაგრებულ რკინის თაროზე. მერე ზედა ნარც მოაწესრიგა და წამოწვა. ცეზარისთვის აღარ მიუშარათავს, ალბათ ისიც საკმარისზე მეტად ჩათვალა, თავისი ვინაობა რომ გაუცხვდა. ცეზარი კვება ნარზე იწვა, დინჯად აბოლვებდა და ვიდრე "ახალბედა" ბუდეს იწყობდა, მისთვის თვალი არ მოუცილებია. ათი წუთი კიდევ აცალა, მერე თოფნაკრავით წამოხტა და როზეტიდან ლამპის ზონარი გამოგლიჯა, რეინი ცალი ხელით იატაკზე მოისროლა და ის მწვანე ლამპა ცხვირ-პირში შეაღწეა. მერე, მეტი დამაჯერებლობისთვის, ზონარიც წაუჭირა ყელში, თან ღრინებდა: - ჩემ სახლში შემოდინარ და ძალდაცვ არ მაგდებ!

რეინი რალაც გაურკვეველ ბეგრებს გამოსცემდა მოღრეცილი პირიდან. ამ ძალადობის მოწმე მხოლოდ ერთი მოხუცი კაცი იყო მოპირდაპირე საკნინდან, რომელიც შიგადაშიგ თუ გახედავდა მათ, ისიც მაშინ, როცა ბიბლიას წყვეტდა თვალს. ყველაფერი ოთხ წუთში დამთავრდა. როცა რეინი გონს მოეგო, მთელი თავისი ავლა-დიდება, რატომღაც ერთიანად შარდით გაუღენილი, კუთხეში დახვდა დახვავებული, ცეზარი კი ზედა ნარზე გამოტოლიყო.

ცეზარის გაათავისუფლებამდე მათ ერთ საკანში ოთხი წელი უნდა ეცხოვრათ. რეინი მას ყველანაირად არიდებდა თავს, მხოლოდ ძილის საათებში თუ შეაღებდა საკნის კარს. სხვა დროს კი, როცა ცეზარი შედიოდა, სასწრაფოდ ტოვებდა იქაურობას. რეინის გვარ-სახელი, რომელიც პირველ დღეს გაიფურრა, იყო ერთადერთი რამ, რაც ამ ხნის მანძილზე ითქვა ამ ორ კაცს შორის. რეინის გამოჩენიდან ერთი კვირის თავზე ცეზარმა მალთრისგან ერთი უშველებელი, სამი წლის წინანდელი კალენდარი იყიდა. მასზე არაფერი იყო მიჯღაბნილი და ისეთი ახალთახალი ჩანდა, თითქოს გუშინწინ დაუბეჭდებოდა და გუშინ გამოუტანიათ გასაცხადდო.

- ხო იცი, ამ წლის არ არის. - პატიოსნად გააფრთხილა მალთრიმ, როცა მისმა ერთ-ერთმა ქალმა ცეზარს ოცდაუხუცენტიანი გამოართვა და თავის საფულეში ჩაუჭახა.

- არა უშავს, ასეც წავა. - დაამშვიდა ცეზარმა. ადრე მალთრის ერთ რამედ უღირდა ეს კალენდარი. მისი ზედა წაწილი გაურკვეველი რასის შიშველი დიაცის სურათს ეკავა. დიაცი უზურგო სკამზე წამოლაკულიყო და ის სამიწე ფეხები ისე გაეშალა, ნებისმიერ მამაკაცს გააგიჟებდა. ეს კალენდარი, სხვათა შორის მალთრის თილისმა გახლდათ, მაგრამ, საუბედუროდ, ძალადაკარგული. მალთრის კარგად ახსოვდა ყველაფე ის სიკეთე, რაც ამ კალენდარს მიეგო მისთვის და თავის ქალს წაუსისინა, ეგ ფული უკანვე მიე, თორე სხვა



თილისმა ხეირს არ დამყარისო.

კალენდრის ქვედა ნაწილს გაცილებით ინტელექტუალური ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული - იქ წლის დღეები იყო აღნიშნული. ცეზარი საქმეს შეუდგა: იმ დღეს, ანუ იენისის პირველ ორშაბათს, პირველი იანვრის ბოქსში ხაზი გაავლო, ზედა მარცხენა კუთხიდან ქვედა მარჯვენა კუთხემდე. მეორე დღეს კი, იენისის პირველ სამშაბათს, ზუსტად ასეთივე მიმართულების ხაზი გაიწვია ორი იანვრის ბოქსში... და ასე შემდეგ. ვიდრე კალენდრის ყველა გრაფას ააჭრებოდა, მომავალი წლის იენისიც დაედა. აი მაშინ კი იმ პირველი იანვრის ბოქსში ახალი ხაზი გაავლო, ამჯერად ზედა მარჯვენა კუთხიდან ქვედა მარცხენა კუთხემდე და შესაბამისად x-იც მიიღო. ასე მოიქცა შემდეგ წელსაც. მესამე წელს ბოქსები პორიბონტალური ხაზებით გაყო შუაზე, მეოთხე წელს - ვერტიკალურით. ლორტონში სხვა კალენდარი არცაა ჰქონია. შექმნისთანავე კედელს იქ მიაკრა, საიდანაც ადრე პანწოს ღლაპები უღიმოდნენ. კედელზე კიდევ დარჩა ადგილი, მაგრამ ცეზარს მის ასათვისებლად აღარ უზრუნია. რეინიმატ იცოდა იმ ტერიტორიაზე პრეტენზიას რომ ვერ განაცხადებდა.

რამდენიმე წელი კალენდარი წარმატებით ასრულებდა თილისმის ფუნქცია, აი, მერე კი ცეზარმა იგრძნო, რომ ის თანდათან ძალას კარგავდა, თუმცა დღეების აღსანიშნად კიდევ გამოდგებოდა და, რაც მთავარია, შიშველი დიაციც ისევე ისე ფეხებგაჩაჩხული იჯდა და სულაც არ აპირებდა პოზის შეცვლას.

მერე მალთორი მოკლეს. თანაც როდის! როცა გულარხინად იღებდა შხაპს! მკვლელები (ერთ კაცს ამის გაკეთება გაუჭირდებოდა) ვერ აღმოაჩინეს. მალთორის ქალს, აი იმას, მისი ბრძანებით უხალი-სოდ რომ იკეცნებოდა, ახალი პატიმარი ჩაუყარდა

გულში, თავისზე ხუთი წლით უმცროსი დიაკვანი, რომელსაც საუთვესტელი ბარმენი გაესაღებინა. იმას კი თურმე, თავის მხრივ, ცხადია სიცოცხლეში, დიაკვნის ცოლზე უთქვამს, მიმაღლ გოგრაში ერთი მისხალი ტვინიც არ უჭყავისო. ამ მკვლელობის ისტორია, შეიძლება ითქვას, ფოლკლორის კუთვნილებად ქცეულიყო. ავცია ბარმენი დიაკვნს ათსართულიანი შენობის სახურავიდან თავდაყირა გადაუშლვრევია. ლორტონელები ბარმენს "ენამყარალ ხისთავად" იხსენიებდნენ, მკვლელს კი "სამართლიან შურისმგებელად". ჰოდა, იმ შურისმგებელს მალთორის ქალი თვალში მოუვიდა და მეტოქის მოსაშორებლად ხალხი დაიქირავა. როცა მალთორი შხაპს იღებდა, იმ ქალს ევალებოდა მისი დარაჯობა, მაგრამ მაშინ, შურისმგებლის ინსტრუქციის თანახმად, პოსტი მიეტოვებინა.

სხვა დროს ტონი კათედრალი და ცეზარი არც მკლავს დაიშურებდნენ და არც გავლენას მკვლელების აღმოსაჩენად, მაგრამ ციხე თანდათანობით უპასუხისმგებლო ახალგაზრდებით ივსებოდა, რომლებიც სულაც არ იცხლებდნენ თავს დაუწერელი კანონების აღსასრულებლად და მალთორი უილსონიც ფეხებზე ეკიდათ, თანაც ამასობაში ტონის უკვე ორჯერ ეწვია ის კაცი, ნორთვესტში რომ დაებრინდა წლების წინათ. მოკლული ტონის საკნის გისოსებთან ჩერდებოდა, მერე ერთ-ერთ გისოსს ეჭიდებოდა და კარსაც შიგნიდან ალებდა, აი ისე, ნორმალური ხალხი რომ შედის საკუთარ ბინაში. კაცი მშვიდად იდგა მალთორის წინ და მერე, გასვლისას ისე ფრთხილად მიხურავდა ხოლმე კარს, თითქოს მიძინარე ბავშვების გაღვიძებას ერიდებოდა. მოკლედ, ტონის ტვინი გადაუბრუნდა და მალთორიზეც ვერავინ იხია შური.

იმ ციხეში ერთი კაცი იჯდა, მძარცველი და არამზაბა, მაგრამ სახელმანქმული მესვირინგე, რომელსაც იქაური კონტიგენტი "ტატუს კაცს" ეძახდა. თვითნაკეთი ნემსებითა და სახელდასხლოდ შეზავებული მელნით აღჭურვილი ეს ნაძირალა კარგა ბლომად ფულს შოულობდა როგორც დაკუნთულ, ისე ჩია სხეულზეზე შავშვების სახელების ამოკანწინი. გასისხლიანებული ჩანგლით შეიარაღებული ეშმაკის ამოსვირინგება ეხერხებოდა; ხშირად უხდებოდა ისეთი წარწერების გაკეთება, როგორიცაა "დედა" ან "შახსოვარ, დედა!" თანაც ეს სიტყვები წინასწარ ამოსვირინგებულ წითელ ვარდებსა და ანგელოზებში უნდა ჩანერილიყო. ერთი ეგ იყო, "ტატუს კაცის" ანგელოზები მეტად სევდიანად გამოიყურებოდნენ, ვინაიდან როცა საქმე ბედნიერი ანგელოზების გამოსასვამდე მიდიოდა, მას ხელოც ღალატობდა და ოსტატობაც. ერთ ქურდს მკერდზე, ზედ გულთან მაშის სახე ამოუკანრა და შუასაუკუნეების ანბანზე დაყრდნობით შესაფერისი წარწერითაც დაუშვენა: "ის ახლა



ჯოჯობეთში ლეპება". "ჯ" კვსკვასა წითელ-ყვი-  
თელ ფერებში იყო გადანყვეტილი.

ტატუს კაცმა ცეზარი შეაქო, ისეთი კანი გაქვს,  
კარგი მხატვარი ტილოდაც გამოიყენებდა და, თუ  
გინდა, ისე მოგხატავ, ყველა შურით სკდებოდესო.  
ცეზარი სულ უარობდა, მაგრამ ერთხელაც, პატიმ-  
რობის მეექვსე წელს, თოვლიან მარტში, იდუმალმა  
ხმამ გამოაღვიძა, სიზ, დღეს ხომ დედაშენის დაბა-  
დების დღეაო. მართალია, არ იცოდა, კვირის რო-  
მელი დღე იყო, თარიღზე ხომ ლაპარაკიც ზედმე-  
ტია, მაგრამ ამ ხმას ნამდვილად დაეჯერებოდა,  
თითქოს თავად მოსიყვარულე დედამ ჩასძახა ყურ-  
ში. ისე კი, ცეზარს საკუთარი დაბადების დღეც  
აღარ ახსოვდა, რატომღაც არასდროს მიუმართავს  
ლორტონის ადმინისტრაციისთვის ამის დასადგენად.

ქვეყნად არავინ და არაფერი ვგულბობდა სხე-  
ულზე ალბეჭდვის ღირსი. თუმც, ენ იცის, იქნებ  
კეროლისთვის, მისი პირველი ქალისთვის გაელიმა  
ბედს... გონებანაღვნი ბავშვი რომ არ შესძენოდა.  
მერე იმ ბიჭის საკითხი წამოიჭრა, თავისი რომ ეგ-  
ონა მთელი ორი წელი, მაგრამ სიცრუე იქამდე გა-  
მომტყავნდა, ვიდრე მის სახელს ამოიკანარავდა  
გულთან. მანამდე კი ივონა იყო, აი ის, რომელთან-  
აც ნორთისტი ცხოვრობდა. იმას რა უჭირდა,  
მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს სამსახურში წავიდა და  
აღარ დაბრუნებულა. ცეზარი სამ თვეს ეძებდა და  
მერე იფიქრა, ალბათ მოკვდა და მცხეების საჯიჯ-  
გნად გადააგდეს სადმეო. ივონა ცოცხლებში აღარ  
ენწრა, მაგრამ ის ცეზარს იმქვეყნადაც დაელოდე-  
ბოდა. უნდა გჯეროდეს უბედურების, - უთხრა  
ერთხელ ბნელ ოთახში ტახტზე მოკალათებულმა  
ივონამ და სიგარეტი ფილტრამდე დაიყვანა. უბე-  
დურება სახეს არ იცვლის, ბედნიერება კი მაცდურ-  
ია. ათასი, ათასზე მეტი სახე აქვს და ყველა მათ-  
განი მზადაა იმისთვის, უბედურებად რომ გადაიქ-  
ცეს.

ტატუს კაცმა, იმის გათვალისწინებით, რომ მი-  
სი გასამრჯელო, ფული იქნებოდა ეს, მოსაწვიო თუ  
ტკბილეული, სიტყვების რაოდენობაზე იყო დამო-  
კიდებული, გადააფიქრებინა ცეზარს მარტო "დე-  
დას" ამოსვირინება და ბოლოს "მასხოვან, დედა-  
ზე" მორიგდნენ.

- როგორ გგონია, რამდენ ხანს გატარებდა მუც-  
ლით? - ჰკითხა მან ცეზარს.

- ალბათ რამდენიც იყო საჭირო. - მიუგო ცე-  
ზარმა.

ორი ქარბუქიანი დღის განმავლობაში სუთ-სუთ  
საათს მუშაობდა ტატუს კაცი. ცეზარმა ცივი უარი  
განუტყაბა ანგელოზებზე, ვიცი, ბედნიერებს ხეირი-  
ანად ვერ დახატავო. სამაგიეროდ "მასხოვან, დე-  
და" ლურჯი მელნით მოახატვინა, თანაც ნება დარ-  
თო, წითელ ვარდში რომ ჩაესვა ყოველი ასო. მუ-  
შაობის დაწყებამდე ცეზარმა ოსტატი შპარგალკით

მოამარაგა: საბრალო წერა-კითხვაში მოიკოჭლებდა.

მესამე დღეს გამოიდარა, დაცხა კიდეც და თოვ-  
ლიც თვალსა და ხელს შუა დადნა. ტატუს კაცმა,  
რომელსაც ამასობაში შურისმგებელთან "დამძაკა-  
ცება" მოეწრო, აპრილის მინურულს ცეზარი გა-  
კიცხა, რაც დაგემართა, შენ თავს დააბრალებ, რატო  
ისე არ მოიქეცი, როგორც გითხარიო. "თანაც  
სიტყვებაც ავეწო" - დაამატა დანახებით.

31 მარტს, ღამით, იყო სანუკვარი სიტყვების ამ-  
ოკანერიდან ხუთი დღის შემდეგ, ცეზარი მკლავის  
ტკივილმა გამოაღვიძა. ვერა და ვერ დაიძინა და  
მიელი ღამე წარის კიდეზე ჩამოქვდა და გაატარა,  
დილას კი ნახა, რომ სვირინგის ყველა ხმოვანი  
წყლულებად ქცეულიყო, თითქოს ვიღაცას საგანგე-  
ზოდ ემუშავა ანთებული სასათის ღერიო.

ცეზარს ტატუს კაცს მიადგა. იმანაც ჯერ დაამ-  
შვიდა, საშიში არაფერი გჭირსო, მერე სუფრის  
კოვზში წყალბადის ზუფანგი ჩაასხა, ასანთის ალზე  
შეათბო და დაზიანებული ხმოვნები სათითაოდ და-  
ამუშავა. ორ დღეში ეს ასოები დადნა, გაიდღაბა  
და საზოგადო მასად იქცა. ერთი კვირის შემდეგ კი  
დაავადებულმა ხმოვნებმა თავიანთი სწულელები თან-  
ხმოვნებსაც გადასდო. ტკივილით გამწარებულმა  
ცეზარმა ციხის ამბულატორიას მიაკითხა. იქ პირ-  
ველადი დახმარება აღმოუჩინეს: ასპირინი დაა-  
ლევინეს, მკლავი გადაუხვიეს და საკანში დააბრუ-  
ნეს. მაგრამ ამ მკურნალობას შედეგი არ გამოუღია  
და ციხის ადმინისტრაცია იძულებული შეიქნა ცე-  
ზარი ვაშინგტონის საავადმყოფოში გადაეგზავნა,  
სადაც მან ოთხი დღე დაჰყო. ეს მისი პირველი გამ-  
გზავრება იყო ამ ქალაქში მას შემდეგ, რაც ამ სამი  
წლის წინ სასამართლოს წინაშე წარდგა. მთელი  
სხეული პარალიზებული ჰქონდა და განწერის დღეს  
ექიანმა საიდუმლოდ გაანად, სიკვდილს ძლივს გა-  
დაურჩიო.

ახლა უკვე ბევრი აღარაფერი იყო დარჩენილი  
სვირინგიდან, მხოლოდ ორი ასო არ თმობდა პოზ-  
იციებს, თუმცა ორივე ისე იყო დეფორმირებული,  
რომ ნებისმიერ სწავლულს გაუჭირდებოდა მსოფ-  
ლიოს რომელიმე ალბათისთვის მათი მიკუთვნე-  
ბა, ვარდები კი წითელი ტალახის გროვად ქცეუ-  
ლიყო. ციხეში მიბრუნებულს ტატუს კაცმა შესთა-  
ვაზა, მოსაწევსა და ფულს უკან დაგიბრუნებო,  
მაგრამ ცეზარმა ის პასუხის ღირსადაც არ ჩათვა-  
ლა. ამ მარცხმა ტატუს კაცს სახელი გაუტყნა და  
კლიენტებიც შემოფხვრა. ცეზარს ახლა სულ ცო-  
ტაზედა შეეძლო გახვევებული მკლავის აწევა. მტრე-  
ბი არ ჰყავდა, მაგრამ მაინც არავისთვის გაუშვლია  
საკუთარი უსუსურობა. ერთი ეგ იყო, ყველას გა-  
ურბოდა, იცოდა, რომ ახლა გაცილებით ადვილად  
მოწყვლადი იყო. როცა საკანში მარტო რჩებოდა,  
მკლავს აეარჯიშებდა, მაგრამ ნოემბრისთვის  
უკვე დარწმუნდა, რომ ადრინდელი ცეზარი ვა-

ღარასოდეს იქნებოდა. ისე კი, რეინის მიხედვით ჩაგრადა, რათა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. ტონი კათედრალს გვერდიდან არ შორდებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელს მოკლული კაცი სულ უფრო და უფრო ხშირად ლტუნობდა. ის ახალგაზრდა ბაკალავრი, ტონის კარის მეზობელი, კრინტსაც არ ძრავდა, მხოლოდ გისოსებიან კარს აღებდა, საკანში შედიოდა და ისე ირჯებოდა, თითქოს ეს მისი საკუთარი ოთახი ყოფილიყო: ასწორებდა კედელზე დაკიდებულ სურათებს (რომელთაც, სხვათა შორის, ტონის მეტი კაციშეიღო ვერ ხედავდა), ამონებდა საშხაპს და გახშურას, ბოლოს კი მძინარე ბავშვებს საბანსაც უკეცავდა. ტონი მას უსიტყვოდ ადევნებდა თვალს.

ერთხელაც, დეკემბრის შუა რიცხვებში ცეზარმა ტონის საკნის კარი შეაღო. მაშინ უკვე ექვსი თვეა დარჩენოდა სასჯელის მოხდამდე. ტონი ქვედა ნარზე იჯდა და ხელები მუხლებზე შემოეჭო. საკანში შესვლაც არ აცალა ცეზარს, ისე მიაყარა:

- სიზ, მითხარი რატომ შექმნა ღმერთმა მწერები, რას გვერჩოდა? რა ხეირი გვაქვს მათგან? რა ჩემ ფეხებს გვიკეთებენ?

ცეზარმა გაუცინა. იფიქრა, ალბათ დღეს შაყირის გუნებაზეაო და ის იყო, სუპრობითვე უნდა ეპასუხა, რომ ტონი კათედრალმა ერთობ უაზრო მზეურა სტყორცნა და განანგრძო:

- იქ, ზემოთ, ახალი არჩევნებია ჩასატარებელი, სიზ! - ამას რომ ამბობდა, ერთხელაც არ გაუღიმილა, დაჟინებით მიშტერებოდა მოპირდაპირე კედელს. - აბა, რაში გვეჭრდება ღამურები? კი ბატონო, მწერებს ანადგურებენ, მაგრამ ახლა, მოდი ის ვიკითხოთ, ამ მწერების შექმნაში რაღა ჭკუა იყო აი, ნახე, ჯერ რაღაც პრობლემას გვიქმნის და მერე ამავე პრობლემის მოხსნაზე ჩალიჩობს. ესეც შენი მეორე პრობლემა, მაგრამ ისიც რო მოსახსნელია? ხედავ, ბიჭო, რა ხათაბალაში ვართ გაბმული?

ცეზარი უკან-უკან იხევდა. ასეთ რამეს ადრეც ბევრჯერ შეჰსწრებია და იცოდა, რომ ტონის ახლა უდიდესი სიყვარულიც ვერ განკურნავდა, პირიქით, ავნებდა კიდევ.

- ახლა ტრანკენტს აღარ იკითხავ? რომელ ჭკუათმყოფელ ადამიანს მოუვიდოდა თავში მათი შექმნა? რა ფუნქცია აკისრიათ, სიზ? ხო გითხარი, ახალი არჩევნები დაგვხატავდა. პირადად მე მზად ვარ ამისთვის. ვირთხები, ბალღინჯოები და ათასი უბედურება! მოკლედ, ის ექვსი დღე სულ ტყუილად დაიკარგა, თუ თითო-ოროლა ადამიანსა და ზოგიერთ ცხოველს არ ჩავთვლით. არც მტრედები და ციყვები დაივინყო! მართლა გუებნები.

იანერის მიწურულს ტონი სადღაც გააქანეს და მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ დააბრუნეს უკან. თებერვალში კვლავ განახალა ბრძოლა განაგების

წინააღმდეგ. ახლა ის საკუთარი თავისთვისაც საშიში იყო. მიჰყავდათ, მოჰყავდათ, მერე ისე მიჰყავდათ და ამასობაში ცეზარის გათავისუფლების დროც ახლოვდებოდა. მასაც თავისი გასაჭირი ადგა: ყველანაირად ცდილობდა რეპუტაციის შენარჩუნებას, კარგად იცოდა, უდიდესი განსხვავება რომ იყო ადრინდელსა და ახლანდელ ცეზარს შორის; არ უნდოდა, საბოლოოდ დაეცემულიყო იმ ბიჭების თვალში, მასზე უკეთესი სახელი რომ ჰქონდათ და ასპროცენტიათი მკლავი.

აპრილის დასაწყისში ერთი უშველებელი კონვერტი მიიღო თავისი ადვოკატისგან. შეტყობინება მეტად ლაკონიური იყო: "მე მათთვის არაფერი მითქვამს შენს ადვოკატსა და მათს შორის. ალბათ ვილაცისგან გაიგეს, მე რომ ვარ შენი ადვოკატი. ფრთხილად იყავი". კონვერტში კიდევ ორი დაბეჭდილი წერილი იდო, და-ძმისგან, ერთნაირ წარწერაში. "ჩემს ძმას, ცეზარს." ცეზარმა მათი გადაკითხვა ერთი კვირის შემდეგ ინება, იქამდე კი სულ ის უტრიალებდა თავში, აი, მკვდრებიც გაცოცხლებულანო. ეგონა, მამამისის გარდაცვალებას შეაბკობინებდნენ, მაგრამ ეს იმედიც გაუტყუვდა. უმცროსი ძმა, ალონსო, სუთგვერდიანი უსტარით პატიოსნად უამბობდა ყველაფერ იმას, რაც კი მისი წასვლის შემდეგ მომხდარიყო ოჯახში და ბოლოს ასკვნიდა: "ალბათ უკეთესი ძმა უნდა ვყოფილიყავი." სამი სურათიც გამოეცხვანათ. ერთიდან ალონსო და მისი ცოლი უღიმგოდნენ (აშკარად ქორწილის დღეს გადაელოთ), მეორიდან - ჯოანა თავისი ქმარ-შვილით. მესამე სურათი გაცილებით შთაბეჭდილო იყო: ტახტზე უკვე საკმაოდ ასაკმოსაღებული მამა წამოსკუპულიყო, მუხლებზე ჯოანას ორიოდ წლის ბიჭი ეჯდა, გვერდით - ასე, დაახლოებით ოთხი წლის გოგონა. ბიჭი რატომღაც მარცხნივ იყურებოდა, ალბათ იქ მისთვის საინტერესო რაღაც ხდებოდა. ჯოანას წერილი ლაკონიურობით გამოირჩეოდა: "მომწერე, ან დამირეკე, როგორც გერჩივს, საყვარელო. დამიკავშირდი, გინდაც ქვეყნის დასალინო, გაიფიქრა, ვერც, ცეზარ, ბარაქლა, ის წერილები რო დაფხრინეთ. გოგონა და ბიჭი უკან საგარძელზე ისხდნენ, გოგონას წითელი კაბა და შავი ფესსაცემელი ეცვა, ბიჭუნას - ცისფერი შარვალი და მაისური რომელიც დაც მულტიფლემის გმირის აპლიკაციით. ბიჭი მშვიდად ფშვინავდა; გოგონა ემშვიდობებოდა: "ნახვამდის, ბიძია." აკი მთელი საღამო "ბიძისა" ეძახდა!



ციხიდან გამოსულს საზოგადოება "წინათელ გვირაბის ბოლოს" დაესმარა, სულ თავი გაიგიჟეს, ოთახიც უშოვეს N-სტრიტზე, ნორთვესტში და F-სტრიტის რესტორანშიც მოაწყვეს ჭურჭლის მრეცხავად. N-სტრიტის შენობა სამსართულიანი ყოფილა ადრე; როცა იქ თეთრები ცხოვრობდნენ, ყოველი სართული ორ რვაოთახიან ბინას ეკავა, ახლა კი ქვედა სართულის ოთახების კარზე კლიტე დაედოთ. დანარჩენ ორ სართულზე თითოეული დიდი ბინა ხუთ ოთახად იყო დაყოფილი. ამ ოთახებს ზოგს ოც დოლარად აქირავებდნენ, ზოგს ოცდახუთად და ზოგსაც ოცდაათად, ალბათ ფართისა და ხეღის გათვალისწინებით. ცეზარის პატარა ოთახი ერთგვარ, ოცდოლარიანი, ლორტონის საკნის ნახევარი თუ იქნებოდა. პირველი სიტყვა, რომელიც იმ დაყოფილ და ერთ დროს ბრწყინვალე სახლთან დაკავშირებით მოუვიდა თავში, "ჭიანჭველების ბუდე" იყო. მდგმურები ორ საზიარო საბაზონოსა და ერთ დიდ სამზარეულოს სჯერდებოდნენ. სამზარეულო მეტად რომანტიკული სათავის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვინაიდან იქ ორმოცდაათ ვატიანი ნათურა ბუჭვავდა, მოწყობილობა კი მოძველებული იყო და უფარგისი. ცეზარის ვინრო ოთახის ფანჯარა N-სტრიტს გადააჭურებდა. მის მარჯვნივ ორბავშვინი ქალი ცხოვრობდა, მარცხნივ ასე დაასლოენით სამოციოდე წლის პიჟამოიანი კაცი. ყველა მდგმური დიდი სადარბაზო კარით სარგებლობდა. მხოლოდ მესამე კვირას შეიჭყო ცეზარმა, რომ იმავე სახლში ივანა მიღერსაც ეჭირა ოთახი.

პიჟამოიანი კაცი სანოლად წამომდგარი და გავლილი ცეზარს ჯერ არ ენახა, თუმცა ამბობდნენ, სიარული შეუძლიაო. ქალი, რომელმაც ამ კაცის მომვლელ-გადაიად გააცნო თავი, სულ იმის ოთახში ტრიალებდა: საჭმელს ამზადებდა, იქაურობას აწკრილებდა და თავის "აღსაზრდელთან" ერთად ტელევიზორს უყურებდა. მარტო იმ ოთახში იყო სამზარეულო მოწყობილობა; პატარა ალკოვში გაბჭურა, საყინულე და წყლის ნიჟარა იწონებდა თავს. ოთახის კარი მუდამ ღია იყო. ჰო, მართლა, ის კაცი არც მძინარე უნახავს ვინმეს. სანოლთან სამი ფუტის სიმაღლის მწვანე სეიფი ედგა. მევახშე ვარი, მეორე დღესვე ამცნო ცეზარს. როცა ცეზარმა მის ოთახს ჩაუარა, მომვლელს უბრძანა, ის "ახალ-გაზრდა ლომი" აქ მომგვერეო.

- საიმიანი მქვია და ფულს ვიძლევი სარგებლით, - აუწყა ღია კარში გახარულ ცეზარს, - შენი საუკეთესო მეგობარი ვიქნები, ლომო, ოღონდ არა უანგარო. შენ მძაკცებდაც ასე გადაეცი.

რესტორანი მიდნენ საათს მუშაობდა ცეზარი, რამდენის ნებასაც რთავდნენ. თავისუფალ დროს კინოში მიდიოდა, იქედან კი, დარსა თუ ავდარში, ფრანკლინის პარკში, სადაც, როგორც წესი, იქამდე ივდა, ვიდრე ყვინთვას არ დაიწყებდა, ზოგჯერ

ღამის ორ საათამდეც კი.

ცეზარს არავინ აბეზრებდა თავს. მას ორი კაცი ჰყავდა მოკლული და მთელ სამყაროსაც, განსაკუთრებით მის უფარგის ნაწილს, კარგად შეგნო ეს და მისთვის საბოლოოდ ეცქირა ზურგს. არვისთან ჰქონდა ურთიერთობა და არც უნდოდა. ლორტონამდელი მძაბიჭები თითქოს ალგვილიყენენ პირისაგან მიწისა. ციხიდან გამოსვლის წინა დღეს უეცრად შეშინებულს გამოვლიცხა და გაიფიქრა, არჩევანის უფლება რომ მქონდეს, აქედან ფეხსაც არ მოვიცივლიდე, ლორტონში ცხოვრების გაგრძელებაც შეიძლება და კარიერის გაკეთებაცო.

ახლა სექსისთვის მარჯვენა ხელს იყენებდა და ისიც, არცთუ ისე ხშირად. თავისუფლების პირველსავე დღეებში აღმოაჩინა, რომ ქალები და მამაკაცები ახლა სულ სხვა, ახალ ენაზე ლაპარაკობდნენ. იცოდა, ამ ენას ვერასოდეს ისწავლიდა. საკუთარ თავში დაეჭვებულად, მეძავენიც კი უფროსოდა და ეს იყო კაცი, რომელიც ერთ დროს ხელთათმინით იცვლიდა ქალებს. თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ მეძავეები სულის გამანადგურებელ ძალას ფლობდნენ. "რა ენაზე ტიკტიკებ, ტკბილო? ინგლისურად მითხარი რაზე. ჰა, ამოშაქრე." როცა ციხიდან გამოვიდა, ცეზარი ოცდაჩვიდმეტი წლის იყო.

ერთხელაც, ჭიანჭველების ბუდეში დასახლებიდან ორი თვის თავზე, პარკიდან დილის სამი საათისთვის დაბრუნებულმა, საიმიანის კარს ჩაუქროლა, იქნებ ვერ შენიშნოსო, მაგრამ მევახშემ მაინც ჰკიდა თვალი და უშბო. ცეზარი ღია კართან შეჩერდა. მომვლელი ზურგშეცვეით იდგა, საჭმელს ამზადებდა, გასამბუღელი მწვანე უნიფორმა და შთამბეჭდავი შავი ფეხსაცმელი ეცვა, რიგ-რიგობით ურევდა ქურაზე შემოდგმულ ორ ქვებს. ფერად ტელევიზორში მოცლილი ხალხი იკრიჭებოდა.

- მამ ქალაქში იყავი, - წამოიწყო საიმიანა, - იმედი, გაკრიანად დაიხარჯე გოგოებში, კარგა ხანს გეყოფა.

- უნდა წავიდე, - ამოღერდა ცეზარმა.

უკვე იმას ფიქრობდა, მოდი ერთი, ამ კაცს მოვაუჭებ და ბარემ სიფხსაც გავხსნიო. საკითხავი ის იყო მხოლოდ, მომვლელიც ზედ მიეყოლებინა, თუ არა.

- მეგობრებს ზურგს ნუ შეაქცევ, - ურჩია საიმიანმა, მერე კი რატომღაც იქაურ მეზობლებზე ჩამოუგდო სიტყვა. აი, მაშინ გაიგო პირველად ცეზარმა ვიღაც იგიზე, რომელიც ჯერ არ ენახა. როცა მეორედ ჩაუარა ამ ივის დერეფანში, მაშინლა იცნო. ჩვენს იგი მაგარი გოგოაო, უთხრა საიმიანმა; მაგარი გოგოები კი მეძავეები იყვნენ, ნორჩებიც და ხანდაზმულებიც, რომლებიც ისე შეეფერთხა მუხთალ წუთისოფელს, რომ მათი შემხედვარე, სიცოცხლე აღარ გინდოდა კაცს. მართალია, ყველა ბოზს არა აქვს ოქროს გული, მაგრამ ეს,

მგონი, უფულოდაც იკისრებსო, დააიშვება საიმონმა.

მეფისძის საბანი ერთ ადგილას საეჭვოდ ამო-  
 ბურცულოყო და რა ხანია ეჭვობდა ცეზარი, რომ  
 მას იქ ჩაირაღი ჰქონდა დამალული. ეს დაბრკოლე-  
 ბად კი იათვლებოდა, მაგრამ ცეზარს შეეძლო სა-  
 ნადლოდ მიეჭრილიყო და ვიდრე საიმონი იარაღის  
 დაძრობას მოასწრებდა, თავში ჯოხის ერთი ჩაცხე-  
 ბით გაესტუმრებინა საიქიოს. ნეტა მომვლელი რა-  
 ლას იზამდა მაშინ?

- მაგ გოგოს მეც გავუსინჯე გემო, - არობრობ-  
 და საიმონი. - ასე რომ, შემიძლია საზიაროდ შე-  
 მოგათვაზო, ისიც მაშინ, თუ ძალიან გაგჭირდე-  
 ბა.

- მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, - შეცბა ცეზარი.  
 მთავარი კარიდან რომ შევიდოდა, თავის ოთახ-  
 ში მოსახვედრად მარჯვნივ უნდა შეეხვია, მაგრამ  
 იმ ლამით თავი დაადო, პირდაპირ წავიდა და იე-  
 ნონას გამოღებულ კარს ჩაუარა. ოთახიდან მუსიკის  
 ხმა შემოესმა, ივონას რადიო ჰქონდა ჩართული.

ვინ იცის, იქნებ მომვლელი დახმარებოდა საიმო-  
 ნის დაყაჩაღებაში, ნიდაგე მანაც უნდა მოესინჯა.  
 მართალია, არაფერი გაგებოდა იმ ენისა, რომელ-  
 საც ახლა საპირისპირო სექსის წარმომადგენლები  
 იყენებდნენ, მაგრამ ფულის ენა ხომ მარადისია, მა-  
 გას რა შეეცვლია!

იმათმა ბიძაშვილმა, ნორა მეიველმა მისასწავლა  
 ალონსოს ის რესტორანი. ნორა მახლობელი ბანკის  
 მენეჯერი იყო და თავის პატივცემულ კოლეგებთან  
 ერთად ლანჩის მისართმევად მიბრძანებულმა ნახა  
 იქ ცეზარი. მერე ყოველდღე მიდიოდა, უნდოდა  
 დარწმუნებულიყო, რომ ის კაცი მართლა ცეზარი  
 იყო. ნორას ის მთელი ოცი წელი და, ალბათ უფ-  
 რო მეტიც, არ ენახა. თუმცა, აბა, სხვა ვინ უნდა  
 ყოფილიყო, ის ხომ ასე ძალიან ჰგავდა "ბიძის".  
 ცეზარი ხუთი წლით იყო ნორაზე უფროსი. ბავშ-  
 ვობაში ნორა იმედოვნებდა, რომ მალე გაიზრდე-  
 ბოდა, ნამოწონეოდა ცეზარს და ცოლადაც გაჰყე-  
 ბოდა. ცეზარს ახლა გაუჭირდებოდა მისი ცნობა.  
 მართალია, ქალს წლები მომატებოდა, მაგრამ ბედს  
 მისთვის ხელი არ ეკრა და ახლა, იმ აბრანძული  
 გლეხის გოგოდან, ცეზარს რომ ასსოვდა, ნამდვილ  
 დედოფლად ქცეულიყო.

სამი კვირის შემდეგ ალონსოც ჩამოვიდა. რეს-  
 ტორანში ისაუზმა, ფული გადაიხადა, მერე ძმასთან  
 მივიდა და გაუღიმა.

- მიხარია, ცოცხალს რო გხედავ, სიზ.

ცეზარმა თავი დაუქნია და ჭუჭყიანთფეშებიანი  
 ლანგრით ხელდამშვენებულმა დინჯად ჩაუარა  
 გვერდით. ალონსო რამდენსამე წამს ადგილზე ირ-  
 ნეოდა, მერე ფეხათრეხით წავიდა გასასვლელისკენ.  
 ის კორპორაციის ადვოკატი იყო და იმაზე გაცი-  
 ლებით მეტ ფულს შოულობდა, ვიდრე მამამისი  
 ორმოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში, ამიტომ შეეძლო

რამდენიც მოეგუნებოდა, იმდენ ხანს დარჩენილი-  
 ყო უცხო ადგილას. მერევე დღეს კვლავ მიაკითხა  
 ძმას. ცეზარი დარბაზის სიღრმეში ფუსფუსებდა.  
 უკვე სამი თვისა და ხუთი დღის გამოსული იყო  
 ციხიდან.

- იქამდე ვივლი, ვიდრე არ დამელაპარაკები, -  
 უთხრა ალონსო.

ცეზარი დიდხანს შეჰყურებდა ძმას. ლანჩის დრო  
 ინსურებოდა და რომც გასულიყო, მეპატრონე არ  
 დაუტაცხანებდა.

გუშინწინ მეორედ გადაეყარა ივონას. პირველად  
 რომ შესვდა, მუშტბავი ნათურის შუქზე ვერ იცნო,  
 იმ დღეს კი ვიღაც მაღლიანს ნათურა გამოეცვალა.  
 ივონას წარბიც არ შეუხრია და ცეზარი მიხვდა,  
 რომ ქალმა ვერ იცნო. ასი წელიც რომ ეცხოვრათ  
 ადრე ერთად, მაინც ვერ იცნობდა!

ალონსოს თავი დაუქნია და ათი წუთის შემდეგ  
 ძმები უკვე მოსასვევში იდგნენ. ცეზარმა სიგარეტს  
 მოუკიდა. ეს უკვე მეშვიდე სიგარეტი იყო იმ დღეს.  
 ალონსოს ძვირფასი ნაცრისფერი კოსტუმი ეცვა და  
 ცეზარმა უნებურად ჭუჭყიან წინსაფარზე დაიხედა.  
 როცა ანთებული სიგარეტი პირთან მიჰქონდა, ხე-  
 ლი იღარ უკანკალებდა.

- ალო, როგორ მინდა, გადაგვეყო, სიზ!

- მოდი, ასხვად მოვრჩეთ ბაზარს, მისტერ.  
 ჩვენ-ჩვენთვის ვიყოთ. არც თქვენი ნახვა მინდა და  
 არც არავისი. ეს უნდა გესმოდეთ, მისტერ. დროს  
 ნულარ კარგავთ. თქვენ ჩვენ რესტორანში დადი-  
 ხართ სასაუბროდ და მეც ისე მოგექცევით, რო-  
 გორც სხვა მუშტრებს.

- თუკი რაიმე დამიშავებია შენთვის, ცეზარ, ძა-  
 ლიან ვნანობ.

კაცმა რომ თქვას, ალონსოს მისთვის არაფერი  
 დაეშავებინა... არც ჯოანას. მხოლოდ მამასთან  
 ჰქონდა დაკა-დაკა. მაგრამ მაინც ეჩვენებოდა, რომ  
 და-ძმა მას მხარს არ უჭერდა.

- მხოლოდ ერთხელ მოდი და თუ აღარ მოგინ-  
 დება ჩვენი ნახვა, ხმასაც არ გაგცემთ, ფესსაც არ  
 შემოვდგამ შენ რესტორანში.

ცეზარს საკმაოდ დიდი ნაშენი დარჩენოდა. მა-  
 ინც დააგლო ძირს, ფეხით გასრისა და მერე თავის  
 იაფფასანი საათს დახვდა. ციხეში ამხელა ნაშენის-  
 თვის კაცს გაასაღებდნენ.

- უნდა ნავიდე, მისტერ.

- მისმინე, ცეზარ, ჩვენ ხო ძმები ვართ. მე და  
 ჯოანა თუ არ გენაღვლებით, დედაჩვენის ხატობით  
 მაინც დავგიშვებ.

- დედა მკვდარია. დიდი ხნის წინ მოკვდა. - ცე-  
 ზარი ნელ-ნელა მიიწევდა რესტორნისკენ. - მე ეს  
 ვიცი. ვიცი, რომ მოკვდა. კვირაობით ყვავილები მი-  
 მაქვს მის საფლავზე. სულ მიმქონდა, სადაც არ უნ-  
 და ვყოფილიყავი.

ცეზარი შეჩერდა. ამ სიტყვებს წლების მანძილ-



ზე იმეორებდა, და ისე ხშირად, რომ ბოლოს მათ აზრი გამოეცვალა. აი, მაშინ, როცა დედა ახალი გარდაცვლილი იყო, მათ გაცილებით მეტი ტკივილი ახლდა. სიტყვები სიტყვებია, მაგრამ საფლავი სულ სხვა საქმეა. ის შეგიძლია დაინახო, ხელით შეეხო. შეგიძლია მიხვიდე მინის ბორცვთან და გაიხსნო, როგორ უყვარდი დედას; როგორ გელოდა სკოლიდან დაბრუნებულს ნიწხვარინი შენი დედიკო სუფთა და მყუდრო ბინის ზღურბლზე; შეგიძლია მიხვიდე, საფლავის ქვაზე მისი სახელი წაიკითხო და ცოტა ხნით შენ თვითონაც მოკვდე, რადგან იქ ისეთი გრძნობა დაგეფუფლება, თითქოს დედამ სულ რაღაც ერთი კვირის წინ მიგატოვა.

ცეზარი უკან მიბრუნდა.

- ახლა კი ყველა შემეშვით, მისტერ.

- კარგი, კარგი, სიზ, მასე ვიზამთ. მხოლოდ ერთხელ მოდი... კვირას... სადილზე. შემწვარი ნაწინა, რამე. ცოტაც გადაეკრათ. მერე აღარ შეგაწუხებთ. მარტო ჩვენ ვიქნებით და ჯოანას ქმარ-შვილი. სხვა არავინ.

ამ სიტყვებით მიანიშნა ცეზარს, რომ მამასთან შეხვედრა არ მოუწევდა.

ცეზარს ერთი სული ჰქონდა, გაებოლებინა, მაგრამ ისედაც გაუგრძელდა საუბარი და გადაიფიქრა.

მეორედ რომ შეხვდა ივონას, ჰელოუო, მიესალმა. იმან თავი დაუქნია და გულგრილად ჩაუარა გვერდით. მესამე შეხვედრაზეც იგივე განმეორდა, იმ განსხვავებით, რომ უკვე ჩავლილი ივონა უეცრად შემობრუნდა.

- რამე მოსაქაჩს ხო ვერ მასხებზე?

- კი უნდა მქონდეს რაღაც.

- მაშინ აი იმ ოთახში შემომიტანე.

ივონას საკმაოდ დიდი ოთახი ეჭირა. მაცივარი, საწოლი, სარკიანი კარადა, პატარა მაგიდა და ერთიც სკამი, აი, სულ ეს იყო მისი ავლა-დიდება. ოთახის ფანჯარა მოპირდაპირე შენობის ყრუ კედელს გადაეყურებდა. ლამაზი, ცისფერ-ყვითელი ფერდები კი სულ სხვა გარემოს მოუხდებოდა, მათ რომ შეიშნობდა, ისეთს.

ცეზარს არაფერი უნდოდა ამ ქალისგან, უბრალოდ, სიამოვნებდა საუბარი წარსულის ადამიანთან, თანაც ისეთთან, რომელიც ოდესღაც უყვარდა და... რომლისთვისაც თავადაც ბევრს ნიშნავდა მაშინ. ღია კართან გაჩერდა სიგარეტის კოლოფით ხელში. ივონას მოწითალო, გასუნებული კაბა ეცვა და რაღაცას ეძებდა მაცივარში. ცეზარი იქვე დაეშვა სკამზე, კართან. ივონა საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა. ცეზარი ახლა მის პროფილს სწავლობდა. მეხუთე ნაფაზის შემდეგლა ამოვიღო ხმა ივონამ:

- ძალიანაც ცდები, თუ შეგონია, რომ თავს გაგაყვინებ. უფულოდ ყელზე დაგადგება.

- მე არაფერიც არა მგონია და არც არაფერი მინდა შეგან.

- არაფერი, არაფერი, - გამოაჯავრა ივონამ და კონსერვის ცარიელ ქილაში ჩააფერფლა. - ჩვენ ყველას რაღაც გვინდა ერთმანეთისგან, მისტერ. და რაც უფრო მალე მორჩებიან შენისთანები სიაბანდობას, სამყარო უკეთესობისკენ შეიცვლება. ფლიდების გამოა ასე დამპალა, ასეთი დამყაყებელი.

მაშინ მათ პატარა სახლი დაიქირავეს ნორის-ტში და გადანყვიტეს, ორი წლის მერე ბავშვიც ვიყოლიოთო. ერთხელ ცეზარი გვიან დაბრუნდა. ივონა სიბნელეში იჯდა და ქადაგებდა. უკვე წელიწადნახევარი იყო, რაც ერთად ცხოვრობდნენ. ორი თვის შემდეგ კი ივონა წავიდა. სამი თვე ეძებდა ცეზარი, იმავე ბინაში დარჩა და შეეცადა ისე მოეწყო, უკან მობრუნებულ ივონას იქედან წასვლის სურვილი რომ აღარ გასჩენოდა.

- პირველი სიაბანდი დედაჩემი იყო, - გაიძახოდა მაშინ ივონა. - ფუი, რა ბოთურობაა ეს ყველაფერი. კაცი უნდა ადგეს და პირდაპირ გითრას: "ნეტა კი, ჩაბადლებოდე", ან "შენი მყური მინდა, სუ მთლიანად, ბოლო ცენტამდე." და როცა სიაბანდობას მოვეშვებით, სამყარო ედემად გადაიქცევა.

ვიდრე ივონას შესვდებოდა, ქურდი, მძარცველი და ნარკომანი იყო, და მერე, სამი თვის შემდეგ, ისევ მიუბრუნდა ყველაფერ ამას. განა იმიტომ, რომ გული გაუტყდა (თუმცა, გაუტყდა, როგორ არა), უბრალოდ, ეს ძალიან ადვილი იყო. ივონა არასდროს დაუდანაშაულებია; იმდენი კი ესმოდა, რომ ეს არ უნდა ექნა. მაშინ ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ ოქრობიჭი და ანტუანი.

საათზე მეტ ხანს იჯდა ივონას ოთახში. ბოლოს ქალმა უთხრა, აი, ძმაო, უკვე გადახდილია ეს შენი მოსანევიო. მერე კი, მთელი ორი კვირა, რაც უფრო ახლოვდებოდა იმ წყეული სადილის დღე, ივონასთან ყოველ საღამოს მიჰქონდა მოსანევი და ჩასახეთქი და იმათათვე ადრთხილებდა, შენგან არაფერი მინდა, ისე, ტყეილად შემოვივარეო. აზრზე იყო იყო, როგორ იხდიდა ეს ქალი ქირას. მეოთხე დღეს ივონა დარწმუნდა, რომ მართლა არაფერი უნდოდათ მისგან. ცეზარი მოდიოდა და სკამზე ჯდებოდა. ივონა ადრინდებულად ქადაგებდა და მასაც მეტი რაღა დარჩენოდა, იჯდა და უსმენდა. ეს ქალი მაღლიერებას იმით გამოხატავდა, რომ ისე ერთთავად იმას უმეორებდა, სიაბანდების ასპარეზი არ უნდა იყოს დედაჩემო.

სწორედ სადილის დღეს აღმოაჩინა, ივონასთან გატარებულმა დრომ რომ მიანიჭა ის ძალა, რომელიც ასე ძალიან აკლდა, როცა ალონსომ სტუმრობაზე დაითანხმა.

ცეზარმა ალონსო რესტორანთან დაიბარა. გული უგრძნობდა, თუ "ისინი" ჭინჭველების ბუდედს მიაგნებდნენ, მის ცხოვრებაშიც იოლად

შეიჭრებოდნენ.

ჯოანას სახლში სიხარულით შეეგებნენ. იქ, ნორ-თვესტში, რომელსაც ზოგი „ოქროს ნაპირსაც“ უწოდებდა, შექმლებული ზანგები ცხოვრობდნენ მხოლოდ. ჯოანა გადაეხვია და ასლუუნდა, მერე ერთი ჭიქა ღვინოც შესთავაზეს. დალია, თუმცა ლორტონში სათოფრეზე არ ეკარებოდა სასმელს. სასტუმრო ოთახში გაიყვანეს; ცეზარს ის დარბაზად მოეჩვენა, ათჯერ დიდი მაინც იქნებოდა მის ყოფილ საკანზე. მუქ მწვანე დივანზე დააბრძანეს. ღვინო მოწრუბა და გულაც მოუღება, თითქოს აღარაფერს ეჩქოდა თავისიანებს. ისიც კი არ აბრაზებდა, დისშვილები მუხლებზე რომ აცოცდებოდნენ. ათი წელი სრულდებოდა, რაც ბავშვი თვალითაც არ ენახა, არანაირი. გოგონა სულ „ბიძიას“ გაიძახოდა.

მოსამახაურემ სადილი შემოიტანა. ცეზარი ცდილობდა უფროსებისთვის იშვიათად მიემართა, ბავშვების უკეთ მესმისო, ფიქრობდა. არც და-ძმა და არც მათი თანამეცხედრეები უწვრილებდნენ გულს ზედმეტი შეკითხვებით, ისიც ყოფნით, მათ გვერდით რომ იჯდა. სადილის ბოლოს, მეოთხე ჭიქა ღვინოც მიირთვა და გოგონას უთხრა, რა ძალიან გაეხარა დედაჩემსო. ბავშვი განითლდა: იცოდა რა ლამაზი იყო დიედა.

ნასვლის წინ ალონსო უთხრა, შენ დღეს მთელი წლის სამყოფი ბედნიერება გეაჩუქეო. თვალეზიც კი მოენამა და უნდოდა გადახვეოდა, მაგრამ ცეზარს მისთვის არც კი გაუღიმიო, მხოლოდ ხელი გაუწოდა. ალონსო მაინც უთხრა სათქმელად:

- სულ რომ აღარ მოგიწინეს ჩვენი მონახულება, აქეთვე პირიც რომ აღარა ქნა, ერთი რამ მაინც უნდა იცოდე, მამას უყვარხარ. ეს სრული ჭეშმარიტებაა! სხვანაირი კაცია მამა. შენ ჩვენზე უფრო მეტად უყვარხარ. ალბათ იმიტომ, რომ არ იცოდა შენი ასავალ-დასავალი. მეორე ცოლიც შენ გამო არ მოიყვანა.

მერე ჯოანამ მანქანით მიაგრილა სახლში. ბავშვები უკანა სავარძელზე ისხდნენ. გამომშვიდობებისას ჯოანამ ლოყაზე აკოცა ცეზარს. მან კი, ახლად გამომცხვარმა ბიძამ, რომელსაც ღვინომ ისიც კი ათქმევინა, არც ისე ცუდი იყო თქვენთან, ხელი გაიწოდა პატარებისთვის ალონსო რომ მიეტყუებინა ფეხზე, მაგრამ ჩაძინებულ ბიჭს ვერ მისწვდა, გოგონა კი სიცილ-წყლოპინით გასხლტა განზე. მერე დისშვილს უთხრა, ლამე მშვიდობისა, ქალბატონოო და იმასაც პასუხი უკვე მზად ჰქონდა, ქალბატონი კი არა, პატარა გოგონა ვარო. კიდევ სცადა ბავშვისთვის ფეხზე მოეჭაჩა, მაგრამ კვლავ უშედეგად. როცა შემობრუნდა, ჯოანას სახეზე ისეთი ზიზღი და შეძრწუნება ამოიკითხა, რომ ტკივილმა დანასავით დაუარა გულ-მუცელში. ჯოანას ეგონა, რომ ის გოგონას... ფუი, ეშმაკს, რა

სიღამელეა! ნახვამდისო, ესლა ამოღერდა და მანქანიდან გადავიდა. ვიდრე კარს მისურავდა, ჯოანამ უთხრა, დამირეკეო, მაგრამ მისი ხმა ახლა სულ სხვანაირად უღერდა. ცეზარი უსიტყვოდ გამოირდა იქაურობას. ნუთუ რაღაც შეეშალა? რა თქვა ნეტა ასეთი, რა გააკეთა? დაიჯეროს, ბავშვებზე მონადირენი პატარა გოგონებს „ქალბოტანოს“ ეძახიან? იცოდა, ჯოანას აღარ დაურეკავდა. რა ჭკუა რნა მაშინ ლორტონში ის ნერილები და ფოტოები რომ დაანაუწნა!

ვიდრე მანქანა ადგილს მოსწყდებოდა, თვალდახუჭული იდგა შორიასლოს. კიდევ ერთხელ დაუარა ტკივილმა მთელ სხეულში და ფეხბრუნული წავიდა მეთავე ქუჩისკენ. რატომ მაინცდამაინც იქეთ? ეს თვითონაც არ იცოდა. N-სტრიტიდან მუსიკის ხმა შემოესმა.

მაშინ ჯოანას ველოსიპედის ტარებას ასწავლიდა, შიშის დაძლევაში ეხმარებოდა. ის ხომ სულ იმას წუნუნებდა, ვაითუ, გადმოგვარდე და ცხვირ-პირი დაგიღწეო. ახლა კი ცეზარი დღის თვალში არც მეტი, არც ნაკლები, ცხოველი იყო, ცხოველი, რომელსაც პატარები უნდა მოარიდო. ასეთ ურჩხულებს ციხეში დიდხანს არ აცოცხლებდნენ. ახლა უკვალოდ გამქრალიყო ის სიყვარული, დისშვილების მიმართ რომ იგრძნო ამ რამდენიმე საათის წინ. გახონის გადაეყუდა და აღებინა. მერე პირი ხელის ზურგით მოინმინდა. „რო ჩამოვავარდე?“ ეკითხებოდა ჯოანა. ჯერ ერთი კვირა იყო, რაც ველოსიპედზე დაჯდომა გაუბედა. „მე აქ არა ვარ!“ პასუხობდა ცეზარი.

ყური არ ათხოვა მომვლელს, როცა იმან გასძახა, სამიშინ შენთან ლაპარაკი უნდაო. პირდაპირ წავიდა, ივონას ოთახისკენ, თუმცა მის ნახვას იმ საღამოს სულ არ აპირებდა. კარი იმდენზე იყო გამოღებული, რომ ოთახის ნახევარი ჩანდა. ცეზარმა თავისი ნავსაყუდლისკენ გასწია და მისი ჩრდილი ჯერ იატაკზე გასრიდა, მერე კედელს აუყვია. ჩრდილიყო? რა გაუკვირდა, აკი ბუბუტავდა ნათურა ივონას ოთახში! სააბაზანოში არავინ იყო და ცეზარმაც ზღურბლიდან ხმადაბლა გასძახა, მერე კიდევ საშვერ დაუძახა და მსუბუქად უბიძგა თითი კარს. რაღაც უშნოდ ედლო ივონა სანოლზე, გვერდულად. „მთვრალია“, გაიფიქრა ცეზარმა და ის იყო წესიერად უნდა დაეწინა, რომ ადგილზე გაშუმედა. ადამიანის ტანის ასე მოგრესხას სიცოცხლე ვერ მოახერხებდა, ეს სიკვდილის საქმე უნდა ყოფილიყო. ამის მეტი რა ენახა ცეზარს! ივონა სახით ჩამოხილიყო სანოლის რკინის ბადეში, ცოცხალი ადამიანი ძილისთვის ასეთ პოზას არ აირჩევდა. ერთ ფეხს ზედ დასწოლოდა, მეორე უკან გაეშვირა. არც ერთი კიდური არ ტოვებდა მისი სხეულის ნაწილის შთაბეჭდილებას, თითქოს ორივე ცალ-ცალკე ეყარა, თავ-თავისთვის. „ივონა“, დაიჩურჩუ-



ლა ცეზარმა. მერე მის გვერდით ჩამოვდა, თან ცდილობდა თვალი მოერიდებინა ნაღებინარში ამოთხვრილი ტუჩებისთვის. თავი გაუსწორა. ჯერ იფიქრა, ალბათ ვილაცამ მოკლაო, მაგრამ დაბალი კარადის თავზე ფული დაინახა და მიხვდა, რომ მსხვერპლი და ბოროტმოქმედი ერთი და იგივე პიროვნება უნდა ყოფილიყო. სანოლზე მიგდებულ ვისკის ცარიელ ბოთლს თავი დაახურა, გვაში კიდევ ერთხელ გაასწორა, ზენარი და საბანი გადააფარა. დილით უთუოდ შემოიხედავდა ვინმე. ახლა ცეზარს ისლა დარჩენოდა, სინათლე გამოერთო და წასულიყო. ადრე ის მას პატიოსან ქალად იცნობდა, ნემსის ქურდობასაც რომ არ იკადრებდა, ისეთად... ფაქტი, სისუფთავის მიყვარულ, სასურველ ქალად... დილით კი სულ სხვა ვივსვე იპოვევნივ.

ცეზარი მიბრუნდა, სანოლსა და სკამზე მიმოყრილი ტანსაცმელი მილაგა, ლამპის შუქფარი გაასწორა, იატაკიდან განუთები და ათასი ხარასურა აკრიფა. მაგრამ იქაურობას დიდი სასიკეთო ცვლილება არ დასტყობია. ჩივრები საჭიროო, გაიფიქრა, თავის ოთახში გავიდა და ორი პერანგი დავხრინა. უკან მიბრუნდა, მაგიდიდან, რომელზეც ივონას ჯაგრისი, სავარცხელი და მწირი კოსმეტიკა ეწყო, მტვერი გადამინდა, ნივთებს თავ-თავიანთი ადგილი მიუჩინა, თითქოს დილით ივონა გაიღვიძებდა და სარკვსთან კეკლუცობას მოწყვებოდა.

მერე ოთახის დალაგებას შეუდგა. შეღამისთვის სამუშაოს ნახევარიც არ ჰქონდა მოთავსებული და პერანგის ნაფხრენებიც ერთიანად ამოგანგლულიყო. კვლავ თავის ოთახს მიაშურა კიდევ ორი პერანგის გასაწირად. დილის სამი საათისთვის უკვე შარვალსაც ხედავ. ოთახი დალაგა, მტვერი გადამინდა, მაგიდიდან ჭურჭელი და კონსერვის ქილები ალაგა, კედელზე ჩარჩოში ჩასმული, რატომღაც მარცხნივ გადახრილი ორი პლაკატი გაასწორა, ერთად მოუყარა თავი ხუთი უცნობი ბავშვის სურათს და დასტა პატარა მაგიდაზე დადო. ამას რომ მორჩა, საკუჭნაოდან სათლი და იატაკის მოსარეცხი დიდი ცოცხი გამოიოტა. ხრალში თავგებს დაედოთ ბინა და შათ გამოფეროვებას დრო დაეჭირდა. მაივირის გვერდით, მაგიდის ქვეშ საპნის ფხვნილიანი ქილა იპოვა. სათლი საბაზანოში აავსო წყლით, შიგ ფხვნილი ჩაყარა, იატაკი მორეცხა და ვიდრე გაშრებოდა, ღია კარში იდგა და საკუჭნაოს თავგების ფხაჭუსეს აყურადებდა,

ოთხი საათისთვის ოთახი ოთახს დაემსგავსა, ივონა კი საბანაფარებული ინვა ანენილ-დანენილ ქვეშავებზე მთელი სამყარო გარინდულიყო, მოფხაჭუნე თავგების გამოკლებით! არა, ასე ვერ დატოვებდა ივონას. დაისარა და მხარზე შეესო.

მამინ, სამშაბათ დილას, სკოლაში წასასვლელად რომ ემზადებოდა, სანოლთან ჩაჩოქილი მტირალი მამა დაინახა, სანოლზე კი დედა ცივდებოდა. ცე-

ზარი გაუბედავად მიუხსლოვდა. მამამ ისე მაგრად ჩაიკრა გულში, რომ სუნთქვა შეეკრა. ალონსომ ვინმეს დავუძახოთო, მაგრამ მამა შეესვენა: "არა, კიდევ ერთი წუთი, კიდევ ერთი წუთი დამაცადე". თითქოს ლმერით იმ ერთ წუთში გადაიფიქრებდა და თანამეცხედრეს დაუბრუნებდა. ცეზარმაც თუთიყუშვივით გაიმეორა: "დიას, კიდევ ერთი წუთი".

როგორ თქვა ალონსომ? სრული ჭეშმარიტებაო! ცეზარმა ლოგინის თეთრეული გამოცვალა და ივონას ტანსაცმელი განადა. დიდი ქვაბი წყლით გაავსო, თავისი ოდეკოლონით გააზავა (რომელსაც თვითონ არ ხმარობდა) და შიგ შამპუნის აბები ჩაყარა. ეს პარფიუმერულ-პიგიენური საშუალება კუთხეში ობლად მიგდებულ, გვერდებზეჭყელტილ ქილაში იპოვა. აბები წყალში არ გაიხსნა და მათი ხელით დაფშენა მოუხდა. ივონა განბანა, პირი გამოუშინდა; საკუჭნაოდან მწვანე კაბა გამოიტანა, კარადიდან - საცვლები და ყვლწინდები; ჩააცვა და გულთან დაფანგული კამეაც დაუბინა. თმა ჯერ საფეხცლით დაფარეს, მერე ჯაგრისით, დარჩენილი ოდეკოლონი დააპკურა და სარჭებოთაც დაუმარცხა. ახლა ივონას სუფთა ბალიშზე ესვენა თავი (ბალიშის პირი ადრე ცეზარის საკუთრება გახლდათ). აი, ფეხსაცმელი კი არ ჩააცვა, არც საბანი გადაუფარებია...

ოთახი სუფთა იყო, ლამაზი. ყოველ შემთხვევაში ცეზარი ამაზე მეტს ვერაფერს გააკეთებდა. უკვე შვიდი საათი დაწყებულიყო, მზე ძალას იკრებდა, გარეთ ჩიტები უღურტულუნდნენ. ცეზარმა ჭერის ნათურაც გამორთო და ლამაზ, თან გამოღვიძებული ქალაქის ხმაურს აყურადებდა. მერე ის ფაქჯარაც გამოაღო, რომლის მიწებიც რამდენიმე საათის წინ გაენმინდა და ოთახში წინაე შემოიჭრა. პაერის ნაკადს ხელი შეაგება, სიგრილე ვამა და უცებ მიხვდა, ახლგაზრდობა უკან რომ ჩამოეტოვებინა.

მოგვიანებით თავის სანოლზე იჯდა და სიგარეტს სიგარეტზე ექაჩებოდა. ჯოანას მანქანიდან რომ გადმოვიდა, იქამდე, ვიდრე მოკრუნწხულ, უსულყო ივონას იპოვიდა, სულ იმას ფიქრობდა, ბალტიმორში ხო არ ჩავსულიყავი და ძველი ძმაბიჭების ხროვას ხო არ მივტამანოდი, აბა, ბავშვებზე მონადირეს სხვა რაღა დამრჩენიაო. ახლა კი საკუთარ მომავალთან დაკავშირებით ისლა იცოდა, რომ ამერიიდან ჭურჭლის რეცხვასა და მაგიდების ალაგებას აღარ ამირებდა. დაასლომებით ათის ნახევარზე მთელი თავისი ავლა-დიდება და ივონას ოთახიდან გამოტანილი ნაგვით გაგსებული ორი დიდი პარკი სამზარეულოს უზარმაზარ ურნაში ჩაუძახა, მერე იმ ბავშვებიან ქალს კარზე მთუკაუკუნა და როცა იმისმა ბიჭმა გაულო, უთხრა, დედას დაუძახეო. ქალს ივონას ოთახში ნაპოვნი ას ორმოც-

დაშვიდი დოლარი მისცა, გარდა ამისა, საკუთარი რადიო და პატარა შავ-თეთრი ტელევიზორიც უსახსოვრა. მერე უთხრა, ცოტა ხანს ივონას მიხედვდა და მოგვიანებით მეც მოვალე. ეს ალბათ მისი ყველაზე უწყინარი ტყუილი იყო.

როცა ჭიანჭველების ბუდეს ტოვებდა, საიმონმა გასძახა:

- მალე მობრუნდები, ლომო?

ცეზარმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- მაშინ იქნებ ერთი ბოთლი რომი წამოგეღო. წყალივით მომწყურდა ეგ ოხერი.

ცეზარმა კვლავ დაუქნია თავი. მერე საიმონმა სიფის თავიდან ფული აიღო და ჰკითხა:

- წუხელ შენ იყავი ივონასთან, არა? დიდ ამბავში კი იყავით, ლომო.

ცეზარს ამაზე არაფერი უპასუხია. საიმონმა ფული მომგულეს მისცა. იმანაც ათი დოლარი და ერთიც ოცდახუთცენტიანი ცეზარს გაუნოდა.

- ზუსტად ამდენი ლირს, - დაუმონწა საიმონმა.

- რომ დაბრუნდები, ფეხის ქირასაც მაშინ მიიღებ. - წუთში აქა ვარ.

საიმონი ალბათ მიხვდა, რომ "ლომი" უღმერთოდ ტყუოდა და ოთახიდან გასულს, რაც შეეძლო ტყვილი ხმით დაანია:

- აბა, შენ იცი, გელოდები.

ცეზარი გავიდა. სამომავლო გეგმები ჯერ არ დაესახა, ერთი ის იცოდა, რომ რალაც ლეგალური გზა უნდა გამოენახა დაკრძალვის ხარჯების გასასტუმრებლად. ივონას მინის ზემოთ არავინ დატოვებდა, ოცდახუთცენტიანი კი ხელის გულზე დაიდო და დაეცქერდა. ძალიან ძველი მონეტა იყო, 1967 წელს გამოშვებული. მზის შუქზე მინც ბრწყინავდა, ჟამთა სვლას ბევრი ვერაფერი დაეკლო მისთვის.


შენობის კიბეს ჩაუყვარა, ქუჩაში გავიდა და ტროტუართან შეჩერდა. სამყარო ნელ-ნელა იცივიებდა... და ცეზარი უცერად გველნაკბენივით შესტა, პირველად დაარტყა თავში, რომ თვითონაც ამ სამყაროს ნაწილი იყო... მარცხნივ გაიხედა მეცხრე ქუჩისკენ. იმის იქეთ მერვე ქუჩაზე კათოლიკური ეკლესია იყო, მეშვიდე ქუჩის კუთხეში კი - ბანკი. მონეტა ჰაერში ააგდო. ახლა მარჯვნივ გაიხედა, მეათე ქუჩისკენ. ნეტა იქ რალა ეგულეობო? რა და უამრავი მალაზია, სახლი, რომლის კედლებშიც აბრაამ ლინკოლნი გარდაიცვალა და კიდევ ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილი თეთრკანიანის ძეგლი. იქვე, Q-სტრიტის მახლობლად ოდესღაც პატარა მალაზია იყო, სადაც ერთი ჭიქა ალუბლიან-ვანილიანი ნაყინი ოცდახუთი ცენტი ღირდა. მეათე ქუჩის იქეთ კი, ფრენჩ სტრიტზე ორსართულიანი სახლი იდგა, რომელიც ყველაზე მეტად დედამისის ამოქარგული ხელსახოცებით და კართან გარინდული

პატარა, შავი ფიფურის ლეკვით დაამახსოვრდა. ქორწინების მესამე წელიწადს აჩუქა დედამ ეს სათამაშო თავის მეუღლეს. ოცდახუთმეტრი წლის მანძილზე მოთმინებით ელოდა ლეკვი სამასხურიდან მობრუნებულ ოჯახის უფროსს. "სრული ჭეშმარიტება!" "კიდევ ერთი წუთი!" მონეტა დაიჭირა. თუ ხელის გულიდან ჯოჯოჯვე ვაშინგტონის პროფილი შენახატებდა, ფიქრი არ არის, მეათე ქუჩისკენ წავიდოდა. მუჭი რომ გაშალა, ჯოჯოჯვე შესცინა...

მეათე ქუჩისა და N-სტრიტის გადაკვეთაზე შეჩერდა და კვლავ ოცდახუთცენტისან დაეცქერდა. ქვემოთ ის სახლი იყო, რომელშიც ლინკოლნი მიიცვალა, ზემოთ კი მეორე, სადაც პატარა ბიჭი ცხოვრობდა და სადაც ყოველდღე ელოდა ლეკვი ბიჭის მამას. იქვე, კუთხეში პატარა გოგონა ველოსიპედთან ფუსფუსებდა, ბორბლის მანებს შორის ფერად ბარათებს ამარებდა, საბურავებს ამონებდა. მერე გოგონამ თავი ასწია და ცეზარსა და მის მონეტას მიაჩერდა. ამჯერად კაცმა ვერ იმარჯვა და მონეტამ ასფალტზე გაიღო წკრიალი. ცეზარმა გაიფიქრა, ეს არ ითვლებო. გოგონას გაახსენდა, როგორ ათამაშებდა ერთხელ დეიდამისი ექვს მონეტას; რა ოსტატურად იჭერდა ჰაერში, იმის ყურებას არაფერი სჯობდა: ჯერ ერთს ააგდებდა, მერე სამს, მონეტის კი ექვსივეს ერთად. დეიდამ ევეს სივე მონეტა აჩვენა, ექვსივე ძველი, მძიმე ვერცხლის ერთდოლარიანი. გოგონა ფიქრობდა, ყველაფერი თავიდან მეორედებო. ცეზარმა კვლავ ააგდო ოცდახუთცენტიანი. გოგონას გული გაუჩერდა! კაცსაც! მონეტა ჰაერში აიჭრა და... თვალის დახამხამებაში დაეშვა ქვემოთ.

2004

ინგლისურიდან თარგმნა  
ასპატი ლ.კაპაშვილმა







<http://www.opentext.ge/arili>

წააბ HERE



1/8 208/5